

ავთანდილ კობახიძე

# სამოქალაქო სამართალი

|

ზოგადი ნაწილი

თბილისი  
2001

ნიგნში განხილულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ინსტიტუტები ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. ნაშრომი წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე წაკითხულ ლექციების კურსს და ამიტომ მისი სისტემა შეესაბამება იურიდიულ ფაკულტეტზე სამოქალაქო სამართლის სასწავლო პროგრამას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სამოქალაქო სამართლის ცნებას, მის საგანსა და წყაროებს, ასევე სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებსა და ამ ურთიერთობათა ობიექტებს, რაც სათანადო სისრულით არ არის ასახული სამოქალაქო კოდექსში.

ნიგნი არის სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის სრულად გადმოცემის ავტორის პირველი ცდა და, ბუნებრივია, იგი დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისაგან. ყველა საქმიანი შენიშვნა და წინადადება მადლიერების გრძნობით იქნება მიღებული და გათვალისწინებული შემდგომ გამოცემებში.

შრომა განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ-თათვის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი რომან შენგელია

# თავი I.

## სამოქალაქო სამართლის ცნება, საგანი და პრინციპები

- §1. სამოქალაქო სამართალი და მისი მნიშვნელობა.
- §2. სამოქალაქო სამართალი როგორც სამართლის დარგი, მისი რეგულირების საგანი, სფერო და მეთოდი.
- §3. სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა.
- §4. სამოქალაქო სამართლის განმარტება და მისი გამოიყენა სამართლის სხვა დარგებისაგან. §5. სამოქალაქო სამართლის მიზანი და მისი ძირითადი პრინციპები.

### §1. სამოქალაქო სამართალი და მისი მნიშვნელობა

ტერმინი „სამოქალაქო სამართალი“ იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ სამოქალაქო სამართლის ცნება, პირველყოვლისა საჭიროა ვიცოდეთ ამ ტერმინის მოკლე ისტორია, მისი მნიშვნელობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამასთან, აუცილებელია გაირკვეს სამოქალაქო სამართალი როგორც სამართლის დარგი საერთოდ, მისი რეგულირების საგანი, რეგულირების სფერო და მეთოდი. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი და როგორც სასწავლო დისციპლინა. ყველა ამ საკითხის ერთობლივი ანალიზი მოგვცემს საშუალებას ამომწურავად განვმარტოთ სამოქალაქო სამართლის ცნება და გამოვიყენოთ იგი სამართლის სხვა დარგებისაგან.

ტერმინი „სამოქალაქო სამართალი“ (ლათინურად *ius civile*) საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული

შინაარსით იხმარებოდა. რომაულ სამართალში ის ნიშნავდა საერთოდ სამართალს, რომელიც მხოლოდ რომის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა და მოიცავდა საქართლის ყველა დარგს. შუა საუკუნეებში „სამოქალაქო სამართალი“ ეწოდებოდა საერთოდ რომაულ სამართალს და მას უპირისპირებდნენ ე. წ. კანონიკურ სამართალს (საეკლესიო ნორმებს). ამ პერიოდში ევროპის ახალმა სახელმწიფოებმა რომის სამართლიდან გადმოიღეს უმთავრესად კერძო სამართლის ნორმები, ე. ი. ნორმები, რომლებიც კერძო პირთა ურთიერთობებს არეგულირებდნენ, რამდენადაც ძველი რომაული სამართლის ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო მმართველობისა და სისხლის სამართლის სფეროს არეგულირებდნენ, აღარ შეესაბამებოდნენ ამ სფეროში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით თანდათან შეიცვალა ტერმინ – „სამოქალაქო სამართლის“ შინაარსიც, იგი უკვე გადაიქცა „კერძო სამართლად“ და დაუპირისპირდა „საჯარო სამართალს“. ასეთი გაგებით დამკვიდრდა ეს ტერმინი კაპიტალისტურ საზოგადოებაში და აისახა შესაბამის კანონმდებლობაშიც (საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის 1897 წლის სამოქალაქო სამართლის დებულება)<sup>1</sup>.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალი კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს კერძო სამართალს, სამოქალაქო საზოგადოების სამართალს, რომელიც განსხვავდება საჯარო სამართლისაგან. იგი ანესრიგებს კერძო პირებს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო საჯარო სამართალი ანესრიგებს სახელმწიფო ორგანოთა მიერ საჯარო ხელისუფლების აღსრულების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს. თანამედროვე პირობებში, ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში სახელმწიფო საკმაოდ ხშირად ერევა სამეურნეო ცხოვრებაში, ვაჭრობაში და სამოქალაქო სამართლებრივი

<sup>1</sup> კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამიჯვნის პრობლემის შესახებ იხილეთ ლ. ჭანტურია — „უძრავი ნივთების საკუთრება“, თბილისი, 1994, გვ. 20-26.



ნორმები, შეიძლება ითქვას, აღარც კი ატარებენ წმინდა „კერძო“ ხასიათს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ თვალს გადავაგვლებთ ისტორიას, სამართლის ასეთ დაყოფას „კერძო“ და „საჯარო“ სამართლად, არასდროს არ ჰქონია აბსოლუტური მნიშვნელობა. იყო მთელი რიგი ისტორიული პერიოდები, როცა ასეთი დაყოფა არ იხმარებოდა, – ასე იყო უძველეს რომის სამართალში (ე.წ. XII ტაბულის კანონები). კერძო საკუთრების განვითარებამ დააყენა ეს პრობლემა და უკვე მესამე საუკუნის დასაწყისის რომაელი იურისტი ულპიანე იძლევა კერძო სამართლის განსხვავებას საჯარო სამართლისაგან. ფეოდალიზმის ეპოქაში, მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრება არსებობდა, არ ყოფილა გამახვილებული ყურადღება სამართლის ასეთ დაყოფაზე, აქ სამოქალაქო საზოგადოების სამართალს მხოლოდ საეკლესიო სამართლისაგან განასხვავებდნენ. კაპიტალიზმის პირობებში, ვითარება შეიცვალა, კერძო საკუთრების სამართლებრივი დაცვის გაძლიერებამ სამოქალაქო სამართალი თანდათან აქცია კერძო სამართლად და, ცხადია, იურისტთა მოძღვრებებშიც გამოიყო ის საჯარო სამართლისაგან. ვითარება შეიცვალა კაპიტალიზმის განვითარების შემდგომ საფეხურზე, როცა გაფართოვდა სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო საქმიანობაში, მრეწველობის პროცესში, ეაჭრობაში, საჭირო გახდა ფასების მონესრიგება, მოხმარების ნორმების დანესება და სხვა. ამიტომ, იურისტებში გაჩნდა აზრი, რომ თეორიული საფუძველიც აღარ რჩება ერთმანეთს დავეუპირისპიროთ საჯარო და კერძო სამართალი. ამას თვით განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების იურისტებიც აღიარებენ (ფრანგი დიუგო, ავსტრიელი მენგერი, გერმანელი ჰედელმანი).

მიუხედავად ამისა, იურიდიული მეცნიერება დღეს ერთხმად აღიარებს სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ კერძო და საჯარო სამართალი ისე ძნელად გასამიჯნი ხდება ერთმანეთისგან, რომ მეცნიერებმა ამისათვის არაერთი თეორია შეიმუშავეს (ინტერესების, სუბორდინაციის, სუბიექტების თეორიები). უდავო ის არის,

რომ სამოქალაქო სამართალს ყველა მიაკუთვნებს კერძო სამართალს, თუმცა მათ ერთმანეთთან არ აიგივებენ. „სამოქალაქო სამართალი დიდი ხნის მანძილზე კერძო სამართლის სინონიმად მიიჩნეოდა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებამ და მათი მონესრიგების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა სხვა ახალი დარგების შექმნა.“<sup>1</sup> სამოქალაქო სამართალს კერძო სამართლის ზოგად, მთავარ ნაწილად მიიჩნევენ, ხოლო კერძო სამართლის სპეციალურ დარგებად თვლიან სამენარშეო, ინტელექტუალური საკუთრების, შრომისა და საკორპორაციო სამართალს, საერთაშორისო კერძო სამართალსა და გაკოტრების სამართალს.

სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა. დიდია სამოქალაქო სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სამოქალაქო სამართლის ნორმებს დღევანდელ პირობებში ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, როცა მკვიდრდება საბაზრო ეკონომიკა. ეკონომიკური რეფორმა გულისხმობს ყველა ეკონომიკური ბერკეტის ამოძრავებას, ყველანაირი ურთიერთობის სრულ სამართლებრივ მონესრიგებას. სამართლიანად მიუთითებს პროფ. ლ. ჭანტურია, რომ „სამოქალაქო კოდექსს საქართველოსათვის გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ერთ-ერთი უმთავრესი და უთვალსაჩინოესი საფუძველია ეროვნული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად... ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, სამოქალაქო სამართალი პიროვნების თავისუფლების სამართლებრივი საფუძველია ეკონომიკურ, კომერციულ, სიმდიდრის შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.“<sup>2</sup>

<sup>1</sup> რ. შენგელია — ქართული სამართლის საფუძველები (კარი მეხუთე), თბილისი, 2000, გვერდი 130-131.

<sup>2</sup> ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ. 3.

სამოქალაქო სამართალს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი ნორმები ისე მოქმედებენ ადამიანთა საქმიანობაზე, რომ ვერც კი ვამჩნევთ, ყურადღებასაც არ ვაქცევთ მათ. როცა მივემგზავრებით რომელიმე ქვეყანაში, ვიღებთ თვითმფრინავის ბილეთს, ამით ვამყარებთ საავიაციო გაერთიანებასთან სამოქალაქო ურთიერთობას, ვდებთ მასთან გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულებას; შევდივართ რესტორანსა თუ უნივერსიტეტში, ვიძენთ რაიმე საქონელს და მყარდება ჩვენს შორის ნასყიდობის ურთიერთობა; ვესწრებით რომელიმე თეატრში კონცერტს თუ წარმოდგენას და ვაბარებთ პალტოს გასახდელში, ვდებთ თეატრთან მიბარების ხელშეკრულებას; შევუკვეთავთ ხელოსანს თუ რომელიმე ფირმას ბინის რემონტს თუ ცალკეული ნივთის დამზადებას, ვდებთ მასთან ნარდობის ხელშეკრულებას; შევინახავთ ფულს შემნახველ ბანკში, მყარდება ჩვენს შორის საკრედიტო ურთიერთობა. ასევეა მრავალნაირი ურთიერთობა ადამიანებსა და ორგანიზაციებს შორის, როცა მყარდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები. ეს ურთიერთობები თავს არ გვახსენებენ მანამ, სანამ ისინი ნორმალურად ვითარდებიან, ვერც კი ვგრძნობთ, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ვიმყოფებით ერთმანეთთან ამ პროცესში, მაგრამ, როგორც კი ეს ნორმალური მდგომარეობა დაირღვევა, დაუყოვნებლივ ხდება საჭირო მივმართოთ სამოქალაქო სამართლის ნორმებს, დავიცვათ კანონით მონიჭებული უფლებები. სასამართლო პრაქტიკა სავსეა მაგალითებით, როცა გაფორმდა საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ გამყიდველი ბინას არ ათავისუფლებს და მყიდველი ვერ ახორციელებს თავის უფლებას. საჭირო ხდება მყიდველმა სასამართლო წესით დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლება, სასამართლო წესით მოითხოვოს გამყიდველის გამოსახლება. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენება ბევრჯერ საჭირო ხდება სავსებით ნორმალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც, მიუხედავად იმისა, რომ

არავითარი დარღვევა არ მომხდარა. ასეთია ე. წ. რთული ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული პირობების არსებობასთან. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვა, რომელიც სანოტარო წესით გაფორმებას და მმართველობის ორგანოში რეგისტრაციას მოითხოვს, თავიდანვე აიძულებს მოქალაქეს პატივი სცეს კანონს. შეასრულოს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის მოთხოვნა. ასევე ითქმის მემკვიდრეობის მიღებაზე, მის გაფორმებაზე, რომელიც სპეციალურად არის რეგლამენტირებული კანონით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართლის ნორმებს იურიდიულ პირთა, სხვადასხვა ორგანიზაციათა (ფირმების, კომპანიების, სანარმოების, დაწესებულებების) ურთიერთობებში, მათ შორის დადებული ხელშეკრულებების რეალიზაციის უზრუნველყოფაში.

სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქმედება ვრცელდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ისე იურიდიულ პირებზე. ურთიერთობა ფიზიკურ პირებს, ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს შორის და თვით იურიდიულ პირებს შორის ყოველთვის არ ატარებს სამოქალაქო სამართლებრივ ხასიათს, ანდა საერთოდაც შეიძლება არ იყოს იგი სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, შეფობა არ არის სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა, რამდენადაც ამ შემთხვევაში არ წარმოიშობა სამართლებრივი ვალდებულება რომელიმე მხარის მიმართ. სასურველია ორგანიზაციამ, რომელმაც შეფობა იკისრა, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ თუ ვერ შეასრულა, ამისათვის რაიმე სამართლებრივი შედეგი არ დადგება. ასევე ითქმის შეჯიბრების შესახებ. შეჯიბრება გარკვეულ ურთიერთობას წარმოშობს მხარეებს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა სამართლებრივი ხასიათის არ არის. თუ მათ, ამ ურთიერთობებს, მივანიჭებთ სამართლებრივ ხასიათს, ისინი მაინც არ იქნებიან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, მიიღებენ ადმინისტრაციულ სამართლებრივ, სახელმწიფო სამართლებრივ ან სამართლის სხვა რომელიმე დარგის

სამართლებრივ ურთიერთობათა ხასიათს. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა საგრძნობლად გააფართოვა სამართლებრივ ურთიერთობათა სფერო. კოდექსმა არაერთი ახალი სახის ურთიერთობა მოაწესრიგა. მაგალითად, 576-ე მუხლით გათვალისწინებულია ლიზინგის ხელშეკრულება (ქონების სარგებლობაში გადაცემა გარკვეული ვადითა და პირობებით), 607-ე მუხლით ფრენშიაზინგის ხელშეკრულება (დამოუკიდებელ სანარმოთა შორის გრძელვადიანი ხელშეკრულება სპეციფიკურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლის მიზანია საქონლის წარმოების, გასაღებისა და მომსახურებისათვის ხელის შეწყობა), 657-ე მუხლით ტურისტული მომსახურების მოწესრიგება, 744-ე მუხლით შუამავლობა, 790-ე მუხლით ე. წ. ვარანტი (საწყობში შესანახად მიზარებული საქონლის დაგირავება სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად საწყობიდან საქონლის გაუტანლად), 951-ე მუხლით თამაშობა და სანაძლეო, 969-ე მუხლით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და სხვა.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროს ზუსტი განსაზღვრა, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ რეგულირებას მიეკუთვნება, აუცილებელია იმისათვის, რომ ზუსტად ჩამოვყალიბოთ სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის სპეციფიკური დარგის, როგორც იურიდიული მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის ცნება.

## **§2. სამოქალაქო სამართალი როგორც სამართლის დარგი, მისი რეგულირების საგანი, სფერო და მეთოდი**

სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი. სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს რეგულირების თავისი საგანი, სფერო და მეთოდი, ე. ი. ის აწესრიგებს, არეგულირებს

გარკვეული სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს გარკვეულ სუბიექტებს შორის და განსხვავებული, მისთვის დამახასიათებელი ნესით, მეთოდით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველსავე მუხლში მითითებულია ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო სამართლის საგანს შეადგენენ. ეს ურთიერთობებია:

1. კერძო ხასიათის ქონებრივი ურთიერთობები;
2. საოჯახო ურთიერთობები;
3. პირადი ურთიერთობები.

სამოქალაქო სამართლის ადრე მოქმედი კოდექსი საოჯახო ურთიერთობებს არ მიაკუთვნებდა სამოქალაქო სამართლის საგანს. საოჯახო სამართალი სამართლის ცალკე დარგად იყო აღიარებული და საქორწინო და საოჯახო სამართლის ნორმებიც გამოყოფილი იყო სამოქალაქო სამართლის ნორმებისაგან. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით გააფართოვა სამოქალაქო სამართლით მოსაწესრიგებელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო და საქორწინო და საოჯახო ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის რეგულირების ჩარჩოებში მოაქცია.

სამოქალაქო სამართლის ამოცანა, პირველ რიგში, ქონებრივი ურთიერთობების მონესრიგებაა. ამიტომ, საჭიროა განვმარტოთ, რა არის თვით ეს ქონებრივი ურთიერთობა.

ცივილისტურ ლიტერატურაში ქონებრივ ურთიერთობებზე, საერთოდ სამოქალაქო სამართლის საგანზე ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ზოგჯერ ქონებრივ ურთიერთობებს წარმოებით ურთიერთობებთან აიგივებენ. ასეთი გაიგივება, ცხადია, სწორი არ არის. ქონებრივი ურთიერთობები სამართლებრივი ურთიერთობებია. წარმოებითი ურთიერთობები თუ სამართლებრივად არ იქნა მონესრიგებული, ის ნორმალურად ვერ განვითარდება. მართალია, ამ სამართლებრივი ნორმების ხასიათს, მათ შინაარსს ეკონომიკური

ურთიერთობები განსაზღვრავენ, მაგრამ, თავის მხრივ, ეს სამართლებრივი ნორმებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ ნარმოებით ურთიერთობათა განვითარებაზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ნარმოებითი ურთიერთობები წარმოუდგენელია ნებითი აქტების გარეშე, ადამიანის ნებითი მოღვაწეობის გარეშე.<sup>1</sup> ასეთი გამოთქმა სიზუსტეს მოკლებულია, რადგან ნარმოებითი ურთიერთობები, როგორც მატერიალური ურთიერთობები, ობიექტურად არსებული ურთიერთობებია, მაგრამ რამდენადაც ამ ურთიერთობათა პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, ვამბობთ, რომ ისინი ნებითი ურთიერთობებიც არიან, გარკვეული სამართლებრივი ნორმებით მონესრიგებულ ურთიერთობებს წარმოადგენენ. ამიტომ ნარმოებითი ურთიერთობები, გარდა იმისა, რომ მატერიალურ შინაარსს შეიცავენ, მნიშვნელოვნად არიან განპირობებული ნებითი აქტების, ე. ი. სამართლის ნორმების ზემოქმედებით. ამ გავებით შეიძლება ითქვას, რომ ქონებრივი ურთიერთობები ისეთი ნარმოებითი ურთიერთობებია, რომლებიც განპირობებული არიან ნებითი ზემოქმედებით.

ამასთან, ყველა ასეთი ნარმოებითი ურთიერთობა არ არის ქონებრივი ურთიერთობა. მთავარი ნიშანი, რომლითაც ქონებრივი ურთიერთობა განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან, არის ის, რომ ამ ურთიერთობებს აქვთ გარკვეული ეკონომიკური ფასეულობა. ეს ფასეულობა შეიძლება იყოს დაკავშირებული მატერიალურ წარმოებასთან (გარკვეული პროდუქციის შექმნა), ინტელექტუალურ შემოქმედებასთან (მეცნიერული, ლიტერატურული თუ ხელოვნების ნაწარმოების შექმნა) ანდა ბუნების მიერ ბოძებულ საგანთან (მაგალითად, მინა). ყველა შემთხვევაში ქონებრივი ურთიერთობები უმთავრესად დაკავშირებულია ისეთ მატერიალურ სიკეთესთან, რომელიც იქმნება ადამიანთა ნარმოებითი საქმიანობის პროცესში.

---

<sup>1</sup> О. С. Иоффе, Советское гражданское право, М. 1967, гл. 8.

აღნიშნულის გათვალისწინებით ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება განმარტებული იქნას შემდეგნაირად: ქონებრივი ურთიერთობა არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია ნებით განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობასთან და რომელსაც აქვს გარკვეული ეკონომიკური ფასეულობა.

ქონებრივი ურთიერთობა შეიძლება გამოსახული იქნეს სხვადასხვა ფორმით. ამიტომ ამ ურთიერთობებს არეგულირებს და იცავს არა მარტო სამოქალაქო სამართალი, არამედ სამართლის სხვა დარგებიც. სამოქალაქო სამართლის ნორმები არეგულირებენ ქონებრივ ურთიერთობებს განსაზღვრული ფორმით. ეს ფორმა არის სწორედ ის განმასხვავებელი ნიშანი, რომლითაც განისაზღვრება სამოქალაქო სამართლის საგანი.

როდესაც პირს ქურდობის შედეგად აყენებენ რაიმე ზიანს, აქ დგება როგორც სისხლის სამართლებრივი შედეგი, ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რადგან ამ მოქმედებით ზიანი ადგება პირის ქონებას. ეს ურთიერთობა არის ქონებრივი ურთიერთობა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის, რადგან აქ საქმე გვაქვს გარკვეული ღირებულების ხელყოფასთან.

ღირებულებითი ფორმა უმთავრესად ატარებს ანაზღაურებით-ექვივალენტურ ხასიათს, მაგრამ ქონებრივი ურთიერთობა ყოველთვის არ არის ექვივალენტური. მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულების დროს ქონება გადაეცემა პირს უსასყიდლოდ, ე.ი. ეს ურთიერთობა არაექვივალენტურია, მაგრამ ქონებრივი ურთიერთობაა, რამდენადაც ხდება ქონების გადაცემა, რომელსაც გარკვეული ღირებულება აქვს. ამიტომ, მას სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს. კიდევ მეტი, ქონება შეიძლება საერთოდ არ გადაეცეს სხვა პირს და დარჩეს მესაკუთრის მფლობელობაში, მაგრამ სამოქალაქო ურთიერთობა დამყარდეს ამ ქონებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის. ეს მაინც სამოქალაქო სამართლის მოსაწესრიგებელი ქონებრივი ურთიერთობა იქნება (მაგალითად, ლიზინგი – ქონების სარგებლობაში გადაცემა).



ამრიგად, სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს, რომელთაც აქვთ ღირებულებითი ხასიათი.

ქონებრივი ურთიერთობების გარდა სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანია საოჯახო და პირადი ურთიერთობები. იურიდიულ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ პირად ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ქონებრივ ურთიერთობებთან (ავტორობის უფლება) და ისეთ პირად ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ქონებრივ ურთიერთობებთან (სახელის, პატივის, ღირსების უფლება). ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი არეგულირებდა ქონებრივთან დაკავშირებულ პირად ურთიერთობებს. ეს ურთიერთობა თავისთავად მოიცავდა ქონებრივ ურთიერთობასაც. მაგალითად, ნაწარმოების შემოქმედს ავტორობა აინტერესებს ჰონორარის მიუღებლადაც, მაგრამ რეალურად, ამ შემთხვევაში ერთიან კომპლექსშია ჩაქსოვილი, როგორც პირადი, ისე ქონებრივი ურთიერთობები, რამდენადაც შემოქმედებითი აქტი ავტორისათვის ნაწარმოებს როგორც პირად, ისე ქონებრივ უფლებებს. მეორე სახის პირადი ურთიერთობები (პატივი და ღირსება) არ რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართლით, მას მხოლოდ იცავდა სამოქალაქო სამართალი შესაძლო დარღვევისაგან. ამიტომ ბევრ ავტორს ასეთი ურთიერთობები არ მიაჩნდა სამოქალაქო სამართლის საგნად. ასევე იყო ეს გადანყვეტილი სამოქალაქო კოდექსებით. ახალი სამოქალაქო კოდექსებით საკითხი სხვაგვარად არის გადანყვეტილი.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსმა სპეციალური თავი მიუძღვნა პირად არაქონებრივ უფლებებს (თავი 8. „არამატერიალური სიკეთე და მისი დაცვა“). კოდექსის 150-ე მუხლში ჩამოთვლილია ასეთი სიკეთე: „სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პიროვნების ღირსება, პიროვნული ხელშეუხებლობა, პატივი და სახელი, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პირადი და ოჯახური საიდუმლოება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევა, სახელის უფლება, ავტორობის უფლება, სხვა პირადი

არაქონებრივი უფლებები და არამატერიალური სიკეთე, რომელიც მოქალაქეს დაბადებიდან აქვს ნაბოძები ან კანონით ეკუთვნის, განუყოფელია მისგან და არ გასხვისდება".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სპეციალურად არ გამოყოფს პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ცალკე თავად, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, პირველ მუხლში მითითებულია, რომ კოდექსი ანესრიგებს პირად ურთიერთობებს, რომელიც გულისხმობს როგორც პირად ქონებრივ, ისე არაქონებრივ ურთიერთობებს. ამასთან, კოდექსის მე-7 მუხლით სამოქალაქო სამართლის ობიექტს მიეკუთვნება როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი სპეციალურად ეხება პირად არაქონებრივ უფლებებს: სახელის უფლება, პატივის, ღირსების უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა, საქმიანი რეპუტაცია, პირის გამოსახულების (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა. შ.) გამოქვეყნებაზე თანხმობის მიცემის უფლება, ხოლო მე-20 მუხლი ეხება ფიზიკურ პირთა საცხოვრებელ ადგილს.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი არის ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომელთაც აქვთ ღირებულებითი ხასიათი და პირადი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებული არიან ან არ არიან ქონებრივ ურთიერთობებთან.

სამოქალაქო კოდექსით მონესრიგებული ქონებრივი ურთიერთობები ორი სახისაა: სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობები. სანივთო ურთიერთობაა საკუთრების სტატიკური ურთიერთობა ნივთზე, რომელიც მის მონანიღეთა საკუთრებას შეადგენს ანდა ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა ქონების იმ პირის ხელში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც მის მესაკუთრეს არ წარმოადგენს. ვალდებულებითი ქონებრივ ურთიერთობებს მიეკუთვნებიან საზოგადოებრივი გაცვლის დინამიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობიან ქონების ერთი

მონაწილისგან მეორისთვის გადაცემასთან დაკავშირებით ხელშეკრულების, ზიანის მიყენების თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის შედეგად.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის რეგულირებას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი ურთიერთობები, რომელთაც ღირებულებითი ხასიათი აქვთ, ე. ი. საკუთრების ურთიერთობები და მოძრავი და უძრავი ქონების სამოქალაქო ბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ასევე ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები. ახალი სამოქალაქო კოდექსით სამოქალაქო სამართლებრივ რეგულირებას დაექვემდებარა მინის ნაკვეთი, როგორც უძრავი ქონება.

როგორც ითქვა, სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს მიეკუთვნება საოჯახო ურთიერთობები. წლების მანძილზე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში საოჯახო სამართალი ერთიანი სამართლის ცალკე დამოუკიდებელ დარგად განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ 50-იან წლებში გამოთქვამდნენ შეხედულებას, რომ საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის ნაწილი, მისი ერთ-ერთი განყოფილებაა.<sup>1</sup>

საოჯახო ურთიერთობები მოიცავს მეუღლეთა პირად ურთიერთობებს, მათ შორის ქონებრივ ურთიერთობებს, ასევე პირად და ქონებრივ ურთიერთობებს მშობლებსა და შვილებს შორის. ამასვე მიეკუთვნება ნათესავენ შორის არსებული განსაზღვრული ურთიერთობები: შვილად აყვანა, ბავშვის აღსაზრდელად მიღება, დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვა. ყველა დასახელებული ურთიერთობა, რომელიც ადრე სამართლის ცალკე დარგად იყო წარმოდგენილი, ამჟამად სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანს შეადგენს.

---

<sup>1</sup> Я. Миколенко, Учебно-методическое пособие по курсу «Советское гражданское право», 1954, 13.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: სამოქალაქო სამართლის საგანია კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მონესრიგება.

სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო. მას შემდეგ, რაც ვიცით, რა არის სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი, საჭიროა ვიცოდეთ სამართლის ამ დარგის რეგულირების სფერო, იმ სუბიექტთა წრე, რომელსაც მოიცავს ეს დარგი, ვისზედაც ვრცელდება სამოქალაქო ნორმების მოქმედება. ე. ი. საჭიროა განისაზღვროს სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ურთიერთობების სუბიექტური შემადგენლობა.

სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფერო ვრცელდება:

1. ფიზიკურ პირებზე;
2. კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე;
3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე.

ფიზიკურ პირებს პიროვნულად ან ჯგუფურად (იურიდიულ პირად გაერთიანების გარეშე), აგრეთვე იურიდიულ პირებსაც უფლება აქვთ ეწეოდნენ სამენარმეო საქმიანობას. სამენარმეო საქმიანობა რეგულირდება კანონით მენარმეთა შესახებ, რომელიც მიღებულია 1994 წელს და მოქმედებს 1995 წლის 1 მარტიდან. უფრო სრულად სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებზე ქვემოთ ვისაუბრებთ, როცა შევეხებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს.

სამოქალაქო სამართლის რეგულირების მეთოდი. სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგნისა და სფეროს განსაზღვრა საკმარისი არ არის სამართლის ამ დარგის ცნების განმარტებისათვის. მართალია ამ ცნებაში მთავარი, განმსაზღვრელი არის რეგულირების საგანი, ე. ი. ის ურთიერთობები, რასაც ანესრიგებს ეს დარგი, მაგრამ აუცილებელია აგრეთვე იმის ცოდნა თუ რა მეთოდით ნესრიგდება ეს ურთიერთობები. ეს მნიშვნელოვნად განაპირობებს სამართლის ამ დარგის განსხვავებას სხვა დარგებისაგან. რეგულირების მეთოდში იგულისხმება იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც

შესაძლებელი ხდება მიღწეული იქნეს ურთიერთობის მონაწილეთა ისეთი ქცევა, რაც კანონითაა გათვალისწინებული.

სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელია მის მონაწილეთა სრული თანასწორობა და დამოუკიდებლობა. ე. ი. რეგულირების მეთოდი ემყარება კერძო ავტონომიისა და თანასწორობის პრინციპს.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში რეგულირების მეთოდისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1. ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივი მდგომარეობის აუცილებელი ნაწილობრივია თითოეული მათგანის იურიდიული დამოუკიდებლობა, ავტონომია, რაც ემყარება მათ ქონებრივ განცალკევებულობას. იურიდიულად თანასწორი არიან როგორც ცალკეული ფიზიკური პირები, მათი გაერთიანებები, იურიდიული პირები, ისე ამ ურთიერთობებში მონაწილე ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალური გაერთიანებები.

სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მეთოდი ერთმანეთთან ათანაბრებს იურიდიულად, ეკონომიურად თუ სოციალურად ძლიერ და სუსტ მხარეს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელია ის, იერარქიის რა საფეხურზე იმყოფება ამ ურთიერთობის სუბიექტი სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში. ამასთან, ეს იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ თანაბარი სამოქალაქო უფლებები. ის გულისხმობს, რომ ამ უფლებების მატარებლები თანაბარი არიან ამ უფლებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის პროცესში, აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი პასუხისმგებლობა. ისინი თანაბარი არიან სამოქალაქო კანონის, სასამართლოს წინაშე, თუნდაც პქონდეთ განსხვავებული მატერიალური და სოციალური მდგომარეობა, ანდა ერთმანეთს ემორჩილებოდნენ თანამდებობრივად.

მამასადაამე, სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს სუბიექტების ჰორიზონტალურ, არადაქვემდებარებულ ურთიერთობას. ამასთან, ამ მეთოდს არ გააჩნია ალტერნატივა, იგი იმგვარად არის ჩაქსოვილი სამოქალაქო კანონში, რომ ობიექტურად

უზრუნველყოფს ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობას. ამას თავისებურად განაპირობებს ისიც, რომ ურთიერთობის თითოეული მონაწილე არის განცალკევებული ქონების მესაკუთრე და კანონი თანაბრად იცავს თითოეული მათგანის ამ საკუთრებას თუ არამატერიალურ სიკეთეს.

2. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობა თავისთავად გულისხმობს მათ პირად თავისუფლებას სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში. თითოეულ მათგანს უფლება აქვს შეიძინოს სამოქალაქო უფლება-მოვალეობები, იმოქმედოს სრულიად თავისუფლად მისი ინტერესების შესაბამისად. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ადგენს ხელშეკრულების თავისუფლებას (მუხლი 319).

კანონმდებლობით დაუშვებელია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ვინმეს ჩარევა, იქნება ეს სახელმწიფოს, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრივ. არ დაიშვება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები რაიმე საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით.

3. სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების მეთოდის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა თავისი დისპოზიციური ნორმებით თვითონ უზრუნველყოფს ამ ურთიერთობის მონაწილეთა თავისუფლებასა და ინიციატივას. ეს ქმნის საფუძველს ნორმალურად განვითარდეს ეს ურთიერთობები. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ კანონის დისპოზიციური ნორმები გამოიყენება იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან მხარეთა შეთანხმებას. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთს უფლება აქვთ დადონ ისეთი შეთანხმებაც, რომელიც არ შეესაბამება დისპოზიციური ნორმების შინაარსს.

4. სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირებისათვის დამახასიათებელია ის, რომ სამოქალაქო უფლების დარღვევას მოჰყვება სათანადო სანქცია. ეს სანქცია ქონებრივი ხასიათისაა, რაც

გულისხმობს, რომ დარღვეული უფლება უნდა იქნეს აღდგენილი ან კომპენსირებული. კომპენსაცია გამოხატულებას პოულობს ფულად ანაზღაურებაში.

მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დაცვა ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით. ადრე მოქმედი სისტემით სამოქალაქო უფლებათა დაცვა ეკისრებოდა როგორც საერთო სასამართლოებს, ისე საარბიტრაჟო სასამართლოს. საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ დაადგინა (მუხლი 82), რომ მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ საერთო სასამართლოები.

5. სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ის, რომ ამ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმები ერთნაირად უწყობენ ხელს მათ გამოყენებას მთლიანად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. მისთვის მიუღებელია რაიმე პრივილეგიების დაშვება რომელიმე სფეროში, სოციალურ ჯგუფებში თუ ცალკეულ ტერიტორიებზე, ე.ი. ეს ნორმები მოქმედებენ მთელ საზოგადოებაზე და არ შეიძლება მათი რაიმე უწყებრივი ინტერესების მიხედვით გამოყენება.

სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების მეთოდი გულისხმობს მხარეთა თანასწორობას არა მარტო ქონებრივ ურთიერთობებში, არამედ საოჯახო და პირად არაქონებრივ ურთიერთობებშიც. პირადი არაქონებრივი ურთიერთობები (პატივი, ღირსება) გულისხმობს კოლექტივის თუ პიროვნების საზოგადოებრივ შეფასებას. ეს შეფასება კი, რასაც სამოქალაქო სამართალი იცავს, შეიძლება ნორმალურად განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა შემფასებელი და შესაფასებელი თანასწორუფლებიანი არიან. ამასთან, არ უნდა გავაიგივოთ მხარეთა თანასწორობა სამოქალაქო ურთიერთობებში და მათი თანაბარუფლებიანობა. ყველა მოქალაქე თანაბარუფლებიანია იმაში, რომ ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები. ეს ასეა ყველა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში, იქნება ის სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სხვა. ეს არ არის ის სპეციფიკური თანასწორობა,

რომელიც მხოლოდ სამოქალაქო სამართალს ახასიათებს. აქ შეიძლება ურთიერთობის ერთ მონაწილეს მხოლოდ უფლებები წარმოემყვას, მეორეს კი მოვალეობები (ვალის გადახდა სესხის ხელშეკრულებაში), მაგრამ ეს არ გამოირიცხავს მათ თანასწორობას, სუბიექტები აქ თანასწორნი არიან. მეორე მხარე ვალდებულია გადაიხადოს ვალი, მაგრამ ის დამოკიდებული არ არის პირველის გადაწყვეტილებაზე. ეს მისი სურვილით დადებული ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებაა.

ისევე, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების საგანი, მისი მეთოდიც დავის საგანია იურიდიულ ლიტერატურაში. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ თანასწორობა არა სამოქალაქო სამართლის მეთოდის დამახასიათებელი ნიშანია, არამედ მისი საგნის – თვით ქონებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა<sup>1</sup>.

იყო მოსაზრებაც, – რომ სამოქალაქო სამართლისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია დაქვემდებარების ელემენტებიც<sup>2</sup>.

ამის მაგალითად ასახელებდნენ სახბანკის საკრედიტო ურთიერთობას ორგანიზაციებთან, როცა ბანკი ასრულებს საფინანსო კონტროლის ფუნქციებს. ამ შემთხვევაში უნდა გავიზიაროთ ო. ს. იოფეს აზრი; რომ სახეზე გვაქვს კომპლექსური ურთიერთობა, რომელიც ატარებს ძირითადად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს (დაკრედიტება, ანგარიშსწორება), მაგრამ მოიცავს საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტსაც<sup>3</sup>.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების განსხვავებული მეთოდი – მხარეთა დამოუკიდებლობა და თანასწორობა.

<sup>1</sup> იხ. ჟურნალ „საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის“ 1955 წ. №5-ის სარედაქციო სტატია (გვ. 58) სამოქალაქო სამართლის საგანთან დაკავშირებით წარმოებული დისკუსიის შედეგებზე (რუსულ ენაზე).

<sup>2</sup> იხ. ი. გ. მრეველიშვილი, «Предмет и система советского социалистического гражданского права», «Сов. гос. право», 1954, №7, 109-III; А. Ф. Дозорцов, О предмете советского гражданского права», стр. 105.

<sup>3</sup> О. С. Иоффе, Советское гражданское право, 1967, стр. 18.



### §3. სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა

სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერება. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა გექონდეს სამოქალაქო სამართალზე, საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რა არის სამართლის ამ დარგის რეგულირების საგანი, არამედ ვიცოდეთ აგრეთვე, თუ რა არის სამოქალაქო სამართალი როგორც მეცნიერება, როგორც იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რას შეისწავლის იგი.

სამოქალაქო სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერება, არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სამოქალაქო სამართალს, როგორც სამართლის განცალკევებულ ნაწილს, ე. ი. სამოქალაქო სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია თვით სამართლის ამ დარგის რეგულირების საგანი. ამრიგად, სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის დარგი და როგორც მეცნიერება ძალზე ახლო მდგომი ცნებებია, მაგრამ მათი გაიგივება სწორი არ არის, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამართლის დარგი გულისხმობს ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ საყოველთაო სავალდებულო წესებს, ხოლო მეცნიერება არის შეხედულებების, მოსაზრებების და დასკვნების გარკვეული სისტემა სამართლის ამ დარგზე. მეცნიერებას არა აქვს რაიმეს აკრძალვის ან ნებართვის გაცემის პრეტენზია, მისი ამოცანაა გამოიკვლიოს ამა თუ იმ მოვლენის არსი, განსაზღვროს მისი განვიდარების კანონზომიერებანი.

მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის მეცნიერების კვლევის ობიექტია უშუალოდ სამოქალაქო კანონმდებლობა. ის ახორციელებს ამ კანონმდებლობის მეცნიერულ ანალიზს, როგორც ისტორიული თვალთახედვით, ისე პოზიტიური გაგებით (უმთავრესად ამ გაგებით) და პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით. ასე რომ, მეცნიერი მკვლევარი, რომელიც სამოქალაქო სამართლის სფეროში მუშაობს, პირველ

რიგში მოვალეა გააანალიზოს, ყოველმხრივ და სრულად შეისწავლოს მოქმედი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები (პოზიტიური მიდგომა), ასევე ისტორიულ მიმართებაში გამოიკვლიოს ისინი და პერსპექტიულად განჭვრიტოს მათი შემდგომი სრულყოფის ოვალსაზრისით სასურველი ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა. ამასთან, მეცნიერული კვლევა ემყარება არა მარტო სამართლებრივ ნორმათა შესწავლასა და ანალიზს, არამედ მათი გამოყენების პრაქტიკას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სამართლის მეცნიერების განვითარება და სრულყოფა.

ამასთან ერთად, როგორც ყველა მეცნიერება საერთოდ, სამოქალაქო სამართლის (ცივილისტური) მეცნიერება არ შემოიფარგლება მხოლოდ შესასწავლი მოვლენების აღწერითა და სისტემატიზაციით, იგი ცდილობს ახსნას ობიექტური კანონზომიერებანი, რომელნიც საფუძვლად უდევს ამ მოვლენებს. მაგალითად, როცა სამოქალაქო სამართლის მეცნიერება შეისწავლის საკუთრების უფლების ინსტიტუტს, ის არ კმაყოფილდება სამოქალაქო კოდექსის დებულებით – თუ რა იგულისხმება ამ უფლების შინაარსში (ეს პირდაპირაა მითითებული კანონში). მეცნიერებამ უნდა დაადგინოს და მიუთითოს, რა ობიექტური გარემოებები განაპირობებენ ამ ინსტიტუტის ცალკეული ნორმების მოცემული სახით ჩამოყალიბებას. მაშასადამე, მეცნიერებამ არა მარტო უნდა აღწეროს და დაახასიათოს ეს ინსტიტუტი, არამედ ჯეროვნად დაასაბუთოს რეკომენდაციები მისი სრულყოფის მიზნით.

სამოქალაქო სამართლის მეცნიერების სფერო იზღუდება იმის მიხედვით, თუ რა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებდეს ერთი სახის ურთიერთობებს, ხოლო სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ასაბუთებდეს ამ ურთიერთობათა გაფართოებას ან შეზღუდვას. ასე იყო საბჭოთა პერიოდში, როცა საოჯახო სამართალი ცალკე კოდექსით იყო მონესრიგებული, მაგრამ როგორც სასწავლო დისციპლინა, ზოგჯერ დამოუკიდებელ დარგად, ზოგჯერ კი სამოქალაქო

სამართლის ნაწილად ისწავლებოდა. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ეს გაურკვეველობა გაასწორა, საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილად გამოაცხადა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაც, ცხადია, თავისადაგილს მიუჩინეს საოჯახო სამართალს, როგორც მის შემადგენელ ნაწილს.

განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგას ქართული ცივილისტური მეცნიერება დღეს, როცა ახალი სამოქალაქო კოდექსით სრულიად განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები. კოდექსის არა მარტო ყველა ნაწილი და ინსტიტუტი, არამედ, შეიძლება ითქვას, თითოეული მუხლი ახლებურ ინტერპრეტაციას მოითხოვს, სრულყოფილ მეცნიერულ კომენტარს საჭიროებს, რაც მეცნიერთა მოვალეობაა.

ფასდაუდებელი შრომა გასწია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის კოლექტივმა ახალი სამოქალაქო კოდექსის მისაღებად. მეცნიერულად, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დამუშავდა სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტი და, შეიძლება ითქვას, კოდექსის თითოეული მუხლი (სულ 1520 მუხლი). ამჟამად სამოქალაქო სამართლის მეცნიერების, პირველ რიგში იმავე კათედრის კოლექტივის ამოცანაა მეცნიერული კომენტარი გაუკეთოს კოდექსში შეტანილ ყველა ნორმას, დასაბუთებულად და გასაგებად მიანოდოს იგი როგორც ამ ნორმების გამომყენებელ პირებს, ისე ფართო საზოგადოებრიობას. ეს არის სამოქალაქო სამართლის მეცნიერების უაღრესად საპატიო ამოცანა, რაც კეთილსინდისიერად სრულდება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. ლ. ჭანტურიას დასახელებული შრომა და მისივე „საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება“, თბილისი, 1999წ.; ზ. ახვლედიანის „მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი, 1997წ.; რ. შენგელიას „საოჯახო სამართალი“, 1999წ., მისივე რედაქტორობით გამოცემული „ქართული სამართლის საფუძვლები“, 2000წ.; შ. ჩიკვაშვილის „საოჯახო სამართალი“, 1999წ. და „მემკვიდრეობის სამართალი“, 2000წ.; ბ. ზოიძის „სანივთო სამართალი“, 1999წ., დ. ძამუკაშვილის „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“, სამოქალაქო კოდექსის კომენტარების პირველი (1999) და მეხუთე (2000) ნიგნები.

სამოქალაქო სამართალი როგორც სასწავლო დისციპლინა. სამოქალაქო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა, განსხვავდება სამოქალაქო სამართლის მეცნიერებისაგან. სასწავლო დისციპლინა მიზნად არ ისახავს რაიმე ახალი გამოკვლევების, დასკვნებისა და დებულებების შემუშავებას. ეს მეცნიერების ამოცანაა. სასწავლო დისციპლინა უმთავრესად შეისწავლის მეცნიერების მიერ უკვე მოპოვებულ მიღწევებს. ე. ი. სამოქალაქო სამართლის სასწავლო დისციპლინის საფუძველია სამოქალაქო სამართლის მეცნიერება. ამასთან, ეს გარემოება არ გამორიცხავს სასწავლო დისციპლინის გადაცემისას სამართლის სხვა დარგების გამოყენებას. მართალია ძირითადი და მთავარი სამოქალაქო სამართლის სწავლებისას არის სამოქალაქო კანონმდებლობა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერება, მაგრამ ამ საგნის სწავლების პროცესში გამოიყენება სამართლის სხვა დარგების მონაცემებიც (ეკონომიკური, სტატისტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა დარგების გამოკვლევები). მთავარი ისაა, რომ ეს სხვა დარგების მონაცემები ასრულებენ დამხმარე ხასიათს, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო სამართლის უკეთ შესწავლას.

სამოქალაქო სამართლის დისციპლინის სწავლებას აქვს როგორც თეორიულ-შემეცნებითი, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

თეორიულ-შემეცნებითი დანიშნულება გამოიხატება იმით, რომ შემსწავლელმა აითვისოს როგორც სამოქალაქო სამართლის არსი მთლიანად, ასევე მისი ცალკეული ინსტიტუტები, სამოქალაქო კანონმდებლობის შინაარსი და მისი განვითარების ტენდენციები. ბევრი სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი სრულყოფილად არის შესწავლილი და დამუშავებული, ბევრზე მუშაობა კვლავ გრძელდება მათი სრულყოფის მიზნით. სასწავლო დისციპლინამ საერთო წარმოდგენა უნდა შეუქმნას მსმენელს ამ მოსაზრებებსა და მონაცემებზე.

სამოქალაქო სამართლის პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულება გულისხმობს ამ სასწავლო დისციპლინის კავშირს პრაქტიკასთან, სამართლებრივი ნორმების გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, თეორიული საკითხების პრაქტიკულ ხორცშესხმას. ამ მიზნისათვის სწავლების პროცესში თეორიული დისციპლინის შესასწავლად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკის მაგალითები. ასეთი ურთიერთკავშირი ხელს უწყობს როგორც არსებული კანონმდებლობის ღრმა შესწავლას, ისე ამ კანონმდებლობის კონკრეტული შემთხვევების მიმართ სწორად გამოყენების დამკვიდრებას, ასევე პერსპექტივაში კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით პროგრესული მოსაზრებების წარმოჩენასა და დანერგვას.

სამოქალაქო სამართლის სასწავლო დისციპლინის სისტემას ძირითადად საფუძვლად უდევს სამოქალაქო კოდექსის სისტემა. ამ სისტემაზე ცალკე იქნება საუბარი ქვემოთ.

#### **§4. სამოქალაქო სამართლის განმარტება და მისი გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისაგან**

სამოქალაქო სამართლის განმარტება. ვიცით რა სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანი, მისი სფერო და ამ რეგულირების მეთოდი, ასევე რას წარმოადგენს სამოქალაქო სამართალი როგორც მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა, შეგვიძლია სრულად და ამომწურავად განვმარტოთ სამოქალაქო სამართლის ცნება და გავმიჯნოთ ის სამართლის სხვა დარგებისაგან.

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი დარგი, იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც თანასწორობის საფუძველზე არეგულირებენ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს ფიზიკურ პირთა შორის, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და თვით იურიდიულ პირთა შორის.

სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერება არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს და შეისწავლის მოქმედ სამოქალაქო კანონმდებლობას როგორც ისტორიულ, ისე პოზიტიურ და პერსპექტიულ მიმართებაში, ხოლო სამოქალაქო სამართალი როგორც სასწავლო დისციპლინა არის სამართლებრივი სპეციალობა, რომელიც სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევების საფუძველზე გადმოსცემს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების, მისი ცალკეული ინსტიტუტების შინაარსს და მიზნად ისახავს პიროვნების თეორიულ-შემეცნებით და პრაქტიკულ-გამოყენებით მომზადებას.

სამოქალაქო სამართლის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისაგან. სამოქალაქო სამართლის განმარტების შემდეგ, შეგვიძლია გავმიჯნოთ იგი სამართლის სხვა დარგებისაგან. აქვე უნდა ითქვას წინასწარ ისიც, რომ ეს გამიჯვნა შეეხება სამოქალაქო სამართალს, როგორც სამართლის ცალკე დარგს, ისე როგორც მეცნიერებას და სასწავლო დისციპლინასაც. კიდევ მეტი, შესაძლოა მეცნიერებაშიც და სასწავლო პროგრამაშიც უფრო მეტად იყოს სამოქალაქო სამართალი დაკავშირებული სამართლის სხვა დარგებთან.

ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ანესრიგებს სამოქალაქო სამართალი, მაგრამ ამ ურთიერთობებთან დაკავშირებულია სამართლის სხვა დარგებიც. პირველ რიგში ეს ითქმის სისხლის სამართალზე. სისხლის სამართალი იცავს როგორც ქონებრივ, ისე პირად არაქონებრივ უფლებებს, ადგენს რა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ამ უფლებების ხელყოფისათვის (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ქონების დაზიანება, თაღლითობა და სხვა), მაგრამ სისხლის სამართალი არ არეგულირებს ამ ურთიერთობებს, ის მხოლოდ იცავს მათ, რეგულირება სამოქალაქო სამართლის საგანია. მაგალითად, ქურდობის თუ ქონების სხვა ხელყოფის მცდელობის დროს დგება საკითხი მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და აქ სამოქალაქო

ურთიერთობა არ წარმოიშობა. სამოქალაქო ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ დამთავრებული ქურდობის დროს, როცა ზიანი მიადგა დაზარალებულს. ამ დროს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის წარმოიშობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გულისხმობს დაზარალებულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას თანასწორობის პრინციპით.

კიდევ უფრო ახლო ურთიერთობაშია სამოქალაქო სამართალი ადმინისტრაციულ სამართალთან. ადმინისტრაციული სამართალი არა მარტო იცავს ცალკეულ ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, არამედ არეგულირებს კიდევ მათ. განსხვავება ის არის, რომ ადმინისტრაციულ სამართალში საქმე გვაქვს არა ისეთ ქონებრივ ურთიერთობებთან, რომელთაც ღირებულებითი ხასიათი აქვთ, არამედ ორგანიზაციულ ურთიერთობებთან. პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს, როცა მათ არა აქვთ კავშირი ქონებრივ ურთიერთობებთან. მაგალითად, გვარის და სახელის გამოცვლა არ რეგულირდება სამოქალაქო სამართლით. სხვაობა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალს შორის გამოიხატება როგორც რეგულირების საგანში, ისე მის მეთოდში. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ მხარეთა თანასწორობის პრინციპით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალი ხელისუფლებისა და დაქვემდებარების პრინციპით (მაგალითად, ბინაზე ორდერის მიცემა არის ადმინისტრაციული ურთიერთობა, რადგან აქ ორდერის მიმცემ ორგანოზე დამოკიდებული მისცემს თუ არა პირს ამ ბინას, მაგრამ უკვე მიღებული ბინის გაცვლა, ამ ბინიდან წილის გამოყოფა უკვე არის სამოქალაქო ურთიერთობა, რადგან იგი მხარეთა თანასწორობის პრინციპით წყდება).

სამოქალაქო სამართალი, როგორც უკვე ითქვა, მოიცავს საოჯახო სამართლის ნორმებსაც, ე. ი. არეგულირებს საოჯახო ურთიერთობებსაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოჯახთან და

ქორნიებსა და დაკავშირებული სხვა ურთიერთობები, რომლებიც თანასწორობაზე კი არ იქნება დამყარებული, არამედ დაქვემდებარების წესით უნდა გადაწყდეს (იგივე გვარის და სახელის გამოცვლა, ქორნიების, დაბადების რეგისტრაცია თუ სხვა), არ მონესრიგდება ცალკე საკანონმდებლო წესით, იქნება ეს კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი. ასეთი მონესრიგება არის არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა.

ასევე უნდა ითქვას მინასთან დაკავშირებული ურთიერთობების შესახებ. მინა, როგორც სამოქალაქო ბრუნვის საგანი, როგორც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს, მაგრამ მინასთან, ადგილ-მამულთან დაკავშირებული ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხელქვეითობის წესით უნდა გადაწყდეს (სახელმწიფოს კუთვნილი მიწის მასივებიდან ფართობის გამოყოფა რომელიმე პირისათვის და სხვა ამგვარი გადანაწილება), მონესრიგდება არა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით, არამედ ადმინისტრაციული სამართლით.

განსაკუთრებით ახლოს დგას სამოქალაქო სამართალი სამოქალაქო საპროცესო სამართალთან. ეს გასაგებიცაა, რადგან სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი არის სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესი, ე. ი. იმ დავების განხილვა, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობიან და ამ დავების გადასაწყვეტად სწორედ სამოქალაქო სამართლის ნორმები გამოიყენებიან. მიუხედავად ამისა, სამართლის ამ ორ დარგს შორის სერიოზული სხვაობაა. საპროცესო ურთიერთობაში ერთ-ერთი მთავარი მონაწილე არის სასამართლო, რომლის გადაწყვეტილება, თუ ის კანონიერ ძალაშია შესული, სავალდებულოა პროცესის სხვა მონაწილეებისათვის, ე. ი. აქ ყოველთვის არა გვაქვს საქმე თანასწორობასთან (ეს არ ეხება სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესს, რომლის მონაწილენი თანასწორუფლებიანი არიან). სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ სამოქალაქო



ურთიერთობებს, სამოქალაქო საპროცესო სამართალი კი ადგენს წესებს, თუ როგორ მოხდეს სამოქალაქო უფლებათა დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში.

გარკვეული თვალსაზრისით ქონებრივ ურთიერთობებს ანესრიგებს შრომის სამართალი (ხელფასის გაცემა, პენსიის მიღება, მატერიალური დახმარება), მაგრამ ეს არ არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, ეს არის მუშაკის ურთიერთობა ადმინისტრაციასთან, ხელფასთან თუ მის შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით; აქ სახეზე არა გვაქვს ის თანასწორობის სანყისი, რაც დამახასიათებელია სამოქალაქო ურთიერთობისათვის.

ცალკე უნდა ითქვას სამოქალაქო სამართლის ურთიერთობაზე სახელმწიფო (საკონსტიტუციო) სამართალთან. კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, მაგრამ ეს არის ქვეყნის ძირითადი კანონით ამ უფლებათა აღიარება და დაკანონება, ოღონდ ის არ არეგულირებს ამ უფლებებთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს. სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლში პირდაპირ არის მითითებული: „სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ურთიერთობებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციის ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით“.

## **§5. სამოქალაქო სამართლის მიზანი და მისი ძირითადი პრინციპები**

სამოქალაქო სამართლის მიზანი. სამოქალაქო სამართლის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა განვითარებასა და განმტკიცებას, ამ ურთიერთობათა მონაწილე პირების უფლებათა განხორციელებას, საბაზრო ეკონომიკის ფართოდ დანერგვას, ქვეყანაში მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნისათვის

ნარმართულ საქმიანობას, თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, პირადი ინიციატივის გაზრდას, მომსახურების გაუმჯობესებასა და საქონელბრუნვის ფართოდ გაშლას, მატერიალური და არამატერიალური სიკეთის დაცვას, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ადამიანთა ნორმალური ცხოვრებისა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ.

სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლში ნათქვამია: „სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს“. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო კანონმდებლობა მონოდებულისა ყოველნაირად შეუწყოს ხელი მომსახურების ამალვებას და თავისუფალ საქონელბრუნვას, ვაჭრობის განვითარებას, ქონების შეუზღუდავ გადაადგილებას. ამასთან, კანონმდებელი ამ თავისუფლებას სრულიადაც არ წარმოადგენს ფატალურად, შეუზღუდავად, გარეშე პირთათვის ანგარიშის გაუნწევლად. ერთის თავისუფლებამ არ უნდა გამოიწვიოს მეორის უფლებების უკანონოდ შელახვა, უსაფუძვლოდ არ უნდა შეიზღუდოს მესამე პირთა უფლებები და თავისუფლება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში პირდაპირ არის ჩანერილი: „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად, დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.

ინტელექტუალურ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირებით სამოქალაქო სამართალი მიზნად ისახავს ადამიანთა შემოქმედებითი უნარის განვითარებისათვის ხელისშეწყობას, საავტორო უფლებებისა და სხვა მისი მომიჯნავე უფლებების დაცვას, ქონებრივი უფლებების კოლექტიური მართვის მოწესრიგებას, სამრეწველო საკუთრების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

საოჯახო ურთიერთობების სფეროში სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს დაქორწინების წესსა და პირობებს, ქორწინების შეწყვეტას, მის ბათილობას, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, ოჯახის წევრთა და ნათესავთა ურთიერთობებს, მათი ურთიერთრჩენის მოვალეობებს, მეურვეობასა და მზრუნველობას.

**სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპები.** სამოქალაქო სამართლის წინაშე სხვადასხვა სფეროში არსებული ამოცანები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და თავისებურად განაპირობებენ ერთმანეთს. ამიტომ, მთლიანად სამოქალაქო სამართალს აქვს საერთო დებულებები, დამახასიათებელი პრინციპები, ძირითადი საწყისების ერთობლიობა, რასაც ემყარება სამართლის ეს დარგი თავისი მიზნის მიღწევაში.

სამოქალაქო სამართლის პრინციპებში იგულისხმება ის ძირითადი ამოსავალი დებულებები, რომლებიც დამახასიათებელია სამართლის ამ დარგისათვის და რომელიც განმტკიცებულია თვით ამ სამოქალაქო სამართლის ნორმით. ზოგიერთი ეს პრინციპი პირდაპირ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსში, ზოგიერთი კი გამომდინარეობს საერთოდ კოდექსის მთელი შინაარსიდან. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პრინციპები მარტო სამოქალაქო სამართლისათვის არ არის დამახასიათებელი, ისინი საერთოდ სამართლის ზოგად პრინციპებსაც წარმოადგენენ, მაგრამ განსხვავებულ შინაარსს იძენენ სამართლის თითოეულ დარგში, მათ შორის სამოქალაქო სამართალშიც.

შეიძლება გამოვყოთ სამოქალაქო სამართლის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

**1. თანასწორობა:** სუბიექტთა თანასწორობა სამოქალაქო სამართლის წამყვანი პრინციპია. ამის შესახებ კოდექსის პირველსავე მუხლშია მითითებული. მთელი სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემა აგებულია ამ ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის საწყისზე. სახელმწიფოც კი, რომელიც ამ ურთიერთობაში მონაწილეობს, გამოდის როგორც

თანაბარუფლებიანი კერძო მხარე და მას არავითარი უპირატესობა არა აქვს სხვა კერძო პირებთან შედარებით. თუ ასეთი თანასწორობა არ არსებობს, სამოქალაქო ურთიერთობასთან არ შეიძლება გვეკონდეს საქმე, სხვაგვარად ის უკვე აღარ იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა. ამიტომ ითვლება ეს პრინციპი სამოქალაქო სამართლის მთავარ და ნამყვან პრინციპად.

2. **სუბიექტთა თავისუფლება.** სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს მიეკუთვნება თავისუფლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში. როგორც ითქვა, სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს ქონების შეუზღუდავ გადაადგილებასა და თავისუფალ საქონელბრუნვას. ე.ი. ხელშეკრულების დადებისას პირები თავისუფალი და შეუზღუდავი არიან. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მას დადოს ხელშეკრულება ანდა თავი შეიკავოს ამ ხელშეკრულების დადებისაგან. თუ ასეთი თავისუფლება არ არსებობს, შეუძლებელია ვილაპარკოთ საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებასა და განვითარებაზე. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის მთელი შინაარსი ემყარება იმ პრინციპს, რომ ამ ურთიერთობების მონაწილენი თავისუფალი არიან გარიგების დადებისას თუ სხვა მოქმედებათა შესრულებისას.

3. **კერძო საკუთრების შეუზღუდაობა.** სამოქალაქო სამართლის კოდექსს ლეიტმოტივად გასდევს ის; რომ არ შეიძლება კერძო საკუთრების შეზღუდვა. ხელშეუხებელია კერძო უფლება მატერიალურ სიკეთეზე, არავის არა აქვს უფლება ხელყოს პირის ქონება გარდა კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნივთზე საკუთრება ითვლება აბსოლუტურ უფლებად და ყველა ვალდებულია თავი შეიკავოს ამ უფლების დარღვევისაგან.

4. **კეთილსინდისიერება და უფლება-მოვალეობათა შეთანწყობა.** კანონმდებლობა არა მარტო უფლებებს აღიარებს სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილეებისათვის, არამედ შესაბამის ვალდებულებებსაც აწესებს მათთვის. ამასთან, ეს უფლებები და

მოვალეობები უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად. ამის შესახებ სპეციალურად მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“.

**5. რეალურობა და გარანტირებულობა.** სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპია კანონით აღიარებულ უფლებათა რეალური განხორციელება, მათი გარანტირებულობა. საბაზრო ეკონომიკის განვითარება, ცხოვრების დონის ამაღლება უზრუნველყოფს ყველა პირის სამოქალაქო უფლებების რეალურ დაცვას. ამასთან, ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილე პირს, ვთქვათ ხელშეკრულების ყველა მონაწილეს, აქვს რეალური შესაძლებლობა შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომ არ დაირღვეს მეორე მონაწილის უფლებები. ამას ემსახურება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებიც (გირავნობა, ჰიპოთეკა, ბე, გარანტია, პირგასამტეხლო).

**6. პირადი ინიციატივა.** პირადი ინიციატივა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი დამახასიათებელი პრინციპია. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები ყოველმხრივ მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ პირად ინიციატივას. ეს პრინციპი სამართლის სხვა დარგებისათვისაც (სამოქალაქო საპროცესო სამართალი) არის დამახასიათებელი, მაგრამ აქ, სამოქალაქო სამართალში, იგი თავისებურ, სპეციფიკურ ხასიათს იძენს. ეს სპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ პირადი ნამოწყების, საკუთარი თაოსნობის გარეშე არ განხორციელდება არცერთი სამოქალაქო უფლება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ამ პრინციპს დისპოზიციურობის პრინციპი ეწოდება, რადგან არცერთი სამოქალაქო დავა არ განიხილება და გადაწყდება, თუ მას ბიძგს არ მისცემს ესა თუ ის დაინტერესებული პირი. ე. ი. საქმის განხილვა იწყება მხოლოდ

პირადი ინიციატივით. დაინტერესებულ მხარეზეა დამოკიდებული სარჩელის აღძვრა, მისი შეცვლა და სარჩელზე უარის თქმა. სამოქალაქო სამართალში პირად ინიციატივაზე, ურთიერთობის მონაწილე პირის ნებაზეა დამოკიდებული დადოს გარიგება, შევიდეს სამოქალაქო ურთიერთობაში სხვა პირებთან, შექმნას ინტელექტუალური შემოქმედების ნიმუში.

7. კანონიერება. სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპია კანონიერება. ეს ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას და შეასრულოს კანონის მოთხოვნა. ეს არის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოქმედების, ყველა სუბიექტური უფლების განხორციელების სახელმძღვანელო საწყისი. სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებში კონკრეტულად არის მითითებული პირობები, როგორ უნდა იქნეს ეს ნორმა გამოყენებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ. მაგალითად, გარიგების დადების დროს საჭიროა დაცული იქნეს ის ფორმა, რაც კანონით არის დადგენილი ასეთი გარიგების დადებისათვის; სხვანაირად, ასეთ გარიგებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

# თავი II

## სამოქალაქო სამართლის სისტემა

§1. სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დარგის სისტემა. §2. სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა.

### §1. სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დარგის სისტემა

სამართლის სისტემის ცნება. სისტემა ბერძნული სიტყვაა და ზოგადად ნიშნავს მთელს, რომელიც ნაწილებისაგან შედგება. სამართლის სისტემა ნიშნავს სამართლებრივი ნორმების დალაგებას, გადმოცემას ცალკეული ინსტიტუტების მიხედვით, აგრეთვე თვით ამ ინსტიტუტების დაჯგუფებას ერთმანეთთან დაკავშირებული ნორმების მიხედვით. სამოქალაქო სამართალი მოიცავს მრავალნაირ ნორმათა ერთობლიობას. ამიტომ თუ ეს ნორმები სისტემაში არ იქნა მოყვანილი, თუ არ დალაგდა მსგავსი ნორმები და არ გამოიყო ცალკე ინსტიტუტების სახით, ცხადია, შეუძლებელი იქნება ამ ნორმების პრაქტიკული გამოყენება. თვით კანონმდებელიც ვერ შეძლებს შეამონოს ამ ნორმათა ურთიერთშესაბამისობა, აღმოფხვრას მათში წინააღმდეგობები, უთანხმოებები და განმეორებები, თუ სისტემაში არ მოიყვანა ისინი. რაც მთავარია, ეს სისტემა აუცილებელია ამ ნორმათა შეფარდების დროს, რათა გვექონდეს სათანადო მინიშნება, თუ როგორ მოვეძებნოთ საჭირო ნორმა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაწყდეს კონკრეტული საქმე.

ამიტომ აუცილებელია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების, საერთოდ სამართლის ამ დარგის სისტემატიური, ლოგიკური დალაგება.

სამოქალაქო სამართლის სისტემა დამყარებულია მეცნიერულ დასაბუთებაზე. ეს ნორმები სისტემატიზებულია კლასიფიკაციური

ნიშნის მიხედვით. როგორც ითქვა, სამოქალაქო სამართალი სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავდება იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათით და მოცულობით, რომელთაც ეს დარგი არეგულირებს. ასევე, თვით სამოქალაქო სამართლის სისტემატიზაციის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ურთიერთობათა ხასიათი და ბუნება, მათი თავისებურებები. უკეთ რომ ვთქვათ, სამოქალაქო სამართლის სისტემა აგებული უნდა იქნეს ამ ნორმათა ჯგუფებად დაყოფით იმის მიხედვით, თუ რა თავისებურებები ახასიათებთ მათ მიერ მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცალკეულ სახეებს.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების ასეთი დაჯგუფების შედეგად იქმნება სამოქალაქო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები. ეს ინსტიტუტები აერთიანებენ ერთი და იგივე სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო სამართლის დარგის სისტემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო სამართალი წარმოდგენილია თავისებური სისტემით, რომელიც არსებითად განსხვავდება ადრე მოქმედი, საბჭოთა პერიოდში მიღებული კოდექსებით გათვალისწინებული სისტემებისაგან. ერთიანი სამოქალაქო კოდექსი წარმოდგენილია ექვს ნიგნად. თუმცა უნდა ითქვას, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ კოდექსის მეოთხე ნიგნი — „ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ ფაქტიურად აღარ მოქმედებს და ის ფორმალურად შედის კოდექსში. პირველ ნიგნში გადმოცემულია სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, რომელიც საერთოა მთელი დარგისათვის. მეორე ნიგნი ეხება სანივთო (ქონებრივ) სამართალს. მესამე ნიგნი დათმობილი აქვს ვალდებულებით სამართალს. სამოქალაქო სამართლის ეს ნაწილი შედარებით ვრცელია, რადგან აქ გადმოცემულია ვალდებულებითი სამართლის როგორც ზოგადი ნაწილი, ისე კერძო ნაწილი ანუ სახელშეკრულებო სამართალი.



მეოთხე ნიგნი ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების სამართალს. მეხუთე ნიგნი საოჯახო სამართალს და მეექვსე – მემკვიდრეობის სამართალს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის ასეთი დაყოფა ცალკეულ ნიგნებად არ ემთხვევა ადრე მოქმედ დაყოფას ზოგად და კერძო ნაწილად. ეს არის, ფაქტობრივად, სამოქალაქო სამართლის ერთიანი დარგის დალაგება ცალკეულ შემადგენელი ნაწილების მიხედვით, როცა საერთო, ზოგადი დებულებების პარალელურად ცალკეა წარმოდგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ის ჯგუფები, რომლებიც არეგულირებენ ამა თუ იმ სფეროს, რომელიმე სპეციფიკურ ურთიერთობებს. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი სამოქალაქო სამართლის ცალ-ცალკე ნიგნები არ წარმოადგენენ სამართლის დამოუკიდებელ დარგებს, ისინი მხოლოდ სამოქალაქო სამართლის ცალკეული შემადგენელი ნაწილებია, სამოქალაქო კანონმდებლობის ერთგვაროვან ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც ნიგნების სახით არიან გამოყოფილი ერთიან სისტემაში.

სამოქალაქო სამართლის თითოეული ნიგნი, თავის მხრივ, მოიცავს რამდენიმე ერთგვაროვან ნორმათა ჯგუფს, რომლებიც ინსტიტუტებად იწოდებიან და კოდექსში ცალკე კარის სახით არიან წარმოდგენილნი. პირველ ნიგნში, ზოგად დებულებებში ასეთი ინსტიტუტების სახით წარმოდგენილია: პირები, ე. ი. სუბიექტები, გარიგებები, უფლების განხორციელება, ვადები, ხანდაზმულობა.

შესავალი დებულებები, რომელიც ზოგად ნაწილს წინ უძღვის და რომელიც იმუხლს მოიცავს, არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რადგან ისინი რომელიმე ერთი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს კი არ არეგულირებენ, არამედ ზოგადი ხასიათის ნორმებია, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ყველა ნაწილსა და ყველა ინსტიტუტს ეხება.

საწინათ სამართალსაც, თავის მხრივ, აქვს ცალკეული ინსტიტუტები. ასეთი ინსტიტუტებია: ზოგადად საკუთრება; ბინის

საკუთრება; სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა, რომელიც თავის მხრივ ცალკეული ინსტიტუტებისაგან შედგება (აღნაგობა, უზუფრუქტი, სერვიტუტები); საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (გირაჯნობა, ჰიპოთეკა); საჯარო რეესტრი. ცალკე ინსტიტუტად უნდა ჩაითვალოს სანივთო სამართალში მფლობელობა, რამდენადაც ის, მართალია, საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ სანივთო სამართალში მას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რის გამოც ეთმობა კოდექსის 15 მუხლი.

მრავალი ინსტიტუტია წარმოდგენილი სამოქალაქო სამართლის მესამე ნიგნში – ვალდებულებით სამართალში. მათ შორის ბევრი საკმაოდ ვრცელი ინსტიტუტია როგორც ზოგად, ისე კერძო ნაწილში. ზოგადი ნაწილის ინსტიტუტებია: სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების შესრულება, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები (პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია), ვალდებულების შეწყვეტა, პირთა სიმრავლე ვალდებულებაში. კერძო ნაწილში გადმოცემულია ხელშეკრულების ცალკეული სახეები: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობა, ლიზინგი, იჯარა, ფრენშიაზინგი, თხოვება, სესხი, ნარდობა, ტურისტული მომსახურება, გადაზიდვა-გადაყვანა, დავალება, საკუთრების მინდობა, სატრანსპორტო ექსპედიცია, შუამავლობა, კონკურსი, მიზარება, დაზღვევა, საბანკო მომსახურება, თავდებობა, კონტოკორენტი, ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი, ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა), სამისდღეშიო რჩენა, თამაშობა, სანაძლეო, აგრეთვე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (საზიარო უფლებები, სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე, უსაფუძვლო გამდიდრება) და დელიქტური ვალდებულებანი.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალში (მეოთხე წიგნი) ცალ-ცალკე ინსტიტუტებად იყო წარმოდგენილი საავტორო სამართალი და სამრეწველო საკუთრება. მაგრამ როგორც ითქვა, ინტელექტუალური საკუთრება წესრიგდება კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და კოდექსის ეს წიგნი უკვე აღარ მოქმედებს.

მეხუთე წიგნი მოიცავს საოჯახო სამართლის არაერთ ინსტიტუტს. კერძოდ, აქ წარმოდგენილია: ქორწინება, მათ შორის სრულიად ახალი სახის ურთიერთობა მეუღლეთა შორის – სახელშეკრულებო ურთიერთობა; მშობლების, შვილებისა და სხვა ნათესავეების ურთიერთობა; შვილება, რომელიც საკმაოდ სრულყოფილად არის წარმოდგენილი; მეურვეობა და მზრუნველობა.

მეექვსე წიგნში წარმოდგენილია მემკვიდრეობის სამართლის რამდენიმე ინსტიტუტი: კანონით მემკვიდრეობა, ანდერძით მემკვიდრეობა, საანდერძო დანაკისრი (ლეგატი), სამკვიდროს მიღება, სამკვიდროს გაყოფა, სამკვიდროს დაცვა.

## §2. სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა

სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემის ცნება. სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა გულისხმობს ლექციების კურსის დალაგებას ამ სასწავლო დისციპლინაში. ეს სისტემა უმთავრესად გამომდინარეობს თვით სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემიდან, რადგან უმთავრესად ამ ნორმებზეა აგებული ეს სწავლება, მაგრამ სასწავლო კურსის სისტემა არ შეიძლება ზუსტად ემთხვეოდეს კოდექსის სისტემას. კოდექსი პრაქტიკულად სახელმძღვანელო კანონთა კრებულია და არა სასწავლო სახელმძღვანელო. სასწავლო კურსში ამ ნორმებზე დაყრდნობით

გაანალიზებული და განმარტებული უნდა იქნეს მეცნიერულად სამოქალაქო სამართლის ყველა დებულება და ინსტიტუტი, ისეთი თეორიული საკითხები, რომლებიც კოდექსში არაა გათვალისწინებული. კოდექსში, ცხადია, არ შეიძლება მოცემული იყოს მითითება ყველა ცნების შესახებ, ანდა ზოგიერთ განზოგადებაზე, რაც ზედმეტი იქნებოდა კოდექსისათვის. ამავე დროს ეს ცნებები და თეორიული საკითხები ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია მეცნიერებისათვის და ასევე საჭიროა ამ ნორმების, სამართლის ამ დარგის შესწავლისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით არის აგებული სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა და მისი მკითხველისათვის მიწოდება.

**სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა.** სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რამდენიმე სასწავლო დისციპლინად, რაც კოდექსის სისტემიდან გამომდინარეობს. პირველ რიგში ისწავლება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. აქ შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორცაა სამოქალაქო სამართლის ცნება და პრინციპები, სამოქალაქო სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის წყაროები, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები, სამოქალაქო სამართლის სუბიექტები, სამოქალაქო სამართლის ობიექტები, სამოქალაქო უფლებების წარმოშობის საშუალებები, გარიგებები და მათი ბათილობა, წარმომადგენლობა, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვა, ვადები, სასარჩელო ხანდაზმულობა.

ცალკე სასწავლო დისციპლინად არის გამოყოფილი სანივთო (ქონებრივი) სამართალი. აქ განსაკუთრებულად უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება საკუთრებაზე ზოგადად, საკუთრების უფლების წარმოშობასა და შეწყვეტაზე, საკუთრების გამოყენებაზე, მის დაცვაზე. აქვე შეისწავლება ბინის საკუთრება, სხვისი საკუთრების შეზღუდული სარგებლობა და მისი სახეები: აღნაგობა, უზუფრუქტი,

სერვიტუტები, საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება (გირავნობა, იპოთეკა), საჯარო რეესტრი.

ასევე ცალკე სასწავლო დისციპლინებად არის გამოყოფილი ინტელექტუალური სამართალი და საოჯახო სამართალი. რაც შეეხება ვალდებულებით სამართალს, სამოქალაქო სამართლის ეს ნაწილი (ნიგნი მესამე) იმდენად რთული და ვრცელია, რომ ის როგორც სასწავლო კურსი, ორი სემესტრი ისწავლება. ცალკე შეისწავლება ზოგადი მოძღვრება ვალდებულებათა შესახებ ანუ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი და ცალკე ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი, რომელიც ეხება ვალდებულებათა ცალკეულ სახეებს. ასევე ცალკე კურსად ისწავლება მემკვიდრეობის სამართალი.

ასეთია სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა.

# თავი III

## სამოქალაქო სამართლის წყაროები

§1. სამოქალაქო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა. §2. სამოქალაქო სამართლის წყაროთა სახეები. §3. სამოქალაქო სამართლის ნორმათა გამოყენება და განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია. §4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ.

### §1. სამოქალაქო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა

სამოქალაქო სამართლის წყაროს ცნება. სამართლებრივ ლიტერატურაში სამართლის წყარო საერთოდ და სამოქალაქო სამართლის წყარო კერძოდ, ორგვარი გაგებით იხმარება: სამართლის წყარო მატერიალური გაგებით და სამართლის წყარო ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით. ეს შემთხვევითი გარემოება არ არის, ვინაიდან როცა რაიმე მოვლენისა თუ არსების წყაროზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ იგულისხმება ამ მოვლენის თუ არსების შემქმნელი ძალა, ის წყარო, რასაც ემყარება, ეფუძნება ეს მოვლენა, არსება. ამგვარი გაგებით სამართლის წყაროს ეწოდება „სამართლის წყარო მატერიალური გაგებით“ და მასში იგულისხმება სამართლის შემქმნელი ძალა, ის საფუძველი, რამაც განაპირობა ამ სამართლის ნორმის მიღება. ასეთი წყარო, სამართლის ასეთი შემქმნელი, განმსაზღვრელი ძალა არის საზოგადოების ცხოვრების განვითარების დონე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ენობლიობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ეს დონე განაპირობებს სამართლებრივ ნორმათა ხასიათს, მათ შინაარსს. მარტივად რომ ვთქვათ, ცხოვრება

როგორი კანონის, სამართლის როგორი ნორმის საჭიროებასაც მოითხოვს, ისეთი კანონის, ნორმის მიღება დგება დღის წესრიგში და სწორედ ეს ნორმა მოველინება საზოგადოებას სავალდებულო სამართლებრივ აქტად. ამიტომ იხმარება ლიტერატურაში სამართლის წყარო ორგვარი გაგებით – მატერიალური და ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით.

ზოგჯერ სამართლის წყაროდ მატერიალური გაგებით მიიჩნევენ საზოგადოების ნებას, ხალხის ნებას, აგრეთვე ხელისუფლებას, სახელმწიფოს პოლიტიკას. ხელისუფლების (მისი რომელი განშტოებაც უნდა იყოს), თუნდაც სახელმწიფოს გამოცხადება სამართლის წყაროდ, არ იქნება სწორი, რამდენადაც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოება – საკანონმდებლო ხელისუფლება, მართალია იღებს კანონებს, მაგრამ ამ კანონების თუ სხვა სამართლებრივი ნორმების მიღება განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრებით, საზოგადოების საჭიროებით და მათი შინაარსი სწორედ ამ საჭიროებებით განისაზღვრება და არა კანონმდებლის, როგორც პიროვნების, თუნდაც სახელმწიფო ორგანოს პირადი ნებით, სურვილებით.

სწორედ ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ სამართლის წყაროზე საერთოდ, და სამართლის რომელიმე დარგის, ჩვენს შემთხვევაში; სამოქალაქო სამართლის წყაროზე მატერიალური გაგებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს წყარო არის საზოგადოების განვითარების პირობები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ამა თუ იმ ნორმის მიღების აუცილებლობას.

სამართლის წყაროს ასეთი (მატერიალური) გაგებისაგან განსხვავებით იურიდიულ ლიტერატურაში უმთავრესად იხმარება სამართლის წყარო იურიდიული ანუ ფორმალური გაგებით. სწორედ სამართლის ასეთ წყაროებს აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა და ამიტომ ავტორთა უმეტესობა საჭიროდაც არ მიიჩნევს ხაზი გაუსვას სამართლის წყაროს მატერიალურ გაგებას, პირდაპირ ეხება

სამართლის იურიდიულ წყაროებს, ცალ-ცალკე ჩამოთვლის მათ და გვთავაზობს თითოეული მათგანის დახასიათებას.

სამართლის წყარო ასეთი გაგებით გულისხმობს სამართლის გამოსახვის ფორმას, სამართლებრივი აქტის სახეს, სამართლებრივი ნორმის ამა თუ იმ ფორმას, რომელშიც ეს ნორმა არის ჩამოყალიბებული, გამოსახული. ყველა ეს ნორმა, მიუხედავად იმისა, თუ რა სახე ექნება მას, რომელი აქტის სახელდებაც არ უნდა მიეცეს, სავალდებულო ძალის იურიდიული აქტია. ამიტომ ვამბობთ, რომ ეს ნორმები სამართლის წყაროებია ზოგადად და მისი ამა თუ იმ დარგის წყაროები კონკრეტულად. ასეთი გაგებით, სამართლის ყველა დარგს აქვს თავისი იურიდიული წყარო, ისეთი სამართლებრივი აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ სამართლის ამ დარგისათვის. ამასთან, ბევრი აქტი ერთნაირად სავალდებულოა სამართლის ყველა დარგისათვის, ე.ი. ის სამართლის წყაროა საერთოდ მოცემულ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, თუ სამართლის რომელ დარგზეა საუბარი. ასეთი სავალდებულო წყაროა, მაგალითად, კონსტიტუცია, ანუ ძირითადი კანონი, რომელიც სავალდებულო იურიდიული წყარო და საკანონმდებლო ბაზაა სამართლის ყველა დარგისათვის.

სამართალი ერთი რომელიმე დარგით არ შემოიფარგლება, მით უფრო, ერთი რომელიმე ნორმით არ შეიძლება ამოიწურებოდეს. სამართალი ზოგადად – არის გარკვეული ფორმით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი ქცევის ნესების ერთობლიობა, რომლის საყოველთაო-სავალდებულო შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

სამართლისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანია ის, რომ იგი გამოსახულია რაიმე ფორმით, ე.ი. სამართლის წყარო, იურიდიული გაგებით, არის სამართლის გამოსახვის იურიდიული ფორმა.

ზოგიერთი ავტორი (ალექსანდროვი და სხვ.) სამართლის წყაროს ორგვარი გაგების წინააღმდეგაა. ისინი მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება



ვილაპარაკოთ სამართლის ცალკეულ ფორმაზე, როგორც სამართლის წყაროზე, კანონი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის წყაროდ, რადგან თვითონ არის სამართლის სახე, მისი ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ, მათი აზრით, კანონი, ადათი და სხვა უნდა იწოდებოდნენ არა სამართლის წყაროდ, არამედ სამართლის გამოვლენის ფორმებად, სამართლის სახეებად.

ეს მოსაზრება ნანილობრივ საფუძვლიანია, მაგრამ იურიდიული სიზუსტისათვის უფრო გამართლებულია სამართლის წყაროს, სამართლის ფორმის თუ სახის ნაცვლად ვიხმაროთ ტერმინი „სამართლებრივი ნორმები“. ეს ტერმინი თანდათან მკვიდრდება პრაქტიკულ ხმარებაშიც, როგორც სასწავლო ლიტერატურაში, ისე საკანონმდებლო მოღვაწეობაში.

მიუხედავად ამისა, რადგან იურიდიულ ლიტერატურაში იხმარება პირობითი ტერმინი – სამართლის წყარო იურიდიული გაგებით და, რაც მთავარია, ეს გაგება არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება სამართლის წყაროს არც მატერიალურ გაგებას და არც სამართლებრივ ნორმას, ჩვენც ვხმარობთ ამ ტერმინს პირობით და როცა ვლაპარაკობთ კანონის, ადათის თუ სხვა სამართლებრივი ნორმის შესახებ, ვამბობთ, რომ ისინი სამართლის იურიდიული წყაროებია. ამასთან, ამ გაგებაში ყოველთვის იგულისხმება სამართლებრივი ნორმები, ამ ნორმათა ცალკეული სახეები.

ქართველმა კანონმდებელმა სამართლის იურიდიული წყაროს ცნების გამოსახატავად იხმარა ტერმინი „ნორმატიული აქტი“.

საქართველოს 1995 წლის 29 ოქტომბრის კანონმა „ნორმატიული აქტების შესახებ“, მოგვცა როგორც სამართლებრივი აქტის, ისე მისი სახეების განმარტება. კანონის მეორე მუხლის თანახმად, სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) შესასრულებლად

სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი, დროებითი ან მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს.

კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილია ნორმატიული აქტების შემდეგი სახეები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. ყველა ეს ნორმატიული აქტი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი აქტებია. იმავე მუხლში აღნიშნულია აფხაზეთისა და აჭარის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ შესაბამის ტერიტორიებზე. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებია: ამ რესპუბლიკის კონსტიტუცია, ამ რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტებია: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

კანონი განსაზღვრავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. კანონის მე-5 მუხლით საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნებიან: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს: პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

კანონი ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიას მათი იურიდიული ძალის მიხედვით:

1. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
3. საქართველოს ორგანული კანონი;
4. საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
7. საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

სამრქალაქო სამართლის იურიდიული წყაროს, სამართლებრივი ნორმის ცნება, ძირითადად ემთხვევა ნორმატიული აქტის ცნებას, რამდენადაც კერძო სამართლისათვის სავალდებულო ძალის მქონეა ის ნორმა, რომელიც მრავალჯერადი და ზოგადი ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, სამართლის წყარო და ნორმატიული აქტი

მიუხედავად ამისა, სამართლის წყარო და ნორმატიული აქტი ერთიდაიგივე შინაარსს არ შეიცავს. ნორმატიული აქტი სამართლის უმთავრესი იურიდიული წყაროა, მაგრამ არა ერთადერთი. ნორმატიული აქტი წერილობითი ხასიათის წყაროა, მაშინ როცა სამართლის წყარო შეიძლება იყოს არანერილობითი ნორმაც (ადათი, ჩვეულება). გარდა ამისა, ნორმატიული აქტის გარდა არსებობს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტიც, რომელიც ერთჯერად ხასიათს ატარებს, მაგრამ ზოგჯერ ჩაითვლება სამართლის წყაროდ სამართლის რომელიმე დარგში. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, მიუხედავად იმისა, რომ ის სავალდებულოა კონკრეტული სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის სავალდებულო წყაროდ, ვინაიდან მას ზოგადი, სხვა ურთიერთობისათვის სავალდებულო ხასიათი არა აქვს. მაგრამ ასეთი სამართლებრივი აქტი შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროდ, რამდენადაც კონკრეტული სამოქალაქო დავის გადაწყვეტის დროს საქმის განმხილველი სასამართლოსათვის ის სავალდებულოა. რაც შეეხება მატერიალურ სამართალს, ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალს, მისთვის წყაროს მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ მხოლოდ ზოგად ნორმას, ზოგად წესს, რომელიც საყოველთაოდ სავალდებულოა.

**სამართლის წყაროს მნიშვნელობა.** ნორმატიული აქტების, სამართლის წყაროების, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის წყაროების შესწავლას, მათ ანალიზსა და შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში. იმისათვის, რომ ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას სწორად შეეფარდოს ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, საჭიროა პირველყოვლისა დადგინდეს, თუ რომელი ნორმით, სამართლის რომელი წყაროთი უნდა მოწესრიგდეს ეს ურთიერთობა, შემდეგ მოხდეს ამ ნორმის სწორი გაგება და მისი მისადაგება ამ ურთიერთობასთან. ამასთან, ნორმის ანალიზი მარტო ტექსტობრივი გაგებით არ არის საკმარისი. მთავარია ამ ნორმის

გამოყენება ისტორიული მოქმედების თვალსაზრისითაც. შესაძლებელია ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა დღეს აღარ მოქმედებდეს, გაუქმებული იყოს, მაგრამ თუ ის ძალაში იყო იმ დროისათვის, როცა სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა და ამ ურთიერთობის მონესრიგება დღეს გვიხდება, ეს გაუქმებული ნორმა მაინც უნდა იქნეს გამოყენებული.

ამიტომ, სამართლის იურიდიული წყაროების სახეების, სამართლებრივი ნორმების ცალკეული სახეების შესწავლას, მათ ანალიზს, ახსნა-განმარტებას და შეფარდებას ენიჭება ძალზე დიდი მნიშვნელობა, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალთახედვით.

ქვემოთ განვიხილავთ სამოქალაქო სამართლის ძირითად წყაროებს.

## §2. სამოქალაქო სამართლის წყაროთა სახეები

კანონი. საერთოდ სამართლის, კერძოდ კი, სამოქალაქო სამართლის მთავარი იურიდიული წყარო არის კანონი. კანონი ყველაზე გავრცელებული სამართლებრივი ნორმაა. ეს ითქმის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალზე.

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ სამართლის ყოველ სისტემას აქვს რამდენიმე იურიდიული წყარო. ეს წყაროები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენდნენ. კანონი არასოდეს არ ყოფილა სამართლის ერთადერთი წყარო. იგი სამართლის ძირითადი წყარო გახდა ფეოდალური სამართლის დაშლისა და ბურჟუაზიული სამართლის ჩამოყალიბებასთან ერთად. საზოგადოების განვითარებამ, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ დღის წესრიგში დააყენა კანონის უზენაესობა.

როდესაც ვლაპარაკობთ კანონზე, მხედველობაში გვაქვს იურიდიული კანონი, რომელიც უნდა განვასხვაოთ ეკონომიკური კანონებისაგან. ეკონომიკური კანონი მეცნიერების კანონია და იგი

იურიდიული კანონის შინაარსი, მართალია, ეკონომიკური კანონებით განისაზღვრება, მაგრამ ის მაინც ნებელობითი აქტია.

იურიდიული კანონების შინაარსის დამახასიათებელია ის, რომ ისინი გამოხატავენ ხალხის ნებას, არეგულირებენ ადამიანთა ქცევის წესებს, ასახავენ ობიექტურ პროცესებს და თვითონ ახდენენ დიდ ზეგავლენას ამ პროცესების სრულყოფაზე.

კანონს, როგორც სამართლის უმთავრეს იურიდიულ წყაროს, როგორც განსაკუთრებულ ნორმას, ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. კანონის გამოცემის უფლება აქვს ერთადერთ ორგანოს – პარლამენტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს. ამასთან ერთად, კანონის მიღებაც ხდება განსხვავებული წესით, სპეციალურად დადგენილი პროცედურის მიხედვით, რაც სამართლის სხვა ნორმებისათვის არ არის საჭირო. კონსტიტუციის 66-ე მუხლის მიხედვით კანონის მიღებისათვის საჭიროა დამსწრე დეპუტატთა უმრავლესობის, მაგრამ სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერა, ხოლო ორგანული კანონის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმა. მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

2. კანონი, სამართლის სხვა ნორმებისაგან განსხვავებით, უფრო უშუალოდ გამოხატავს ხალხის ნებას, რამდენადაც მას ღებულობს ის ორგანო, რომელიც ამ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებისაგან შედგება. პარლამენტის წევრები, დეპუტატები თავიანთ ამომრჩეველთა ინტერესებს გამოხატავენ. ამიტომ მათ მიერ მიღებული კანონებიც ამ ხალხის ინტერესებს უნდა შეესაბამებოდნენ. ასე არ ითქმის სამართლის სხვა ნორმებზე.

3. კანონი უმთავრესად გამოიცემა უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ე. ი. კანონის რეგულირების საგანი, შედარებით სხვა წყაროებთან, უფრო

მნიშვნელოვანი ურთიერთობებია. ეს ეხება როგორც ამ საგნის მოცულობას, ისე მის სოციალურ-პოლიტიკურ დანიშნულებას.

ზოგიერთ იურისტ მკვლევარს (პეტროვი და სხვ.) ეს ნიშანი არ მიაჩნია კანონის სხვა წყაროებისაგან განმასხვავებელ თავისებურებად, რადგან ესა თუ ის საკითხი, რომელიც კანონმა უნდა მოაწესრიგოს, დღეს შეიძლება ითვლებოდეს მნიშვნელოვნად, ხვალ კი მან ეს მნიშვნელობა დაკარგოს. ასეთი მოსაზრება გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მთავარი ის კი არ არის, რა არის დღეს „მნიშვნელოვანი“ და როგორ იცვლება მისი ეს მნიშვნელობა დროთა განმავლობაში, არამედ ის, რომ პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ორგანო, უფლებამოსილია კონსტიტუციით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცეს სამართლებრივი ნორმა, რომელიც მოაწესრიგებს სხვადასხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის ურთიერთობებს.

4. კანონი უმაღლესი იურიდიული ძალის ნორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის სხვა იურიდიულ წყაროებთან შედარებით, კანონი მეტი ძალმოსილების აქტია. თუ რომელიმე ნორმა კანონთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება, იურიდიული ძალა ენიჭება კანონს, ე.ი. გამოყენებული უნდა იქნეს კანონი და არა ეს ნორმა.

დასახელებული განმასხვავებელი ნიშნების გათვალისწინებით, შეიძლება განემარტოთ კანონი, როგორც სამართლებრივი ნორმა, როგორც ნორმატიული აქტი და როგორც სამართლის იურიდიული წყარო. კანონი, იურიდიული გაგებით, არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად მიღებული, უმაღლესი იურიდიული ძალის სამართლის ნორმა, რომელიც გამოხატავს საზოგადოების უმრავლესობის ნებას და რომელიც არეგულირებს ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

თავისი იურიდიული ძალისა და შინაარსის მიხედვით არსებობს ორი სახის კანონი: ძირითადი ანუ კონსტიტუციური კანონი და

არაკონსტიტუციური კანონი. კონსტიტუციური კანონი არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ პრინციპებს, ადგენს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ნყობილების სანყისებს. ამგვარ კანონებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ კანონთა სისტემაში, არც ერთი კანონი თუ სხვა სამართლებრივი ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციურ ნორმებს. ძირითადი კანონია კონსტიტუცია. კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა, მათ შორის კონსტიტუციური კანონიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე მუხლში პირდაპირ არის ჩანერილი: „სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას“.

არაკონსტიტუციური კანონების მიღება ხდება კონსტიტუციური კანონების საფუძველზე სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ამ კანონებს შორის განასხვავებენ ე.წ. ორგანულ კანონებს და ჩვეულებრივ კანონებს. ორგანული კანონი აწესრიგებს ცალკეულ სახელმწიფო ორგანოთა მონყობას (მაგალითად, კანონი საერთო სასამართლოების შესახებ). კოდექსი კი არის ერთგვაროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი (სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა.).

კანონი შეიძლება იყოს ზოგადი და სპეციალური. ზოგადი კანონი არეგულირებს ამა თუ იმ სფეროს ანდა საზოგადოებრივი ურთიერთობის რომელიმე სახეს ზოგადად. სპეციალური კანონი კი რომელიმე კონკრეტული საკითხის მოსაწესრიგებლად გამოიცემა. ასეთი კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ყოველთვის გამოყენებული უნდა იქნეს ეს სპეციალური კანონი. სამოქალაქო კოდექსის მეორე მუხლის მეორე ნაწილში პირდაპირ არის



მითითებული, რომ ერთიდაიმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი.

სამოქალაქო სამართლის ძირითადი საკანონმდებლო წყაროა კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს, სამოქალაქო კანონმდებლობის იურიდიული ბაზაა. კონსტიტუციაში გადმოცემულია სამოქალაქო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, მასში ლაპარაკია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უზრუნველყოფაზე, მოქალაქეთა ძირითად უფლება-მოვალეობებზე.

კანონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა კოდექსი. ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 26 ივნისს და ძალაში შევიდა იმავე წლის 25 ნოემბრიდან, შედარებით სრულყოფილად არეგულირებს სამოქალაქო სამართლებრივ სფეროში არსებულ ურთიერთობებს. ეს კოდექსი სამოქალაქო სამართლის მთავარი წყაროა, რამდენადაც ძირითადად ამ კოდექსით რეგულირდება ქვეყანაში არსებული ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის.

ახალი სამოქალაქო კოდექსი ქვეყნის პირველი დამოუკიდებელი, ეროვნული კოდექსია. მართალია, ჯერ 1923 წლის 1 სექტემბრიდან, შემდეგ კი 1965 წლის 1 ივლისიდან მოქმედებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსები, მაგრამ ეს კოდექსები ძირითადად რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან იყო თარგმნილი და ნაკლებად ჰქონდათ დამოუკიდებლობის პრეტენზიები. ახალი კოდექსი კი ჭეშმარიტად ეროვნული სამართლებრივი აქტია და ის აწესრიგებს სამოქალაქო სფეროში წარმოშობილ ყველა ურთიერთობას. ამიტომ ის სამოქალაქო სამართლის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული წყაროა.

სამოქალაქო კოდექსთან ერთად სამოქალაქო სამართლის წყაროა არაერთი ორგანული თუ ჩვეულებრივი კანონი. პირველყოვლისა, უნდა დავასახელოთ 1996 წლის 29 ოქტომბერს მიღებული საქართველოს საპაერო კოდექსი, 1997 წლის 15 მაისის საქართველოს საზღვაო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა ამავე წლის 1-ლი ივლისიდან, 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 1997 წლის 14 ნოემბერის საბაჟო კოდექსი. ამ კოდექსებთან ერთად, სამოქალაქო სამართალში წყაროს მნიშვნელობა აქვთ ცალკეულ კანონებს. ასეთ კანონებს მიეკუთვნებიან: 1995 წლის 19 აპრილის კანონები „თამასუქის შესახებ“ და „ჩეკის შესახებ“, 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“, 1997 წლის 6 მარტის კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, 1997 წლის 17 აპრილის კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, 1997 წლის 13 ივნისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 1997 წლის 2 მაისის კანონი „დაზღვევის შესახებ“, 1996 წლის 22 მარტის კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების „მინის საკუთრების შესახებ“, 1997 წლის 18 აპრილის კანონი „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“, 1998 წლის 18 თებერვლის კანონი „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“, 1998 წლის 28 აპრილის კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, 1998 წლის 25 ივნისის კანონი „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას ნარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“, 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონები „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მართვის და განკარგვის შესახებ“ და „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“, 1998 წლის 9 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“, 1999 წლის 5 თებერვლის „საქართველოს საპატენტო კანონი“, 1999 წლის 22 ივნისის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, 1999 წლის 23

ივნისის კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“, 1999 წლის 23 ივლისის კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ და სხვა.

სამოქალაქო კანონი (ისევე, როგორც საერთოდ კანონი) თავისი შინაარსისა და იურიდიული ძალის მიხედვით შეიძლება იყოს იმპერატიული და დისპოზიციური. იმპერატიულია ნორმა, რომელიც ადგენს იძულებით წესს, რაც სავალდებულოა ყველასათვის. ამ ნორმის მოთხოვნას ვერ გასცდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ვერცერთი მონაწილე. იმპერატიულია, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის მიხედვით ქმედუნარიანობა სრული მოცულობით წარმოიშობა 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. ასეთივეა 183-ე მუხლი, რომლის მიხედვით უძრავ ნივთებზე ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს ნერილობითი ფორმით, დამონმებული იქნეს სანოტარო წესით და შემდეგ რეგისტრაციაში გატარდეს საჯარო რეესტრში. ასევე, 110-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ, წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს მის გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს. ასეთივეა 727-ე მუხლი, რომლის მიხედვით საკუთრების მინდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს ნერილობითი ფორმით. კანონის იმპერატიული ხასიათი შეიძლება პირდაპირ იყოს მითითებული მასში, ანდა გამომდინარეობდეს მისი შინაარსიდან.

დისპოზიციური ანუ შემავსებელია ნორმა, რომელიც პირდაპირ კი არ ადგენს სავალდებულო წესს, არამედ ითვალისწინებს, რომ ეს წესი დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები სხვა რაიმე შეთანხმებას არ მოახდენენ ამა თუ იმ საკითხში. ამ შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებრივი ურთიერთობანი. ასეთი ნორმაა, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი, რომლის მიხედვით საიჯარო ხელშეკრულებაში იჯარის ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით, თუ

მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. ასეთ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საიჯარო ქირა გადახდილი იქნეს სხვა საშუალებებით. ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ მოქმედებს დასახელებული მუხლით ოადგენილი წესი. ამიტომ ენოდებათ ასეთ ნორმებს შემავსებელი ნორმები.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვა მრავალნაირ სამოქალაქო ურთიერთობებს წარმოშობს, რომელთა მონაწილენი კანონში უშუალოდ მითითებულ წესებთან ერთად, ურთიერთშეთანხმებით ადგენენ ბევრ ისეთ პირობას, რომელიც ამ კანონში არ არის მოცემული, მაგრამ არ ზღუდავს მხარეებს თავისუფლად განსაზღვრონ გარიგების შესაძლო შედეგები.

სამოქალაქო კოდექსი ძირითადად აბსტრაქტული ნორმებით აწესრიგებს ცხოვრებისეულ ურთიერთობებს. ამასთან ერთად, ცხოვრებასთან მიახლოების საშუალებას იძლევა ე. წ. განუსაზღვრელი ნორმა. „ამგვარ ზოგად და განუსაზღვრელ დებულებებს სამოქალაქო კოდექსი ბევრ ადგილას იყენებს: „კეთილსინდისიერად“, „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერება“, „სამართლიანობის შესაბამისად“, „სათანადო ვადა“, „მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას“ და ა. შ.“<sup>1</sup>.

**საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.** კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული მნიშვნელობის წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ასეთ ხელშეკრულებას და შეთანხმებას, მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა, თუ იგი დადებულია „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997 წ. გვ. 96.

კონსტიტუციას, მინიჭებული აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ დასახელებული კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლება პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარადგინოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. პარლამენტი ასეთი ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, გაუქმებისა და დენონსირების შესახებ გადანყვეტილებას იღებს დადგენილების ფორმით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

დაუშვებელია პარლამენტში ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების სარატიფიკაციოდ წარდგენა, რომელიც ცვლილებებს იწვევს მოქმედ კანონმდებლობაში, თუ მას თან არ ერთვის კანონპროექტი ამ ცვლილებების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. კანონის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული ძალის მქონე აქტია პრეზიდენტის დეკრეტი. დეკრეტი იგივე კანონის ძალმოსილების ნორმატიული აქტია, რომელიც გამოიცემა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. დეკრეტით, საგანგებო მდგომარეობის დროს, შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული ზოგიერთი უფლება. ყველა სხვა შემთხვევაში დეკრეტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და ორგანულ კანონს. პრეზიდენტის დეკრეტს, კონკრეტულ შემთხვევებში, ენიჭება სამოქალაქო სამართლის წყაროს მნიშვნელობა.

პრეზიდენტის ბრძანებულება. სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც კანონქვემდებარე აქტს წარმოადგენს. ბრძანებულებას, მოქმედი კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 73), გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც საკმაოდ ხშირად ადგენს მთელ რიგ

სავალდებულო წესებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ პრეზიდენტის ბრძანებულება არ არის სამოქალაქო სამართლის წყარო. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოსაწესრიგებელია ურთიერთობა, რომელიც ადრეულ წლებში წარმოიშვა. ეს ურთიერთობა უნდა მონესრიგდეს იმ წყაროს მიხედვით, რომელიც მისი წარმოშობის დროს მოქმედებდა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში სავალდებულო იურიდიული წყაროა ის კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც იმ პერიოდისათვის მოქმედებდა. ასეთი აქტები კი, როგორც ვიცით, იყო როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულებები.

ბრძანებულებები, რომელთაც სამოქალაქო სამართალში სავალდებულო ძალა აქვთ, უმთავრესად გამოიცემოდა და გამოიცემა სამოქალაქო კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით. ბრძანებულებამ ზოგჯერ, გადაუდებელ შემთხვევებში, შეიძლება თავისებურად შეცვალოს სამოქალაქო ნორმა, შეაჩეროს გარკვეული პერიოდით ამ ნორმის მოქმედება. ეს ბრძანებულება შემდგომში უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. ამ გაგებით ის ხშირად გვევლინება როგორც ახალი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის შემოღების საფუძველი. ეს განსაკუთრებით ითქმის, როცა ბრძანებულებას რაიმე დამატება შეაქვს კანონში.

გარდა ამისა, არის ზოგიერთი ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის ბრძანებულება, რომელიც მთლიანად კანონქვემდებარე აქტის ხასიათს ატარებს და ის მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ გამომდინარეობს კანონიდან, იქნება ეს კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი თუ სხვა სამოქალაქო ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ორგანული კანონი.

ზოგჯერ ბრძანებულებამ შესაძლოა განმარტოს მოქმედი კანონი. ეს განმარტებაც სავალდებულოა ცალკეული ურთიერთობების მონესრიგების დროს.

სხვა კანონქვემდებარე აქტები. ბრძანებულებებთან ერთად სამოქალაქო სამართლის იურიდიულ წყაროებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებსაც, კანონთა შესაბამისად, გამოსცემენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თუ ადგილობრივი ორგანოები. აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტებს მაშინ აქვთ სამართლის წყაროს მნიშვნელობა, თუ ისინი კანონს არ ეწინააღმდეგებიან. სამოქალაქო კოდექსის მეორე მუხლის მესამე ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგებიან კანონს, მოქმედებს კანონი.

ასეთი კანონქვემდებარე აქტი მრავალნაირი სახისაა. იურიდიული ძალის მიხედვით ყველაზე მეტი მნიშვნელობის კანონქვემდებარე აქტებია, საკანონმდებლო აქტების შესაბამისად გამოსცემული, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის და საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტები, რამდენადაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ სხვა კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულებისა და პარლამენტის დადგენილების მიმართ.

კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე პარლამენტის დადგენილება, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილება, აუდიტორული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის დადგენილება, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, ანტიმონოპოლური სამსახურის უფროსის ბრძანება, მინისტრისა და

აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

ხშირად ურთიერთობის მონესრიგების დროს მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ რომელი, რა სახელწოდების ორგანოს მიერ არის მიღებული ეს აქტი, არამედ იმას, თუ როდის წარმოშობილი ურთიერთობების მონესრიგება არის საჭირო. როცა გადასაწყვეტია სამოქალაქო დავა, რომელიც წარსულში წარმოიშვა. მთავარია ამ დავის წარმოშობის მომენტში რომელი ნორმა მოქმედებდა. ამიტომ, სამოქალაქო სამართლის იურიდიული წყარო არის არა მარტო ამჟამად მოქმედი კანონქვემდებარე აქტი, არამედ ადრე მოქმედი მინისტრთა საბჭოს თუ მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის დადგენილება „სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, ასევე მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 16 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის წესის შესახებ“.

სამოქალაქო სამართლის იურიდიულ წყაროებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება. ამ კანონქვემდებარე აქტებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ბევრი საკითხი რეგულირდება. სასამართლო ორგანოები ბევრი დავის გადაწყვეტისას ვალდებული არიან დაეყრდნონ ამ კანონქვემდებარე აქტებს, თუ ისინი კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავენ. ეს ეხება, პირველ რიგში, ვაჭრობის სფეროს, ტრანსპორტს, მშენებლობას, იმ საბინაო ფონდის განკარგვას, რომელიც ამ ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში იმყოფება.



ცალკე უნდა ითქვას კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კორპორაციების, კომპანიების და სხვა გაერთიანებების ნორმატიულ აქტებზე (დებულება, წესდება და სხვა). ეს აქტები ძირითადად მიმართული არიან ამ ორგანიზაციების შიდა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და ამიტომ სავალდებულო ძალა არა აქვთ იმ პირთათვის, ვინც ამ ორგანიზაციებთან არ არიან კავშირში, მაგრამ, როცა ამ ორგანიზაციათა წესდებები, დებულებები თუ წესები სანქციონირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, ისინი სავალდებულო ძალას იძენენ არა მარტო ამ ორგანიზაციათა წევრებისათვის, არამედ ყველა იმ ურთიერთობის მონაწილეთათვის, რომელიც რეგულირდება ამ დებულებით თუ წესდებით. ამდენად, ეს დებულება თუ წესდება სავალდებულოა სასამართლოსათვის თუ სხვა ორგანოსათვის, რომელიც მონოდებულია დაიცვას ამ ორგანიზაციის თუ მისი წევრების ინტერესები. ამ გაგებით ისინიც ითვლებიან სამოქალაქო სამართლის წყაროდ.

ყველა შემთხვევაში, ეს აქტები უნდა ეფუძნებოდნენ კანონს, მიმართული უნდა იქნენ კანონთა შესასრულებლად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამ კანონებს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ვამბობთ, რომ ისინიც სამოქალაქო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციები. სასამართლო წყობილების შესახებ ადრე მოქმედი კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლო, მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად, ლებულობდა სახელმძღვანელო განმარტებებს ცალკეული კატეგორიის საქმეების სასამართლო განხილვის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. ეს განმარტება მიზნად ისახავდა კანონის ერთნაირ და სწორ გაგებას და მის შეუმცდარ გამოყენებას სასამართლოს ამა თუ იმ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს.

სამართლებრივ ლიტერატურაში დავა არსებობდა იმაზე, ჩაგვეთვალა თუ არა ეს განმარტებები სამოქალაქო სამართლის წყაროდ. ავტორთა ნაწილი თვლიდა, რომ ეს განმარტება არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის წყაროდ<sup>1</sup>. ავტორთა უმეტესობას კი მიაჩნდა, რომ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტება წარმოადგენდა სამოქალაქო სამართლის წყაროს<sup>2</sup>.

პირველი მოსაზრების ავტორები მიიჩნევდნენ, რომ უმაღლესი სასამართლო არ შეიძლება იყოს კანონშემოქმედი ორგანო, ის მხოლოდ სახელმძღვანელო განმარტებებს აძლევდა სასამართლოებს სამოქალაქო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, მხოლოდ იყენებდა სამართლის ნორმებს კონკრეტული შემთხვევების მიმართ, რომლის დროს არ იქმნებოდა ახალი ნორმატიული აქტი და ამიტომ არ შეიძლებოდა ასეთი სასამართლოს აქტი სამართლის წყაროდ ჩაგვეთვალა.

ასეთი მოსაზრება ავტორთა დიდ ნაწილს არ მიაჩნდა სწორად, მათი აზრით უზენაესი სასამართლო, მართალია, იყენებს სამართლის ნორმებს ცალკეული კონკრეტული შემთხვევების მიმართ, მაგრამ მთელი რიგი კატეგორიის საქმეების განზოგადების საფუძველზე, უზენაესი სასამართლო არა მარტო განმარტავდა ამა თუ იმ კანონს, არამედ ადგენდა თითქმის ახალ ნორმას, რომელიც პირდაპირ არ იყო მოცემული კანონში. ო.ს. იოფე მიუთითებდა, რომ სამართლის ნორმებს კონკრეტული შემთხვევების მიმართ მარტო სასამართლო არ იყენებს. ამას სხვა სახელმწიფო ორგანოებიც

<sup>1</sup> И. Б. Новицкий. Источники сов. гражд. права, 1959, стр. 138. А. Ю. Кабалкин, В. Г. Вердников. Вступительная статья к сборнику «Нормативные материалы по сов. гр. праву». 1965, стр. 7.

<sup>2</sup> И. С. Вильнянский. Лекции по советскому гражданскому праву, 1958, 60. О. С. Иоффе. Советское гражданское право. Изд-во ЛГУ, 1967, стр. 55. С. Н. Братуся, Постановления Пленума Верховного Суда СССР и инструктивные указания Государственного арбитража при Совете Министров СССР как предмет систематизации. «Теоретические вопросы систематизации советского законодательства», 1962, стр. 119.

აკეთებენ, მაგრამ მათი აქტები სამართლის წყაროებად ითვლებიან. ამიტომ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება, რომელიც ზოგად ხასიათს ატარებს და სავალდებულოა არა მარტო სასამართლოსათვის, არამედ სასამართლოში მონაწილე სხვა პირებისათვისაც, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტასთან, რატომ არ უნდა ჩაითვალოს სამართლის წყაროდ?¹

ამ შეხედულების მომხრეების აზრით, უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი სასამართლო ორგანო, რომელსაც კანონით, ისევე, როგორც ხელისუფლების სხვა უმაღლეს ორგანოებს, უფლება აქვს გამოსცეს ნორმატიული აქტი, რომელიც სავალდებულო იქნება ამ სისტემისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლოებთან ურთიერთობაში შეიძლება იმყოფებოდეს ნებისმიერი პირი, ბუნებრივია, რომ ეს აქტი – უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული სახელმძღვანელო განმარტება – სავალდებულო ხდება ყველა ამ პირისათვის და ამდენად იგი იძენს სამოქალაქო სამართლის წყაროს ხასიათს.

საქართველოს ახალი კანონით საერთო სასამართლოების შესახებ, აგრეთვე კანონით უზენაესი სასამართლოს შესახებ, აღარ არის გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილებაში სახელმძღვანელო განმარტებების მიცემა. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, იღებს და აქვეყნებს მხოლოდ რეკომენდაციებს. რეკომენდაცია კი არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლის იურიდიულ წყაროდ, რამდენადაც ის არ არის ნორმატიული აქტი, მას სავალდებულო ხასიათი არ ენიჭება, თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს რეკომენდაციები სასამართლოებისათვის პრაქტიკულად სავალდებულო ძალას მიიღებს და, ამდენად,

¹ О. С. Иоффе, Советское гражданское право. М. 1967, гл. 54-55.)

სამოქალაქო სამართლის თავისებურ წყაროდ მოგვევლინება. ეს ცხადია, მომავლის საკითხია და ამჟამად, იმის თქმა, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციები სამართლის წყაროდ მივიჩნიოთ, გაუმართლებელია.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის სახელმძღვანელო განმარტების მიცემის უფლება ცხოვრებისეული აუცილებლობა გახდება. სასამართლო პრაქტიკაში უამრავი გაურკვეველობა წარმოიშობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, ბევრი კანონი კომპეტენტურ განმარტებას მოითხოვს და სხვა ამას ვერავინ გააკეთებს, გარდა უზენაესი სასამართლოს პლენუმისა, ამიტომ, ჩვენი აზრით, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მარტო რეკომენდაციები კი არ უნდა მისცეს სასამართლოებს, არამედ სწორედ ეს გაურკვეველი საკითხები განმარტოს და მიიღოს სავალდებულო დადგენილების სახით.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკაში იგულისხმება ამა თუ იმ კატეგორიის საქმეების განხილვისას სასამართლო ორგანოთა ერთიანი მიმართულების განზოგადებული გამოსახვა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში. ასეთი ერთიანი მიმართულების შემუშავებასა და დანერგვას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის აზრის გარკვევისა და მისი სწორი გამოყენებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის გამოხატული ცალკე ზოგადი ნორმის სახით, ის მხოლოდ კონკრეტულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობაა, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის იურიდიულ წყაროდ.

**ადათი და ჩვეულება.** სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადათებსა და ჩვეულებებს. ადათი, ისევე,

როგორც სამართლებრივი ნორმა, ქცევის წესებს ადგენს, მაგრამ ის სამართლისაგან განსხვავებით სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კი არ არის დადგენილი, არამედ სტიქიურად ყალიბდება საზოგადოებაში, თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი შესრულება ხდება არა სახელმწიფოებრივი იძულებით, არამედ ნებაყოფლობითი ჩვევების სახით.

ადათი, ჩვეულება, საერთო ცხოვრების წესები, მორალური პრინციპები – გარკვეულ როლს ასრულებენ სამოქალაქო სამართალში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ სავალდებულო ძალა აქვთ. ასეთი ჩვევები თუ ადათობრივი ნორმები სავალდებულო გახდებიან მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სანქციონირებული იქნებიან სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, სხვანაირად ისინი გათვალისწინებული იქნებიან სამოქალაქო დავების გადაწყვეტის დროს, მაგრამ მათ იძულებით შესრულებას ვერავის დააუვალებენ.

ამიტომ, ეს ადათები და ჩვევები არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლის სავალდებულო იურიდიულ წყაროდ. ამასთან, არც მისი უარყოფა შეიძლება, რომ ამ ჩვევებს, მორალურ პრინციპებს მჭიდრო კავშირი აქვთ სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებთან. ზოგიერთ ნორმაში პირდაპირ არის გათვალისწინებული ეს პრინციპები. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, მოტყუებით დადებული გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. ე. ი. აქ პირდაპირ არის სამართლებრივ ნორმაში მოცემული მორალური პრინციპი, რომლის თანახმად დაგმობილია ტყუილი. ზოგიერთი ქცევის ნორმა კი, მართალია არ არის მოცემული კანონში, მაგრამ მათი შესრულება უზრუნველყოფილი ხდება საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით. ამასთან ერთად, ჩვეულებას, ზოგჯერ შეიძლება მიენიჭოს სამართლის წყაროს ძალა.

სამოქალაქო კოდექსის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტში ჩანერილია: „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ

ალიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს“. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ადათობრივი ნორმები და ჩვეულებები გარკვეულ პირობებში გამოიყენებიან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, გამოიყენებიან იმდენად, რამდენადაც არ ეწინააღმდეგებიან სამართლისა და ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

მაშასადამე, ჩვეულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნენ კანონის არარსებობის დროს, ისიც გარკვეული შეზღუდვით, ისინი არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ ალიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს. „საჯარო წესრიგია ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური პრინციპები, რომლებიც აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ქვეყანაში. ამ პირობების არსებობის დროს შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვეულებაზე, როგორც სამოქალაქო სამართლის წყაროზე“<sup>1</sup>

### **§3. სამოქალაქო სამართლის ნორმათა გამოყენება და განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია**

**სამართლის ნორმის გამოყენება.** იმისათვის, რომ სამართალმა იმოქმედოს, თავისი დანიშნულება შეასრულოს, საჭიროა ამ სამართლის, მისი ცალკეული ნორმების გამოყენება, შეფარდება, ხოლო ამ ნორმების სწორი შეფარდება და გამოყენება შეიძლება მისი აზრის გარკვევით, განმარტებით, კანონის ზოგადი შინაარსის დადგენით.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლის ნორმის გამოყენება და მისი შეფარდება. ნორმათა გამოყენება უფრო

---

<sup>1</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, შესავალი დებულებები, თბ., 1999 წ. გვ. 31.

ფართო ცნებაა, რაც საერთოდ სამართლის ნორმის მოქმედებას, მის დაცვას გულისხმობს, ხოლო ნორმის შეფარდება ნიშნავს ცალკეული კონკრეტული ნორმის გამოყენებას ამ ნორმის დამრღვევის მიმართ, რაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სახეზე გვაქვს მისი დარღვევა.

სამართლის ნორმის გამოყენება სამართლის ამა თუ იმ დარგისათვის სხვადასხვაგვარად ხდება. სისხლის სამართალში, მაგალითად, სამართლის ნორმა უმთავრესად გამოიყენება მაშინ, როცა სახეზე გვაქვს სამართალსაწინააღმდეგო ქმედება. დანაშაულის ჩადენისას საჭირო ხდება სისხლის სამართლის ნორმის გამოყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ადმინისტრაციულ სამართალშიც. მაგრამ არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს მოსაზრება (რომელსაც იურისტ-მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს), რომ სისხლის სამართლის ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს. სამართლის ნორმას, მათ შორის სისხლის სამართლის ნორმასაც მარტო დასჯითი მიზანი არ გააჩნია, ის თავისებური გამაფრთხილებელი, პროფილაქტიკური საშუალებაც არის. როცა პირმა იცის, რომ ესა თუ ის ქმედება არ უნდა ჩაიდინოს და თავს იკავებს ამ მოქმედების ჩადენისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ნორმა მოქმედებს, ეს ნორმა თავისებურად გამოიყენება. ნორმის დაცვა მის გამოყენებასაც გულისხმობს.

უფრო მეტად ითქმის ეს სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებზე. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები მოქმედებენ საერთოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნორმები გამოიყენებიან. სამოქალაქო ურთიერთობაში უმთავრესად სამართლებრივი ნორმები ისე გამოიყენებიან, რომ საჭირო არ არის მათი დარღვევა. მაგალითად, ხელშეკრულების მონაწილენი მოქმედებენ ამ ხელშეკრულების შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა მოქმედებს და გამოიყენება ისე, რომ არ ხდება მისი დარღვევა.

კიდევ მეტი, სამოქალაქო საძაოთლებრივ ნორმას ახასიათებს ის, რომ მისი შეფარდება ხდება მაშინაც, როცა სახეზე არ გვაქვს მისი დარღვევა. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მართლზომიერი მოქმედებისათვის იურიდიული ძალის მიცემა ნიშნავს, რომ ესა თუ ის ნორმა ეფარდება გარკვეულ მოქმედებას. მაგალითად, როცა სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სანოტარო წესით მონდება, ეს სავალდებულო ძალას იძენს ყველასათვის. მიუხედავად იმისა, რომ აქ რაიმე დარღვევას არა აქვს ადგილი, ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის გამოყენებაც და მისი შეფარდებაც.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენება და შეფარდება სხვადასხვაგვარად წარმოებს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ სამართლებრივ ნორმასთან გვაქვს საქმე. სამოქალაქო ნორმას, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება ჰქონდეს იმპერატიული და დისპოზიციური ხასიათი.

იმპერატიული და დისპოზიციური ნორმები ივსება ახალი შინაარსით. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მოქმედების ხასიათით. ხშირად ეს განსხვავება თვით კანონის ტექსტიდან ჩანს. იმპერატიულ ნორმებს ახასიათებთ, მაგალითად, ისეთი გამოთქმები, ფორმულირებები, როგორიცაა „ბათილია“, „არ დაიშვება“, ანდა პირდაპირ ამკრძალავი შინაარსი, კატეგორიული მინიშნება.

დისპოზიციური ნორმებისათვის კი დამახასიათებელია უმთავრესად ასეთი გამოთქმები: „თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს“, „რამდენადაც ხელშეკრულებაში სხვა რამ არაა ნათქვამი“...

უფრო ხშირად სამართლის ნორმაში მითითებული არ არის მისი იმპერატიული თუ დისპოზიციური ხასიათის მიმნიშნებელი სიტყვები. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ამ ნორმის შინაარსის ანალიზი, მისი შეფასება.



კანონის, სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევას, მისი იმპერატიული თუ დისპოზიციური ხასიათის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნორმის შეფარდებისათვის, მისი გამოყენებისათვის. ამიტომ, სამართლის ნორმის განმარტება სპეციალური კვლევის საგანია სამართლებრივ ლიტერატურაში.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის განმარტება. კანონის განმარტება ნიშნავს მისი აზრის გაგებას, შინაარსის გარკვევას. ხშირად სამართლებრივი ნორმის შინაარსი ისე ნათელია, რომ მისი აზრის განმარტება ძნელი არ არის, აშკარად ჩანს მისი ტექსტიდან. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლში ჩანერილია: „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე, ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა“. აქ ნათელია, რომ მას რაიმე განმარტება აღარ ესაჭიროება.

ზოგჯერ არის ისეთი შინაარსის სამართლებრივი ნორმა, რომელიც სპეციალურ განმარტებას მოითხოვს. სხვანაირად მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება შეიძლება იყოს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი. აქ გასარკვევია, რა არის ცალმხრივი გარიგება და რა მრავალმხრივი, სხვანაირად, ამ ნორმას ვერ გამოვიყენებთ. ამიტომ საჭირო ხდება ნორმის შინაარსის ახსნა და მისი სწორი გაგება.

სამართლის თეორიაში განასხვავებენ სამართლებრივი ნორმების განმარტებას სამი ნიშნით: 1. სუბიექტის მიხედვით; 2. საშუალების მიხედვით და 3. განმარტების მოცულობის მიხედვით. ამის შესაბამისად უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებაც.

1. სამართლის ნორმის განმარტება სუბიექტების მიხედვით. სუბიექტების მიხედვით არსებობს კანონის ოთხგვარი განმარტება:

1. ავთენტური;

2. ლეგალური;

3. სასამართლო ანუ კაზუალური და

4. მეცნიერული ანუ დოქტრინალური.

სამართლის ნორმის ავთენტური განმარტება ნიშნავს ამ ნორმის განმარტებას იმავე ორგანოს მიერ, რომელმაც გამოსცა იგი. ასეთ განმარტებას ისეთივე საყოველთაო-სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს, როგორც თვით იმ ნორმას, რომელიც განმარტეს.

ლეგალური განმარტება გულისხმობს სამართლებრივი ნორმის განმარტებას მისი გამომცემი ორგანოს დავალებით სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ. მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ამ სასამართლოს უფლება ჰქონდა ქვემდგომი სასამართლოებისათვის მიეცა სახელმძღვანელო განმარტებები, რომელთაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ. ასეთი განმარტებები არაერთგზის მიუცია საქართველოს უზენაეს სასამართლოს სასამართლო ორგანოებისათვის როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე.

სასამართლო ანუ კაზუალური განმარტება – არის ისეთი განმარტება, რომელსაც იძლევა სასამართლო ორგანოები ამა თუ იმ ნორმის შეფარდებისას კონკრეტული დავების გადაწყვეტისას მიღებულ გადაწყვეტილებებში, განჩინებებში თუ დადგენილებებში. სასამართლო ორგანოს მიერ კანონის ასეთი განმარტება, მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება, განჩინება თუ დადგენილება კანონიერ ძალაში შევა, სავალდებულოა და კანონის ძალას იძენს, მაგრამ, განსხვავებით ავთენტური და ლეგალური განმარტებისაგან, მას საერთო სავალდებულო ძალა კი არა აქვს, არამედ მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის მიმართ არის სავალდებულო, რომლის გამოც იქნა მიღებული ეს განმარტება.

მეცნიერული ანუ დოქტრინალური განმარტება არის განმარტება, რომელსაც იძლევა ესა თუ ის მეცნიერი, თუ მეცნიერთა ჯგუფი, რომელიმე სამართლებრივ გამოკვლევაში, სახელმძღვანელოში,

სამეცნიერო დისკუსიებზე, თეორიულ კონფერენციებზე თუ სხვა გამოსვლებში. ასეთ განმარტებას არა აქვს კანონის ძალა, სანამ ის არ აისახება კანონში, რომელიმე სამართლებრივ აქტში ანდა ავთენტურ, ლეგალურ თუ კაზუალურ განმარტებაში. ძალზე ბევრი მეცნიერული (დოქტრინალური) განმარტება შემდგომში საფუძველად ედება ახალი კანონის თუ სხვა სამართლებრივი ნორმის მიღებას. სწორედ ამ გზით ვითარდება და სრულყოფილი ხდება კანონმდებლობა. ასევე ბევრი მეცნიერული განმარტების საფუძველზე მიიღება სამართლებრივი ნორმის ავთენტური თუ ლეგალური განმარტება, ბევრიც აისახება სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებებში ანუ კაზუალურ განმარტებებში. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ (დოქტრინალურ) განმარტებას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, მას ძალზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, თუ ის მოვლენის სწორ ანალიზს ემყარება, თუ პრაქტიკის გონივრული განზოგადების შედეგია.

II. სამართლის ნორმის განმარტება მისი საშუალებების, ხერხის მიხედვით. განმარტების ხერხის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის განმარტებებს: 1. გრამატიკული; 2. ლოგიკური; 3. სისტემატიური და 4. ისტორიული.

გრამატიკული განმარტება ნიშნავს კანონის, სამართლის ნორმის აზრის, შინაარსის გაგებას, მასში უზუსტობის გარკვევას გრამატიკული ნესების დახმარებით. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ ენის გრამატიკული ნესების მოშველიება, რომელ ენაზეც არის დანერილი კანონი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სასვენი ნიშნების გამოყენებას, ისე სხვადასხვა კავშირებს („ან“, „და“, „გარდა“ და სხვა) და ტექნიკურ-იურიდიულ ტერმინებს („სამოქალაქო უფლებაუნარიანობა“, „სამოქალაქო ქმედუნარიანობა“, „მესაკუთრე“, „მფლობელი“ და სხვა).

ლოგიკური განმარტება ნიშნავს კანონის ისეთ განმარტებას, რომლის დროსაც ამ ნორმის აზრი დგინდება მასში მოცემული ცნებების

შინაარსისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნით. ეს განსაკუთრებით ხდება გამოსაყენებელი, როცა სამართლებრივ ნორმაში ნახმარ ცნებას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ დროს საჭირო ხდება ამ შინაარსის გააზრება და მისი სხვა ცნებებთან კავშირის ახსნით კანონმდებლის აზრის დადგენა.

სისტემატიური ახსნა-განმარტება გულისხმობს, რომ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა განხილული იქნეს სხვა ნორმებთან კავშირში, მათ სისტემაში და მისი აზრის გასაგებად გამოყენებული იქნეს ამ ნორმის დამოკიდებულება სხვა ნორმებთან, მისი ადგილი ნორმათა საერთო სისტემაში, ე. ი. სისტემატიური განმარტებით მოცემული ნორმის აზრი უნდა დადგინდეს სხვა ნორმათა სისტემაში მისი ადგილის გარკვევით. მაგალითად, როცა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ლაპარაკობს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობაზე, საჭიროა ეს ნორმა გავიგოთ სხვა ნორმებთან კავშირში, რომლებიც ამ თავშია თავმოყრილი, რათა შესაძლებელი გახდეს გავარკვიოთ სახელდობრ ვინ და რა შემთხვევაში ან რა ზომით აგებს პასუხს ზიანის მიყენებისათვის.

ისტორიული განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევას, მისი აზრის ამოხსნას იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაში და რა მიზნით იქნა გამოცემული ეს ნორმა. ისტორიული განმარტება არ შემოიფარგლება ამ ნორმის გამოცემის ისტორიის უბრალო შესწავლით. იმისათვის, რომ სწორად იქნეს გაგებული კანონი თუ სამართლის სხვა ნორმა, საჭიროა მისი მიღების ისტორიული ანალიზი, მისი მიზანი, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ნამდვილი არსი.

სამართლის ნორმის ისტორიული განმარტება საკმაოდ ხშირად გამოიყენება სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ბევრი ურთიერთობა ადრეულ წლებში წარმოიშობა (ვთქვათ, მეჩვიდრეობის გახსნა, მიღება, საკუთრების შექმნა ან შეწყვეტა და სხვა) და საჭირო ხდება იმ ნორმების გამოყენებაც, რომლებიც დავის გადანყვეტისას ძალაში შეიძლება აღარც კი იყოს, მაგრამ მისი ისტორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ დავის სწორად გადანყვეტა.

სამართლებრივი ნორმის განმარტების ყველა ხერხი და საშუალება ერთობლიობაში გამოყენებას მოითხოვს. არ შეიძლება ერთ, რომელიმე საშუალებას მივანიჭოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ გვინდა, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა შეუმცდარად მონესრიგდეს.

III. სამართლის ნორმის განმარტება მისი მოცულობის მიხედვით. არის შემთხვევები, როცა კანონის ტექსტი არ ემთხვევა მის ფაქტობრივ შინაარსს, ან სიტყვიერ ტექსტში უფრო მეტი შინაარსია მოცემული, ვიდრე თვით ამ სიტყვასიტყვითი ტექსტიდან ჩანს, ანდა პირიქით, ნორმის ტექსტი შეიძლება უფრო განვრცობითი იყოს, ვიდრე მისი შინაარსია. ამიტომ, საჭირო ხდება კანონის განმარტება მისი მოცულობის მიხედვით. ამ გაგებით განასხვავებენ სამართლის ნორმის ორგვარ განმარტებას: განვრცობით და შეზღუდვით განმარტებას.

განვრცობითი განმარტების დროს კანონის შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე მისი სიტყვიერი ტექსტი. მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 135-ე მუხლით, დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება. აქ ტექსტი შედარებით შემოკლებულია, ამ ნორმის განმარტებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, როდის ჩერდება ხანდაზმულობის ვადის დენა, სხვანაირად, ამ ნორმას ვერ გამოვიყენებთ და საკითხს სწორად ვერ გადავწყვეტთ.

კანონის შეზღუდვითი განმარტება გულისხმობს, რომ მისი ტექსტი სიტყვა-სიტყვით უფრო მეტია, ვიდრე ამ კანონში მოცემული აზრი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის ტექსტის მიხედვით, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამ შემთხვევაში ტექსტის სიტყვასიტყვითი გაგებით ყველა ასეთი იძულება ხდება გარიგების ბათილობის საფუძველი, მაგრამ ეს ნორმა ასეთ ფართო შინაარსს არ გულისხმობს. იმისათვის, რომ ასეთი

გარიგება ბათილად იქნეს ცნობილი, საჭიროა სხვა პირობაც – იმ პირის აქტივობა, რომლის სასარგებლოდაც იქნა ის დადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიგება ბათილად არ უნდა იქნეს ცნობილი. ამიტომ ეს ნორმა შეზღუდულად უნდა იქნეს განმარტებული, უფრო ვიწრო გაგებით, ვიდრე მის ტექსტშია გადმოცემული.

კანონის განვრცობითი განმარტება არ შეიძლება, როცა ამ კანონით გათვალისწინებულია რაიმე გარემოებათა ამომწურავი ჩამოთვლა ანდა დგინდება რაიმე გამონაკლისი საერთო წესიდან.

**კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.** სამართლის ნორმის განვრცობითი განმარტებისაგან უნდა განვასხვავოთ ამ ნორმის ანალოგია. განვრცობითი განმარტება გამოიყენება მაშინ, როცა კანონის აზრი მოიცავს ამა თუ იმ ურთიერთობის მოწესრიგებას, მაგრამ ეს პირდაპირ არ არის მის ტექსტში გამოხატული. თუ რომელიმე ფაქტი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, არა მარტო გამოხატული არ არის კანონის ტექსტში, არამედ არც მის შინაარსში იგულისხმება, მაშინ, ცხადია, არც ამ ნორმის განვრცობითი განმარტებით შეიძლება ამ ფაქტის მოწესრიგება. აქ საქმე გვაქვს კანონის ხარვეზთან, ე. ი. ფაქტი, ეს სამართლებრივი ურთიერთობა საერთოდ არ არის მოწესრიგებული. ამიტომ აქ საჭირო ხდება ანალოგიის გამოყენება ანუ მსგავსი ურთიერთობის მოწესრიგებელი ნორმის მოშველიება, რითაც თავისებურად შეივსება კანონის ხარვეზი. როგორც ვიცით, ანალოგია დაიშვება მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში ანალოგია არ მოქმედებს. იქ მხოლოდ ის ქმედება შეიძლება იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით და რომელიც დანაშაულად ითვლება. სამოქალაქო სამართალში კი ანალოგია გამოიყენება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლში ჩანერილია: „თუ არ არსებობს სადაო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ

არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად კანონს (სამართლის ანალოგია)”. სასამართლო ვალდებულია მონაწილეს გამოქალაქო ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ურთიერთობა გათვალისწინებული კანონით. სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ არის ჩანერილი: „სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე მაშინაც, როცა სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია“. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიის პრინციპი. კოდექსის მე-5 მუხლი პირდაპირ მიუთითებს: „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია), თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია)“.

როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არსებობს ანალოგიის ორი სახე: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

კანონის ანალოგია ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული კანონით, მოწესრიგდეს იმ სამართლებრივი ნორმით, რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს. ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობაში შეიძლება იყოს უფრო მეტი ხარვეზიც. რომელიმე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის რეგულირებისათვის არ არსებობს არა თუ სპეციალური, პირდაპირი ნორმა, არამედ არც მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამართლის ანალოგია. ასეთ დროს რომელიმე კონკრეტული მსგავსი ნორმა კი არ გამოიყენება, არამედ სამართლის საერთო საწყისები, სამართლის საერთო აზრი.

იმისათვის, რომ კანონის ანალოგია იქნეს გამოყენებული, საჭიროა სახეზე იყოს გარკვეული პირობები. სახელდობრ:

1. პირველყოვლისა, აუცილებელია, რომ შემთხვევას, ფაქტს, რომლის სამართლებრივი მონესრიგებაა საჭირო, ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა. თუ ამ ფაქტს იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ არა თუ კანონის ანალოგია, საერთოდ არ არის საჭირო კანონის გამოყენება;

2. აღნიშნული ფაქტი, შემთხვევა უშუალოდ არ უნდა იყოს გათვალისწინებული კანონში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენება არა ანალოგიური კანონი, არამედ ის ნორმა, რომელიც პირდაპირ არეგულირებს ამ ურთიერთობას.

3. უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც არეგულირებს ამ ურთიერთობის მსგავს ურთიერთობას. თუ ასეთი ნორმა არ არის, მაშინ არ შეიძლება მივმართოთ კანონის ანალოგიას. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის ანალოგია, კანონმდებლობის ზოგადი საწყისები.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ანალოგიის გამოყენება მართებულად უნდა ჩაითვალოს. თუ სისხლის სამართალი აწესრიგებს ისეთ ურთიერთობებს, რომელიც საზოგადოების ანომალიებს წარმოადგენენ და არ შეიძლება ქმედებისათვის პირს პასუხი ვაგებინოთ, თუ ეს ქმედება დანაშაულად არ ითვლება კანონით, განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო სამართალი უმთავრესად არეგულირებს ნორმალურ ურთიერთობებს, რაც სასარგებლოა საზოგადოებისთვისაც და პიროვნებისთვისაც. ასეთ ურთიერთობათა სფერო კი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ყველა მათგანის კანონის ჩარჩოებში მოქცევა. ამ ჩარჩოებით შეზღუდვა კი ხელს შეუშლის საზოგადოების განვითარებას, შეზღუდვას მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ინიციატივას, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას მოახდენს საზოგადოებრივ პროგრესზე. ამიტომ, სამოქალაქო



სამართლებრივი ურთიერთობების მოსანესრიგებლად გამოიყენება როგორც კანონის ანალოგია, ისე საერთოდ სამართლის ანალოგია. აქვე უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართლის ყველა სფეროში ანალოგია ერთნაირად არ შეიძლება გამოიყენებოდეს. სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის მესამე ნაწილში, მაგალითად, ნათქვამია, რომ სპეციალური ურთიერთობების მომნესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალოგიით. ნაკლებად ან თითქმის არ შეიძლება ანალოგიის გამოყენება სანიეთო, საოჯახო, ინტელექტუალური და სამემკვიდრეო სამართლის სფეროში, მაგრამ ვალდებულებითი სამართლის ცალკეულ სახეებში გვერდს ვერ აუწვლით ანალოგიას, რამდენადაც აქ იმდენგვარ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, რომ ყველა მათგანის კანონში ასახვა შეუძლებელია.

სამართლის ნორმის კოლიზია. ცხოვრებისეულ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა ერთიდაიგივე სახის ურთიერთობას სხვადასხვაგვარად ანესრიგებს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა. ამას ეწოდება სამართლის ნორმათა კოლიზია. კოლიზია გამორიცხულია სხვადასხვა იურიდიული ძალის ნორმატიულ აქტებში. სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ კანონქვემდებარე აქტი ეწინააღმდეგება კანონს, გამოყენებული უნდა იქნეს კანონი.

რაც შეეხება ერთიდაიგივე დონის სამართლებრივ ნორმათა კოლიზიას, ამ დროს, გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური და უფრო ახალი კანონი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი).

## §4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ

სამართლის ნორმების მოქმედება დროში. იმისათვის, რომ სწორად იქნეს გამოყენებული სამართლებრივი ნორმა, საჭიროა ვიცოდეთ მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ.

სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების დროში მოქმედება მოიცავს იმ პერიოდს, როცა ამ ნორმებს სავალდებულო ძალა აქვთ. ჩვეულებრივ, ეს პერიოდი იწყება ნორმის კანონიერ ძალაში შესვლიდან და გრძელდება მის გაუქმებამდე, ე.ი. ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. ამიტომ, სანამ სამართლებრივი ნორმის შეფარდება მოხდება, აუცილებელია გაირკვეს ძალაში იყო თუ არა ეს ნორმა იმ პერიოდისათვის, როცა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა. ეს ურთიერთობა უნდა მონესრიგდეს მხოლოდ იმ ნორმით, რომელიც ამ პერიოდისათვის მოქმედებს.

საერთო წესის მიხედვით, სამოქალაქო კანონი ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ამ კანონის მოქმედების დანყებიდან, ე.ი. ძალაში შესვლიდან და ის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ძველი კანონის მოქმედების დროს წარმოიშვნენ. მაშასადამე, ზოგადი წესის მიხედვით სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, ე.ი. ახალი კანონის ძალაში შესვლამდე აღმოცენებული ურთიერთობები ძველი კანონით უნდა მონესრიგდეს.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მისი ამოქმედების შემდეგ წარმოიშობა, ე.ი. 1997 წლის 25 ნოემბრის შემდეგ.

იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც 1997 წ. 25 ნოემბრამდე წარმოიშვნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა მათი შეცვლა, რასაც შედეგად მოჰყვა ახალი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, გამოიყენება ახალი კოდექსის ნორმები.

არის ურთიერთობები, რომელნიც განგრძობად ხასიათს ატარებენ, აღმოცენდნენ ძველი კანონის მოქმედებისას და გრძელდებიან ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც (ვთქვათ, ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, მიწის იჯარა და სხვა). ასეთ შემთხვევებში, ახალი კანონით ეს ურთიერთობები მონესრიგდებიან არა აღმოცენების დღიდან, არამედ ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი კანონი მოქმედებს იმ უფლება-მოვალეობებზე, რაც მისი ძალაში შესვლის შემდეგ წარმოიშობიან. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლი.

ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო კანონს უკუქცევითი ძალა არ გააჩნია, არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს გამონაკლისები. ეს გამონაკლისი კი პირდაპირ უნდა იქნეს მითითებული კანონში. სამოქალაქო კოდექსის მეექვსე მუხლის შესაბამისად „კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირაა კანონში გათვალისწინებული. არ შეიძლება მიეცეს კანონს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას“.

როგორც წესი, სამოქალაქო ნორმას უკუქცევითი ძალა ეძლევა მაშინ, როცა ამ ნორმით მონესრიგებული ურთიერთობა ადრე მოქმედი კანონით არ იყო მონესრიგებული. როგორც ვიცით, ახალმა კოდექსმა ბევრი ისეთი ურთიერთობა მოანესრიგა, რომელიც ადრე მოქმედი კანონმდებლობით არ იყო რეგულირებული სამართლებრივად. ამიტომ ასეთი ურთიერთობების მოსანესრიგებლად ახალ ნორმებს უნდა მიეცეთ უკუქცევითი ძალა. ამასთან, ამ კანონისათვის უკუქცევითი ძალის მისანიჭებლად აუცილებელი პირობაა, რომ მან ზიანი არ უნდა მოუტანოს პირს და არ გააუარესოს მისი მდგომარეობა.

სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი ურთიერთობები უნდა მონესრიგდეს ადრე მოქმედი აქტებით, თუ ამ ურთიერთობის

მონაწილენი არ გამოთქვამენ სურვილს, რომ ახალი კოდექსი იქნეს გამოყენებული ანდა თუ აზ კოდექსით დადგენილი არ არის ახალი წესები უძრავი ნივთების მიმართ.

სამოქალაქო კოდექსმა დაადგინა წესი, თუ როდის შედის ძალაში კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მისი გამოქვეყნების შემდეგ“. ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება კანონის გამოქვეყნება „საკანონმდებლო მაცნეში“ ან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. იგივე მესამე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

კანონით დადგენილი წესი ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის 68-ე და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 42-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცედურას, რომელთა მიხედვით კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

შეიძლება კანონი გამოქვეყნებისთანავე შევიდეს ძალაში, რაც მითითებული უნდა იყოს ამ კანონშივე, ანდა შესაძლებელია კანონი გამოქვეყნდეს მისი საყოველთაო გაცნობისათვის, მაგრამ თვით ამ კანონში უნდა იყოს გამოცხადებული, რომ მისი კანონიერ ძალაში შესვლა იწყება უფრო მოგვიანებით, ვთქვათ, მომავალი წლის პირელი იანვრიდან ან სხვა რომელიმე კონკრეტული თარიღიდან. ეს უმთავრესად ეხება ისეთ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც შედარებით დიდი მოცულობის არიან და საზოგადოებას დრო ესაჭიროება მათი გაცნობისათვის.

სამოქალაქო კოდექსით დადგენილია ის ნესიც, თუ როდის კარგავს ძალას მოქმედი კანონი. კოდექსის მე-3 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს ახალი კანონი ან ძველი კანონი ენიშნა მდებარეობა ახალ კანონს, ანდა ეს ახალი კანონი მოიცავს იმ ურთიერთობებს, რომელთაც ძველი კანონი აწესრიგებდა. თუ კანონი რაიმე ვადით არის მიღებული, ის ძალას დაკარგავს ამ ვადის გასვლის შემდეგ.

განსხვავებული წესია დადგენილი სპეციალური კანონების მიმართ. არ შეიძლება სპეციალური კანონი გაუქმდეს ზოგადი კანონის მიღებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გაუქმება წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს. ამის შესახებ გარკვევით არის მითითებული კოდექსის მე-3 მუხლის მეოთხე ნაწილში.

შესაძლებელია კანონი, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, თვითონ იქნეს გაუქმებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამით ამოქმედდება ის კანონი, რომელიც ამ კანონით გაუქმდა. თუ ეს საჭირო გახდება, ამის შესახებ პირდაპირ უნდა იქნეს მითითებული კანონში, რომელმაც ეს კანონი გააუქმა.

ამრიგად, სამოქალაქო კანონის თუ სხვა სამართლებრივი ნორმის დროში მოქმედება გულისხმობს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ეს კანონი იურიდიულ ძალას ინარჩუნებს და მას სავალდებულო ხასიათი ეძლევა. ასეთი პერიოდი კი მოიცავს დროის მონაკვეთს კანონის (ნორმის) ძალაში შესვლიდან მის გაუქმებამდე ანუ ძალის დაკარგვამდე, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში კი, როცა ამ კანონს იურიდიული ძალა მიენიჭება ადრე წარმოშობილი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, კანონის მოქმედების დროდ ეს პერიოდიც ითვლება.

სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქმედება სივრცეში. კანონი, სამართლებრივი ნორმა იურიდიულ ძალას ინარჩუნებს, მოქმედებს არა მარტო გარკვეულ დროში, არამედ გარკვეულ სივრცეში, ამა თუ იმ ტერიტორიაზე. კანონის სივრცეში მოქმედება

გულისხმობს ამ კანონისათვის იურიდიული ძალის მინიჭებას გარკვეულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში.

კანონის სივრცეში მოქმედების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელმა ორგანომ გამოსცა ეს კანონი. საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმები მოქმედებენ ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის ნორმები მოქმედებენ შესაბამისი ქალაქისა თუ რაიონის ტერიტორიაზე.

აღნიშნული ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს გამონაკლისი, რომლითაც ირღვევა კანონის სივრცეში მოქმედების წესი ამ კანონის გამომცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. სახელდობრ, ზოგჯერ თვით კანონში შეიძლება იყოს მითითებული, რომ ის მოქმედებს არა, ვთქვათ, მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ამ ტერიტორიის გარკვეულ ფარგლებში.

გარდა ამისა, შეიძლება კანონმდებელმა დაანესოს რომელიმე სამართლებრივი ნორმის სივრცეში მოქმედების სხვა შეზღუდვაც. მაგალითად, რომელიმე ნორმა შეიძლება მიიღოს ხელისუფლების თუ მმართველობის უმაღლესმა ორგანომ, მაგრამ ის განკუთვნილი იყოს არა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ, არამედ მის რომელიმე რეგიონში გამოსაყენებლად.

სამოქალაქო სამართლის ნორმების მოქმედება პირთა მიმართ. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების სწორი შეფასებისა და გამოყენებისათვის, გარდა იმისა, რომ საჭიროა დადგინდეს რა პერიოდში და რა სივრცეში მოქმედებს ეს ნორმა, აუცილებელია გაირკვეს, თუ ვის მიმართ, რომელ პირთა მიმართ არის განკუთვნილი ეს ნორმები.

სამოქალაქო კანონი, რომელიც მოქმედებს გარკვეულ დროსა და გარკვეულ სივრცეში, ე. ი. ამა თუ იმ პერიოდსა და ამა თუ იმ ტერიტორიაზე, როგორც წესი, გამოიყენება ყველა პირის მიმართ თანაბრად, ერთნაირი მოცულობით. ეს არის სამოქალაქო კანონის ზოგადი მოქმედება, რომლისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ არიან ეს პირები. ამასთან ერთად, ზოგიერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა გამოიყენება არა ყველა პირის მიმართ, არამედ პირთა გარკვეული წრის მიმართ. ამას ეწოდება სამოქალაქო ნორმათა სპეციალური მოქმედება. იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირები არაერთგვაროვანი და მრავალრიცხოვანი არიან, ზოგიერთი მათგანის მიმართ საჭირო ხდება გათვალისწინებული იქნეს მათი საქმიანობის თუ მდგომარეობის თავისებურება და დადგინდეს ისეთი ნორმა, რომელიც მათთან ურთიერთობას სპეციალურად მოაწესრიგებს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, არის ბევრი ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა, რომელიც განსაზღვრული, შეზღუდული რაოდენობის პირთა მიმართ გამოიყენება. ამასთან, ეს პირები შეიძლება იყვნენ როგორც მოქალაქენი, ისე იურიდიული პირები.

ასეთი ნორმები არის სამოქალაქო სამართლის ბევრ სფეროში. განსაკუთრებით ეს ითქმის საოჯახო სამართალზე, ინტელექტუალურ სამართალზე, მაგრამ არც სხვა სფეროშია ასეთი ნორმები გამორიცხვული (ვთქვათ, გარკვეული კატეგორიის პირებისათვის შეღავათების დანესება, ანდა სპეციალური უფლებების მინიჭება და სხვა.).

იმ პირთა დადგენა, რომელთა მიმართაც ვრცელდება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების მოქმედება, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან ხშირად თვით კანონის, ნორმის ტექსტში პირდაპირ არის მითითებული, თუ რომელი პირების მიმართ უნდა იქნეს ეს ნორმა გამოყენებული, ანდა კანონის შინაარსიდან იგულისხმება, თუ ვისზე

ვრცელდება ეს ნორმა. ყოველ შემთხვევაში, როცა გართულდება ნორმის ასეთი გამოყენება, რასაც იშვიათ შემთხვევაში ვხვდებით, უნდა გამოვიდეთ სამოქალაქო ნორმების ზოგადი მოქმედების პრინციპიდან, რომელიც სამართლებრივი ნორმების მოქმედების ძირითადი ფორმაა. ამ ნორმათა გამოყენება შეზღუდულად, სპეციალური ფორმით, მკაცრად განსაზღვრულ პირთა მიმართ დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კანონში, ანდა თვით ამ კანონის შინაარსის მიხედვით არ შეიძლება მისი მოქმედების განსაზღვრა ზოგადი ფორმით, აშკარად იგულისხმება, რომ ეს კანონი მიმართულია კონკრეტული კატეგორიის პირთა მიმართ.



# თავი IV. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა

§1. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი. §2. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები. §3. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა კლასიფიკაცია. §4. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა.

## §1. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება. სამოქალაქო სამართლის სრულყოფილი შესწავლა, მისი ყოველმხრივი გააზრება, არ შეიძლება მარტო სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების შესწავლით. აუცილებელია ეს ცოდნა შეივსოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შესწავლით, მისი არსის ახსნით, მისი თავისებურებების ანალიზით, ელემენტების გარკვევითა და კლასიფიკაციით, ასევე, ამ ურთიერთობათა წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლების გარკვევით.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა. სამართლებრივი ურთიერთობა კი, საერთოდ, არის სამართლით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ვიციტ, რომ ადამიანები და ორგანიზაციები თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დებენ სხვადასხვა გარიგებებს, შეიძენენ ან გაასხვისებენ ნივთებს, სარგებლობაში იღებენ ან გასცემენ ამ ნივთებს, ასრულებენ ან სხვას ასრულებინებენ

ამა თუ იმ მომსახურებით სამუშაოებს და ა. შ. ამით ისინი ერთმანეთთან ამყარებენ სხვადასხვა ურთიერთობებს. ეს ურთიერთობები არ შეიძლება სტიქიურად მიმდინარეობდნენ, ისინი სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა იყვნენ მოქცეული, რაც ამას გულისხმობს, რომ მის მონაწილეებს, ჰქონდათ გარკვეული უფლებები და მოვალეობები, რომელთა ძესრულება სახელმწიფოებრივი იძულებით მოხდება, როცა ისინი ნებით არ სრულდებიან. მაშასადამე, ეს ურთიერთობები სამართლებრივად უნდა იქნენ მონესრიგებული. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები, მათი სხვადასხვა ფორმის მიუხედავად (კანონი, ბრძანებულება, დადგენილება და სხვა) არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ე. ი. ურთიერთობებს ადამიანებს შორის. ამ რეგულირების პროცესში ეს ურთიერთობები იძენენ სამართლებრივ ფორმას და ამიტომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სახით გვევლინებიან.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამოქალაქო სამართლის ნორმით მონესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის ის ფორმა, რომლის მეშვეობითაც სამოქალაქო სამართლის ნორმა პრაქტიკულად ხორციელდება. როცა სამოქალაქო სამართლის ნორმა არეგულირებს ამა თუ იმ ქონებრივ ურთიერთობას, ეს ურთიერთობა იძენს სამოქალაქო სამართლებრივი ქონებრივი ურთიერთობის ხასიათს, როცა ეს ნორმა არეგულირებს საოჯახო ურთიერთობას, ეს ურთიერთობაც გვევლინება სამოქალაქო საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობად, ხოლო როცა სამოქალაქო სამართლის ნორმა არეგულირებს პირად არაქონებრივ ურთიერთობებს, ეს ურთიერთობებიც წარმოგვიდგებიან პირად არაქონებრივ სამართლებრივ ურთიერთობებად. ყველა შემთხვევაში ამ ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამოქალაქო სამართლის ნორმებით მონესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ანუ ურთიერთობა, რომლის მონაწილეებს აქვთ გარკვეული სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

ახალი სამოქალაქო კოდექსი „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის“ ნაცვლად ხმარობს „კერძო სამართლებრივი ურთიერთობას“ (მე-7, მე-8 მუხლები). უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინები ერთი და იგივე შინაარსის შემცველია და მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელია ვიხმაროთ „კერძო სამართლებრივი ურთიერთობა“, ლიტერატურაში უფრო მეტად ხმარობენ „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებს“. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა შედარებით ვიწრო შინაარსს მოიცავს, რადგან კერძო სამართალი სამოქალაქო სამართლით არ ამოიწურება, მაგრამ ეს ცნებები ერთმანეთს არ გამოირიცხავენ. მიუხედავად ამისა, უფრო მიზანშეწონილია ვიხმაროთ „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა“, რადგან სწორედ სამოქალაქო სამართლით მონესრიგებულ ურთიერთობებზეა ლაპარაკი. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ ვიხმაროთ როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, ისე უკვე დამკვიდრებული „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა“, მითუმეტეს, რომ ამით მისი შინაარსი არ იცვლება.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებანი. სამოქალაქო სამართალს უმთავრესად საქმე აქვს ისეთ ქონებრივ ურთიერთობებთან, რომელნიც საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის სფეროში არიან მოქცეული. ამიტომ მათი სამართლებრივი რეგულირება ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რაც თავისთავად აისახება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების პირველი თავისებურება ის არის, რომ ამ

ურთიერთობებში აისახება ეკონომიკური ბაზისისა და სამართლებრივი ზედნაშენის ერთიანობა, მათი კავშირი და ურთიერთზემოქმედება. სამოქალაქო ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის, როგორც განსაზღვრული მეცნიერული ცნების ღრუბულება სწორედ ის არის, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს, გამოყოს და ხაზი გაუსვას იმ მთავარ დამაკავშირებელ ნიშანს, რაც არსებობს ამ ურთიერთობის ბაზისური და ზედნაშენური ხასიათის ელემენტებს შორის. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მექანიზმის დახასიათებისათვის. სამართალმა არ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკაზე, თუ ამ სამართლებრივი ზედნაშენის ელემენტები არ იქნებიან დაკავშირებული იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის შემადგენლობაში შედიან. სამართლებრივი ზედნაშენისა და ეკონომიკური ბაზისის ეს კავშირი არის სწორედ ის რგოლი, რომელიც იწოდება სამოქალაქო-ქონებრივ სამართლებრივ ურთიერთობად. ამიტომ, ეს სამოქალაქო-ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა არის საზოგადოების სამართლებრივი ზედნაშენისა და ეკონომიკური ბაზისის სპეციფიკური ფორმა.

ასეთი კავშირის არსებობა ზოგიერთი ავტორის აზრით იმის საფუძველია, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არ უნდა იქნეს მიჩნეული იდეოლოგიურ ურთიერთობად. მაგალითად, ნ. დ. ეგოროვი აკრიტიკებს ი. კ. ტოლსტოის იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას იდეოლოგიურ ურთიერთობად მიიჩნევს<sup>1</sup>. ნ. დ. ეგოროვის ეს მოსაზრება სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა არ არის უბრალოდ საზოგადოებრივი ურთიერთობა, ის არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც სამართლებრივი ფორმითაა გამოხატული და დადგენილია სახელმწიფოებრივი ნებით.

<sup>1</sup> Гражданское право, под ред. Ю. К. Толстого и А. П. Сергеева, т. I, Санкт-Петербург, 1996, стр. 74.

ამიტომ ეს ურთიერთობა იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს და ამ შემთხვევაში სწორად უნდა ჩაითვალოს ი. კ. ტოლსტოის მოსაზრება<sup>1</sup>.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მეორე დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ეს ურთიერთობა რეგულირდება მხარეთა თანასწორობის საფუძველზე. ამიტომ, ეს ურთიერთობანი უპირატესად წარმოიშობიან მათ მონაწილეთა ნება-სურვილის შესაბამისად. მათგან ყველაზე გავრცელებული სახისაა ხელშეკრულება. ყოველგვარ ასეთ ურთიერთობაში მხარეები თანასწორუფლებიანი და ერთმანეთისაგან იურიდიულად დამოუკიდებელნი არიან. არც ერთ მათგანს არ შეუძლია უკარნახოს თავისი სურვილები მეორე მხარეს თავისი მდგომარეობის გამო. თუ რომელიმე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს მეორე მხარისაგან გარკვეული ქცევა, ეს გამოკვეთილია მათ შორის შეთანხმების დადებით ანდა თვით კანონის შესაბამისი მითითებით. მაგალითად, ზიანის მიყენების დროს მხარეები თანასწორუფლებიანი არიან, მაგრამ ვალდებულება თვით კანონის შინაარსიდან გამომდინარეობს და ის არ გამორიცხავს მხარეთა თანასწორობას.

თუ სამართლებრივ ურთიერთობაში თანასწორობის პრინციპი დაირღვა, ის უკვე აღარ იქნება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, როცა მოქალაქე ბინას ყიდულობს ან ყიდის ნებისმიერ პირზე. ეს არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, რადგან მყიდველიც და გამყიდველიც თანასწორ უფლებებში იმყოფებიან, მაგრამ როცა მოქალაქეს ბინა უნდა მისცეს რომელიმე ორგანომ ანდა რაიმე საკუთრება ჩამოერთვას მას კანონით დადგენილი წესით, ეს უკვე აღარ არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა. ეს ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ანდა სისხლის სამართლებრივი ურთიერთობაა.

<sup>1</sup> Толстой Ю.К. К теории правоотношения, Л. 1959, стр. 22, 30-31. «Советское гражданское право», т. I, Л. 1971, стр. 53.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს აქვთ თავიანთი სტრუქტურა, ანუ შემადგენელი ელემენტები. ასეთი ელემენტებია: სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, ობიექტები, მისი ფორმა და შინაარსი.

## **§2. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები**

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, პირველყოვლისა, შეუძლებელია ამ ურთიერთობის მონაწილე პირთა გარეშე. ეს ურთიერთობა ყოველთვის მყარდება მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთაც აქვთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. სწორედ ეს პირები, რომლებიც მონაწილეობენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, იწოდებიან ამ ურთიერთობის სუბიექტებად. ეს პირები შეიძლება იყვნენ, როგორც ცალკეული მოქალაქენი, ისე ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, განსაზღვრული კოლექტივები, მოქალაქენი, რომელნიც იწოდებიან ფიზიკურ პირებად. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს არა მარტო საქართველოს მოქალაქე, არამედ უცხოელი ანდა მოქალაქეობის არმქონე პირი, – თითოეული მათგანი ფიზიკური პირია.

ცალკეულ ინდივიდებთან ანუ ფიზიკურ პირებთან ერთად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულ პირად იწოდება. იურიდიული პირი წარმოადგენს ფიზიკურ პირთა ორგანიზებულ გაერთიანებას. საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში შეიძლება მონაწილეობდნენ უცხოელი იურიდიული პირებიც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

მე-8 მუხლის პირველ ნაწილში ჩანერილია: „კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ“.

ფიზიკურ და კერძო იურიდიულ პირებს გარდა, სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს. საქართველოს სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანოები და საჯარო იურიდიული პირები, რომლებიც ამ ფიზიკური და კერძო იურიდიული პირების თანაბრად მონაწილეობენ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. იმავე მე-8 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა მონესრიგდეს საჯარო სამართლით“.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ:

1. ფიზიკური პირები, მათ შორის საქართველოს მოქალაქენი, უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირები;
2. საქართველოსა და უცხოეთის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

ყველა ეს სუბიექტი სამოქალაქო კანონმდებლობაში აღინიშნება ერთიდაიგივე სახელწოდებით – „პირები“. თითოეული მათგანი კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში აღჭურვილია გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტები. სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია ობიექტი. ობიექტის გარეშე არ არსებობს ასეთი ურთიერთობა.

ჩვეულებრივ, რაიმე მოვლენის ობიექტად ითვლება ის, რაზედაც ეს მოვლენა არის მიმართული. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი

არის ის, რაზედაც მიმართულია ეს ურთიერთობა, ე. ი. რაც რეგულირდება ამ ურთიერთობით. სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი კი იქნება ის, რაზედაც მიმართულია ეს ურთიერთობა, ამ ურთიერთობათა სუბიექტების უფლებები და მოვალეობები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად „კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“.

ამრიგად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობა ადამიანთა შორის ყოველთვის მყარდება რაიმე მატერიალური, სულიერი თუ სხვა არამატერიალური სიკეთის გამო, ე. ი. ყველაფერ იმის გამო, რაც შეიძლება ემსახურებოდეს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ინტერესების დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი ეწოდება ყველაფერ იმას, რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა.

კერძო ქონებრივი ურთიერთობის სპეციფიკა ის არის, რომ მისი მონაწილენი თავიანთი ქცევით ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ერთმანეთზე, არამედ გარკვეულ მატერიალურ სიკეთეზე. პირველ შემთხვევაში, როცა ურთიერთობის მონაწილენი ერთმანეთზე ახდენენ ზემოქმედებას, საქმე გვაქვს ამ ურთიერთობის შინაარსთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ამ ურთიერთობით ზემოქმედებას ახდენენ განსაზღვრულ მატერიალურ სიკეთეზე, აქ უკვე სახეზე გვაქვს ამ ურთიერთობის ობიექტი. მაგალითად, ნარდი მუშაობის ხელშეკრულებაში მენარდისა და შემკვეთის ურთიერთობა ერთმანეთთან შეადგენს ამ ურთიერთობის შინაარსს, რაც წარმოიშობა ამ ხელშეკრულებიდან, მაგრამ როცა მენარდე ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს – ეს უკვე არის ამ ურთიერთობის ობიექტი.



განსხვავებით ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობისაგან, პირად არაქონებრივ ურთიერთობებში, ობიექტი არის ისეთი არამატერიალური სიკეთე, როგორცაა ღირსება, პატივი, საქმიანი რეპუტაცია, ადამიანის სახელი, იურიდიული პირის სახელწოდება და ა. შ. ყველა შემთხვევაში ნებისმიერ კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში ამ ურთიერთობის ობიექტად გვევლინება მის მონაწილეთა ქცევა, მიმართული რაიმე სიკეთისაკენ, რომელიც მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მათ ინტერესს შეადგენს.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამ ურთიერთობის ობიექტი ყოველთვის არის ნივთი<sup>1</sup>. ზოგიერთის აზრით კი, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს ქმნის ადამიანის ქცევა<sup>2</sup>. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებს მიეკუთვნებიან თვით მატერიალური, სულიერი და სხვა სიკეთე, ნივთები, შემოქმედებითი შრომის პროდუქტი, ადამიანთა მოქმედება, მოქმედების შედეგი და სხვა<sup>3</sup>. ნ. დ. ეგოროვი კი არც ერთ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მას მიაჩნია, რომ ადამიანთა ქცევა ერთმანეთის მიმართ არ შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, ის ამ ურთიერთობის შინაარსია, ხოლო სუბიექტთა ქცევა, რომელიც მიმართულია მატერიალური ან არამატერიალური სიკეთისაკენ, ამ ურთიერთობის ობიექტია<sup>4</sup>.

ჩვენი აზრით, არცერთი ასეთი კატეგორიული მოსაზრება მართებული არ არის, ცხადია, მარტო ნივთები არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად, მაგრამ არც ისაა სწორი, რომ

<sup>1</sup> Агарков М.М. Обязательства по сов. гражд. праву, М. 1940, стр. 22.

<sup>2</sup> Магазинер Я.М. Объект права, Л. 1967, стр. 66.

<sup>3</sup> Советское гражданское право. Под ред. В.Т. Смирнова, Ю.К. Толстого, А.К. Юрченко, т. I, Л. 1982, стр. 73-74.

<sup>4</sup> Гражданское право, под ред. Ю. К. Толстого и А. П. Сергеева, т. I, Санкт-Петербург 1996, стр. 79.

არც ეს ნივთი თუ არამატერიალური სიკეთე მივიჩნით ამ ურთიერთობის ობიექტად. სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მატერიალური ობიექტების (ნივთების) და სულიერი შემოქმედების ობიექტების გამო. ამიტომ, ეს ნივთები და ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტია. ამასთან, ასეთი ობიექტი შეიძლება იყოს გარკვეული სამუშაოს შესრულების შედეგი, როცა ეს შედეგი შეადგენს ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესს. ასეთი სამუშაოს შესრულების შედეგი შეიძლება გამოიხატებოდეს მატერიალური სახით, რაიმე ნივთის ფორმით, ანდა ასეთი მატერიალური ფორმის გარეშე, მოქმედებისაგან განუყოფლად (მაგალითად, საკონცერტო – საშემსრულებლო სამუშაო). ასეთ შემთხვევაშიც სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის სუბიექტის მოქმედება, რომელიც ქმნის სიკეთეს ამ სუბიექტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

ზოგიერთი ავტორის აზრით, სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივ ურთიერთობას არ შეიძლება ჰქონდეს ორი ან მეტი ობიექტი. ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს ი. კ. ტოლსტოი<sup>1</sup>. ო. ს. იოფეს აზრით კი, დასაშვებია სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას ჰქონდეს ორი ან მეტი ობიექტი<sup>2</sup>. უნდა დავეთანხმოთ მეორე შეხედულებას, რადგან არ შეიძლება შევზღუდოთ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების სფერო მხოლოდ ერთი ობიექტით, გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ობიექტი არაერთი ჰქონდეს ზოგიერთ ამ ურთიერთობას.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ფორმა. სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივ ურთიერთობას, ისევე როგორც ყოველგვარ მოვლენას, აქვს თავისი შინაარსი და ფორმა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების პროცესში ამ

<sup>1</sup> Советское гражданское право, Л. 1971; т. I, стр. 55.

<sup>2</sup> Советское гражданское право, М. 1967, стр. 216-217.

ურთიერთობის მონაწილეთა შორის ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები კი არ იქმნება, რომელსაც რაიმე ახალი შინაარსი მიეცემა, არამედ, ეს რეგულირება გამოიყენება მხოლოდ იმ შინაარსზე ზემოქმედებისათვის, რაც ამ ურთიერთობებშია მოცემული. ამიტომ სამართლებრივ ურთიერთობებში იგივე შინაარსია მოცემული, რაც იმ რეალურ ურთიერთობებშია მოთავსებული, რომელსაც ის არეგულირებს, მაგრამ ეს შინაარსი უკვე ექვემდებარება შესაბამის იურიდიულ ნორმებს და ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსი გამოიხატება ამ ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებში.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მისი მონაწილე უფლებამოსილია შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ხოლო მეორეს ეკისრება ამ უფლებამოსილების შესაბამისი ვალდებულება, ე. ი. ეს მონაწილეები ურთიერთზე მოქმედებას ახდენენ მათთვის მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად.

უფლება, რომელიც აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს – სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაა, ხოლო ამ უფლების შესაბამის მოვალეობას, რომელიც ამ ურთიერთობის მეორე მონაწილეს ეკისრება, – სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება ეწოდება.

სამოქალაქო უფლების შინაარსი გამოიხატება იმით, რომ კანონი ამ სუბიექტს ანიჭებს უფლებას თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და ასევე მოითხოვოს სხვა ვალდებული პირებისაგან გარკვეული ქცევა, რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.

აქედან გამომდინარე, სამოქალაქო უფლება შეიძლება განიმარტოს, როგორც სამოქალაქო კანონით უზრუნველყოფილი ამ უფლებით აღჭურვილი პირის შესაძლებლობა შეასრულოს გარკვეული ქცევა ან მოსთხოვოს შესაბამისი ქცევა ვალდებულ

პირებს, ამ კანონით აღიარებული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

რაც შეეხება სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების შინაარსს, ის გამოიხატება ვალდებულ პირთა ქცევაში, რაც მიმართულია უფლებით აღჭურვილი პირის კანონით დაცული ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამის შესაბამისად, სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულება შეიძლება განიმარტოს, როგორც სამოქალაქო კანონით უზრუნველყოფილი ვალდებულ პირთა გარკვეული ქცევა, რაც აუცილებელია უფლებამოსილ პირთა კანონით დაცული ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სამოქალაქო უფლება არ უნდა გაავიგივეოთ სამოქალაქო უფლებასთან ობიექტური გაგებით როგორც ეს რუსულ წყაროებში იხმარება. „ობიექტური უფლება“ ეს იგივე სამართალია და სიტყვათა დამატება „სუბიექტური და ობიექტური“ ტერმინის (право) ორგვარი მნიშვნელობით აიხსნება. ამიტომ სამოქალაქო უფლება ობიექტური გაგებით ანუ „ობიექტური უფლება“ სამოქალაქო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, ხოლო სუბიექტური სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტი. ასეთი უფლება და შესაბამისი ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის დროს, როგორც ამ ურთიერთობის შემადგენელი ელემენტი.

სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რაც ქმნის სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს, აქვთ ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა არ იცვლება, მაგრამ საჭირო ხდება ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის შეცვლა. ამას ცივილისტურ ლიტერატურაში ეწოდება უფლებამონაცვლეობა. ვთქვათ, ბინის ქირავნობის ხელშეკრულება მოქმედებს, მაგრამ დამქირავებლის ან გამქირავებლის უფლება-მოვალეობანი ერთი პირიდან გადადის მეორის სახელზე. აქ იცვლება ურთიერთობის სუბიექტი, ხოლო თვით

ურთიერთობა რჩება. ის პირი, ვისი უფლებებიც გადადის ახალ პირზე, ინოდება უფლების წინამორბედად, ხოლო ის, ვინც მიიღო ეს უფლებები – უფლებამემკვიდრედ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უფლებამონაცვლეობა შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: უფლებამონაცვლეობა არის ერთი პირის (უფლებანიმორბედის) უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა მეორე პირის (უფლებამემკვიდრის) ხელში, რომელიც ცვლის პირველს სამართლებრივ ურთიერთობაში<sup>1</sup>.

უფლებამონაცვლეობა შეიძლება იყოს კერძო ანუ სინგულარული და ზოგადი ანუ უნივერსალური.

კერძო (სინგულარულ) უფლებამონაცვლეობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა უფლებების და მოვალეობების გადასვლა ხდება ერთ რომელიმე სამართლებრივ ურთიერთობაში (ვთქვათ, ბინის ქირავნობის ხელშეკრულებები), ხოლო ზოგადი (უნივერსალური) უფლებამონაცვლეობა გულისხმობს შემთხვევას, როცა ერთი სუბიექტი ცვლის მეორეს რამდენიმე სამართლებრივ ურთიერთობაში (მაგალითად, მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეზე უფლებამოსილების გადასვლა ანდა რეორგანიზებულ იურიდიულ პირზე უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა).

სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები ყალიბდება გარკვეული სამართლებრივი ფორმით. ამ უფლებებისა და მოვალეობების თავისებურება ისაა, რომ ისინი ან ქონებრივი ხასიათისა არიან ან პირადი არაქონებრივი ხასიათისა. მაგალითად, საკუთრების უფლება ქონებრივი უფლებაა და ამ უფლებით აღჭურვილ პირს კანონით უზრუნველყოფილი აქვს უფლება ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მის კუთვნილ ნივთს. პატივისა და ღირსების უფლება პირადი არაქონებრივი უფლებაა და ამ უფლების მატარებელი

<sup>1</sup> ვრცლად იხილეთ: Б. Б. Черепяхин. Правопреемство по Советскому гражданскому праву, М. 1962

პირისთვის ასევე იურიდიულად უზრუნველყოფილია შესაძლებლობა მოითხოვოს მისი პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობების უარყოფა.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, პირველ რიგში ქონებრივი ურთიერთობები, ეკონომიკური შინაარსისაა და სამართლებრივი ერთიანობის ფორმით წარმოგვიდგებიან. ამ ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთზემოქმედება, რაც მის შინაარსს გულისხმობს, განუყოფელია მათი უფლებებისაგან და მოვალეობებისაგან ანუ ამ ურთიერთობის ფორმებისაგან. ეს მით უფრო ითქმის პირად არაქონებრივ ურთიერთობებზე, რომელთაც კავშირი არა აქვთ ქონებრივ ურთიერთობასთან, მათი ფორმა და შინაარსი კიდევ უფრო ერთიანია.

### **§3. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა კლასიფიკაცია**

ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები სხვადასხვა სახისაა, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სამოქალაქო სამართლის ნორმით რეგულირებული ურთიერთობები, როგორია ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს შორის კავშირის სტრუქტურა და რა საშუალებებით ხორციელდება სამოქალაქო უფლებით აღჭურვილ პირთა ინტერესების დაკმაყოფილება. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ შემდეგი სახის კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს: 1. ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობები; 2. შეფარდებითი და აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობები და 3. სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობები.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი. ქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება პირთა შორის მაშინ, როცა მოსაწესრიგებელია ქონებრივი ურთიერთობები, საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები — საოჯახო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ხოლო პირადი არაქონებრივი სამართლებრივი ურთიერთობა მაშინ, როცა ასეთი პირადი არაქონებრივი ურთიერთობის რეგულირება ხდება საჭირო. მაშასადამე, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დაყოფა ქონებრივ, საოჯახო და პირად არაქონებრივ სამართლებრივ ურთიერთობებად დამყარებულია სამოქალაქო სამართლის რეგულირების საგანზე. ამ ურთიერთობათა უმეტესი ნაწილი მიმართულია მის მონაწილეთა ქონებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ასეთია ყველა სანივთო სამართლებრივი ურთიერთობა, სხვადასხვა მატერიალური მომსახურების გამო წარმოშობილი ურთიერთობა და სხვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგებას. ასეთია ქორწინების ურთიერთობები, მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, ნათესაური ურთიერთობები, საალიმენტო ურთიერთობები, მეურვეობა და მზრუნველობა, ე. ი. საოჯახო ურთიერთობებიც შეიძლება იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი. ამიტომ, საოჯახო ურთიერთობის ცალკე სახედ გამოყოფა, ერთი შეხედვით, შეიძლება არ იყოს საჭირო, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ურთიერთობები ბევრი სპეციფიკურობით ხასიათდება, უფრო მართებულად მიმაჩნია, რომ ის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ცალკე სახედ იქნეს აღიარებული.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ასევე სერიოზული ადგილი უჭირავთ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. ასეთია ინტელექტუალური სამართლის წორმებით მონესრიგებული ურთიერთობები, კერძოდ, ავტორობის უფლება, ნაწარმოების

გამოცემის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, აღმოჩენის უფლება, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადების ავტორობა და სხვა პირადი არაქონებრივი უფლებები.

ქონებრივი ურთიერთობები განსხვავდება საოჯახო და პირადი არაქონებრივი ურთიერთობებისაგან. ქონებრივი უფლება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, საოჯახო და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები კი განუყოფელი უფლებებია, სხვა პირზე მათი გადაცემა არ დაიშვება. ქონებრივი ურთიერთობების დაცვა, როგორც საერთო წესი, წარმოებს ისევე ქონებრივი ვალდებულების შესრულებით ნივთის დაბრუნებით ან მიყენებული ზიანის ანაზღაურებით. საოჯახო და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კი განსხვავებული წესით ხორციელდება, თუმცა აქაც, საკმაოდ ხშირად ხდება ფულადი კომპენსაცია, მაგრამ ამ კომპენსაციით არ აღდგება დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლება, რისთვისაც საჭიროა სხვა ზომების მიღებაც (მაგალითად, გაზეთში გამოქვეყნებით პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობის უარყოფა და სხვა).

**აბსოლუტური და შეფარდებითი სამართლებრივი ურთიერთობები.** მონაწილეთა სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით კერძო სამართლებრივი ურთიერთობები შეიძლება იყოს შეფარდებითი და აბსოლუტური. აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობა ისეთი ურთიერთობაა, როცა ერთი უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებულება აკისრია ყველა სხვა პირს, ხოლო შეფარდებითია ისეთი სამართლებრივი ურთიერთობა, როცა უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებულება ეკისრება ერთ ან რამდენიმე ანუ განსაზღვრული რაოდენობის პირებს. აბსოლუტურ ურთიერთობაში არ არსებობს კონკრეტული ვალდებული პირი, ვინც უნდა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. ასეთი ვალდებულება ყველას, განუსაზღვრელ პირებს ეკისრებათ. შეფარდებით ურთიერთობებში კი სწორედ კონკრეტულად განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე პირს ეკისრება მოვალეობები.



აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობა სახეზე გვაქვს, მაგალითად, საკუთრების ურთიერთობაში, ავტორობის უფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობაში. უფრო ხშირად კერძო სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობიან შეფარდებითი ურთიერთობის სახით. თვით აბსოლუტური უფლების დარღვევისას, ნივთზე ხელყოფისას წარმოიშობა შეფარდებითი ურთიერთობა, კონკრეტული პირი ვალდებულია დააბრუნოს ნივთი ანდა აანაზღაუროს მისი დაზიანებით მიყენებული ზარალი. ასევეა ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, ქონების მიბარებისა და სხვა შემთხვევებში.

ზოგჯერ ურთიერთობების დაყოფა აბსოლუტურ და შეფარდებით ურთიერთობებად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც ამ ურთიერთობაში შერწყმულია როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი ურთიერთობების ხასიათი. მაგალითად, იჯარის ხელშეკრულება შეფარდებითი ხასიათისაა, რადგან კონკრეტულ პირს ეკისრება გარკვეული მოვალეობა, მაგრამ იგივე ხელშეკრულებით ყველა გარეშე პირიც ვალდებულია არ დაარღვიოს მეიჯარის უფლებები<sup>1</sup>.

**სანივთო და ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობები.** კერძო სამართლებრივი ურთიერთობები, იმის მიხედვით, თუ რა ხერხით, რა საშუალებით ხდება უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება, იყოფა სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებად. სანივთო სამართლებრივ ურთიერთობებში მისი მონაწილე უფლებამოსილი სუბიექტის ინტერესის დაკმაყოფილება ხდება ნივთზე უშუალო ზემოქმედების გზით ამ ნივთის სასარგებლო თვისების გამო. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი სუბიექტის ინტერესი კმაყოფილდება მისი საკუთარი მოქმედებით, ხოლო ყველა სხვა მესამე პირი ვალდებულია თავი შეიკავოს მოქმედებისაგან. ვალდებულებით

<sup>1</sup> უფრო ვრცლად იხილეთ: Райхер В.К. Абсолютное и относительное право, Л. 1928, стр. 276.

სამართლებრივ ურთიერთობაში კი უფლებამოსილი პირის ინტერესი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ვალდებული პირის განსაზღვრული მოქმედებით, რითაც გარკვეული მატერიალური სიკეთე მოაქვს ამ უფლებამოსილი პირისათვის. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სახეზე გვქონდეს ვალდებულ პირის აქტიური მოქმედება, რათა დაკმაყოფილდეს უფლებამოსილი პირის ინტერესები.

სამართლებრივი ურთიერთობის ასეთ დაყოფას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლებლობას იძლევა მოხდეს პირთა ქცევის სწორი, განსხვავებული იურიდიული რეგლამენტაცია სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში. სანივთო სამართლებრივი ურთიერთობა რეალიზდება თვით უფლებამოსილი პირის მოქმედებით. მისი იურიდიული ინტერესი სრულად იქნება დაკმაყოფილებული, თუ გარშემო მყოფთაგან წინ არავინ აღუდგება მის ქცევას. მაგალითად, მესაკუთრის ინტერესი დაცული და დაკმაყოფილებული იქნება სრულად, თუ გარშემო მყოფთაგან არავინ შეუშლის მას ხელს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ნივთს. ამიტომ, სანივთო სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირები ასრულებენ პასიურ როლს, მხოლოდ თავს იკავებენ რაიმე მოქმედების ჩადენისაგან. ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა კი რეალიზდება ვალდებულ პირთა განსაზღვრული მოქმედების შესრულებით. ამიტომ ასეთ ურთიერთობებში უფლებამოსილი პირთა ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მის სასარგებლოდ ვალდებულ პირთა მიერ რაიმე მოქმედების შესრულებით. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის დროს გამყიდველის ინტერესი დაკმაყოფილდება მხოლოდ მაშინ, როცა მყიდველი გადაუხდის მას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, ე. ი. ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირები ასრულებენ გარკვეულ აქტიურ მოქმედებას, რითაც მატერიალური სიკეთე მოაქვთ უფლებამოსილი პირისათვის.

სანიეთო უფლებაა საკუთრების უფლება. სანიეთო სამართლებრივი ურთიერთობა არის აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობა, ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობა კი შეფარდებითი.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა დაყოფა სანიეთო და ვალდებულებით ურთიერთობებად არ არის ყველა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მომცველი. აქ არ შედის ისეთი აბსოლუტური ურთიერთობები, როგორცაა საოჯახო და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები. ამიტომ ეს დაყოფა მოიცავს მხოლოდ სანიეთო სამართალს და ვალდებულებით სამართალს.

#### **§4. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა**

იურიდიული ფაქტის ცნება. სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დაკავშირებულია გარკვეული გარემოებების არსებობასთან. ამისათვის საკმარისი არ არის მარტო ის, რომ არსებობენ სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ამ ურთიერთობებს აწესრიგებენ. ეს ნორმები მხოლოდ ითვალისწინებენ იმ გარემოებებს, რომლებიც იწვევენ ასეთი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ეს გარემოებებია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც კანონი უკავშირებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, დაზღვეული ნივთის განადგურება წარმოშობს სადაზღვევო ვალდებულებას, ხოლო ეს განადგურება დაზღვევის წესებით გათვალისწინებული გარემოებაა (მაგალითად, ხანძარი).

გარემოებებს, რომლებიც ნორმატიული აქტების შესაბამისად, იწვევენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების

წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, ეწოდებათ იურიდიული ფაქტები.

იურიდიული ფაქტები სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი ურთიერთობების დამკავშირებელი რგოლია. ამ იურიდიული ფაქტის გარეშე არ წარმოიშობა, არ შეიცვლება და არ შეწყდება არც ერთი სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობა რომ წარმოიშვას, საჭიროა ხელშეკრულების დადება, მემკვიდრეობა რომ გაიხსნას, ამისათვის საჭიროა სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალება, ვინაიდან იურიდიული ფაქტების გარეშე არ შეიძლება წარმოიშვას, შეიცვალოს ან შეწყდეს სამართლებრივი ურთიერთობა. ლიტერატურაში იურიდიულ ფაქტებს უწოდებენ ამ სამართლებრივ ურთიერთობათა საფუძველს.

კერძო სამართლებრივი შედეგი ზოგჯერ შეიძლება დადგეს ერთი იურიდიული ფაქტის საფუძველზე, ზოგჯერ კი, აუცილებელია რამდენიმე იურიდიული ფაქტის არსებობა. იურიდიულ ფაქტს, რომელიც, ცალკე აღებული, არის საკმარისი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის, ეწოდება მარტივი იურიდიული ფაქტი. იურიდიული ფაქტების ერთობლიობას კი, რომელთა შედეგადაც წარმოიშობა სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ურთიერთობა, ლიტერატურაში უწოდებენ რთულ იურიდიულ ფაქტს ან რთულ იურიდიულ შემადგენლობას. მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის ავტორობისათვის საკმარისია ერთი იურიდიული ფაქტი – ამ ნაწარმოების შექმნა, ხოლო აღმოჩენის თუ გამოგონების ავტორობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის, მარტო აღმოჩენის ან გამოგონების ფაქტი საკმარისი არ არის, აუცილებელია აგრეთვე მათი გაფორმება სათანადო წესით შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებში.

იურიდიული ფაქტების კლასიფიკაცია სამოქალაქო სამართალში. იურიდიული ფაქტი, რომელიც კერძო სამართლებრივი

ურთიერთობის საფუძველია, ძალზე მრავალრიცხოვანი და მრავალგვარია. იმისათვის, რომ განვსხვავოთ ისინი ერთმანეთისაგან, გავარჩიოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებანი და გავაადვილოთ მათი გამოყენება ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების თუ სამართლებრივი ორგანოების მუშაკთა მიერ, საჭიროა მათი კლასიფიკაცია, ცალკეულ სახეებად დაყოფა.

სამოქალაქო სამართალში ყველა იურიდიული ფაქტი იყოფა ორ ძირითად სახედ: **ხდომილებებად და მოქმედებებად.**

**ხდომილება** არის ისეთი გარემოება, რომელიც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად ვითარდება. ამას უმთავრესად მიეკუთვნება ბუნებრივი მოვლენები: დაბადება, გარდაცვალება, სტიქიური უბედურება და სხვა.

**მოქმედება** – ეს არის ადამიანის ქცევა მისი ნების შესაბამისად, ე. ი. მოქმედება არის ნებითი აქტი, რომელსაც კანონი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას თუ შეწყვეტას.

ხდომილება შეიძლება იყოს არამართო ბუნებრივი მოვლენის, არამედ ადამიანის მოქმედების შედეგიც (მაგალითად, ხანძრის გაჩენა რომელიმე ფიზიკური პირის მიერ), მაგრამ ამით არ იცვლება მისი იურიდიული ხასიათი, ის მაინც არის ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად განვითარებული გარემოება, თუნდაც რომ ხანძრის გამჩენი დაინტერესებული იყოს დაზღვეული ქონების განადგურებით.

ყველა შემთხვევაში ხანძარი არანებელობითი აქტია და ხდომილებად უნდა ჩაითვალოს. ადამიანის მოქმედება კი, რაც არ უნდა იყოს ამ მოქმედების მიზანი, არის ნებითი აქტი. თუმცა გამორიცხული არ არის ხანძრის გაჩენაც ნებითი აქტი იყოს, პირმა შეგნებულად წაუკიდოს ცეცხლი ვინმეს ქონებას და გაანადგუროს. ამ შემთხვევაში ხანძარი მოქმედებად ჩაითვლება და არა ხდომილებად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ხდომილება და მოქმედება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. კერძო სამართლებრივი შედეგი

დადგება ხდომილების თუ მოქმედების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შედეგის დადგომა გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმით. იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართალი არეგულირებს ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა მოქმედებაც საფუძვლად უდევს ამ ურთიერთობებს, ბუნებრივია, რომ იურიდიული ფაქტების უმრავლესობას საფუძვლად უდევს მოქმედებები.

მოქმედებებისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ისინი ნებითი ხასიათის აქტებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ მაინც ახასიათებთ არაერთგვაროვნება, განსხვავებული სპეციფიკური ნიშნები. ამიტომ, საჭირო ხდება ამ მოქმედებათა კლასიფიკაციაც.

სახელდობრ, მოქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერი და არამართლზომიერი. მართლზომიერია ისეთი მოქმედება, რომელიც ემყარება სამართლებრივ ნორმებს. იურიდიულ მოქმედებათა უმრავლესობა სწორედ მართლზომიერია. ასეთია მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებები და სხვა გარიგებები, ადმინისტრაციული აქტები, რომელთაც კერძო სამართლებრივი ხასიათი აქვთ, ინტელექტუალური შემოქმედება და სხვა მართლზომიერი მოქმედებები. არამართლზომიერია ისეთი მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის თუ სხვა ნორმატიული აქტის მოთხოვნას. არამართლზომიერი მოქმედება, იმის გამო, რომ კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება, ამავე კანონით ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს სამართალდამრღვევის მიმართ. ასეთია, მაგალითად, ზიანის მიყენებით წარმოშობილი ვალდებულება. ზიანის მიმყენებელი მოქმედებს კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ და ამავე კანონითაა ის ვალდებული აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

სამოქალაქო სამართალში, მართალია, წამყვანი ადგილი მართლზომიერ მოქმედებებს უჭირავთ, მაგრამ იურიდიული მნიშვნელობით ისინიც არ არიან ერთგვაროვანი. ასეთი იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით, მართლზომიერი მოქმედებები იყოფიან იურიდიულ აქტებად და იურიდიულ საქციელად.

იურიდიული აქტი ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ მაშინ, როცა ასეთი შედეგი ამ მოქმედების სპეციალურ მიზანს შეადგენს. ე. ი. ამ მოქმედებაში სამართლებრივი შედეგის დადგომა პირის უშუალო მიზანია. იურიდიული საქციელი კი არის ისეთი მართლზომიერი მოქმედება, როცა სამართლებრივი შედეგი დგება პირის ნებისაგან დამოუკიდებლად, ზოგჯერ ამ ნების სანინაალმდეგო განზრახვით.

იურიდიულ საქციელს მიეკუთვნება შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებები, ხდება აღმოჩენა, გამოგონება. აქ საკმარისია მხოლოდ პრაქტიკული მოქმედება, რათა შეიქმნას ნაწარმოები, მაგრამ ამ დროს ავტორი არ ფიქრობს რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება ამ ნაწარმოების შექმნას. ასევე არის ნივთის პოვნა. დაკარგული ნივთის პოვნა წარმოშობს მისი დაბრუნების ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, ამის სურვილი აქვს თუ არა მის მპოვნელს.

იურიდიული აქტებიც ორი სახისაა: ადმინისტრაციული აქტი და გარიგება.

ადმინისტრაციული აქტი, განსხვავებით სამართლის ნორმისაგან, რომელსაც ზოგადი ხასიათი აქვს, ინდივიდუალური აქტია, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირების მიმართ იმისათვის, რომ მათ შორის დამყარდეს გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთი აქტები უმთავრესად წარმოშობენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ შედეგებს, მაგრამ არის ზოგიერთი ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ინვეეს სამოქალაქო სამართლებრივი შედეგის წარმოშობას, ამიტომ ასეთი აქტები სამოქალაქო სამართლის შესწავლის საგანია. მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბინაზე ორდერის გაცემა არის ადმინისტრაციული აქტი, მაგრამ ის არა მარტო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს ამ ადმინისტრაციასა და საბინაო ორგანოს შორის, არამედ სამოქალაქო

(კერძო) სამართლებრივ ურთიერთობასაც, როცა საბინაო ორგანოსა და ბინის მიმღებ მოქალაქეს შორის დაიდება ბინის ქირავნობის ხელშეკრულება.

რაც შეეხება გარიგებას, განსხვავებით ადმინისტრაციული აქტისაგან, ის ყოველთვის მიმართულია სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. სამოქალაქო ურთიერთობები უმთავრესად სწორედ გარიგებების საფუძველზე წარმოიშობიან. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, „გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“. გარიგება, პირველყოვლისა, არის მოქმედება, რომელიც იწვევს გარკვეულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობას. ასეთია სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები (ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, სესხი, ქირავნობა, იჯარა და სხვა), კონკურსის გამოცხადება, ანდერძი და სხვა მართლზომიერი მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მიერ იმ მიზნით, რომ წარმოიშვას გარკვეული სამართლებრივი შედეგები.

გარიგების დადებისათვის აუცილებელია მის მონაწილეთა ნების გამოვლენა. ზოგიერთი გარიგებისათვის საკმარისია ერთი მხარის ნების გამოვლენა, ამიტომ ასეთ გარიგებას ცალმხრივი გარიგება ეწოდება, ხოლო გარიგებათა უმრავლესობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის ნების გამოვლინება. ასეთ გარიგებებს ეწოდებათ ორმხრივი ანუ მრავალმხრივი გარიგებები ანუ ხელშეკრულებები.

ადმინისტრაციული აქტებისა და გარიგებებისათვის საერთოა ის, რომ ორივე მართლზომიერი მოქმედებაა და ორივე მიმართულია სპეციალურად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისაკენ. ამით ისინი, როგორც იურიდიული აქტები, განსხვავდებიან იურიდიული საქციელისაგან.

ამასთანავე, გარიგებები და ადმინისტრაციული აქტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარკვეული თავისებურებებით.



ასეთი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემენ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც უშუალოდ არ არიან ამ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი. გარიგების მონაწილენი კი უშუალოდ არიან სამოქალაქო სამართლის სუბიექტები. ცივილისტურ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ გარიგებისა და ადმინისტრაციული აქტის განმასხვავებელ კიდევ ორ ნიშანს: 1. ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ხელისუფლების ან მმართველობის ორგანო; 2. ეს აქტი ყოველთვის წარმოშობს განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ შედეგებს.<sup>1</sup> ასეთი მოსაზრება არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს რადგან, როცა ლაპარაკია ადმინისტრაციულ აქტზე, რომელიც სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, ეს არ არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული აქტი. მასში სწორედ ისეთი აქტი იგულისხმება, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობს და ის, თავისი მიზნით არ განსხვავდება გარიგებისაგან.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალში იურიდიული ფაქტები, ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი ორი სახისაა: ხდომილებები და მოქმედებები. მოქმედებები კი, თავის მხრივ, იყოფიან: 1. მართლზომიერი და არამართლზომიერი მოქმედებები; 2. იურიდიული აქტები და იურიდიული საქციელი; 3. ადმინისტრაციული აქტები და 4. გარიგებები.

იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართალი უმთავრესად ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობაზეა დამყარებული, ხოლო ამ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველი არის გარიგება, ეს სამი საკითხი სპეციალურად არის მონესრიგებული სამოქალაქო კოდექსით და, ბუნებრივია, ჩვენც მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

---

<sup>1</sup> Гражданское право I, под ред. Ю. К. Толстого и А. П. Сергеева. Санкт-Петербург, 1996, стр. 85. Советское гражданское право, том I, Л. 1971, стр. 64, Иоффе О.С. Советское гражданское право, М. 1967, стр. 251

# თავი V

## ფიზიკური პირები როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

§1. სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება. §2. ფიზიკურ პირთა უფლებანაარჩანობა და ქმედუნარჩანობა. §3. ფიზიკური პირის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები. §4. ფიზიკურ პირთა უგზო-უკელოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება.

### §1. სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება

ფიზიკური პირის ცნება. იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება ხდება სამოქალაქო სამართლის ნორმებით, როცა ლაპარაკია ასეთი ურთიერთობის სუბიექტსა თუ ობიექტზე, ცხადია, აქ იგულისხმება სამოქალაქო სამართლის სუბიექტები და ობიექტები. ამიტომ სამეცნიერო ცივილისტურ ლიტერატურაში ცნებათა სიმარტივისათვის იხმარება „სამოქალაქო სამართლის სუბიექტები და ობიექტები“, ნაცვლად სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისა და ობიექტებისა. ეს მოსაზრება ერთი შეხედვით შეიძლება არასწორად მოგვეჩვენოს, რადგან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებში ბევრი ორგანიზებული დანაყოფი (ფილიალი, წარმომადგენლობა, სამინისტრო) მონანილეობს, რომლებიც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები არ არიან, მაგრამ ისინი არც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად ითვლებიან, რადგან იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ, ამ ურთიერთობებში მონანილეობენ არა თავიანთი, არამედ იმ იურიდიულ პირთა სახელით, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან. სწორედ ამიტომაც, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი

დასათაურებულა: „კერძო სამართლის სუბიექტები“, ხოლო მის დისპოზიციაში კი ნათქვამია: „კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი“. მაშასადამე კოდექსიც ერთი და იგივე შინაარსით ხმარობს ამ ცნებებს.

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა, პირველყოფლისა, არის ურთიერთობა ადამიანებს შორის. ამიტომ მისი სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადამიანები. როცა ურთიერთობა ორ მოქალაქეს შორის მყარდება, უდაოა, რომ ამ ურთიერთობის მონაწილენი ადამიანები არიან, მაგრამ ზოგჯერ ამ ურთიერთობაში ორგანიზაციებიც მონაწილეობენ. მიუხედავად ამისა, ეს ურთიერთობებიც ადამიანთა შორის ურთიერთობებია, მაგრამ ამ ურთიერთობებში სუბიექტებად გამოდიან არა ცალკეული ინდივიდები, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი წარმონაქმნები, ადამიანთა ორგანიზებული კოლექტივები.

მაშასადამე, სამოქალაქო სამართალში სუბიექტებად ითვლებიან ან ცალკე ინდივიდები, ან ორგანიზებული კოლექტივები. ინდივიდებს კანონმდებელი უწოდებს ფიზიკურ პირებს, ხოლო ორგანიზებულ კოლექტივებს იურიდიულ პირებს. ზოგჯერ სამოქალაქო სამართალში სუბიექტად გვევლინება თვით სახელმწიფო.

ცნება „ფიზიკური პირი“ ნლების მანძილზე მიუღებლად ითვლებოდა საბჭოთა ცივილისტურ ლიტერატურაში. საბჭოთა პერიოდის შრომებში თითქმის ყველა მკვლევარი ფიზიკური პირის ნაცვლად ხმარობდა „მოქალაქეს“. ასე იყო კანონმდებლობაშიც. ამას ასაბუთებდნენ იმ მოსაზრებით, რომ ტერმინი „ფიზიკური პირი“ უხერხული და მიუღებელია, რადგან ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ადამიანი სუბიექტი ხდება არა მისი საზოგადოებრივი თვისებების გამო, როგორც საზოგადოების წევრი, არამედ მისი ბუნებრივი თვისებების გამო, როგორც ფსიქობიოლოგიური პიროვნება<sup>1</sup>. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა კი „მოქალაქის“ ნაცვლად იხმარა „ფიზიკური

<sup>1</sup> იხ. Братусь, Субъекты гражданского права, стр. 32.

პირი". ეს უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მისი იურიდიული შინაარსი უფრო ზუსტია. თუ ვიტყვით, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტი მოქალაქეა, გამოდის, რომ ასეთი სუბიექტი არ არის ის, ვისაც მოქალაქეობა არა აქვს, მაშინ როცა მოქალაქეობის არმქონე პირებიც შეიძლება იყვნენ ასეთი სუბიექტები. გარდა ამისა, როცა ვამბობთ, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტი მოქალაქეა, დაზუსტებას მოითხოვს, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა საუბარი, საქართველოს მოქალაქეზე თუ უცხოელზე. ამიტომ სამოქალაქო სამართალში „სუბიექტის“ ცნებას უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს „ფიზიკური პირი“ და სწორად ხმარობს მას სამოქალაქო კოდექსი.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს ცალკე ინდივიდი, ფიზიკური პირი, რომელიც გულისხმობს არა მარტო საქართველოს მოქალაქეს, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქესაც და მოქალაქეობის არმქონე პირსაც, ასევე ინდივიდთა, ფიზიკურ პირთა სხვადასხვა კოლექტიური გაერთიანებები, რომელთაც იურიდიული პირები ეწოდებათ. გარდა ამისა, ზოგჯერ ასეთ სუბიექტად, შეიძლება გამოდიოდეს თვით სახელმწიფო, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნები.

ყველა სუბიექტი სამოქალაქო კანონმდებლობაში იწოდება „პირებად“. სამოქალაქო კოდექსის პირველივე კარი სწორედ პირებს ეძღვნება.

**სამართალსუბიექტობა.** იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება, პირველყოვლისა უნდა განვსაზღვროთ სამართალსუბიექტობის ცნება. ყველა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში სუბიექტებს, ვიდრე ერთმანეთთან კავშირს დაამყარებდნენ, მათთვის დამახასიათებელი, გარკვეული თვისებები აქვთ. სწორედ სამართალსუბიექტობა განსაზღვრავს, თუ რა თვისებებისა არიან ეს სუბიექტები, რომლის მიხედვითაც მათ შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. ამ

თვისებების განსაზღვრა, მიზნით არის შემოღებული ტერმინი „სამართალსუბიექტობა“.

სამოქალაქო სამართალში სამართალსუბიექტობა დაკავშირებულია ისეთ თვისებებთან, როგორცაა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. პირთა (ფიზიკურ და იურიდიულ პირთა) უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა არის ის დამახასიათებელი თვისება, ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მათ სამართალსუბიექტობას, ანუ იმას — ჩათვალონ თუ არა ისინი სამოქალაქო სამართლის სუბიექტებად.

ზოგიერთ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში ფიზიკური პირი ყოველთვის შეიძლება გამოდიოდეს როგორც სუბიექტი, დაბადებიდან გარდაცვალებამდე (მაგალითად, მემკვიდრეობის მიღება, ნივთის მესაკუთრედ ცნობა, სახელის უფლება და სხვა), მაგრამ უმეტეს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში იმისათვის, რომ პირი სუბიექტად ჩაითვალოს, საჭიროა გარკვეული თვისებების არსებობა. სწორედ ამისათვის არის შემოღებული სამოქალაქო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებები.

სამოქალაქო უფლებაუნარიანობა ნიშნავს პირის უნარს იქონიოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ხოლო ქმედუნარიანობა არის უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს ეს უფლებები და მოვალეობები. უფლებაუნარიანობა ადამიანს აქვს დაბადებიდან გარდაცვალებამდე, ხოლო ქმედუნარიანობა ნარმოიშობა, როგორც წესი, პირის გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, სრული მოცულობით კი 18 წლის ასაკიდან, ე. ი. სრულწლოვნებიდან. უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განცალკევებულად შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ მოქალაქეებს, კერძოდ, უფლებაუნარიანობა მათ უფრო ადრე ნარმოეშობათ, ვიდრე ქმედუნარიანობა, ხოლო იურიდიულ პირებს, უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განუყოფლად აქვთ, ერთდროულად ნარმოეშობათ და შეუნყდებათ.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართალსუბიექტობა არ შეიძლება განცალკევებულად განვიხილოთ სხვადასხვა სუბიექტისათვის. სამართალსუბიექტობის ცნება მოიცავს სამოქალაქო სამართლის ყველა სუბიექტს. იურიდიული პირებიც ხომ ფიზიკური პირების, ინდივიდების გაერთიანებაა. ადამიანი, რომელსაც აქვს უფლებაუნარიანობა, მაგრამ ასაკის გამო არ ითვლება ქმედუნარიანად, მართალია, პიროვნულად არ შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, მაგრამ თავისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი) მეშვეობით მას შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები და მოვალეობები, ე. ი. ამ გაგებით სამოქალაქო სამართალსუბიექტობა გულისხმობს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობას<sup>1</sup>.

იმისათვის, რომ სუბიექტი ჩაითვალოს სამოქალაქო სამართალსუბიექტობის მქონედ, საკმარისი არ არის ჰქონდეს მხოლოდ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სამართალსუბიექტობა არის უფლებების აუცილებელი ნანამძღვარი. მათი წარმოშობისათვის აუცილებელია გარკვეული იურიდიული ფაქტი, რაც საფუძვლად დაედება ამ კონკრეტულ სამოქალაქო უფლებას თუ მოვალეობას. მაგალითად, მოქალაქე შეიძლება აბსტრაქტულად, პოტენციურად იყოს საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე, მაგრამ იმისათვის, რომ ის რეალურად გახდეს ასეთი სახლის მესაკუთრე, საჭიროა რაიმე იურიდიული ფაქტის არსებობა, რომ ის მესაკუთრე გახდეს რეალურად, ე. ი. უნდა ააშენოს ეს სახლი, უნდა იყიდოს ან მემკვიდრეობით თუ ჩუქებით მიიღოს. ამით იქცევა აბსტრაქტული უფლება რეალურ უფლებად.

სამართალსუბიექტობა ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს ზოგადად აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს გარკვეული უფლებები და მოვალეობები. სამართალსუბიექტობა, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ის მაინც კანონითაა

<sup>1</sup> Братуся С.Н. Субъекты гражданского права, М. 1950, сир. 6

დადგენილი. ამიტომ ის შაინც ადამიანთა ნებისაგან, მათი მოქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. უფლებაუნარიანობის თუ ქმედუნარიანობის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. ეს შეზღუდვები შეიძლება დაკავშირებული იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ანდა რაიმე სანქციასთან სამართალდარღვევის გამო, მაგალითად, დანაშაულთან დაკავშირებით რაიმე საქმიანობის აკრძალვა, ქონების ჩამორთმევა და სხვა.

სამართალსუბიექტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცალკეული სუბიექტის ინდივიდუალურ ნიშნებთან. ეს ნიშნებიც განსხვავებულია სხვადასხვა სუბიექტისათვის. მაგალითად, მოქალაქის ინდივიდუალური ნიშანია მისი სახელი, საცხოვრებელი ადგილი, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები; იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშანია საფირმო სახელწოდება, რეგისტრაციის ადგილი, სასაქონლო ნიშნები და ა. შ. სახელმწიფოს ინდივიდუალიზაცია ხდება მისი ტერიტორიის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებით და ა. შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება. სამოქალაქო სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის დროს აღჭურვილია სამოქალაქო უფლებაუნარიანობით და სამოქალაქო ქმედუნარიანობით. ასეთი პირი, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

## §2. ფიზიკურ პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

ფიზიკურ პირთა უფლებაუნარიანობა. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა—უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები—ნარმოიშობა დაბადების მომენტიდან. უფლებაუნარიანობის შინაარსი გულისხმობს ყველა იმ უფლებისა და მოვალეობის კომპლექსს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პირს სამოქალაქო კანონმდებლობით. პირის უფლებაუნარიანობა აბსტრაქტული და განუყოფელია. იგივე მე-11 მუხლის მე-4 ნაწილში ნათქვამია, რომ არ შეიძლება ფიზიკურ პირს ნაერთვას უფლებაუნარიანობა.

უფლებაუნარიანობა არ შეიძლება გავაიგივოთ პირის კონკრეტულ უფლებებთან. „უფლებაუნარიანობა ზოგადი ინსტიტუტია და იგი კონკრეტული უფლების შინაარსზე გავლენას ვერ ახდენს. უფლება-ყოველთვის კონკრეტულია იმ გაგებით, რომ იგი ყოველთვის უკავშირდება ან კონკრეტულ პიროვნებას ან კონკრეტულ ურთიერთობას. იმ შემთხვევებშიც, როცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანად მიიჩნევს ყველას, მიუხედავად მოქალაქეობისა, არ არის გამორიცხული, რომ უცხოელებს განსაზღვრული უფლებები შეეზღუდოთ. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონით უცხოელებს არა აქვთ უფლება საკუთრებაში ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამით ირღვევა ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი. რა თქმა უნდა, არა. უცხოელს კი არ ერთმევა უფლება იყოს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ჰქონდეს სამოქალაქო უფლება-მოვალეობები, მას მხოლოდ კონკრეტული უფლება აქვს შეზღუდული“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, (კარი პირველი) თბ., 1999, გვ. 41.



ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის მოცულობა იმდენად დიდია, რომ მისი ამომწურავად ჩამოთვლა ძნელია. ამიტომ კანონი ამას არც ისახავს მიზნად. სამოქალაქო კოდექსით გამოყოფილია მხოლოდ ძირითადი სამოქალაქო უფლებები. ასეთი ძირითადი უფლებებია: პირის უფლება ჰქონდეს ქონება საკუთრებაში, მიიღოს და გასცეს ქონება მემკვიდრეობით, ეწეოდეს ნებისმიერ საქმიანობას, რაც კანონით არ არის აკრძალული, შექმნას სხვადასხვა სახის იურიდიული პირი, დადოს გარიგებები, აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულად გამოყოფს ფიზიკური პირის სახელის უფლებას. კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

კოდექსი ყურადღებას ამახვილებს ისეთ პირად არაქონებრივ უფლებებზე, როგორცაა პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

ყველა მოქალაქეს, ფიზიკურ პირს თანაბარი სამოქალაქო უფლებანუარიანობა აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეული ფიზიკური პირის კონკრეტული უფლებები მოცულობით სხვა ფიზიკური პირის ასეთივე უფლებების თანაბარია. თანაბარია მხოლოდ შესაძლებლობების მოცულობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა კონკრეტულ ფიზიკურ პირს. უფლებაუნარიანობის შინაარსის ელემენტი არის საერთო შესაძლებლობა პირს ჰქონდეს საკუთრების უფლება ქონებაზე, ე.ი. გამოვიდეს საკუთრების ნებისმიერი ურთიერთობის სუბიექტად, იქნება ეს საკუთრება სახლზე, აგარაკზე, ტანსაცმელზე თუ ინსტრუმენტზე. როცა პირი ყიდის სახლს თუ სხვა ქონებას, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით წყდება მისი საკუთრება კონკრეტულ ქონებაზე, ამით არავითარი ცვლილებები არ ხდება ამ პირის უფლებაუნარიანობის შინაარსში, მას ყოველთვის შეუძლია შეიძინოს ახალი ქონება, ე.ი. მისი უფლებაუნარიანობა რჩება უცვლელი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საერთოდ არ შეიძლება

შეიზღუდოს უფლებაუნარიანობა? არა, არ ნიშნავს. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა. მაგალითად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია პირს აეკრძალოს ესა თუ ის საქმიანობა, ანდა ამა თუ იმ ადგილზე ცხოვრება. ეს დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის სასჯელის ან ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების დროს. თვით ფიზიკურ პირს თავისი უფლებაუნარიანობის შეზღუდვა არ შეუძლია. მაგალითად, პირს შეუძლია ივალდებულოს ვინმეს წინაშე, რომ არ იცხოვრებს რომელიმე ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, მაგრამ ეს არ არის მისი უფლებაუნარიანობის შეზღუდვა. მისი უფლებაა აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ვერავინ აიძულებს სხვა ადგილზე გადავიდეს საცხოვრებლად თუ ასეთი რამ სასამართლოს განაჩენით არ იქნა დადგენილი.

როგორც ითქვა, ფიზიკურ პირის უფლებაუნარიანობა იწყება მისი დაბადებიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. პირის დაბადების თუ გარდაცვალების მომენტის განსაზღვრა არ არის იურიდიული მეცნიერების საგანი. ეს წმინდა ფიზიოლოგიური ცნებებია და ამაზე არც კანონმდებელი ამახვილებს ყურადღებას. უფლებაუნარიანობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ რა მომენტიდან ითვლება პირი დაბადებულად. ამას კი მედიცინა განსაზღვრავს, სახელდობრ, დაბადება იწყება იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი დამოუკიდებლად დაიწყებს სუნთქვას. ამ მომენტიდან პირი უკვე უფლებაუნარიანია. ამასთან ერთად, კანონით გათვალისწინებულია (კოდექსის 1307-ე მუხლი), რომ ანდერძით მემკვიდრედ შეიძლება ცნობილი იქნეს ბავშვი, რომელიც ჩაისახა სამკვიდროს დამტოვებლის სიცოცხლეში, მაგრამ დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ, ე.ი. ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას დაბადებამდე აქვს უფლებაუნარიანობა, აქვს რაიმე უფლებამოვალეობები. აქ კანონი უშვებს მხოლოდ მოსალოდნელი მემკვიდრის ინტერესების დაცვას, მაგრამ არ შეიძლება

ლაპარაკი მის უფლებაუნარიანობაზე. ასეთი ბავშვის ინტერესების დაცვა მიმართულია მისი შესაძლო ნილის შენარჩუნებისაკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ცოცხალი დაიბადება. თუ ბავშვი ცოცხალი არ დაიბადა, ცხადია, მას არც ასეთი ნილი ერგება მემკვიდრეობიდან. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული სამოქალაქო კოდექსის დასახელებული 1307-ე მუხლის პირველ ნაწილში.

ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა ხდება მისი გარდაცვალების მომენტიდან. გარდაცვალების მომენტის განსაზღვრა დაკავშირებულია არაერთი სამედიცინო და სამართლებრივი საკითხის გარკვევასთან. მედიცინაში განასხვავებენ კლინიკურ და ბიოლოგიურ სიკვდილს. კლინიკური სიკვდილის დროს ჩერდება ადამიანის ცალკეულ ორგანოთა მუშაობა (გულის, თირკმლის, თავის ტვინის), მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ აღდგეს ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა. ბიოლოგიური სიკვდილის დროს კი, ადამიანის ორგანიზმში იწყება შეუქცევადი პროცესები. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის მომენტის დადგომისათვის მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიურ სიკვდილს, ე. ი. მომენტს, რომლის შემდეგ აღარ შეიძლება დაბრუნდეს ადამიანის სიცოცხლე. კანონმდებელი ამ მომენტს უკავშირებს ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას. ვინაიდან ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა და წყდება მხოლოდ ერთხელ, კლინიკული სიკვდილი არ იწვევს ამ უფლებაუნარიანობის შეწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ასეთი სიკვდილის დროს პირის უფლებაუნარიანობა შეწყდა, ამ პირისათვის სიცოცხლის დაბრუნება (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), გამოიწვევს მისთვის უფლებაუნარიანობის ხელახლა მინიჭებას. ასეთი რამ კი კანონით არ არის დაშვებული. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არ წყდება აგრეთვე მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შემთხვევაშიც. ამ დროს სასამართლო ადამიანის სიკვდილის უტყუარ ფაქტებს კი არ ემყარება, არამედ სავარაუდო გარემოებებს. აქ უფლებაუნარიანობის შეწყვეტისათვის გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს არა პირის გარდაცვალებულად გამოცხადებას, არამედ მის ფაქტიურ სიკვდილს. თუ პირი ფაქტიურად გარდაიცვალა მანამ, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება იქნებოდა გამოტანილი მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ, მისი უფლებაუნარიანობა შეწყვეტილად ჩაითვლება მისი ფაქტიურად გარდაცვალების დღიდან, ხოლო თუ ის ამ გადაწყვეტილების გამოტანის დღეს ფაქტიურად ცოცხალია, მისი უფლებაუნარიანობა გრძელდება მანამ, სანამ ის ფაქტიურად არ გარდაიცვლება. ფაქტიურად ცოცხალი პირი ყოველთვის უფლებაუნარიანად ითვლება.

**ფიზიკურ პირთა ქმედუნარიანობა.** სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა) წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმა იძლევა ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის განმარტებას. ეს არის პირის უნარი თავისი ნებით და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ამრიგად, ქმედუნარიანობის შინაარსის არსებითი ნიშანი არის პირის შესაძლებლობა დამოუკიდებლად ჩაერთოს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, დადოს გარიგება და შეეძლოს დამოუკიდებლად აგოს პასუხი თავისი მოქმედებისათვის.

უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ქმედუნარიანობა დაკავშირებულია პირის ნებასთან, ნებით მოქმედებასთან, რაც მოითხოვს მისი ფსიქიკური სიმნიფის დონეს. პირველყოვლისა, ეს დონე, კანონის შესაბამისად, განისაზღვრება პირის ასაკით.

ასაკის გათვალისწინებით ქმედუნარიანობა არსებობს სრული და ნაწილობრივი, ანუ შეზღუდული. სრული მოცულობით ქმედუნარიანობა წარმოიშობა პირის სრულწლოვანების მიღწევიდან. სრულწლოვანად კი ითვლება პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს.

კანონმდებელი ანუებს გამონაკლისს, როცა 18 წლამდე ასაკის პირს ენიჭება სრული ქმედუნარიანობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-

12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

7 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნები ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სუბიექტებად. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება აგრეთვე სრულწლოვანი პირი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა მისი ქმედუნარიანობის შეზღუდვით.

მცირეწლოვანი, ე.ი. არასრულწლოვანი, რომელსაც 7 წლის ასაკამდე არ მიუღწევია, ითვლება არაქმედუნარიანად. ასევე არაქმედუნარიანად ითვლება სრულწლოვანი პირი, რომელიც ქუეხუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებული იქნება არაქმედუნარიანად. არაქმედუნარიან პირთა უფლებებს ახორციელებს მათი კანონიერი წარმომადგენლები (მეურვეები).

არაქმედუნარიანად აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად. ასაკის გამო არაქმედუნარიანი პირის 7 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ეს პირი ხდება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე, ხოლო 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ან ამ ასაკამდე დაქორწინების შემთხვევაში პირი ხდება სრული ქმედუნარიანობის მქონე.

როგორც ხედავთ, სრული ქმედუნარიანობისათვის საჭიროა პირის სრულწლოვანება. ამ წესიდან გამონაკლისს აწესებს კანონი მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა პირი ამ ასაკის მიღწევამდე დაქორწინდება. ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ გარდა ამისა, არის მეორე გამონაკლისიც, ე. წ. ემანსიპაცია (ლათინური – შეზღუდვის მოხსნა), როცა არასრულწლოვანი ცხადდება სრული ქმედუნარიანობის მქონედ, რომელსაც ეძლევა უფლება დადოს შრომის ხელშეკრულება და განკარგოს მიღებული შემოსავალი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. Гражданское право, т. I., под ред. Ю. К. Толстого и А. П. Сергеева, Санкт-Петербург, 1996. стр. 93.

მიმაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება დასაბუთებული არ არის. აქ საქმე გვაქვს არა სრულ, არამედ მაინც შეზღუდულ ქმედუნარიანობასთან, რადგან ეს ქმედუნარიანობა მაინც დამოკიდებულია მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებაზე. სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მოიწონებს თუ არა მისი წარმომადგენელი ამ ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს, ე. ი. აქ არასრულწლოვანის ნება მაინც შეზღუდულია. ამავე კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე შეუძლია განკარგოს ის საშუალებები, რაც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან მესამე პირებმა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით ამ მიზნისათვის. მაშასადამე, აქაც კანონიერ წარმომადგენელზეა დამოკიდებული გადასცემს თუ არა არასრულწლოვანს ამ საშუალებებს განკარგვის მიზნით. ასევე ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს 16 წელს მიუღწეველ არასრულწლოვან პირს სანარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროებისათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავი ქმედუნარიანი ხდება, მაგრამ კანონმდებელი იქვე ამბობს, რომ სანარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით (65-ე მუხლის მესამე ნაწილი), ხოლო კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელიც არასრულწლოვანმა დადო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. ამრიგად, გამოდის, რომ არასრულწლოვანის ქმედუნარიანობა ამ შემთხვევებშიც არ არის შეუზღუდავი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო სამართლის ადრე მოქმედი, ასევე რუსეთის ამაჟამად მოქმედი კოდექსიც შეზღუდული ქმედუნარიანობის დანყებისათვის უფრო გაზრდილ ასაკს აწესებს. კერძოდ, 15 წლამდე არასრულწლოვანი ითვლებოდა მცირეწლოვნად.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა მცირეწლოვნება განსაზღვრა 7 წლამდე ასაკით და 7 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნებს მინიჭებული აქვთ შეზღუდული ქმედუნარიანობა. ეს ქმედუნარიანობა ვლინდება ძირითადად ორ სფეროში: გარიგების დადებასა და დამოუკიდებელ ქონებრივ პასუხისმგებლობაში. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით შეუძლია დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის გარიგებით ღებულობს სარგებელს (სამოქალაქო კოდექსის მე-15-ე მუხლი).

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია დადოს არანაირი გარიგება, მათ შორის წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებაც კი. არასრულწლოვანთა ქმედუნარიანობის ასეთი მაქსიმალური შეზღუდვა გამართლებული არ არის, რაც სამართლიანად არის გაკრიტიკებული სამართლებრივ ლიტერატურაში<sup>1</sup>. წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადება არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშეც უნდა შეეძლოს.

როგორც ზემოთ ითქვა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა შეიძლება დაუნესდეს 18 წელს მიღწეულ პირსაც. სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუნესა მზრუნველობა. ამით ასეთი პირები თავიანთ ქმედუნარიანობაში უთანაბრდებიან არასრულწლოვნებს.

ქმედუნარიანობის ასეთი შეზღუდვა შეიძლება დაუნესდეს იმ პირებს, რომლებიც თავიანთი საქციელით ზიანს აყენებენ თავიანთ ოჯახს. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქმედუნარიანობის შეზღუდვით მზრუნველობა შეიძლება დაუნესდეს სრულწლოვან პირზე, რომელიც ეძალება ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ

<sup>1</sup> იხ. შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999წ., გვ. 227-229.

მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგებები, აგრეთვე მიიღოს და განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდაწერილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა. მაშასადამე, ყოფითი (საყოფაცხოვრებო) გარიგებების დადებაზე აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონი ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების სისტემატიური მიღების მიზეზით ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაწესებას ითვალისწინებს მხოლოდ სრულწლოვანი პირისათვის. რაც შეეხება 18 წლამდე ასაკის პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაწესებას ამ მიზეზით, კანონი არ ითვალისწინებს. უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება კოდექსის ხარვეზია, რადგან იურიდიული სიზუსტისათვის საჭირო იყო კანონმდებელს ეთქვა, რომ დასახელებული მოტივით ქმედუნარიანობა შეიძლება შეეზღუდოთ 18 წლამდე ასაკის იმ პირებსაც, რომლებიც დაქორწინდნენ და მოიპოვეს სრული ქმედუნარიანობა, ასევე ეწვეიან შრომით საქმიანობას და აქვთ საკუთარი შემოსავალი.

როგორც ითქვა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის გარიგებით ღებულობს სარგებელს. აქ იგულისხმება ამ პირის სასარგებლოდ სასყიდლიანი გარიგების დადება, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ვალდებულებები არ ეკისრება.

ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა უკვე აღარაა სახეზე ის საფუძველი, რომლის გამოც შეეზღუდა პირს ქმედუნარიანობა. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებასაც.

ქმედუნარიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ე. წ. დელიქტუნარიანობა. დელიქტუნარიანობა არის პირის უნარი, საკუთარი ნებითა და ქონებით აგოს პასუხი მიყენებული ზიანისათვის!

დელიქტუნარიანობა ერთგვარად განსხვავდება ფიზიკურ პირთა ჩვეულებრივი ქმედუნარიანობისაგან. სამოქალაქო კოდექსი შეზღუდულ დელიქტუნარიანობას აწესებს 10 წლის ასაკიდან.



კოდექსის 994-ე მუხლის თანახმად, 10 წლამდე არასრულწლოვანი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. მის ნაცვლად პასუხს აგებენ მშობლები ან მეურვეობაზე პასუხისმგებელი პირები, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

10 წლიდან ზიანის მიყენების პასუხისმგებლობა დგება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირს არ შეეძლო გაეგო თავისი მოქმედების მნიშვნელობა. თუ 10 წელს მიღწეული პირის ქონება საკმარისი არ არის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, სუბსიდიური პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის კანონიერ წარმომადგენლებსაც.

იმ პირთა უფლებების და ინტერესების დასაცავად, რომელნიც არაქმედუნარიანად ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლებიან, არსებობს მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. ჩვეულებრივ პირობებში არასრულწლოვანთა მეურვედ თუ მზრუნველად ითვლებიან მათი მშობლები და მშვილებლები, თუ ჩამორთმეული არააქვთ მშობლიური უფლება. ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის სპეციალურად მათი მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მშობელი (მშვილებელი) გარდაიცვალა, ანდა მშობელს ჩამოერთვა მშობლიური უფლება, ცნობილი იქნა ქმედუნაროდ ან ავადმყოფობის გამო თუ სხვა მიზეზით ბავშვი დარჩა მშობლიური მზრუნველობის გარეშე, საჭირო ხდება სპეციალურად დაენიშნოს მას მეურვე ან მზრუნველი. მეურვე ენიშნება 7 წლამდე არასრულწლოვანს ანდა აგრეთვე არაქმედუნარიანად ცნობილ სრულწლოვანს, ხოლო მზრუნველი ენიშნება 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს ან იმ სრულწლოვანს, რომელიც თვითონ მოითხოვს ამას, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ არასრულწლოვან ბავშვთა ქონების და პირადი

---

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 158.

არაქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფაში, რომელთაც მშობლები არ ჰყავთ ან ჰყავთ, მაგრამ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება ანდა სხვა მიზეზით დარჩნენ უმეთვალყურეოდ.

მეურვედ და მზრუნველად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სრულწლოვანი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. მეურვედ და მზრუნველად დანიშნული პირი ითვლება კანონიერ წარმომადგენლად ისევე, როგორც მშობელი და მშვილებელი. მეურვეს და მზრუნველს უფლება აქვთ დამოუკიდებლად განკარგონ ის შემოსავლები, რაც საჭიროა მეურვეობაში თუ მზრუნველობაში მყოფი პირის შესანახად. სხვა შემთხვევებში, მათ შეუძლიათ ამ პირთა სახელით გარიგების დადება მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ. მათ შეუძლიათ დადონ მხოლოდ ისეთი გარიგება, რომლის მიხედვით მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფ პირს უსასყიდლოდ გადასცემენ რაიმე ქონებას.

მზრუნველობა შეიძლება დაწესდეს არა მარტო არასრულწლოვან და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიმართ, არამედ სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეებზეც, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ და დაიცვან თავიანთი უფლებები და შეასრულონ მოვალეობები. მზრუნველობის ასეთ ფორმას ეწოდება პატრონაჟი.

მეურვეობა და მზრუნველობა უფრო დანვრილებით განიხილება საოჯახო სამართალში. აქ მოკლედ ვეხებით საკითხს იმდენად, რამდენადაც მას კავშირი აქვს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან, მის სუბიექტებთან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უფრო ვრცლად იხილეთ: А. И. Пергамент. опека и попечительство, 1966, გვ. 3-4, აგრეთვე შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი (თავი მეათე), თბილისი, 1999, გვ. 334-351; რ. შენგელია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მუხუთე (კარი შესამე), თბილისი, 2000, გვ. 298-361.

### §3. ფიზიკურ პირთა სახელი და საცხოვრებელი ადგილი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია.

ფიზიკურ პირთა სახელი. ფიზიკურ პირთა ინდივიდუალიზაცია ხდება მათი სახელის მიხედვით. როგორც ითქვა, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს მის სახელსა და გვარს. შესაძლებელია კანონმდებელმა სახელის უფლება დაუკავშიროს არა მარტო სახელსა და გვარს, არამედ მამის სახელსაც (ასეა, მაგალითად, რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობით). ჩვენი კოდექსით კი, ფიზიკური პირის ინდივიდუალიზაციისათვის საკმარისია მისი სახელისა და გვარის აღნიშვნა. ფიზიკური პირის სახელს სამართლებრივ ლიტერატურაში „სამოქალაქო სახელსაც“ უწოდებენ. ფიზიკური პირის სამოქალაქო სახელისაგან განსხვავდება სამენარმეო სახელი ანუ ფირმა. ფირმა არის სახელი, რომლითაც პირი ეწევა სამენარმეო საქმიანობას. საფირმო სახელი შეიძლება დაემთხვეს ინდივიდუალური მენარმის სამოქალაქო სახელს, მათ შორის, სხვა პირის სამოქალაქო სახელსაც, რომლის მეშვეობითაც ეს პირი ადრე ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას.

სახელის უფლება აბსოლუტური სამოქალაქო უფლებაა, რომლის ხელყოფისაგან თავის შეკავება ევალება ყველა სხვა პირს. სახელი პირს დაბადებისთანავე ეძლევა, გვარს შთამომავლობით ღებულობს ჩვეულებრივ მამის მხრიდან, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა გვარის მიღებაც, უმეტესად დედის გვარის, ანდა მშობლების შერქმეული გვარისა, თუ ისინი თანახმანი არიან ამაზე. ყველა სამოქალაქო უფლება მოქალაქეს შეუძლია შეიძინოს თავის საკუთარ სახელზე, მას არ შეუძლია გამოიყენოს სხვისი სახელი. პირს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ გამოგონილი სახელი – ფსევდონიმი, ანდა საერთოდ არ გამოიყენოს არც ნამდვილი სახელი და არც ფსევდონიმი. ეს მაშინ ხდება, როცა პირი აქვეყნებს რაიმე ნაწარმოებს და არ მიუთითებს არც ნამდვილ სახელს და არც გამოგონილს,

ანონიმურად აქვეყნებს ნაწარმოებს. ავილოთ, მაგალითად, სურათი, რომლის ავტორი მითითებული არ არის. ფსევდონიმის გამოყენების დროს არ შეიძლება ეს მოგონილი სახელი დაემთხვეს სხვა რომელიმე კონკრეტული პირის სახელს, რადგან ეს იქნება სხვისი სახელის გამოყენება, რაც დაუშვებელია. ფიზიკური პირის დაბადების სააქტო ჩანაწერებში მის სახელთან და გვართან ერთად აღინიშნება მამის სახელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის მისი სახელის აუცილებელი მონაცემი, მაგრამ ზოგჯერ, მას შეიძლება მიენიჭოს გარკვეული სამართლებრივი მნიშვნელობა.

პირს, რომელსაც დაბადების დროს მიღებული სახელი არ მოეწონება, შეუძლია კანონით დადგენილი წესით, შეიცვალოს სახელიც, გვარიც და მამის სახელიც, ამით არიცვლება მისი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა სახელის მატარებლის დასაბუთებული განცხადება, რომელიც უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სახელის შეცვლა ხდება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამ ფუნქციას არეგულირებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სპეციალური განყოფილება, რომელსაც დაკისრებული აქვს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილება.

სახელის შეცვლა შეუძლია, როგორც სრულწლოვან პირს, ისე არასრულწლოვანს 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.

პირს შეუძლია შეიცვალოს როგორც სახელი, ისე გვარი და მამის სახელი. ამისთვის მრავალნაირი საფუძველი არსებობს (არაკეთილხმოვანება, ეროვნებასთან შეუსაბამობა, დაქორწინება-გაქორწინება და სხვა არაკანონით გათვალისწინებული მიზეზი, თუ მისი საფუძვლიანობა დადასტურებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ).

სახელის, გვარისა და მამის სახელის შეცვლა არ დაიშვება, თუ:

1. ამით, რეალური საფრთხე ემუქრება მესამე პირის ინტერესებს;

2. თუ ახალი სახელი ძნელად წარმოსათქმელი ან არაკეთილზმოდანია;

3. პირი, ვინც სახელს იცვლის, ეჭვიმტანილია დანაშაულის ჩადენაში ან ნასამართლეია და ნასამართლობა გაქარწყლებული არა აქვს. ამის დამადასტურებელ დასკვნას მოქალაქეობრივი რეგისტრაციის ორგანოებს წარუდგენს პოლიციის ორგანო.

სახელის შეცვლის რეგისტრაციას ახდენს იგივე ორგანო, რომელიც გასცემს სათანადო მონობას.

სახელის შეცვლა გავლენას არ ახდენს იმ უფლება-მოვალეობებზე, რომლებიც ამ პირს ჰქონდა შეძენილი ადრინდელი სახელით.

ფიზიკური პირის სახელის უფლება დაცულია კანონით. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე“.

ფიზიკურ პირთა საცხოვრებელი ადგილი. სახელთან და გვართან ერთად ფიზიკურ პირთა ინდივიდუალიზაციის აუცილებელი ნიშანია მისი საცხოვრებელი ადგილი. ყველა ეს ნიშანი ერთად, საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად დაკონკრეტდეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. საცხოვრებელი ადგილი ზოგჯერ უშუალოდაა დაკავშირებული სუბიექტის სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა წარმოშობასთან. მაგალითად, მემკვიდრეობის გახსნა წარმოებს ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილზე. სამოქალაქო დაკვების უმრავლესობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განიხილება.

საცხოვრებელი ადგილის გარეშე, მარტო სახელისა და გვარის, თუნდაც მამის სახელის მითითებითაც, ხშირად ძნელი ხდება პიროვნების იდენტიფიკაცია, მისი დადგენა. არაერთი შემთხვევა არის, როცა სახელი და გვარი რამდენიმე პირს ერთი და იგივე აქვს. აქ სწორედ

საცხოვრებელი ადგილის მინიშნება განსაზღვრავს პირის ინდივიდუალიზაციას.

სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ პირს ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად თვლის მის „ჩვეულებრივ საცხოვრებელს“. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი არის ის ადგილი, რომელსაც პირი ირჩევს ძირითად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილად. ამ გაგებით იხმარება ეს ტერმინი საერთაშორისო კერძო სამართლითაც. ცხადია, ასეთი საცხოვრებელი არ იქნება პირის დროებითი ადგილსამყოფელი. საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით, პირის ჩვეულებრივ საცხოვრებლად ითვლება ის ადგილი, სადაც ის ექვსი თვე მაინც ცხოვრობს.

ქართველმა კანონმდებელმა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის საკმარისად არ ჩათვალა მხოლოდ მისი ფაქტობრივი ყოფნა ამ ადგილზე, აქ გადამწყვეტია ამ პირის ნება, თუ რომელ ადგილს აირჩევს ის საცხოვრებლად.

„ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე ავტომატურად რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის ან ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილად უნდა მიგვეჩნია ციხე ან საავადმყოფო, თუკი ისინი იქ ექვს თვეზე მეტი ხნის მანძილზე იმყოფებიან... ე. ი. საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განვმარტოთ, როგორც ადგილი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს და მას ძირითად საცხოვრებლად ირჩევს“<sup>1</sup>.

თუ პირს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილი აქვს, მაშინ ამ ადგილის განსაზღვრა ძნელი არ არის, მაგრამ შედარებით

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, (თავი I), თბილისი, 1999. გვ. 83.

სირთულესთან გვაქვს საქმე, როცა პირი სხვადასხვა ადგილზე ცხოვრობს. ადრე მოქმედი კანონით, ასეთ შემთხვევაში პირის საცხოვრებელი ადგილად ითვლებოდა ის ადგილი, სადაც ის უპირატესად ცხოვრობდა. ამჟამად, პირის საცხოვრებელ ადგილად ყველა ის ადგილი ჩაითვლება, სადაც ის ცხოვრობს მუდმივად ან დროებით. მაგალითად, თუ თბილისელ მოქალაქეს საცხოვრებელი სახლი აქვს მცხეთაში, საგურამოში, მარტყოფში თუ სხვაგან და გარკვეულ დროს ატარებს როგორც თბილისში, ისე რომელიმე სხვა ადგილზე, მისი საცხოვრებელი ადგილი იქნება როგორც თბილისი, ისე ეს სხვა ადგილიც. ამასთან ერთად, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს მის ჩანერას, ქონების ადგილსამყოფელს თუ მეუღლის საცხოვრებელ ადგილს. შეიძლება პირი ცხოვრობდეს თბილისში, ჩანერილი იყოს ქუთაისში, ქონება ჰქონდეს მოსკოვში და მისი მეუღლე ცხოვრობდეს ბაქოში – მისი საცხოვრებელი ადგილი იქნება მხოლოდ თბილისი. საცხოვრებელი ადგილი თვით პირმა უნდა აირჩიოს, ვისაც სად სურს, იქ შეუძლია იცხოვროს. საცხოვრებელი ადგილის არჩევა პირის უფლებაუნარიანობის შინაარსის ერთ-ერთი ელემენტია.

ამ წესიდან გამონაკლისი დაწესებულია მხოლოდ არასრულწლოვნებისა და სამეურვეო პირების მიმართ. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო იმ მცირეწლოვნისა, რომელსაც მშობელი არა ჰყავს, ან რომლის მშობელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება და დანიშნული ჰყავს მეურვე, ასევე არაქმედუნარიანი პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მეურვის საცხოვრებელი ადგილი.

შესაძლებელია პირს იძულებითი წესით აუკრძალონ თავის საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრება განსაზღვრული ვადით და დაატოვებინონ ეს ადგილი, მაგრამ ამით არ უქმდება მისი საცხოვრებელი ადგილი. ასევე ითქმის, როცა პირს სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოუწევს განსაზღვრული

ვადით დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი. ასეთ შემთხვევებში ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად რჩება მისი ძველი საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილი აქვს მხოლოდ ფიზიკურ პირს, იურიდიული პირისთვის კი, კანონი ანებს მის ადგილსამყოფელს ანუ იურიდიულ მისამართს.

ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ე. წ. ჩანერას ანუ საპოლიციო რეგისტრაციას, როგორც ეს იყო საბჭოთა წყობილების დროს. 1996 წლის 27 ივნისის კანონმა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ – გააუქმა საპოლიციო ჩანერის ადრე არსებული სისტემა და დასაშვებად ჩაოვალა რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, რაც შემდგომ დამტკიცებული იქნა სამოქალაქო კოდექსით. სამოქალაქო კოდექსით, ჩანერა არ წარმოშობს საცხოვრებელ ადგილს. პირი შეიძლება ჩანერილი იყოს ერთ ადგილზე და ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

სამოქალაქო სამართლით აღიარებული საცხოვრებელი ადგილი არ ემთხვევა საჯარო სამართლით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ადგილს. მაგალითად, საარჩევნო კანონით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილი მოიცავს ამა თუ იმ ადგილზე დროებით მყოფი პირების უფლებასაც მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მაგრამ ეს არ არის სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელი ადგილის თავის უფლად არჩევა არ ნიშნავს ნებისმიერი ქვეყნის საცხოვრებლად არჩევას. ეს უფლება გამოიყენება ქვეყნის შიგნით და არა ქვეყნის გარეთ. სხვა ქვეყანაში ცხოვრების უფლება სამოქალაქო სამართლის პრეროგატივა არ არის, ეს საჯარო სამართლით უნდა გადანყდეს. მოქალაქემ ჯერ უნდა მიიღოს სხვა ქვეყანაში ცხოვრების ნებართვა და შემდეგ აირჩიოს იქ საცხოვრებელი



ადგილი. საქართველოში მყოფი უცხოელი, ჯერ ნებართვას ლებულობს აქ ცხოვრებაზე, შემდეგ კი ირჩევს საცხოვრებელ ადგილს.

როგორც ითქვა, საცხოვრებელი ადგილის გაუქმება არ შეიძლება, მაგრამ ეს არ ეხებათ უცხოელ მოქალაქეებს. თუ ამ მოქალაქეს ჩამოერთვა მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლება, გაუქმდება მისი საცხოვრებელი ადგილიც.

ფიზიკურ პირთა საცხოვრებელ ადგილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართალში. ამის მიხედვით განისაზღვრება პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება თუ გარდაცვლილად გამოცხადება; ხელშეკრულებათა დადებისას ვალდებულებათა შესრულების ადგილის მითითება, სამკვიდროს გახნის ადგილის დადგენა და სხვა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია. იურიდიული ფაქტი, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტის მდგომარეობას, დასტურდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციით. სამოქალაქო აქტები წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფიზიკური პირის სამოქალაქო-სამართლებრივ სტატუსს. ასეთ აქტებს, რომლებიც რეგისტრირებული უნდა იქნენ შესაბამის ორგანოებში, მიეკუთვნება: დაბადება, გარდაცვალება, დაქორწინება, განქორწინება, გარდაცვალებულად გამოცხადება, შვილად აყვანა, მამობის დადგენა, სახელის, მამის სახელისა და გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა. ყველაფერი ეს დაკავშირებულია პირის უფლება-მოვალეობების წარმოშობასთან, შეცვლასა და შეწყვეტასთან. დაბადებით წარმოიშობა უფლებაუნარიანობა, გარდაცვალებით კი, წყდება. დაქორწინება წარმოშობს მთელ რიგ უფლებებსა და მოვალეობებს მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის და ა. შ.

აღნიშნული ფაქტების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო -, კანონით დაწესებულია მათი რეგისტრაციის სპეციალური წესი შესაბამის სახელმწიფო ორგანოში – სამოქალაქო აქტების

რეგისტრაციის ორგანოში. ამ ორგანოებში დასახელებული ფაქტების ჩანერის წესი რეგულირდება კანონით „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 15 ოქტომბერს.

დაბადების ჩანაწერის რეგისტრაციის დროს ხდება ამ ბავშვის სახელის, მამის სახელისა და გვარის ჩანერა მშობელთა შეთანხმებით ანდა დედის მითითებით.

არის შემთხვევა, როცა ჩანაწერი რეგისტრაციის ორგანოში შესწორებას მოითხოვს. ასეთი შესწორება, თუ ის დავას არ იწვევს დაინტერესებული პირის მხრივ, კეთდება თვით ამ ორგანოების მიერ, ხოლო თუ ის სადაო ხდება, საკითხს გადანყვეტს სასამართლო. სასამართლო წესით ხდება აგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გაუქმება ან მათი აღდგენა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ჩანაწერების საფუძველზე მოქალაქეებს ეძლევათ შესაბამისი დოკუმენტები (დაბადების მონმობა, გარდაცვალების მონმობა, ქორწინების მონმობა და სხვა). ეს დოკუმენტები განსაზღვრავენ ფიზიკურ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას საზოგადოებაში. მაგალითად, დაბადების მონმობა მანამ, სანამ პირი პასპორტს მიიღებს, არის მისი პირადობის ერთადერთი დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდაცვალების მონმობა არის ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ეს პირი ცოცხალი აღარ არის, ქორწინების მონმობა კი, ასევე არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირს ნამდვილად შექმნილი აქვს ოჯახი. ყველაფერ ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს პირის სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

#### §4. ფიზიკურ პირთა უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

ფიზიკური პირის აღიარება უგზოუკვლოდ დაკარგულად. სამოქალაქო ურთიერთობებში არის შემთხვევები, როცა სუბიექტი, რომელიც უნდა მონაწილეობდეს ამ ურთიერთობაში, ფაქტიურად არ იმყოფება სახეზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ეს გავლენას ახდენს ამ ურთიერთობის სხვა მონაწილეთა, აგრეთვე მისი მემკვიდრეების უფლება-მოვალეობებზე. ამ პირის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობა დაკავშირებულია მთელ რიგ იურიდიულ შედეგებთან და ამ დროს ეს ფიზიკური პირი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე არ ჩანს, არც მისი ადგილსამყოფელის შესახებ არსებობს რაიმე ცნობები. ხშირად ასეთი პირების მიმართ გამოცხადებული ძებნაც კი უშედეგოა და შეუძლებელი ხდება მათი ფაქტიური საცხოვრებელი ადგილის დადგენა. იქმნება სიტუაცია, როცა, ერთის მხრივ, საჭიროა კონკრეტული სუბიექტის, რეალური ფიზიკური პირის სახეზე არსებობა და მეორე მხრივ კი, შეუძლებელი ხდება მისი პოვნა. ასეთ შემთხვევებში გაუგებრობათა თავიდან აცილების, ყოველგვარი გართულების აღკვეთის მიზნით, არსებობს კანონით დადგენილი სპეციალური წესი, რომელიც ითვალისწინებს ასეთი პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობას ანდა მის გარდაცვალებულად გამოცხადებას. ამ წესის მიხედვით დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება ანდა გარდაცვალებულად გამოცხადება. ასეთი შემთხვევები, უმთავრესად, დაკავშირებულია საომარ მოქმედებებთან. მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ინსტიტუტი საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა, რადგან მილიონობით ადამიანის შესახებ აღარ მოიპოვებოდა რაიმე ცნობები მათი სიცოცხლისა და ადგილსამყოფელის შესახებ. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. სხვადასხვა რეგიონში ეთნოკონფლიქტების საფარით

დაინყო სეპარატისტული ხოცვა-ჟლეტა და მრავალი სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მსგავს შემთხვევებს ვერც ჩვენი ქვეყანა გადაურჩა. აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) ტერიტორიაზე არაერთი პირის მდგომარეობა და ადგილსამყოფელი გაურკვეველი გახდა. იმისათვის, რომ ამ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა არ დარჩეს გაურკვეველი, მთელ რიგ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, საჭირო ხდება გამოყენებული იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობისა და გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობის საფუძვლის შესახებ. გარდაცვალებულად გამოცხადების საფუძველთან დაკავშირებით თითქმის ყველა ავტორს ერთი აზრი აქვს, ყველას მიაჩნია, რომ აქ სახეზე გვაქვს პირის გარდაცვალების პრეზუმფცია. რაც შეეხება უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების საფუძველს, ამ საკითხში სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა. ზოგიერთი ავტორის აზრით, უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობას საფუძველად უდევს ის, რომ ფიზიკური პირი უკვე ცოცხალი აღარ არის, ე. ი. საფუძველად უდევს პრეზუმფცია მისი გარდაცვალების შესახებ. სხვა ავტორთა აზრით კი, უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობას საფუძველად უდევს ვარაუდი, რომ პირი ცოცხალია<sup>1</sup>. მკვლევართა ნაწილს კი მიაჩნია, რომ სასამართლოს გადანყვეტილებას პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ, არავითარი ვარაუდი არ უდევს საფუძველად, სასამართლო მხოლოდ პირის არარსებობის ფაქტის კონსტატაციას ახდენს და მას საფუძველად არ უდევს მისი არც სიცოცხლისა და არც სიკვდილის ვარაუდი<sup>2</sup>. ჩვენი აზრით, სწორი არ არის არც ერთი ეს ავტორი,

<sup>1</sup> იხ. А.К. Юрченко, Безвестное отсутствие по сов. гр. праву, Л. 1954, გვ. 21

<sup>2</sup> იხ. В.П. Воложанин, К вопросу о юрид.-их предположениях в сов. гражд. праве и процессе, Свердлов. 1955, стр. 186-201, Гражданское право, Санкт-Петербург, 1996, გვ. 102

რამდენადაც კატეგორიულად არც იმის თქმა შეიძლება, რომ გადანყვებილებას პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობის, თუ გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ საფუძვლად უდევს პირის სიცოცხლე და არც იმის, რომ ამ აქტის საფუძველია პირის სიკვდილი. ორივე შემთხვევაში პრეზუმფცია შეიძლება იყოს, როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი. კერძოდ, როცა პირი უგზოუკვლოდ დაკარგულად იქნება ცნობილი, აქ სავარაუდოა, რომ ეს პირი ცოცხალიც არის და მკვდარიც. ასევეა გარდაცვალებულად გამოცხადების შემთხვევაშიც და როცა ეს ფაქტი დგინდება, რასაც მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები, ივარაუდება, რომ ეს პირი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ როცა კანონმდებელი ითვალისწინებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს ამ პირთა გამოჩენისა და დაბრუნების შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ეს პირი შეიძლება ცოცხალიც იყოს.

ფიზიკური პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადანყვებილებით აღიარებულ იქნეს უგზოუკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადანყვებილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზოუკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები“.

ამრიგად, პირის უგზოუკვლოდ ცნობას ახდენს სასამართლო, რომელიც საქმეს განიხილავს უდავო წარმოების წესით.

იმისათვის, რომ პირი სასამართლომ სცნოს უგზოუკვლოდ დაკარგულად, საჭიროა: 1. დაინტერესებული პირის განცხადება და 2. ცნობა, რომ არც ერთ საცხოვრებელ ადგილზე ის არ გამოჩენილა ორი წლის მანძილზე.

დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს პირის მემკვიდრე, მისი ოჯახის წერი, ანდა არასრულწლოვანი და არაქმედუნარიანი შვილების მეურვე ან მზრუნველი. ორწლიანი ვადა, რომლის მანძილზე პირი არ გამოჩენილა, იგულისხმება, რომ უწყვეტია. თუ პირი ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა და ისევ გაუჩინარდა, ამის შემდეგ ისევ ორი წელი უნდა გავიდეს, რომ პირი უგზოუკვლოდ დაკარგულად იქნეს აღიარებული.

ამ ვადის დასაწყისად ითვლება მომენტი, როცა მიღებული იყო უკანასკნელი ცნობები პირის ადგილსამყოფელის შესახებ. თუ არ შეიძლება ამ დღის ზუსტად დადგენა, ვადა იწყება შემდგომი თვის პირველი რიცხვიდან, ხოლო თუ თვის დადგენაც არ ხერხდება, მომდევნო წლის პირველი იანვრიდან.

სასამართლომ უნდა შეამოწმოს ყველა გარემოება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. თუ სავარაუდოა, რომ პირი თავს არიდებს გამოძიებას ან იმალება სხვა მიზეზით, სასამართლო თავს იკავებს ასეთი პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებაზე ანდა იღებს ზომებს მის დასაძებნად.

პირის უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობას მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები. მის ქონებას მართავენ მისი მემკვიდრეები ანდა მეურვეები თუ მზრუნველები. გარდა ამისა, ასეთ პირთან განქორწინება ხდება უფრო გამარტივებული წესით, ვიდრე ჩვეულებრივი განქორწინებისას.

შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება აგრეთვე უგზოუკვლოდ დაკარგულად ცნობილი პირის გამოჩენას, მის დაბრუნებას. სამოქალაქო კოდექსის იგივე 21-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირი გამოჩნდება, მაშინ უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძლოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ამ პირს არა აქვს.

ფიზიკური პირის გამოცხადება გარდაცვლილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

თუ პირის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებებში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ექვსი თვის განმავლობაში ასეთი ცნობები არ მოიპოვება, ასეთი პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად. ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით ასეთ ვადად დადგენილი იყო სამი წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტით, პირის გარდაცვლილად გამოცხადების ვადად დადგენილი 10 წელი მეტისმეტად დიდი იყო და კანონმდებელმა მას სავსებით სწორად არ დაუჭირა მხარი. ვიცით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ, ემყარება არა უტყუარ ფაქტს ამ პირის სიკვდილის შესახებ, არამედ ვარაუდს, რომ რაკი პირი აღარ გამოჩნდა დიდი ხნის მანძილზე, უფრო შესაძლებელია მისი სიკვდილი. ამ დროის მაქსიმალურ გაზრდას არც გამართლება აქვს და არც რაიმე დასაბუთება. პირიქით, თუ ამ ხნის მანძილზე ასეთი პირი არ გამოცხადდა გარდაცვალებულად, შესაძლებელია მისი მემკვიდრეების უფლებები შეილახოს, ზოგიერთი ველარც კი მოესწროს მემკვიდრეობის მიღებას და გამოყენებას. ამიტომ, უფრო გამართლებული იყო ამ ვადის შემცირება. ამით არაფერი არ დაშავდება, თუ პირი ცოცხალი აღმოჩნდება და გამოჩნდება, კანონი ითვალისწინებს სათანადო შედეგებს ამასთან დაკავშირებით, ხოლო თუ დაღუპულია, გარდაცვლილად დროულად გამოცხადება უფრო გამართლებულია.

როგორც ითქვა, კანონით შემცირებული ვადებია დადგენილი იმ პირთა გარდაცვლილად გამოცხადებისათვის, რომელთა დაღუპვა სავარაუდოა რაიმე უბედური შემთხვევის გამო ან უგზოუკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა. ასეთი ვადა, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ექვს თვეს შეადგენს.

ასევე შემცირებული ვადა არის დანესებული იმ პირთა გარდაცვალებულად გამოცხადებისათვის, რომელიც უგზოუკვლოდ

დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით. ეს ვადა შეადგენს ორ ნელს საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან (კოდექსის 22-ე მუხლის მეორე ნაწილი).

გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. გამონაკლის შემთხვევაში, თუ პირის დაკარგვა დაკავშირებულია რაიმე უბედურ შემთხვევასთან ან საომარ მოქმედებასთან, სასამართლოს შეუძლია მისი სიკვდილის დღედ აღიაროს სავარაუდო დაღუპვის დღე.

გარდაცვალებულად გამოცხადება უნდა განვსხვავოთ მოქალაქის დაღუპვის ფაქტის დადგენისაგან. მართალია, ორივე ამ გარემოებას სასამართლო იხილავს უდავო ნარმოების ნესით, მაგრამ მათი შინაარსი სრულიად სხვადასხვაა. გარდაცვალებულად გამოცხადება გულისხმობს ვარაუდს, რომ პირი ცოცხალი აღარაა და ამ გამოცხადებას არ მოჰყვება პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა. თუ პირი ცოცხალი აღმოჩნდება, მისი უფლებაუნარიანობა გრძელდება მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შემდეგაც, ხოლო თუ ის ამ გამოცხადებამდე უფრო ადრე დაიღუპა ფაქტობრივად, ამ დაღუპვის დღეს შეწყდება მისი უფლებაუნარიანობა.

რაც შეეხება იურიდიული ფაქტის დადგენას პირის დაღუპულად ცნობის შესახებ, ემყარება არა ვარაუდს, არამედ უტყუარ მტკიცებულებას პირის სიკვდილის შესახებ, რომლის დროსაც არ შეიძლება გაიცეს ექიმის ცნობა ამ პირის სიკვდილის შესახებ, რადგან გვამი არ არსებობს სახეზე. აქ მტკიცება არის სიკვდილის შესახებ და საჭირო არ არის მისი ვარაუდი. ვთქვათ, ვინმემ დაინახა, რომ პირი დაიღუპა რომელიმე ტრანსპორტის აფეთქების დროს. აქ დადგინდება იურიდიული ფაქტი ამ პირის დაღუპვის შესახებ. მაგრამ იგივე ტრანსპორტის აფეთქების დროს თუ ცნობილია, რომ ეს პირი ამ ტრანსპორტში იმყოფებოდა, მაგრამ არავის დაუნახავს, რომ ეს პირი დაიღუპა, თუმცა ამის შემდეგ ის აღარ გამოჩენილა ხანგრძლივი



პერიოდის განმავლობაში, მაშინ ასეთი პირის დალუპვის ფაქტი კი არ დადგინდება, არამედ იგი გარდაცვალებულად შეიძლება გამოცხადდეს.

პირის გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილებას მოჰყვება სათანადო იურიდიული შედეგი. ამ შედეგებზე კოდექსში მითითებული არ არის, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ მას იგივე შედეგები მოჰყვება, რაც პირის სიკვდილს, სახელდობრ: გაიხსნება მემკვიდრეობა ასეთი პირის ქონებაზე, შეწყდება მისი ქორწინება და ყველა ვალდებულება, რასაც პირადი ხასიათი აქვს. მაგრამ გარდაცვალებულად გამოცხადება მაინც არ შეიძლება გავაიგივოთ პიროვნების სიკვდილთან. როგორც ვთქვით, აქ მხოლოდ ივარაუდება პიროვნების სიკვდილი და ამით არ წყდება მისი უფლებაუნარიანობა. სწორედ ამიტომ, კანონი ითვალისწინებს ასეთი პირის გამოჩენის შემთხვევაში მისი გარდაცვალებულად გამოცხადების გაუქმებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას ამ პირის გარდაცვალებულად გამოცხადების შესახებ. ასეთ გაუქმებასაც თავისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. დაბრუნების დროის მიუხედავად პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს მისი გარდაცვალებულად გამოცხადების შემდეგ, ხოლო ის პირი, რომელმაც გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის ქონება შეიძინა სასყიდლით, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შექენისას მან იცოდა, რომ გარდაცვალებულად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

რუსეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით (მუხლი 46) გათვალისწინებულია, რომ გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის დაბრუნებისას, როცა შეუძლებელია ქონების ნატურად დაბრუნება, მას უნდა აუნაზღაურდეს მისი ღირებულება. ეს წესი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იქვე უნდა ითქვას ვინ უნდა აუნაზღაუროს

მას ეს ღირებულება, ვინც ქონება შეიძინა სასყიდლით, თუ ვინც გაასხვისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იგივე 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას, რომელმაც ეს ქონება გაასხვისა, მაშინ გარდაცვალებულად გამოცხადებულ პირს, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა უნდა დაუბრუნდეს.

გარდაცვალებულად გამოცხადებული პირის დაბრუნებისა და ასეთი გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, ამ პირის ზოგიერთი უფლება თავისი ხასიათის მიხედვით არ შეიძლება აღდგეს და კანონიც არ ითვალისწინებს მათ აღდგენას. მაგალითად, თუ ამ პირის განქორწინებული მეუღლე სხვა პირზე დაქორწინდება, ცხადია, ის ვერ მოითხოვს ამ მეუღლის დაბრუნებას. ეს საკითხი თვით ამ მეუღლემ უნდა გადაწყვიტოს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ. 163.

# თავი VI

## იურიდიული პირები როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

§1. იურიდიული პირის ცნება და ნიშნები. §2. იურიდიული პირი როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. §3. იურიდიული პირის შექმნა და გაუქმება. §4. იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია. §5. არასამენარმეო იურიდიული პირები. §6. სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირები. §7. საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

### §1. იურიდიული პირის ცნება და ნიშნები

იურიდიული პირის ცნება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად გამოდიან არა მარტო ფიზიკური პირები ინდივიდუალურად, არამედ ამ პირთა გაერთიანებები, ჯგუფები, კოლექტივები, რომელთაც იურიდიული პირები ეწოდებათ. იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს ფიზიკურ პირთა ყველა გაერთიანება, ჯგუფი თუ კოლექტივი. იმისათვის, რომ ეს გაერთიანება ჩაითვალოს იურიდიულ პირად, ე. ი. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოვიდეს როგორც სუბიექტი, საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა, გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები, რაც დამახასიათებელია იურიდიული პირისათვის.

იურიდიული პირები ყველა საზოგადოებაში, ყველა ეპოქაში ასრულებდნენ და ახლაც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ადამიანთა სამოქალაქო ცხოვრებაში. განსხვავება არის მხოლოდ ის, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული იყო მათი როლი და ადგილი საზოგადოებაში იმისდა მიხედვით, თუ რა როლი ეკისრებოდა ამ საზოგადოებაში სამოქალაქო ურთიერთობებს. საზოგადოების განვითარების პირველ ეტაპზე, სამართლის

წარმოშობის პირველსავე საფეხურზე, საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებამ, სოციალური პრობლემების მოგვარების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაში ცალკეულ ფიზიკურ პირებთან ერთად მონაწილეობა მიეღოს ამ პირთა გაერთიანებებსაც. მარტო ფიზიკური პირების მონაწილეობა საკმარისი აღარ აღმოჩნდა გაფართოებული ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგებაში. ამიტომ, შეიქმნა აუცილებლობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტად გამოსულიყვნენ ფიზიკურ პირთა ჯგუფები, კოლექტივები, როგორც ორგანიზაციული გაერთიანებები.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის რესპუბლიკაში ჩაისახა იდეა, რომ ცალკეული ორგანიზაციული გაერთიანებები (კერძო კორპორაციები), რომელთაც განცალკევებული ქონება ჰქონდათ, გამოსულიყვნენ თავიანთი სახელით სამოქალაქო ბრუნვაში. აქ, მართალია, არ არსებობს ცნება „იურიდიული პირი“, მაგრამ უკვე მკვიდრდება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ცალკეულ ორგანიზაციათა, მოქალაქეთა გაერთიანებების სუბიექტებად მიჩნევა და მათი ფაქტობრივი მონაწილეობა ამ ურთიერთობებში.

შუა საუკუნეებში პრაქტიკული განვითარება ჰპოვა შეხედულებამ იურიდიულ პირებზე, როგორც კერძო სამართლის სუბიექტებზე, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო რომის სამართლის დოგმების ზეგავლენა, რომ ასეთი ორგანიზაციული გაერთიანებები მაინც არ იწოდებოდნენ იურიდიულ პირებად.

ფეოდალიზმის მსხვერველსა და ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობების დანერგვის, გაცვლა-გამოცვლის განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა მოძღვრებამ იურიდიული პირების შესახებ. გერმანიასა და საფრანგეთში ზედიზედ ქვეყნდება ცნობილი იურისტების (სავინი, იურინგი, გირკე, დერნბურგი, სალეილი და სხვა) შრომები, მიძღვნილი იურიდიული პირების პრობლემისადმი.

მეოცე საუკუნეში, როცა ფართოდ განვითარდა ინფრასტრუქტურა და სახელმწიფოთაშორისი სამენარმეო საქმიანობა, გაიზარდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, ახალ-ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ცხადია, კიდევ უფრო გაიზარდა იურიდიულ პირთა ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა. კანონმდებლობაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იურიდიულ პირებს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტებს.

განსაკუთრებით აქტუალური გახდა საკითხი იურიდიულ პირთა შესახებ ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. კერძო ურთიერთობების განვითარებამ, სამენარმეო საქმიანობის ფართოდ გაშლამ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვამ, ერთობლივი სანარმოების საქმიანობის დანერგვამ, თავისთავად გაზარდა ინტერესი იურიდიულ პირთა შესახებ, კანონმდებლობის ცხოვრების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისადმი. ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, იურიდიულ პირთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მათ კომპეტენციასა და უფლება-მოვალეობებს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. კოდექსის პირველივე კარის ძირითადი ნაწილი სწორედ იურიდიულ პირებს აქვთ დათმობილი.

მაინც რაში გამოიხატება იურიდიული პირის, როგორც სამოქალაქო სამართლის კოლექტიური სუბიექტის უპირატესობა, რა შეადგენს მის მიზანს?

პირველი უპირატესობა, რაც კერძო იურიდიულ პირს აქვს ცალკეულ ფიზიკურ პირებთან შედარებით, ეს არის კაპიტალის გაერთიანება ერთიანი მიზნისათვის. ფართო მასშტაბის სამენარმეო საქმიანობა, ცხადია, მოითხოვს დიდ კაპიტალს, რაც ცალკე ფიზიკურ პირს ნაკლებად აქვს. იურიდიული პირის საშუალებით ხდება ცალკეულ ინდივიდთა კაპიტალის გაერთიანება, რაც შესაძლებელს ხდის ყველა სახის საქმიანობის წარმატებულ ფუნქციონირებას.

მეორე უპირატესობა, რაც იურიდიულ პირს აქვს, ეს არის ამ კაპიტალის მართვა. იურიდიული პირი, როგორც ფიზიკურ პირთა გაერთიანება, უკეთ მართავს კუთვნილ კაპიტალს, უფრო ეფექტიანად იყენებს რესურსებს, ვიდრე განცალკევებული ფიზიკური პირი. კიდევ მეტი, იურიდიულ პირს უკეთ შეუძლია მართოს კაპიტალი, ვიდრე თვით სახელმწიფოს. კერძო იურიდიული პირების საქმიანობით უკეთესი პირობები იქმნება კაპიტალის გონივრული მართვისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს საქმიანობა ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებას, ორგანიზაციას, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციას.

მესამე უპირატესობა, რაც იურიდიულ პირთა მეშვეობით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობას ახასიათებს, არის ნაკლები ქონებრივი რისკი. იურიდიულ პირთა საქმიანობა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ უკეთ იყოს დაცული მის მონაწილეთა კუთვნილი წილი თანხა, მინიმუმამდე შემცირდეს მისი ხელყოფის საფრთხე.

იურიდიულ პირთა მეოთხე უპირატესობა არის ის, რომ აქ ხდება ცალკეულ ინდივიდთა ინტერესების შერწყმა ერთიან, კოლექტიურ ინტერესად. თითოეული ფიზიკური პირის ნება ერთიანდება ერთ კოლექტიურ ნებად და ეს კოლექტივი გამოდის თავისი სახელით კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

იურიდიული პირის განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

იურიდიული პირის ნიშნები. იურიდიული პირის დასახელებული განმარტება გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ორგანიზაცია იურიდიულ პირად, ანუ სამოქალაქო სამართლის სუბიექტად ჩაითვალოს.

ასეთი დამახასიათებელი ნიშნებია:

1. ორგანიზაციული ერთიანობა. ეს ნიშანი აუცილებელია ყველა სახის იურიდიული პირისათვის. რამდენიმე ფიზიკური პირი ერთიანდება ერთ კოლექტივად, ერთ ორგანიზებულ წარმონაქმნად, რომელიც კერძო ურთიერთობებში გამოდის როგორც ერთი მთლიანი სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეული სტრუქტურული ერთეულია. ამ ნიშნის არსი ის არის, რომ იურიდიული პირის ერთიანობაში დამყარებულია ისეთი ურთიერთობები, რომლის თანახმადაც ის გვევლინება როგორც ერთიანი სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ მასში სხვადასხვა ფიზიკური პირები არიან გაერთიანებული. იურიდიულ პირში ფიზიკურ პირთა ინტერესების ბუნებრივი გაერთიანების, მათი აზროვნებისა და ნების ერთიანობის ნაცვლად, სახეზე გვაქვს ხელოვნური გაერთიანება, რომელშიც ცალკეულ პირთა ინტერესების ნაწილი შეზავებულია, რომელიც შემდეგ გარდაიქმნება უმაღლეს ერთიანობაში – ინტერესთა ერთიანობაში.

იურიდიულ პირთა ორგანიზაციული ერთიანობა დადასტურებულია მისი დამფუძნებელი დოკუმენტით (ნესდება, დებულება, ხელშეკრულება), აგრეთვე იმ ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებენ ამ იურიდიულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

2. ქონებრივი განცალკევებულობა. იურიდიული პირი არის ისეთი ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელსაც აქვს საკუთარი განცალკევებული ქონება. ქონებრივი განცალკევებულობა ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ პირს აქვს საკუთარი, სხვა პირებისაგან გამოცალკევებული ქონება. ეს აუცილებელი პირობა ეკონომიკური

<sup>1</sup> Гражданское право, т. I. Санкт-Петербург, 1996. стр. 107.

ბაზაა იმისათვის, რომ ამ პირმა თავისი ფუნქციები შეასრულოს. იურიდიული პირის საქმიანობა მოითხოვს გარკვეულ ქონებას, სახსრებს, მონყობილობას, ინსტრუმენტებს, სხვადასხვა საგნებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ტექნიკურ მონყობილობებს. ყველაფერი ეს, ერთობლიობაში, ქმნის გარკვეულ ქონებრივ კომპლექსს, რომელიც ეკუთვნის ამა თუ იმ იურიდიულ პირს და წარმოადგენს მის განცალკევებულ ქონებას.

სხვადასხვა სახის იურიდიულ პირს სხვადასხვა ზომით და ფორმით შეიძლება ჰქონდეს განცალკევებული ქონება. უმთავრესად ეს ქონება აისახება იურიდიული პირის ფორმირების დროს სანესდებო კაპიტალის სახით. ეს ქონება შეტანილი იქნება ორგანიზაციის ბალანსში ანდა აღინიშნება მიმდინარე გასავლების ხარჯთაღრიცხვაში.

იურიდიული პირის განცალკევებულ ქონებას მნიშვნელობა აქვს ამ პირთა იდენტიფიკაციისათვის. ზოგჯერ, ერთმანეთს ემთხვევა იურიდიული პირების პერსონალური შემადგენლობა, მათი მართვის ორგანოები და კომპეტენციაც. ამიტომ, საჭირო ხდება ამ იურიდიული პირის განცალკევება, მისი იდენტიფიკაცია მისი კუთვნილი განცალკევებული ქონებით.

**3. დამოუკიდებელი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.** იურიდიული პირი, როგორც სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლშია მითითებული, თავისი ქონებით პასუხს აგებს დამოუკიდებლად, ე. ი. მას აქვს დამოუკიდებელი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამის აუცილებელი წინამძღვარია ის, რომ იურიდიულ პირს აქვს თავისი ქონება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით არის გამოცალკევებული იურიდიული პირის ქონება სხვა ორგანიზაციების ქონებისაგან.

**4. თავისი სახელით გამოსვლა სამოქალაქო მიმოქცევაში.** ეს ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ პირს შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, დადოს გარიგებები



და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ყველაფერ ამის ნანამძღვარია ის, რომ იურიდიული პირი არის ორგანიზაციული ერთიანობა, აქვს განცალკევებული ქონება და დამოუკიდებელი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამიტომ, ეს მეოთხე ნიშანი იურიდიული პირის პირველი სამი ნიშნის შეჯამებაა და განსაზღვრავს იმ მიზანსაც, რაც ამ იურიდიულ პირს აქვს.

ეს ოთხი ნიშანი საერთოდ ცივილისტურ ლიტერატურაში იურიდიული პირის დამახასიათებელ თავისებურებად ითვლება, რითაც ის განსხვავდება სხვა ორგანიზაციებისაგან, რომლებიც იურიდიულ პირებად არ იწოდებიან.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც ზემოთ მოტანილი მისი 24-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, მიუთითებს დამატებით ნიშანს, რომელიც იურიდიულ პირს უნდა ახასიათებდეს. ეს არის განსაზღვრული მიზანი.

ცხადია, იურიდიული პირის შექმნა ყოველთვის განსაზღვრულ მიზანს ითვალისწინებს და ეს ნიშანი სავსებით სწორად არის მითითებული კოდექსით მოცემულ იურიდიული პირის განსაზღვრაში. კერძოდ, იურიდიული პირის შექმნის მიზანი შეიძლება იყოს ერთობლივი წარმოება, სამენარმეო საქმიანობა, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და სხვა. ამასთან ერთად, როცა ლაპარაკია იურიდიული პირის დამახასიათებელ ნიშნებზე, უპირველესად იგულისხმება ისეთი ნიშნები, რომლებიც სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ, არ აქვთ. განსაზღვრული მიზანი თითქმის ყველა ორგანიზაციისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ თუ მათ იმ ოთხი ნიშნიდან, რომელიც ზემოთ დავასახელებთ, არ ახასიათებთ თუნდაც ერთი რომელიმე, ეს ორგანიზაცია იურიდიულ პირად არ ჩაითვლება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როცა იურიდიული პირის ნიშნებზეა ლაპარაკი, თითქმის ყველა ავტორი მხოლოდ პირველ ოთხ ნიშანს გამოყოფს.

მიმაჩნია, რომ ეს სწორი არ არის. გარდა ამ ოთხი ნიშნისა, იურიდიული პირის დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს მისი შექმნის მიზანიც, როგორც ეს სამართლიანად არის მითითებული საქართველოს ახალ სამოქალაქო კოდექსში.

ამრიგად, იურიდიული პირის დამახასიათებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს: 1. იურიდიული პირის შექმნის განსაზღვრული მიზანი; 2. ორგანიზაციული ერთიანობა; 3. განცალკევებული ქონება; 4. დამოუკიდებელი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და 5. სამოქალაქო ურთიერთობებში გამოსვლა საკუთარი სახელით.

## §2. იურიდიული პირი როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. იურიდიულ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს, აქვს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. იმის გამო, რომ იურიდიული პირი არის სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული, კოლექტიური სუბიექტი, მისი უფლებაუნარიანობაც თავისებური ხასიათისაა.

იურიდიული პირი, თავისი ბუნების გამო, არ შეიძლება იყოს ბევრი იმ უფლების მატარებელი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ პირს (მაგალითად, უფლებები დაკავშირებული საოჯახო ურთიერთობებთან). ამავე დროს, ზოგიერთი ისეთი უფლება, რომელიც იურიდიულ პირს აქვს, არ შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ პირს (მაგალითად, სამარკო ნიშანი, ფილიალის გახსნის უფლება და სხვა).

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა არის მისი უნარი, იქონიოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ქმედუნარიანობა კი, არის უნარი თავისი მოქმედებით განახორციელოს ეს უფლებები და მოვალეობები. განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, იურიდიული

პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ნარმოიშობა და წყდება ერთდროულად.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა ნარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტში, ე. ი. ამ პერიოდში იურიდიულ პირს აქვს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (უფლებაუნარიანობა) და ამავე დროს მას აქვს უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს ეს უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა).

განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, რომელთაც აქვთ ზოგადი უფლებაუნარიანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ ნებისმიერი უფლებები და მოვალეობები, რაც აუცილებელია სხვადასხვა სახის საქმიანობის განსახორციელებლად, იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა ყოველთვის არ არის ზოგადი ხასიათის უფლებაუნარიანობა, რამდენადაც მათ უმთავრესად უფლება აქვთ მხოლოდ ის უფლებები და მოვალეობები იქონიონ და განახორციელონ, რომლებიც გათვალისწინებულია მათ დამფუძნებელ დოკუმენტებში (წესდება, დებულება, ხელშეკრულება). მართალია, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესში გაფართოვდა კერძო იურიდიულ პირთა უფლებამოსილების ფარგლები, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ისინი აღჭურვილნი არიან უნივერსალური (ზოგადი) უფლებაუნარიანობით. სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, კერძო სამართლის იურიდიულ პირს, როგორც სამენარმეოს, ისე არასამენარმეოს, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებით. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალს კანონი განსაზღვრავს, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ

სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს ნარმოემობა ნებართვის მიღების მომენტიდან.

მაშასადამე, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ერთი შეხედვით, აქვთ უნივერსალური ხასიათის უფლებაუნარიანობა, მაგრამ ეს, მთლად ასე არ არის. ჯერ ერთი, კანონი მიუთითებს, რომ მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ისეთი საქმიანობა, რაც კანონით არ არის ნებადართული და მეორეც, ზოგიერთი სახის საქმიანობისათვის საჭიროა სპეციალური ნებართვა, ე. ი. უფლებაუნარიანობა სრული უნივერსალური ხასიათის მაინც არ არის.

მაშასადამე, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა ყოველთვის სპეციალურ ხასიათს ატარებს, ხოლო კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა საერთოდ ზოგადია, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ის აბსოლუტურად შეუზღუდავია, რამდენადაც, გარკვეულწილად, მაინც კანონის ჩარჩოებშია მოქცეული.

იურიდიული პირი, განსხვავებით ფიზიკური პირისაგან, თავის უფლებაუნარიანობას ახორციელებს არა უშუალოდ, არამედ გარკვეული ორგანოს მეშვეობით. ე. ი. მისი ქმედუნარიანობა გამოხატულებას პოულობს ამ პირის ორგანოების საქმიანობაში. ამ ორგანოთა სისტემა და ფუნქციები განსაზღვრულია კანონით და აისახება მათ დამფუძნებელ დოკუმენტებში.

იურიდიული პირის წესდება (დებულება), მისი ორგანოები. იურიდიული პირის შექმნის მიზანი, კომპეტენცია და სტრუქტურა ჩამოყალიბებულია მის დამფუძნებელ დოკუმენტებში, რომელიც წესდების ან დებულების სახით არის ჩამოყალიბებული. წესდება (დებულება) არის იურიდიული პირის სამართლებრივი საფუძველი. იგი განსაზღვრავს, თუ რა ამოცანას ისახავს იურიდიული პირის შექმნა, რა საქმიანობის შესრულება შეუძლია მას, რა უფლება-მოვალეობები აქვს და როგორია მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რა ორგანოებმა უნდა უხელმძღვანელონ ამ გაერთიანებას, როგორ უნდა შეიქმნას ეს

ორგანოები, რა შეადგენს ამ იურიდიული პირის ქონებას, რა სახელწოდება აქვს მას მიკუთვნებული და სად მდებარეობს მისი ადგილსამყოფელი.

სხვადასხვა სახის იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტი სხვადასხვა სახელწოდებისაა – ნესდება, დებულება, ხელშეკრულება.

იურიდიული პირი მინიჭებულ ქმედუნარიანობას ახორციელებს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ იურიდიული პირი, როგორც სამართლის კოლექტიური სუბიექტი, შედგება ადამიანებისაგან, ფიზიკური პირებისაგან, აქვს განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც შედის ცალკეული შინაგანი დანაყოფები, რომელთაც დაკისრებული აქვთ სხვადასხვა ფუნქციის შესრულება. სწორედ ამ დანაყოფების საქმიანობით ხორციელდება იურიდიული პირის სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სამოქალაქო ბრუნვის სფეროში ასეთი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ მხოლოდ იურიდიული პირის ორგანოებს.

იურიდიული პირის ორგანო არის სამართლებრივი ტერმინი, რომელიც ნიშნავს ცალკე პირს (ერთპიროვნული ორგანო) ან პირთა ჯგუფს (კოლექტიური ორგანო), რომელიც მონაწილეობს დაიცვას იურიდიული პირის ინტერესები სხვა პირებთან ურთიერთობაში სპეციალური უფლებამოსილების (მინდობილობის) გარეშე.

იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს ერთი ორგანო (დირექტორი, პრეზიდენტი, გამგეობა) ანდა ორი ან რამდენიმე ერთდროულად (დირექტორი და დირექცია, გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარე). ორივე შემთხვევაში ეს ორგანო შეიძლება იყოს ერთპიროვნული ან კოლექტიური. ასევე, ეს ორგანო შეიძლება იყოს არჩევითი და დანიშნითი.

იურიდიული პირის უფლება-მოვალეობები შეიძლება განახორციელოს მისმა წარმომადგენელმა, რომელიც მოქმედებს ამ იურიდიული პირის ორგანოს მიერ გაცემული მინდობილობით.

იურიდიული პირი უფლება-მოვალეობებს ახორციელებს თავისი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენელი არ უნდა გასცდეს მისი

უფლებამოსილების ფარგლებს. 'სოგიერთი ხასიათის მოქმედების შესრულებას (მაგალითად, ხელშეკრულების დადებას, სარჩელის ცნობას სასამართლოში) ესაჭიროება სპეციალური უფლებამოსილება (მინდობილობა, რომელშიც აღინიშნება ეს უფლებამოსილება).

ამასთან, იურიდიული პირის უფლებამოსილება ხორციელდება არა მარტო მისი ორგანოს მეშვეობით, არამედ მისი ყველა მუშაკის საქმიანობის პროცესში, როცა ისინი ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

**იურიდიული პირის სახელწოდება და ადგილსამყოფელი.** იურიდიული პირი, როგორც სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი, განცალკევებული სუბიექტი, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს თავისი სახელით. ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებული გარკვეული სახელწოდება, რომლის მიხედვითაც ხდება მისი ინდივიდუალიზაცია. ამ მიზნით კანონი ითვალისწინებს, რომ იურიდიულ პირს ჰქონდეს თავისი სახელწოდება. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასამენარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. სამენარმეო იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება წესრიგდება კანონით „მენარმეთა შესახებ“.

პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ეს სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამოწვეული ზიანი. იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება კანონით დადგენილი წესი (მუხლი 18-ე), ე. ი. იურიდიულ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს ამ უფლებების დაცვა.

სამენარმეო (კომერციული) საქმიანობის განსახორციელებლად შექმნილი იურიდიული პირები, რომელთა მიზანია მოგების მიღება,

მენარმეთა კანონის შესაბამისად, ჩამოყალიბდებიან სამენარმეო საზოგადოებებად. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მენარმეთა შესახებ მიღებული იქნა 1994 წლის 28 ოქტომბერს, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან.

აღნიშნული კანონით, იურიდიულ პირებად ჩაითვალა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, სამენარმეო იურიდიულ პირებს აქვთ საფირმო სახელწოდება (ფირმა), რაც წარმოადგენს ამ პირის სახელწოდებას, რომლითაც იგი საქმიანობს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის გვარსა და სახელს (ან გვარს), შპს-ის საფირმო სახელწოდება კი დამატებით ან ყველა პარტნიორის გვარსა და სახელს ან გვარს.

კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ ერთი პერსონალური პასუხისმგებელი პარტნიორის (კომპლემენტარის) გვარსა და სახელს (ან გვარს), რასაც ემატება „კს“ (კომანდიტური საზოგადოება).

გარდა ამისა, შპს-ს, სააქციო საზოგადოებას და კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით ან საკუთარი ფანტაზიით, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს სახელწოდება უნდა შეიცავდეს შესაბამისი იურიდიული პირის მთლიან დასახელებას ანდა მათ შემოკლებულ ინიციალებს („სს“, „შპს“, „რკ“).

საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელიც შეცდომაში შეიყვანს მესამე პირებს, ანდა გამოიწვევს გაუგებრობას სანარმოს ფირმის თუ საქმიანობის მოცულობის ანდა პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

ამასთან, საფირმო სახელწოდებას შეიძლება დაერთოს დამატება, თუ ეს საჭიროა სხვა ფირმებისაგან განსასხვავებლად.

იურიდიულ პირს, მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ინდივიდუალიზაციისათვის აქვს სანარმოო მარკა, რომელიც შედგება საფირმო სახელწოდების, საქონლის ხარისხისა და სახელმწიფო სტანდარტის მონაცემებისაგან. სანარმოო მარკა უზრუნველყოფს იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის.

გარდა ამისა, იურიდიულ პირს აქვს თავის სასაქონლო ნიშანი, რომლის დანიშნულებაა როგორც პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, ისე მისი რეკლამა. სასაქონლო ნიშანი არის პროდუქციის ორიგინალური მინიშნება, რაც გამოიხატება რაიმე სახელწოდებით, სიტყვების, ასოების ან ციფრების შეერთებით, ან გრაფიკული გამოსახულებით.

იმ ურთიერთობების მოსაგვარებლად, რომელშიც იურიდიული პირი მონაწილეობს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ იურიდიული პირის ადგილსამყოფელის განსაზღვრას. ამის აუცილებლობა განსაკუთრებით მაშინ წარმოიშობა, როცა იურიდიული პირის ცალკეული დანაყოფები სხვადასხვა ტერიტორიაზე, სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში, ანდა სხვადასხვა ქვეყანაში არიან განლაგებული. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად კანონი ზუსტად მიუთითებს, თუ რა ითვლება იურიდიული პირის ადგილსამყოფელად.

სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. ამასთან, იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად. იურიდიული პირის ფილიალი ამ პირის სტრუქტურული დანაყოფია, რომელიც იქმნება საჭიროების შემთხვევაში და რომელსაც ეკისრება განახორციელოს ამ პირის საქმიანობა გარკვეულ ტერიტორიაზე. იურიდიული პირის ფილიალი, როგორც განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც



მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას, ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიანობას აწარმოებს იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე.

### §3. იურიდიული პირის შექმნა და გაუქმება

**იურიდიული პირის შექმნა.** იურიდიული პირის შექმნა სხვადასხვანაირად ხდება, იმისდამოკიდებით, თუ რა სახის იურიდიული პირი იქმნება, ვინ იძლევა მისი შექმნის ნებართვას და რომელი სახელმწიფო ორგანო ახდენს მის რეგისტრაციას. ამის გათვალისწინებით, ცივილისტურ ლიტერატურაში განასხვავებენ იურიდიულ პირთა შექმნის ოთხგვარ წესს: საგანკარგულებო, სანებართვო, ნებაყოფლობით და საგანმცხადებლო-ნორმატიულს.

საგანკარგულებო წესით იურიდიული პირის შექმნა ნიშნავს, რომ ეს პირი იქმნება მხოლოდ დამფუძნებლის განკარგულების საფუძველზე და მას შემდგომი რეგისტრაცია აღარ ესაჭიროება სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებში. აქ საკმარისია დამფუძნებელი ორგანოს ნება, რომ შექმნას ესა თუ ის იურიდიული პირი გარკვეული მიზნების განსახორციელებლად.

ასეთი წესით უმთავრესად იქმნებიან საჯარო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფო ამა თუ იმ მიზნით ქმნის იურიდიულ პირს, რომელსაც გადასცემს გარკვეულ ქონებას. ასეთი გზით არიან შექმნილი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სახელმწიფო თეატრები და სხვა დანესებულებები.

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მესამე ნაწილში ნათქვამია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

გარდა სახელმწიფო იურიდიული პირებისა, საგანკარგულებო წესით შეიძლება შეიქმნას არასახელმწიფო იურიდიული პირებიც, სახელდობრ, თუ რომელიმე საზოგადოების ცენტრალურმა კავშირმა საჭიროდ ჩათვალა რაიმე მიზნით შექმნას იურიდიული პირი (ასეთ იურიდიულ პირებს ქმნიდა, მაგალითად, საბჭოთა პერიოდში ცეკავშირი ცალკეული ბაზების, ტრესტებისა და სხვა სახით).

სანებართვო წესით იურიდიული პირის შექმნა ნიშნავს, როცა ამ ორგანიზაციის, როგორც იურიდიული პირის შექმნის ნებართვას იძლევა ესა თუ ის კომპეტენტური ორგანო. აქ იურიდიული პირის შექმნა ხდება ნებაყოფლობით, მის დამფუძნებელთა სურვილით, მაგრამ არა სტიქიურად, არამედ გარკვეული კომპეტენტური ორგანოს ნებართვის საფუძველზე. იურიდიულ პირთა უმრავლესობა სწორედ ამ წესით იქმნება. საგანკარგულებო წესისაგან განსხვავებით, სანებართვო წესით იურიდიული პირის შექმნა ხდება არა რომელიმე ორგანოს ნება-სურვილით, რომელიც განკარგულებას გამოსცემს ამის შესახებ, არამედ იმ ფიზიკურ პირთა ნება-სურვილის მიხედვით, ვინც გადაწყვიტა გაერთიანდეს კოლექტივად და ითხოვს სათანადო ნებართვას კომპეტენტური ორგანოებისაგან.

ნებაყოფლობითი წესით იურიდიული პირის შექმნაც გულისხმობს მის შექმნას დამფუძნებელთა ნების, მათი სურვილის მიხედვით, მაგრამ სანებართვო წესისაგან განსხვავებით აქ საჭირო არ არის რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ნებართვა ამ პირთა შექმნის შესახებ, საჭიროა მხოლოდ ამ პირის რეგისტრაცია სათანადო, კანონით დადგენილი წესით. სანებართვო წესით იურიდიული პირის შექმნის დროს კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი უთხრას დამფუძნებლებს ამ ორგანიზაციის შექმნაზე არა მარტო შექმნის დადგენილი წესის დაუცველობის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მიზანშეწონილად არ ჩაითვალოს ასეთი იურიდიული პირის შექმნა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სწორედ კომპეტენტური ორგანოს ნებართვაზეა დამოკიდებული შეიქმნას თუ არა ესა თუ ის იურიდიული პირი,

რეალიზებული იქნეს თუ არა დამფუძნებელთა სურვილი ასეთი პირის შექმნის შესახებ.

რაც შეეხება ნებაყოფლობითი წესით იურიდიული პირის შექმნას, მთავარია, დამფუძნებელთა ნება შექმნან რომელიმე სახის იურიდიული პირი და საკმარისია მათ, კანონით დადგენილი წესით, გააფორმონ სათანადო საბუთები და მოახდინონ ამ პირის რეგისტრაცია სასამართლოში ან იუსტიციის სამინისტროში. რაიმე სპეციალური ნებართვა ამისათვის საჭირო არ არის. რეგისტრაციაზე უარი შეიძლება ეთქვას ამ პირის დამფუძნებლებს მხოლოდ იმის გამო, თუ დარღვეული იქნა კანონი ასეთი პირების შექმნის შესახებ.

საგანმცხადებლო-ნორმატიული წესით იურიდიული პირის შექმნა ხდება ნებაყოფლობის საფუძველზე, მაგრამ ამისათვის საჭიროა არა რომელიმე ორგანოს სპეციალური ნებართვა, არამედ ეს გათვალისწინებულია გარკვეული ნორმატიული აქტით. ეს აქტი უკვე შეიცავს ნებართვას იურიდიული პირის შექმნის შესახებ და მასში ჩამოთვლილია ის მოთხოვნები, რაც საჭიროა ამა თუ იმ იურიდიული პირის შექმნისათვის. თუ ასეთი მოთხოვნები დაცულია, კომპეტენტურ ორგანოს უფლება არა აქვს უარი უთხრას დამფუძნებლებს იურიდიული პირის ჩამოყალიბებაზე მიზანშეუწონლობის ან სხვა რაიმე მოტივით. ასეთი წესით იქმნება თითქმის ყველა სამენარმეო იურიდიული პირი. საკმარისია ასეთი ორგანიზაციების შექმნის დროს დაცული იქნეს მათი შექმნისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნები და რომელიმე კომპეტენტური ორგანოს უნებართვოდ მოხდეს მათი რეგისტრაცია სასამართლოში.

სამენარმეო იურიდიული პირების შექმნის პროცედურა და პირობები მოცემულია კანონში „მენარმეთა შესახებ“ და ამ პირობების დაცვით დამფუძნებლები განცხადებით მიმართავენ სასამართლოს, რათა რეგისტრაციაში იქნეს გატარებული ეს საწარმო. რეგისტრაციის შემდეგ კი იურიდიული პირი შექმნილად ითვლება.

სხვადასხვა სახის იურიდიული პირის შექმნა სხვადასხვა სტადიას მოიცავს. საგანკარგულეზო წესით იურიდიული პირის შექმნისათვის, პირველ რიგში, საჭიროა შესაბამისი ორგანოს გადანიჭვითილება ამ პირის შექმნის შესახებ. შემდეგ საჭიროა ამ პირის წესდების შემუშავება. წესდების შემუშავება შეიძლება წინ უსწრებდეს გადანიჭვითილების მიღებას იურიდიული პირის შექმნის შესახებ.

ყველა სახის იურიდიული პირისათვის მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია დამფუძნებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში უნდა იყოს კონკრეტულად ჩამოყალიბებული სამართლის ზოგად ნორმებზე დაყრდნობით მოცემული იურიდიული პირის შექმნის მიზანი და საქმიანობის წესი. ეს დოკუმენტები სხვადასხვა სახის იურიდიული პირებისათვის სხვადასხვაა. უმთავრესი დამფუძნებელი დოკუმენტი ჩამოყალიბებულია წესდების ან დებულების სახით. ზოგჯერ ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს დამფუძნებელი ხელშეკრულება.

**დამფუძნებელი ხელშეკრულება** – არის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, იგი იდება იურიდიული პირის დამფუძნებელთა შორის, რომელიც არეგულირებს დამფუძნებელთა ურთიერთობებს იურიდიული პირის როგორც შექმნის პროცესში, ისე მისი საქმიანობის პერიოდში. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დადებული იქნეს, როგორც მარტივი წერილობითი ფორმით, ისე სანოტარო წესით დამონმებული.

იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრაცია. იურიდიულ პირთა შექმნის დამამთავრებელი სტადიაა მათი სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია. სათანადო კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო ამონმებს კონკრეტული სახის იურიდიული პირის შექმნისათვის საჭირო ყველა რეკვიზიტს და ახდენს ამ პირის რეგისტრაციას, რის შემდეგაც ეს პირი ითვლება უფლებაუნარიანობითა და ქმედითუნარიანობით აღჭურვილ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად.

სამენარმეო იურიდიული პიოეის ოეგისტრაციას ანარმეებენ სასამართლოები, არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციას კი, როგორც სასამართლო (კავშირი), ისე იუსტიციის სამინისტრო (ფონდი).

რეგისტრაციისათვის წარდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები: დამფუძნებელთა განცხადება რეგისტრაციის შესახებ, ორგანიზაციის წესდება (დებულება), დამფუძნებელთა ხელშეკრულება ან მათი გადაწყვეტილება იურიდიული პირის შექმნის შესახებ, სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოწმობა, ხოლო კომერციული ორგანიზაციებისათვის საჭიროა დამატებითი საბუთი, რომელიც ადასტურებს საწარმოს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 50%-ის გადახდას.

რეგისტრაციაზე უარის თქმა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნებს ანდა დაცული არ იყო წესი, რაც დადგენილია ამ იურიდიული პირის შექმნისათვის. რეგისტრაციაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს აგრეთვე რეგისტრაციისათვის თავის არიდება, როცა ეს ელინდება საამისოდ დაწესებული ვადის გაშვებით.

იურიდიული პირის გაუქმება. იურიდიული პირის გაუქმება ნიშნავს მისი საქმიანობის შეწყვეტას. ამის შემდეგ იურიდიულ პირს უკვე აღარ შეუძლია გამოვიდეს სუბიექტად სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

არსებობს იურიდიული პირის გაუქმების ანუ მისი საქმიანობის შეწყვეტის ორი ფორმა: რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. კანონი იცნობს აგრეთვე იურიდიული პირის საქმიანობის დროებით შეწყვეტას ან შეჩერებას.

რეორგანიზაცია არის იურიდიული პირის საქმიანობის ისეთი შეწყვეტა, როცა მისი უფლებები და მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა სხვა იურიდიულ პირს. აქ სახეზე გვაქვს

უნივერსალური უფლებამონაცვლ: კობა, ე. ი. ძველის ნაცვლად იქმნება ახალი იურიდიული პირი. თავის მხრივ რეორგანიზაციას აქვს ხუთი სახე: შეერთება, შემოერთება, გაყოფა, გამოყოფა და გარდაქმნა.

შეერთება გულისხმობს რამდენიმე იურიდიული პირის გაუქმებას, მათ ლიკვიდაციას და ამის ნაცვლად ახალი იურიდიული პირის შექმნას. ახალ იურიდიულ პირზე გადადის ის უფლება-მოვალეობანი, რაც ჰქონდათ შეერთებულ იურიდიულ პირებს.

შემოერთება არის იურიდიული პირის ლიკვიდაციის ისეთი ფორმა, როცა ერთი იურიდიული პირი რჩება და მას შეუერთდება ერთი ან რამდენიმე სხვა იურიდიული პირი, ე. ი. ამ დროს რამდენიმე იურიდიული პირის ნაცვლად რჩება ერთი, რომელიც განაგრძობს საქმიანობას და მას უერთდებიან სხვა იურიდიული პირები (ანდა უერთდება ერთი იურიდიული პირი). იმ პირს, რომელსაც შეუერთდნენ სხვა პირები, რჩება არა მარტო ის უფლება-მოვალეობები, რომელიც მას ადრე ჰქონდა, არამედ გადაეცემა ის უფლება-მოვალეობებიც, რაც შემოერთებულ პირებს ჰქონდათ, ე. ი. ამ დროს ყველა იურიდიული პირი კი არ უქმდება, როგორც შეერთების დროს ხდება, არამედ რჩება ერთი და დანარჩენი უერთდება მას.

შეერთებისა და შემოერთების გზით ხდება იურიდიული პირების გამსხვილება. ზოგჯერ საჭირო ხდება საპირისპიროდ, სანარმოო თუ სხვა გარკვეული მიზნით, არა თუ გამსხვილდეს იურიდიული პირი, არამედ დანაწევრდეს, დაიყოს რამდენიმე იურიდიულ პირად. ეს ხდება გაყოფისა და გამოყოფის გზით.

გაყოფა არის იურიდიული პირის რეორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროს იურიდიული პირი ნყვეტს თავის საქმიანობას, მაგრამ მის ნაცვლად წარმოიშობა სხვა ორი ან რამდენიმე იურიდიული პირი. ასეთ დროს ის უფლება-მოვალეობები, რაც ჰქონდა გაყოფილ იურიდიულ პირს, ნაწილდება იმ პირებზე, რომლებიც მის ნაცვლად შეიქმნენ.

გამოყოფა არის იურიდიული პირის რეორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის დროს იურიდიული პირი რჩება, განაგრძობს საქმიანობას, მაგრამ მას გამოეყოფა ახალი იურიდიული პირი, ე. ი. აქაც ერთის ნაცვლად იქმნება რამდენიმე იურიდიული პირი, მაგრამ ძველი პირი კი არ უქმდება, რჩება და აგრძელებს საქმიანობას, თუმცა შემცირებული მოცულობით, რადგან მას გამოეყოფა სხვა იურიდიული პირი და მას გადაეცემა ძირითადი იურიდიული პირის ზოგიერთი უფლება-მოვალეობა.

გარდაქმნა იურიდიული პირის რეორგანიზაციის ისეთი ფორმაა, როცა ადრე არსებული იურიდიული პირის მიზნები და ფუნქციები იცვლება და მის ნაცვლად იმავე იურიდიულ პირს ენიჭება ახალი, განსხვავებული ფუნქციები, ასევე განსხვავებული მიზნებით. ამ შემთხვევაში მოქმედი იურიდიული პირი გარდაიქმნება და საქმიანობას აგრძელებს შეცვლილი წესდებითა და, შესაძლოა, შეცვლილი შემადგენლობითაც.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეორგანიზაცია ყოველთვის არ ნიშნავს იურიდიული პირის გაუქმებას, მისი საქმიანობის შეწყვეტას. რეორგანიზაცია მხოლოდ ორი ფორმის – შეერთებისა და გაყოფის დროს იწვევს იურიდიული პირის გაუქმებას, როცა ძველი იურიდიული პირი ან პირები უქმდება და მის ნაცვლად იქმნება ახალი, ერთი ან რამდენიმე იურიდიული პირი, ხოლო შემოერთებისა და გამოყოფის დროს, იურიდიული პირის გაუქმება კი არ ხდება, არამედ არსებული იურიდიული პირი ან მსხვილდება, როცა იერთებს სხვა პირს, ანდა მცირდება, როცა მისგან გამოიყოფა სხვა ახალი იურიდიული პირი.

რეორგანიზაცია, როგორც წესი, წარმოებს ნებაყოფლობით, იურიდიული პირის ქონების მესაკუთრეთა გადაწყვეტილებით. ამასთან ერთად, დასაშვებია, რომ ასეთი რეორგანიზაცია მოხდეს იძულებითაც.

იურიდიული პირის რეორგანიზაციის გაფორმება ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით ტარდება ეს რეორგანიზაცია. სახელდობრ, ფორმდება გაყოფის ბალანსი (გაყოფის და გამოყოფის დროს) ანდა გადაცემითი აქტი (შეერთების, შემოერთებისა და გარდაქმნის დროს).

რეორგანიზაციის ყველა შემთხვევაში ერთი ახალი სუბიექტი მაინც იქმნება. ამიტომ, საჭიროა მოხდეს ამ ახალი იურიდიული პირის რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციის შემდეგ ითვლება დამთავრებულად რეორგანიზაცია და იწყება ახალი პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

იურიდიული პირის რეორგანიზაცია საკმაოდ ხშირად დაკავშირებულია მისი კრედიტორების ინტერესებთან. ამიტომ, იურიდიული პირი, რომლის რეორგანიზაციაც ხდება, ვალდებულია წინასწარ აცნობოს ამის შესახებ კრედიტორებს, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ ვალდებულების შესრულება ვადამდე.

ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის გაუქმების ისეთი ფორმა, როცა მისი უფლებები და მოვალეობები სხვა რომელიმე პირებს კი არ გადაეცემათ, არამედ საერთოდ წყდება ამ პირის უფლებამოსილება და მას უფლება აღარა აქვს იყოს სუბიექტი სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

ლიკვიდაცია, ისევე როგორც იურიდიულ პირთა რეორგანიზაცია, შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფლობითი, ისე იძულებითი.

ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია ნიშნავს იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტას მისი მონაწილეების ან ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ამის უფლება მინიჭებული აქვს დამფუძნებელი დოკუმენტით. ასეთი ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის საფუძველი უმეტესად არის იურიდიული პირის შემდგომი არსებობის მიზანშეუწონლობა, ან იმ ვადის გასვლა, რომლითაც შექმნილი იყო ეს პირი, ანდა იმ მიზნის მიღწევა, რისთვისაც იგი შექმნილი იყო.

იძულებითი ლიკვიდაცია ნიშნავს იურიდიული პირის გაუქმებას მის მონაწილეთა ნების საწინააღმდეგოდ. ასეთ ლიკვიდაციას



ახდენს სასამართლო, როცა იურიდიული პირის საქმიანობა ხორციელდება სათანადო ლიცენზიის (ნებართვის) გარეშე ანდა როცა საქმიანობა, რასაც ეწევა იურიდიული პირი, აკრძალულია კანონით, ასევე, როცა ამ პირმა არაერთხელ ანდა უხეშად დაარღვია კანონმდებლობა.

სხვადასხვა სახის იურიდიული პირებისათვის დაწესებულია მათი ლიკვიდაციის სხვადასხვა წესი. ასეთივე განსხვავებული წესებია დადგენილი სხვადასხვა იურიდიული პირის შექმნისა და რეგისტრაციის, აგრეთვე მისი რეორგანიზაციისათვის. ამის შესახებ ლაპარაკი იქნება ქვემოთ, როცა განიხილება სხვადასხვა სახის იურიდიული პირები.

#### §4. იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია

იურიდიულ პირთა კლასიფიკაციის საფუძველი. იურიდიულ პირთა ინსტიტუტი სამოქალაქო სამართლის უალრესად რთული და მრავლისმომცველი ინსტიტუტია. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში იმდენი სახის იურიდიული პირი მონაწილეობს, იმდენი თავისებურებებით ხასიათდება თითოეული მათგანის მიზანი, სტრუქტურა და საქმიანობა, რომ შეუძლებელია მათი სრულად გადმოცემა თუ არ მოვახდენთ ამ პირთა კლასიფიკაციას, მათ დაყოფას სახეებად. იურიდიული პირების სახეებად დაყოფისათვის მნიშვნელობა აქვს საკუთრების ფორმას, რომელიც იურიდიულ პირს გადაეცემა განცალკევებული ქონების სახით, საქმიანობის მიზანს, რისთვისაც ეს იურიდიული პირი შეიქმნა, დამფუძნებელთა შემადგენლობას, რომელთაც შექმნეს ეს იურიდიული პირი და მის მონაწილეთა უფლება-მოვალეობათა მოცულობას და ხასიათს, იურიდიული პირის შექმნის წესს, დამფუძნებელი დოკუმენტების ხასიათსა და ორგანიზაციის წევრობას.

საკუთრების ფორმის მიხედვით არსებობს საჯარო (სახელმწიფოებრივი) და კერძო იურიდიული პირები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები – ისეთი იურიდიული პირებია, რომლებიც კერძო პირთა ნება-სურვილის გარეშეა შექმნილი. ასეთ იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან:

1. სახელმწიფო;

2. თვითმმართველობები;

3. სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან ჩამოყალიბებული სამოქალაქო კოდექსისა თუ მენარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით;

4. სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც არ არიან შექმნილი სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად;

5. საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა).

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან:

1. კავშირი;

2. ფონდი;

3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

4. კომანდიტური საზოგადოება;

5. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

6. სააქციო საზოგადოება;

7. კოოპერატივი;

საქმიანობის მიზნის მიხედვით იურიდიული პირი შეიძლება იყოს კომერციული და არაკომერციული. კომერციული იურიდიული პირები მისდევენ სამენარმეო საქმიანობას, მათი მიზანია მოგების მიღება. არაკომერციული იურიდიული პირების მიზანი არ არის სამენარმეო საქმიანობა. მათ ასეთი კომერციული საქმიანობა

მხოლოდ იმდენად შეუძლიათ განახორციელონ, რამდენადაც ეს საჭიროა მათი სანესდებო მიზნის მისაღწევად. მათ უფლება არა აქვთ მიღებული მოგება გაანანილონ წევრებზე.

იმის მიხედვით, თუ რა სახის მონაწილეობას ახორციელებს ფიზიკური პირი იურიდიული პირის საქმიანობაში, პირადს თუ ქონებრივს, შესაბამისად არის ორი სახის სამენარმეო იურიდიული პირი: ამხანაგობა და საზოგადოება.

ამხანაგობა – არის ისეთი იურიდიული პირი, რომელიც სამენარმეო მიზნით აერთიანებს ფიზიკურ პირთა პირად ძალებს, რომლებიც პირადი შრომით მონაწილეობენ იურიდიული პირის საქმიანობაში და მათთვის სავალდებულო არ არის ფულადი შენატანი კაპიტალის სახით.

საზოგადოება კი არის ისეთი იურიდიული პირი, რომელშიც მის მონაწილეებს გაერთიანებული აქვთ გარკვეული კაპიტალი.

იურიდიულ პირთა სახეები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, ნევრობაზე დაფუძნებული, ნევრობა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი, პირი, რომელიც მისდევს მენარმეობას ან არ მისდევს მენარმეობას.

კორპორაცია – ისეთი იურიდიული პირია, რომელიც მის მონაწილეთა ნევრობაზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ შექმნილია გარკვეული მიზნის მისაღწევად და ამ სანესდებო მიზნისათვის ერთიანდება რამდენიმე პირის (მონაწილის) ძალისხმევა. არაკორპორაციული ანუ ნევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი კი თავისი მიზნის მიღწევას ხედავს მხოლოდ ქონებაში და ამიტომ ემყარება მხოლოდ ნევრობას, მის დამფუძნებლებს.

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. იურიდიულ პირთა ეს სახეები ზემოთ ჩამოვთვალეთ. საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის წესი და სტრუქტურა მონესრიგებულია მათივე წესდებითა და დებულებებით. ასეთი

იურიდიული პირების შექმნისა და საქმიანობის პროცედურა სამოქალაქო კოდექსით არ არის გათვალისწინებული. კოდექსი მხოლოდ ასეთი პირების სახეებს ჩამოთვლის (მუხლი 1509).

რაც შეეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ კოდექსი საკმაოდ ვრცლად ეხება. კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან კოდექსი განასხვავებს არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებს.

არასამეწარმეო იურიდიულ პირებიდან კოდექსი გამოყოფს ორი სახის იურიდიულ პირს:

1. კავშირებს (ასოციაცია);
2. ფონდებს.

სამეწარმეო იურიდიული პირები სამოქალაქო კოდექსში არ არის განხილული, რამდენადაც მათი შექმნისა და საქმიანობის წესი რეგულირდება კანონით მენარმეთა შესახებ. ქვემოთ განვიხილავთ არასამეწარმეო და სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირებს.

## §5. არასამეწარმეო იურიდიული პირები

**კავშირები (ასოციაცია).** სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტებად უმეტესად გამოდიან კერძო სამართლით გათვალისწინებული იურიდიული პირები. ამ იურიდიული პირების ნაწილი შექმნილია იმ მიზნით, რომ კომერციული საქმიანობით მიიღოს მოგება, ნაწილი კი ასეთ მიზანს არ ისახავს.

იურიდიულ პირებს, რომელნიც შექმნილი არიან კომერციული საქმიანობით მოგების მისაღებად, ეწოდებათ სამეწარმეო იურიდიული პირები, ხოლო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად არ ისახავს კომერციულ (სამეწარმეო) საქმიანობას და რომელიც მოგებას არ ანაწილებს მონაწილეებზე, ეწოდება არასამეწარმეო იურიდიულ პირად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად იურიდიული პირები, რომელთა მიზანს არ შეადგენს სამენარმეო (კომერციული) საქმიანობა, შეიძლება არსებობდნენ როგორც კავშირები (ასოციაციები) და ფონდები. არასამენარმეო იურიდიული პირები (კავშირები და ფონდები) შესაძლოა ენეოდნენ სამენარმეო საქმიანობას, რომელსაც დამხარე ხასიათი აქვს და ემსახურება არა მოგების მიზანს, არამედ იურიდიული პირის საერთო მიზნებს, მაგრამ ამით მათი ხასიათი არ იცვლება, ისინი მაინც არასამენარმეო იურიდიული პირები არიან. ასეთი არაკომერციული იურიდიული პირების საქმიანობის შინაარსი განისაზღვრება თავისუფლად კანონისა და აღიარებული ზნეობრივი ნორმების ფარგლებში.

კავშირი (ასოციაცია) არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და რომლის არსებობა დამოკიდებული არ არის მის წევრთა შეცვლაზე. კავშირის დასაფუძნებლად აუცილებელია ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც.

კავშირს (ასოციაციას), როგორც იურიდიულ პირს, რეგისტრაციაში ატარებს სასამართლო.

კავშირის (ასოციაციის) რეგისტრაციაში გატარებისათვის საჭიროა ყველა დამფუძნებლისა და გამგეობის ყველა წევრის ხელმოწერილი განცხადება და წესდება. წესდება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. ასევე, ამ წესდებით განსაზღვრული იურიდიული პირის მიზნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

სათანადო წესით ხელმოწერილი განცხადება და წესდება, სხვა აუცილებელ მასალასთან ერთად, წარედგინება რეგისტრაციისათვის სასამართლოს კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლომ ერთი თვის ვადაში უნდა მოახდინოს კავშირის (ასოციაციის) რეგისტრაცია განცხადების შეტანის დღიდან. თუ სასამართლო ამ ერთ

თვეში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, კავშირი რეგისტრირებულად ჩაითვლება.

სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას რეგისტრაციაზე დამფუძნებლებს, მაგრამ ეს უარი დასაბუთებული უნდა იყოს და ამავე დროს მიეთითოს გასაჩივრების წესის შესახებ. ასეთი გასაჩივრება ხდება ზემდგომ სასამართლოში.

კანონი ადგენს, თუ რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს კავშირის წესდება. მასში მითითებული უნდა იყოს ამ კავშირის საქმიანობის მიზნები და სახელწოდება, მისი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი, დამფუძნებლების, შემომწირველების, გამგეობის ყველა წევრის ჩამონათვალი გვარის, სახელის, დაბადების თარიღისა და ადგილის, პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით, გამგეობის სხდომების დანიშვნისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების წესები, კავშირის წევრთა უფლებამოსილება. ეს მონაცემები აუცილებლად უნდა იყოს მოცემული წესდებაში.

გარდა ამისა, წესდებით შეიძლება გავალისწინებული იქნეს მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციები, კავშირის წევრთა კრების უფლებამოსილება.

ყველა შემთხვევაში კავშირის წესდება უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

კავშირის რეგისტრაცია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: იურიდიული პირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს, მისი საქმიანობის მიზანს, წესდების მიღების თარიღს, დამფუძნებლების ვინაობას, გამგეობის წევრების ვინაობასა და ამ გამგეობის წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაძლო შეზღუდვებს.

რეგისტრაციის აღნიშნული მონაცემები უნდა გამოქვეყნდეს. ასევე, რეესტრის ჩანაწერების გაცნობა და იქიდან ამონაწერების გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს.

თუ იურიდიული პირის რეგისტრაციის შემდეგ მოხდა რაიმე არსებითი ცვლილება, ისეთი ფაქტი, რომელიც რეგისტრაციას საჭიროებს, აუცილებელია ეს დაუყოვნებლივ ეცნობოს სასამართლოს, კერძოდ, ასეთ შემთხვევაში კავშირის გამგეობა ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს სასამართლოს სანოტარო წესით დამონმებული ფორმით ცნობები ამ ცვლილებებისა და ფაქტების შესახებ. ეს ცვლილებები შეიტანება რეესტრში და გამოქვეყნდება.

თუ კავშირი ვერ ახორციელებს წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს ანდა თუ ის ძირითადად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლომ ასეთი იურიდიული პირის რეგისტრაცია უნდა გააუქმოს.

კანონით განსაზღვრულია, თუ ვინ შეიძლება იყოს კავშირის ხელმძღვანელი, მისი წარმომადგენელი. წესდებით შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს, რომ კავშირს უხელმძღვანელოს ერთმა პირმა ინდივიდუალურად ანდა ორმა ან რამდენიმე პირმა ერთობლივად.

ხელმძღვანელობის უფლება აქვთ გამგეობის წევრებს, ცალკეულ შემთხვევებში სპეციალურ წარმომადგენლებსაც. ამ პირებისათვის კავშირის ხელმძღვანელობა არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც.

ხელმძღვანელობის ფარგლები განისაზღვრება კავშირის მიზნებით. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, თუ რომელი მოქმედების განხორციელება საჭიროებს სხვა საკონტროლო ორგანოების თანხმობას.

მესამე პირებთან ურთიერთობებში კავშირის წარმომადგენელი არის გამგეობა. წესდებით უნდა განისაზღვროს – წარმომადგენლობისათვის უფლებამოსილმა პირებმა ერთპიროვნულად იმოქმედონ, თუ ყველამ ერთობლივად. წესდებითვე უნდა დადგინდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეზღუდვა. ასეთ შეზღუდვებს მესამე პირისათვის ძალა აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ

ისინი რეგისტრირებულია რეესტრში ანდა, თუ ამის შესახებ იცოდა მესამე პირმა.

კავშირის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სპეციალური წარმომადგენლის არსებობა, სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები და წარმომადგენლობის ფორმაც უნდა მოაწესრიგოს წესდებამ, რაც შემდგომ რეგისტრაციაში უნდა გატარდეს.

კავშირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი დაარღვევენ თავიანთ მოვალეობებს, პასუხს აგებენ კავშირის წინაშე მიყენებული ზიანისათვის. ასეთი ზიანის მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუკი იგი აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კავშირი პასუხს არ აგებს თავისი წევრების ვალდებულებებისათვის, ასევე, ეს წევრებიც არ აგებენ პასუხს კავშირის ვალდებულებებისათვის.

კანონი ადგენს კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესსაც. კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო მისი ლიკვიდაცია დასაშვებია სამ შემთხვევაში:

1. როდესაც კავშირმა უკვე მიაღწია თავის მიზანს;
2. როდესაც კავშირი გაკოტრდება;
3. როდესაც გაუქმდება კავშირის რეგისტრაცია.

ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს და მხოლოდ ამ გამოქვეყნებიდან ერთი წლის გავლის შემდეგ შეიძლება კავშირის ქონების განაწილება.

ლიკვიდაციას ახორციელებს კავშირის გამგეობა, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას კი, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სხვა ლიკვიდატორები, რომლებიც პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.



კავშირის ლიკვიდაციის განხორციელების პროცესში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, გაირკვეს რა ქონება დარჩა ფულად გამოსხატულებაში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

პირების უფლებამოსილება, რომელთაც უფლება აქვთ კავშირის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღონ დარჩენილი ქონება, წესდებით უნდა იქნეს განსაზღვრული. ლიკვიდაციისას სასამართლო დარჩენილ ქონებას შესაბამისად გადასცემს ერთ ან რამდენიმე კავშირს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული კავშირი. თუ ასეთი კავშირი არ არსებობს, მაშინ შეიძლება ისევ სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ქონება გადაეცეს საქველმოქმედო ორგანიზაციას ან სახელმწიფოს.

სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი, კავშირის წევრად მიღების პროცედურა, ასევე არარეგისტრირებული კავშირის მონყობა და მათი უფლებამოსილების განსაზღვრა.

კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებია გამგეობა და წევრთა საერთო კრება.

გამგეობას ირჩევს წევრთა საერთო კრება ოთხი წლის ვადით. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა ვადაც. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგაც, ვიდრე ახალი გამგეობა აირჩევა. გამგეობის წევრთა ანაზღაურების საკითხი განისაზღვრება წესდებით. გამგეობის არჩევის შესახებ კავშირის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს შეიძლება გაუქმდეს. კავშირის წესდებამ შეიძლება ასეთი გაუქმების საკითხი დაუკავშიროს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას.

თუ გამგეობის წევრების რაოდენობა წესდებით გათვალისწინებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლებია, სასამართლოს შეუძლია

გარდამავალი დროისათვის დანიშნოს ნევრები იმავე კავშირიდან. ასეთ შემთხვევაში გამგეობის ნევრებმა უნდა მოიწვიონ ნევრთა საერთო კრება, რომელმაც უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

კავშირის ნევრთა საერთო კრებას ინვევს გამგეობა. კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. შესაძლებელია მოწვეული იქნეს რიგგარეშე კრება, როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს და საკითხს აყენებს კავშირის ნევრთა ერთი მეათედი წერილობით სათანადო დღის წესრიგის მითითებით.

კრების მოწვევის შესახებ ცნობა ორი კვირით ადრე უნდა გამოქვეყნდეს კავშირის ბეჭდვით ორგანოში ანდა ამავე ვადაში უნდა შეატყობინონ ყველა წევრს წერილობით.

კავშირის ნევრთა კრება იხილავს ყველა იმ საკითხს, რაც გამგეობის კომპეტენციაში არ შედის. კრება იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მხოლოდ მაშინ ითვლება ნამდვილად, როცა მისი საგანი გამოცხადებული იყო კრების მოწვევისას.

კრება გადაწყვეტილებას საერთო საკითხებზე იღებს დამსწრე ნევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ საკითხი კავშირის წესდების შეცვლას ეხება, გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია დამსწრეთა ხმების არანაკლები ორი მესამედი, ხოლო თუ კრება იხილავს კავშირის მიზნის შეცვლის საკითხს, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კავშირის ყველა წევრის (და არა დამსწრე) ოთხმა მეხუთედმა. ამ შემთხვევაში, იმ ნევრებს, რომლებიც კრებას არ ესწრებიან, უფლება აქვთ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში. ისინი უთანხმდებიან კრებაზე დამსწრე ნევრებს.

კავშირის ნევრთა კრებას შეუძლია, თავისი წესდების შესაბამისად, შექმნას კომისიები, რომლებსაც შეიძლება გადაეცეთ კრების ფუნქციები კრებებს შორის პერიოდში. ეს ფუნქცია უმთავრესად გამოიხატება კავშირის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებით. კომისიის ნევრებად შეიძლება შეყვანილი იქნენ მხოლოდ კავშირის ნევრები.

კავშირის ნევრთა კრების გადანყვეტილებით, შეიძლება შეიქმნას სპეციალური საკონსულტაციო საბჭოები, თუ ეს გათვალისწინებულია ნესდებით. ასეთი საბჭოს მიზანია კონსულტაციები გაუწიოს კავშირს თავისი ამოცანების განხორციელების პროცესში. საკონსულტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილი იქნან ისეთი პირებიც, რომლებიც კავშირის ნევრები არ არიან.

კავშირის ნევრად მიღების საკითხს წყვეტს გამგეობა. ამისათვის საჭიროა მსურველმა ნერილობითი განცხადებით მიმართოს გამგეობას. კავშირის ნევრობიდან გასვლა შეუზღუდავია, მის ყოველ ნევრს უფლება აქვს გავიდეს კავშირიდან. გამონაკლის შემთხვევაში ნესდებით შეიძლება დაწესებული იქნეს გარკვეული ვადა კავშირის ნევრობიდან გასვლისათვის. ეს ვადაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნელინადს. თუ კავშირიდან გასვლა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, მაშინ გასვლის ვადის დაწესება სავალდებულო არ არის.

დაუშვებელია კავშირის ნევრობის გადაცემა სხვა პირებზე. ასევე არ შეიძლება ნევრობის მემკვიდრეობით გადასვლა. აქაც შესაძლებელია გამონაკლისი დაწესდეს ნესდების მიხედვით.

კანონი ითვალისწინებს კავშირის ნევრობიდან გარიცხვასაც, როცა ამისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ნევრობიდან გარიცხვას ახდენს ნევრთა საერთო კრება. კრების გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

კავშირის ნევრობის მსურველს, რომლისთვისაც ეს კავშირი ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას საარსებო სოციალური, ან სხვა ამოცანების განხორციელების პროცესში, უფლება აქვს მოითხოვოს კავშირში განევრიანება, თუკი მისი ნევრად მიღება არ ეწინააღმდეგება კავშირის ძირითად პრინციპებს.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს არარეგისტრირებული კავშირების შექმნასაც. სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, არარეგისტრირებული კავშირის მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება ნევრთა შორის შეთანხმებით.

ასეთი კავშირი არ არის იურიდიული პირი. რამდენიმე პირი შეთანხმდება, რომ შექმნან ესა თუ ის კავშირი (ვთქვათ, მშობელთა კომიტეტი, ფეხბურთის მოყვარულთა კავშირი, ქალთა საბჭო და სხვა მსგავსი კავშირი). ამ პირთა მიზანი არ არის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება და ამიტომ ის რეგისტრაციაში არ ტარდება. ასეთ კავშირს შეუძლია ჰქონდეს ბანკში ისეთივე ანგარიში, როგორც იურიდიულ პირებს.

არარეგისტრირებული კავშირის საერთო ქონებას შეადგენს წევრთა სანევრო შესატანები და ამ შესატანებით შექმნილი ქონება.

არარეგისტრირებული კავშირების წარმომადგენლებად სასამართლოში და სასამართლოს გარეშე ურთიერთობებში შეიძლება გამოვიდნენ ამ კავშირის წევრები ან ამისათვის უფლებამოსილი პირები.

ასეთი კავშირების კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილება ხდება კავშირის საერთო ქონებიდან. ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის სახელით, პასუხს აგებენ როგორც პერსონალურად, ისე როგორც სოლიდარული მოვალეები.

**ფონდები.** ფონდი, როგორც უკვე ითქვა, არის იურიდიული პირი, რომლის ერთი ან რამდენიმე დამფუძნებელი სპეციალურ ქონებას გადასცემს საკუთრებად საერთო-საზოგადო სასარგებლო მიზნის მისაღწევად რომელიმე დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც წევრები არა ჰყავს (სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის მესამე ნაწილი).

ფონდის რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. რეგისტრაციის პირობები ფონდისათვის იგივეა, რაც კავშირისათვის, ოღონდ აქ დამატებით აუცილებელია, რომ ფონდის ქონება მიესადაგებოდეს დასახულ მიზნებს.

ფონდის წესდების რეკვიზიტებიც იგივეა, რაც კავშირის (საქმიანობის მიზნები, სახელწოდება, იურიდიული მისამართი, გამგეობის წევრთა მონაცემები და სხვა), მაგრამ ეს წესდება დამატებით უნდა შეიცავდეს ორ მონაცემს:

1. შესანიშნავი მინიმალური ოდენობის და სახეს;

2. მითითებებს თანხის გამოყენების შესახებ.

ფონდის რეგისტრაციის წესი, ხელმძღვანელი ორგანოების შექმნისა და ლიკვიდაციის წესი კავშირისათვის დადგენილი წესების ანალოგიურია.

ფონდსა და კავშირს ერთნაირად ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგათ მესამე პირებს გამგეობის წევრების ან სხვა წარმომადგენლების ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც ინვესტორს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუკი ეს მოქმედება მიეკუთვნება ზიანის მიმყენებლის ფუნქციასა და წესს.

სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ფონდზე ეკისრება იუსტიციის სამინისტროს. სახელდობრ, როცა ფონდი არსებითად გადავა სამენარმო საქმიანობაზე ან თუ შეუძლებელი ხდება მან შეასრულოს წესდებით გათვალისწინებული მიზნები, იუსტიციის სამინისტრო აუქმებს ამ ფონდის რეგისტრაციას. ეს ითვლება ამ ფონდის ლიკვიდაციად.

საერთოდ, ფონდის ლიკვიდაცია ხდება კავშირის ლიკვიდაციის ანალოგიურად (მიზნის მიღწევის შედეგად, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას).

ფონდს, კავშირისაგან განსხვავებით, შეიძლება ჰქონდეს სპეციფიკური მიზანი – განსაზღვრული პირების ან პირთა კონკრეტულად განსაზღვრული წრეების მხარდაჭერა. ასეთ ფონდს ეწოდება „ფონდი დესტინატურებისათვის“.

იმ პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს წილი ფონდის ქონებიდან, ეწოდება დესტინატური. დესტინატურებს, გამგეობის ყველა წევრის თანხმობით, შეუძლიათ ფონდის გაუქმება ან მისი მიზნის შეცვლა, თუ მათ ამაში მხარს დაუჭერს იუსტიციის სამინისტრო. ფონდის გაუქმების შემთხვევაში დარჩენილი ქონება განაწილდება დესტინატურებს შორის.

ფოხდის შექმნისათვის ნებართვის მისაღებად დამფუძნებლებმა უნდა წარადგინონ სანოტარო წესით დამონმებული დოკუმენტი ფონდის შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი კისრულობენ მოვალეობას შეიტანონ ფონდში ქონება იმ ოდენობით, რაც აუცილებელია ფონდის მიზნის მისაღწევად. თუ ეს ქონება საკმარისი არ არის ფონდის მიზნის მისაღწევად, მათ ფონდის შექმნაზე უარს ეუბნებიან და მისი რეგისტრაცია არ მოხდება.

იმ პირს, რომელმაც ქონება უნდა გადასცეს ფონდს, რეგისტრაციამდე ყოველთვის შეუძლია უარი თქვას ამ ქონების გადაცემაზე, მაგრამ რეგისტრაციის შემდეგ ის ვალდებულია ერთი თვის ვადაში გადასცეს ქონება სრულად, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია კარგავს ძალას.

ფონდის მიზნების დაფინანსება ხდება მისი ქონებიდან მიღებული შემოსავლებით, თუ წესდება სხვა რაიმეს არ ითვალისწინებს. თუ ეს შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ გარკვეული დროის მანძილზე ეს მიზნები ვერ ფინანსდება, მაშინ ფონდის საქმიანობა შესაბამისად უნდა შემცირდეს ან სულაც შეჩერდეს და ეს შემოსავლები მის ქონებას მიემატოს.

ფონდის ქონების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურად უნდა შედგეს ანგარიშები სათანადოდ დადგენილი ფორმით.

ფონდის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სამეთვალყურეო ორგანოს – ე.წ. კურატორიუმის შექმნა, რომელიც დანიშნავს და გამოიწვევს ფონდის გამგეობის წევრებს, მის სპეციალურ წარმომადგენლებს და კონტროლს გაუწევს მათ საქმიანობას. კურატორიუმის წევრებს იწვევენ ფონდის დამფუძნებლები, ხოლო მათი გარდაცვალების შემთხვევაში, კურატორიუმის შემცველი წევრების მონვევა შეუძლიათ დესტინატურებს ანდა წესდების ფარგლებში კოოპტაციის წესით შეიძლება მოხდეს შემადგენლობის გაზრდა ახალი წევრებით. ..

თუ ფონდის კურატორიუმი არ არის დანიშნული, ფონდის გამგეობის წევრებისა და სპეციალური წარმომადგენლობის მოწვევისა და გამონევის ფუნქცია დაკისრებული აქვს იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს აგრეთვე ფონდის საქმიანობის საერთო კონტროლს, თუ რამდენად შეესაბამება ეს საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და ფონდის წესდებას.

იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ფონდის საქმიანობის შესახებ და შეამოწმოს ფონდის დოკუმენტაცია.

ფონდის გამგეობის საქმიანობას აკონტროლებს სამეთვალყურეო ორგანო (კურატორიუმი), რომელსაც უფლება აქვს შეაჩეროს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს გამგეობის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, ასევე, მოითხოვოს მათი გაუქმება, თუ მიიჩნევს, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონს ან წესდებას.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ფონდის წესდება სრულყოფილად არ აწესრიგებს გამგეობის და სხვა ორგანოების დანიშვნას და მათი გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების კანონთან შესაბამისობის ურთიერთობებს, სამეთვალყურეო ორგანოს შეუძლია მისცეს დამატებითი მითითებები ამ ურთიერთობების ნორმალური მონესრიგებისათვის.

კანონი ითვალისწინებს ფონდის მიზნის შეცვლასაც, სახელდობრ, კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, თუ დესტინატურების გარეშე ფონდში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა, ან არსებობს სხვა საფუძველი ფონდის ლიკვიდაციისათვის, იუსტიციის სამინისტროს შეუძლია, თუ წესდებაში არაფერია ამის შესახებ ნათქვამი, ლიკვიდაციის ნაცვლად მოითხოვოს ამ ფონდის მიზნის შეცვლა ან სხვა ფონდებთან შერწყმა ისე, რომ შენარჩუნებული იყოს მსგავსება იმ მიზანთან, რაც თავდაპირველად ჰქონდა ამ ფონდს. თუ დამფუძნებელთაგან ერთი მაინც არის ცოცხალი, საჭიროა მისი თანხმობა ასეთი რეორგანიზაციისათვის.

მას შემდეგ, რაც სამოქალაქო კოდექსმა დააკანონა არაკომერციულ იურიდიულ პირთა მხოლოდორი სახე — კავშირი (ასოციაცია) და ფონდი, ბუნებრივია, ამ კოდექსის ძალაში შესვლამდე არსებული და შემდეგ შექმნილი ყველა არაკომერციული იურიდიული პირი ამ ორი სახით უნდა ჩამოყალიბდეს. ცხადია, ეს ითქმის კერძო სამართლით რეგულირებულ არაკომერციულ იურიდიულ პირებს, ე. ი. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს და თვით სახელმწიფოსაც, რომლებიც სუბიექტებად გამოდიან სამოქალაქო ურთიერთობებში, ისინი დამოუკიდებელი სახის სუბიექტები არიან, რომელთა შესახებ ცალკე გვექნება ქვემოთ საუბარი.

## **§6. სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირები**

**ზოგადი დებულებები.** როგორც ზემოთ ითქვა, სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირების შექმნა და საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონით „მენარმეთა შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა 1994 წლის 28 ოქტომბერს და სამოქმედოდ შემოღებულია 1995 წლის 1 მარტიდან.

ამ კანონის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, „მენარმეთა კანონის“ ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი სანარმეოები ხელახალ რეგისტრაციას დაექვემდებარენ 1996 წლის 1 იანვრამდე.

„მენარმეთა შესახებ“ კანონმა მოანესრიგა სამენარმეო საქმიანობის მონაწილეთა მონყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები.

კანონით განმარტებულია, თუ რა ჩაითვლება სამენარმეო საქმიანობად და რა არა. სახელდობრ, სამენარმეო საქმიანობად მიჩნეულია მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა,



რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

მაშასადამე, სამენარმეო საქმიანობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. მოგების მიღების მიზანი;
2. მართლზომიერი ხასიათი;
3. სისტემატიური, უწყვეტი ფუნქციონირება;
4. დამოუკიდებლობა;
5. ორგანიზებულობა.

ეს ხუთი ნიშანი აუცილებელია იმისათვის, რომ საქმიანობა ჩაითვალოს კომერციულ (სამენარმეო) ხასიათის მქონედ. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ცალკე ფიზიკური პირი ეწევა ამ საქმიანობას თუ პირთა ჯგუფი, ორგანიზაცია, კოლექტივი.

ამასთან, კანონი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა არ ჩაითვლება სამენარმეო საქმიანობად. კანონის პირველ-მეორე მუხლში ნათქვამია, რომ სამენარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიციო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა.

კანონის შესაბამისად, სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური სანარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდითური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი.

აქედან, ინდივიდუალური სანარმოს გარდა, ყველა ითვლება იურიდიულ პირად. ინდივიდუალური მენარმე კი საქმიან ურთიერთობებში თავის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს როგორც ფიზიკური პირი.

სანარმო, გარდა კოოპერატივისა, თუ მასში ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.

მართალია, საწარმო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის როგორც ამ ურთიერთობის სუბიექტი, მაგრამ ის ამ ურთიერთობის მართო სუბიექტს არ წარმოადგენს. საწარმო და მენარმე ერთი და იგივე არ არის. „საწარმო არის სამენარმეო საქმიანობაში მენარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობის ობიექტიც“!

ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, შეიძლება არაზუსტად მოგვეჩვენოს, მაგრამ სადავო არ არის, რომ საწარმო არის როგორც ფიზიკურ პირთა, ისე მათი ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა, რომელიც მოიცავს ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობას, მის მატერიალურ და არამატერიალურ ფასეულობებს, საწარმოო საიდუმლოებებს, გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს.

ასეთი ერთიანი გაგებით მენარმეთა კანონი საწარმოს წარმოადგენს კერძო სამართლის როგორც სუბიექტად, ისე ობიექტად.

საზოგადოების დაფუძნებამდე საჭიროა შემუშავდეს მისი წესდება, რომელშიც აისახება ამ საზოგადოების სახელწოდება, მისი მიზანი, შექმნის პროცედურა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ქონებრივი მდგომარეობა, მონაწილეთა უფლება-მოვალეობები და ლიკვიდაციის წესი.

სამენარმეო საზოგადოების წესდება უნდა დამონმდეს საანოტარო წესით. წესდებას ხელს აწერენ საზოგადოების მონაწილენი, რომელთაც პარტნიორები ეწოდებათ. პარტნიორის ნაცვლად მის რწმუნებულს წესდებაზე ხელისმონერა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ აქვს საანოტარო წესით დამონმებული მინდობილობა.

საზოგადოების დაფუძნებისათვის, როგორც წესი, აუცილებელია გარკვეული შესატანი, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი შესატანის სახით, როგორც ეროვნულ, ისე უცხო ვალუტაში, ასევე სხვა ქონებრივი და არაქონებრივი ობიექტის სახით. ოღონდ, თუ ამ ობიექტის ღირებულება დათქმულ თანხაზე

---

ლადო ქანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, 1996, გვ. 12.

ნაკლებია, მაშინ იგი უნდა შეივსოს ფულით. შესატანის უკან დაბრუნება შეიძლება კომანდიტურ, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებში და კოოპერატივებში მხოლოდ სანესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ასეთი შემცირებისათვის კი, საჭიროა ნესდებაში ცვლილების შეტანა, რაც რეგისტრირებული უნდა იქნას სამენარმეო რეესტრში.

შესატანის ნახევარი შეტანილი უნდა იქნეს ნესდების ხელის მონერისთანავე, თუ ნესდება უფრო მეტის შეტანას არ ითვალისწინებს. თუ პარტნიორმა გადააცილა შესატანის შეტანის ვადა, ყოველ პარტნიორს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს მას ამ თანხის გადახდა დამატებითი ვადის მითითებით (არანაკლებ ერთი თვისა) და გააფრთხილოს იგი, რომ შესატანის შეუტანლობის შემთხვევაში შესაძლოა გაირიცხოს საზოგადოებიდან.

შესატანის შეუტანლობით გამოწვეულ ზარალზე დანარჩენი პარტნიორები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

საზოგადოების შესატანის მესაკუთრე ხდება ეს საზოგადოება. ზოგიერთი საზოგადოების დაარსებისათვის აუცილებელია გარკვეული ქონება, ურომლისოდაც ეს საზოგადოება ვერ შეიქმნება. ასეთ ქონებას სანესდებო კაპიტალი ეწოდება. ასეთი კაპიტალი მინიმუმი აუცილებელია შპს-თვის – 2000 ლარი და სს-თვის – 15 000 ლარი, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მენარმეთა კანონით. კოოპერატივს ასეთ სანესდებო კაპიტალის მინიმუმს კანონი არ უწესებს, ეს მას თვითონ შეუძლია განსაზღვროს.

სანესდებო კაპიტალის ეს ნორმები არ ეხებათ კომერციულ ბანკებს. საქართველოს ეროვნული ბანკის 1999 წლის 9 ივლისის №61 ბრძანებით კომერციული ბანკების სანესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1999 წლის 31 დეკემბრისათვის 3 მილიონი ლარით; 2000 წლის 30 ივნისისათვის – 4 მილიონი ლარით და 2000 წლის 31 დეკემბრისათვის – 5 მილიონი ლარით.

იმისათვის, რომ სანარმო სამოქალაქო ურთიერთობათა სუბიექტად ჩაითვალოს, აუცილებელია მისი რეგისტრაცია. სანარმოს

რეგისტრაციას ახდენს სასამართლო, რომელიც აკეთებს ჩანაწერს სამენარმეო რეესტრში.

რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო ნუსხაში, რომელსაც სამენარმეო რეესტრი ეწოდება. სამენარმეო რეესტრი საჯარო (სახელმწიფო) რეესტრის ნაირსახეობაა. ამ რეესტრში შეიტანება ის ფაქტები, რომელთაც სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭებათ ეკონომიკურ ურთიერთობებში.

სამენარმეო რეესტრი საჯარო ხასიათისაა. ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მას და მიიღოს ამონაწერები იქიდან. გარდა ამისა, ამ რეესტრის მონაცემებს სასამართლო აქვეყნებს ოფიციალურ რესპუბლიკურ გაზეთში („საქართველოს რესპუბლიკა“, „სვობოდნაია გრუზია“).

სანარმო შეიძლება მუშაობდეს რეგისტრაციის გარეშეც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კრედიტორების წინაშე საზოგადოება კი არ აგებს პასუხს, როგორც ერთიანი სუბიექტი, არამედ დამფუძნებელი პირები, როგორც კერძო ფიზიკური პირები. ეს წესი სტიმულს აძლევს სანარმოს დამფუძნებლებს დაიცვან კანონის მოთხოვნა და დროულად გაატარონ სანარმო რეგისტრაციაში.

კანონი ადგენს რეგისტრაციის ზუსტ პირობებს (მუხლი მე-5), როგორც სანარმოს შექმნისას, ისე წესდებაში ცვლილებების შეტანისას, სანარმოს ლიკვიდაციისას, ასევე რეგისტრაციის გაუქმების წესს.

კანონი ითვალისწინებს სანარმოს საფირმო სახელწოდებას, რომლითაც საქმიანობს ეს სანარმო.

მენარმეობის შესახებ კანონის თანახმად, სანარმოთა ხელმძღვანელობა ორგვარი სახისაა სხვადასხვა საზოგადოებისათვის. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის და კომანდიტურ საზოგადოებებში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ პარტნიორებს, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივში – დირექტორებს. დირექტორი კი შეიძლება იყოს, როგორც პარტნიორი, ისე გარეშე პირი. საზოგადოების ორგანო,

რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განხორციელებისათვის, სხვადასხვა სხვადასხვა სანარმოში. სახელდობრ, სპს და კს-ში – პარტნიორთა კრება, შპს-ში პარტნიორთა კრება და დირექტორატი (ან დირექტორი), სს-ში – საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი (ან დირექტორი), კოოპერატივში – საერთო კრება (ან წარმომადგენელთა კრება), სამეთვალყურეო საბჭო, გამგეობა.

სანარმოს ხელმძღვანელ-პარტნიორებს და დირექტორებს უფლება არა აქვთ, თუ არ არსებობს პარტნიორთა კრების თანხმობა, მონაწილეობა მიიღონ სხვა მსგავსი საზოგადოების საქმიანობაში. სააქციო საზოგადოებაში ასეთ თანხმობას იძლევა სამეთვალყურეო საბჭო.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ საზოგადოებას ერთპიროვნულად მართავენ პარტნიორი, ორი დირექტორი ან ყველა დირექტორი ერთობლივად.

საზოგადოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი წარმოშობილი ზარალისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა.

სანარმოს ხელმძღვანელ პირებს შეუძლიათ გასცენ წერილობითი მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ამ მინდობილობის მიმღები ანარმოებს სანარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ასეთ მინდობილობას, რომელიც რეგისტრირებულია სამენარმო რეესტრში, ეწოდება გენერალური სავაჭრო მინდობილობა ანუ პროკურა.

პროკურის გაცემა სპს-ში შეუძლია ყველა პარტნიორს, კს-ში პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებს – კომპლემენტარებს, შპს-ში, სს-ში და კოოპერატივში – დირექტორებს.

პროკურა ანუ გენერალური სავაჭრო მინდობილობა შეიძლება ერთდროულად მიეცეს ორ ან რამდენიმე პიროვნებას. ასეთ

მინდობილობას ეწოდება საერთო პროკურა ანუ საერთო მინდობილობა.

პროკურის მფლობელს ფართო და შეუზღუდავი უფლებები აქვს. ამიტომ, მოსალოდნელი რისკის თავიდან ასაცილებლად, პრაქტიკამ წარმოშვა წარმომადგენლობის მეორე სახე – სავაჭრო მინდობილობა, ანუ როგორც მას კანონი უწოდებს – იურიდიული მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება.

სავაჭრო მინდობილობის გავრცელების სფერო, პროკურისაგან განსხვავებით, შედარებით შეზღუდულია. მისი მოქმედების ფარგლები თვით მინდობილობით არის განსაზღვრული. ამასთან, სავაჭრო მინდობილობას რეგისტრაცია არ ესაჭიროება. კიდევ მეტი, ის შეიძლება წერილობითაც არ დაიდოს. ასეთი მარტივი მინდობილობა უმთავრესად გამოიყენება გარიგებების დასადავად, ნედლეულის შესაძენად, პროდუქციის გასაყიდად და ა. შ. მაგალითად, მალაზიის გამყიდველს, რომელიც მისი მეპატრონე არ არის, არც წერილობითი მინდობილობა ეძლევა, ისე ახდენს პროდუქციის რეალიზაციას.

პროკურის მფლობელს კი შეუძლია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც საწარმოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

სამენარმეო პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი ისეთი სუბიექტების გამოყენება, როგორცაა სავაჭრო წარმომადგენელი, დამოუკიდებელი მოვაჭრე და კომისიონერი.

სავაჭრო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც საქონლის, უფლებებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის შუამავლად ან დებს გარიგებებს სხვა საწარმოს სახელითა და ხარჯით ისე, რომ თვითონ არ არის დასაქმებული ამ საწარმოში.

დამოუკიდებელი მოვაჭრე, არის იგივე სავაჭრო წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელითა და ხარჯით, თუმცა უპირატესად იმყოფება სხვა საწარმოს სავაჭრო ორგანიზაციის შემადგენლობაში ისე, რომ მოზიდული მუდმივი კლიენტურა სხვა საწარმოს განეკუთვნება და ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ ეს კლიენტურა მას რჩება.

კომისიონერი არის პირი, რომელიც საქონლისა და უფლებების რეალიზაციის ურთიერთობებში გამოდის თავისი სახელით, ოღონდ სხვისი ხარჯით.

მარნმუნებელი სანარმო ვალდებულია სავაჭრო ნარმომადგენელს და კომისიონერს შუამავლობისათვის ყოველთვიურად გადაუხადოს საზღაური. სავაჭრო ნარმომადგენლისათვის გადახდილი მომსახურების საზღაურს ენოდება პროვიზია, ხოლო კომისიონერისათვის გადახდილ საზღაურს – კომისია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანი როლი აქვთ დაკისრებული სავაჭრო მაკლერებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ სამენარმეო საზოგადოებებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში. მენარმეთა კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, სავაჭრო მაკლერი არის პირი, რომელიც სამენარმეო საქმიანობის სახით, სხვა პირისათვის კისრულობს საქონლის ან ფასიანი ქალაქების ყიდვა-გაყიდვის, დაზღვევის, ტვირთის გადაზიდვის, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადებას ან სავაჭრო საქმიანობის სხვა საგნების შუამავლობას ისე, რომ მათგან არა აქვს ეს დავალებული მუდმივად ხელშეკრულებით.

სავაჭრო მაკლერისაგან უნდა განვასხვაოთ ე. წ. სამოქალაქო მაკლერი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით და რომელიც ახორციელებს შუამავლობას იმ სფეროში, რომელიც ზემოთ არ არის მითითებული (უძრავი ნივთების გამო გარიგებები, შუამავლობა ბინის ქირავნობისას, სესხებისას).

სამენარმეო იურიდიული პირები შეიძლება შეიქმნან უვადოდ ან გარკვეული ვადით. თუ წესდებაში მითითებული არ არის საზოგადოების ფუნქციონირების ვადა, ითვლება, რომ ის უვადოდ არის შექმნილი.

სამენარმეო იურიდიულ პირთა ლიკვიდაციის წესი განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებებისათვის. მაგალითად, პარტნიორთა გაერთიანებით შექმნილი სოლიდარული პასუხისმგებლობისა და

კომანდიტურ საზოგადოებებში პარტნიორის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაშლა. ამ საზოგადოებათა ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს იმ პარტნიორთა გადაწყვეტილებით, რომელთაც ხმათა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი აქვთ (თუნდაც ეს ხმა ერთ პარტნიორს ჰქონდეს).

რაც შეეხება სანარმოებს, რომლებიც კაპიტალის გაერთიანებით არიან შექმნილი (შპს და სს), მათი ერთ-ერთი პარტნიორის გასვლა არ იწვევს სანარმოს ლიკვიდაციას, თუ დარჩენილი პარტნიორები მოისურვებენ განაგრძონ საქმიანობა.

საზოგადოების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს მისი გადახდისუუნარობის გამო, ანდა რეორგანიზაციის შედეგად.

ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ ნაწილდება პარტნიორებს შორის მათ მიერ გაღებული თანხებისა და მათი ნიღბის შესაბამისად.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება არ განაწილდეს პარტნიორთა შორის და გამოყენებული იქნეს სხვა მიზნით (ახალი საზოგადოების შექმნა, ქველმოქმედება და სხვა).

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სანარმო, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მენარმეობას და რომლის წევრები (პარტნიორები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით, ეწოდება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სპს-ის პარტნიორები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები.

სპს არის ურთიერთდობაზე დამყარებული საზოგადოება, რომლის წევრი – პარტნიორი პასუხს აგებს არა მხოლოდ საზოგადოებისათვის წინასწარ განკუთვნილი ქონებით, არამედ მთელი თავისი ქონებით. შესაძლოა პარტნიორმა მთელი საზოგადოების სახელით დადოს



გარიგება და ამისათვის პასუხი აგოს ყველა პარტნიორმა. თუ ერთ პარტნიორს არ გააჩნია რაიმე ქონება, პასუხს სხვა პარტნიორი აგებს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს რეგრესის წესით მოთხოვოს. სხვებს გადახდილის ანაზღაურება კუთვნილი წილის პროპორციულად.

პარტნიორს, რომელსაც კრედიტორმა წარუდგინა პრეტენზია, შეუძლია ამ პრეტენზიის წინააღმდეგ წარმოადგინოს შეგებებული მოთხოვნა, ოღონდ იმ მოცულობით, რისი უფლებაც პირადად მას ან საზოგადოებას აქვს. მას უფლება აქვს აგრეთვე, უარი თქვას კრედიტორის პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე, მანამ, სანამ საზოგადოებას შეუძლია იდაოს იმ გარიგებაზე, რაც საფუძვლად დაედო საზოგადოების ვალდებულებას.

სპს განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე შექმნილი სანარმოა, რის გამო მისი მართვა თავისებურებით ხასიათდება.

ჩვეულებრივი სანარმოო საქმიანობის გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად მოიწვევა პარტნიორთა კრება, რომელშიც ყველა პარტნიორი უნდა მონაწილეობდეს. კრების მოწვევა შეუძლია ყველა პარტნიორს, რომელმაც ერთი კვირის ვადაში უნდა შეატყობინოს დანარჩენ პარტნიორებს დაზღვეული წერილის გაგზავნით, სათანადო დღის წესრიგის მითითებით.

სპს პარტნიორთა კრება საკითხებს წყვეტს პარტნიორთა საერთო თანხმობით. გამონაკლისი წესით დაიშვება საკითხის ხმების უმრავლესობით გადაწყვეტა, თუ ეს წესდებით არის გათვალისწინებული და ამით რომელიმე პარტნიორი არ აღმოჩნდება სხვებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ან მოსალოდნელი არ არის, რომ შეილახება რომელიმე პარტნიორის ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესები.

საზოგადოების საქმიანობის გაძღოლის უფლება აქვს ყველა პარტნიორს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ყველა პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოების სახელით დადოს გარიგებები, გასცეს განკარგულებები და სხვა. თუ წესდება

ითვალისწინებს, რომ პარტნიორები საქმეებს ერთობლივად წარმართავენ, მაშინ გარიგების დადებისათვის ყველა მათგანის თანხმობაა საჭირო.

იმ პარტნიორს, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, შეუძლია პირადად გაეცნოს მის საქმეებს, შეამოწმოს საბუთები, მოსთხოვოს პარტნიორებს მოვალეობების შესრულება და საკუთარი სახელით წარმოადგინოს სარჩელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

თითოეულ პარტნიორს თავისი კუთვნილი წილი ეკუთვნის საზოგადოების წლიური მოგებიდან თავისი წილი კაპიტალის ოთხი პროცენტის ოდენობით. თუ წლიური მოგება ამისათვის საკმარისი არ არის, მაშინ წილი განისაზღვრება შესაბამისად, დაბალი პროცენტით.

კანონით დადგენილია სპს-ის ლიკვიდაციის ოთხი შემთხვევა:

1. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც იგი შეიქმნა;
2. პარტნიორთა გადაწყვეტილებით;
3. საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნით;
4. სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სპს-ის საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება აქვთ აგრეთვე პარტნიორთა პირად კრედიტორებს, რომლებსაც ამით სურთ მიიღონ დაკმაყოფილება იმ თანხიდან, რაც პარტნიორებს მიეცემათ საზოგადოების გაკოტრებულად გამოცხადების შედეგად.

თუ სპს-ში დარჩა მხოლოდ ერთი პარტნიორი, ასეთი საზოგადოება შეწყვეტს არსებობას.

სპს-ს საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთი პარტნიორის განცხადების საფუძველზე.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორს უფლება აქვს გაასხვისოს თავისი წილი კაპიტალი, რისთვისაც საჭიროა დანარჩენ პარტნიორთა თანხმობა, ანდა ასეთი უფლება წესდებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

პარტნიორის მიერ თავისი წილი კაპიტალის სხვა პირზე გადაცემა არ ინვეს ახალი სუბიექტის შესვლას საზოგადოებაში, მაგრამ თუ ეს წილი გადაეცემა გარეშე პირს, აუცილებელია ამაზე საზოგადოების თანხმობა.

პარტნიორის გასვლა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან შეიძლება მოხდეს მისი სურვილით ანდა სურვილის გარეშე.

საზოგადოების მონაწილეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ამ საზოგადოებიდან გასვლა. თავისი სურვილით გასვლისას, პარტნიორმა დანარჩენ წევრებს უნდა აცნობოს ამის შესახებ სამეურნეო წლის ბოლომდე 12 თვით ადრე.

პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის საფუძველი არის, როცა სასამართლოს მიერ საზოგადოება გამოცხადებულია გაკოტრებულად და გახსნილია საგაკოტრებო საქმის წარმოება. ამას ეწოდება საბანკროტო წარმოების გახსნა, რაც საზოგადოების ლიკვიდაციის ერთ-ერთი საფუძველია.

პარტნიორი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან, თუ ის თავის მოვალეობას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ ასრულებს, ანდა თუ მან ვერ შეძლო გონივრულად გაძლოლოდა საქმეს, რითაც დაკარგა სხვა მონაწილეების ნდობა, ან როცა არსებობს სხვა სერიოზული საფუძველი ამ პარტნიორის გარიცხვისათვის. გადანყვეტილებას ამ საკითხზე იღებენ დანარჩენი პარტნიორები და საბოლოოდ სასამართლო წყვეტს გარიცხვის საკითხს, რომელიც აფასებს გარიცხვის საფუძვლის სისწორეს.

საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის ან გასვლის შემთხვევაში, მისი წილი ქონება ემატება საზოგადოების ქონებას. პარტნიორს მიეცემა ის, რაც მას საზოგადოების ლიკვიდაციის დროს ერგებოდა.

კანონი ითვალისწინებს სპს პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი კუთვნილი წილი ქონების ბედის გადანყვეტას. თუ

გარდაცვლილ პარტნიორს მემკვიდრე არ ჰყავს, მისი წილი დანარჩენ პარტნიორებზე გადადის, ხოლო თუ მემკვიდრეები ჰყავს, ყოველ მემკვიდრეს შეუძლია დარჩეს საზოგადოებაში. მემკვიდრეს შეუძლია განაცხადოს საზოგადოებისაგან თავისი გასვლა მემკვიდრეობის მიღებიდან სამი თვის ვადაში.

საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის პარტნიორად მიღება. ის, ვინც პარტნიორი გახდება, ვალდებულია სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს კომპენსაცია. თუ წესდებაში ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული, მემკვიდრე შედის საზოგადოებაში კომანდიტის სტატუსით, თუ ამის თანახმა იქნებიან დანარჩენი პარტნიორები.

თუ საზოგადოება მხოლოდ ორი წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი გარდაიცვალა, რომელსაც მემკვიდრეები არ ჰყავს ან მან ქონება ანდერძით სხვა პარტნიორს გადასცა, საზოგადოებამ უნდა შეიცვალოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

**კომანდიტური საზოგადოება.** საზოგადოებას, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მენარმეობას, რომლის ერთი ან რამდენიმე წევრის (კომანდიტის) პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება განსაზღვრული საგარანტიო თანხით, ხოლო სხვა პარტნიორების (კომპლემენტარების) პასუხისმგებლობა შეუზღუდავია, ეწოდება კომანდიტური საზოგადოება.

ამრიგად, კომანდიტურ საზოგადოებაში ორი სახის პარტნიორები არიან გაერთიანებული: კომანდიტები, რომელთა პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მის მიერ შეტანილი საგარანტიო თანხით და კომპლემენტარები, რომელთა პასუხისმგებლობა შეუზღუდავია.

კომანდიტური საზოგადოება მართალია ახლოს დგას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან, მაგრამ მათ შორის მაინც სერიოზული სხვაობაა.

მათ შორის მსგავსება ის არის, რომ ორივე პარტნიორის წევრობაზე დაფუძნებული საზოგადოებაა, განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებებისაგან, რომლებიც შექმნილი არიან კაპიტალის გაერთიანების შედეგად.

სპს-გან განსხვავებით, კს-ში ერთი პარტნიორი მაინც უნდა იყოს კომანდიტი, ე. ი. ისეთი, რომლის პასუხისმგებლობა შეუზღუდავი კი არ არის, არამედ მხოლოდ მის მიერ შეტანილი საგარანტიო თანხით შემოიფარგლება.

კს-ში აუცილებელია აგრეთვე იყოს ერთი კომპლემენტარი მაინც, რომელიც პერსონალურად, შეუზღუდავად აგებს პასუხს საზოგადოების კრედიტორების წინაშე.

კს-ის კომპლემენტარი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური პირი, ხოლო კომანდიტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კიდევ მეტი კომანდიტი შეიძლება თვით სახელმწიფოც იყოს<sup>1</sup>.

კომანდიტური საზოგადოების წესდებაში უნდა აღინიშნოს კომანდიტის შესატანი, რათა განისაზღვროს მისი პასუხისმგებლობის მოცულობა.

კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება მენარმეთა კანონის ზოგადი ნორმები, მაგრამ განსხვავებული წესებია დადგენილი კომპლემენტარებისა და კომანდიტების მიმართ. კომპლემენტარების მიმართ მოქმედებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნორმები, ხოლო კომანდიტები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან.

კომანდიტებზე არ ვრცელდება კონკურენციის ის აკრძალვა, რაც სხვა ხელმძღვანელ მონაწილეებს ეხებათ, რომელთაც არ შეუძლიათ პარტნიორების თანხმობის გარეშე მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი

---

<sup>1</sup> ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, 1996, გვ. 12.

პარტნიორის ან დირექტორის თანამდებობაზე. ასეთი აკრძალვა შეიძლება დანესდეს მხოლოდ წესდებით, როცა კომანდიტის ყოფნა ამ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ანდა თუ კომანდიტი ამ კომანდიტურ საზოგადოებაში ხელმძღვანელი პარტნიორის ფუნქციებს ასრულებს.

კანონით კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. წესდებით ასეთი უფლების მინიჭება შეიძლება, მაგრამ მას არ ექნება წარმომადგენლობის უფლება. თუ ასეთი უფლება მიეცა, მაშინ ის პასუხს აგებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

კომანდიტის საგარანტიო თანხა, რომლითაც მან პასუხი უნდა აგოს საზოგადოების კრედიტორების წინაშე, განისაზღვრება სამენარმეო რეესტრში მითითებული თანხის ოდენობით, როცა ეს თანხა უკვე შეტანილია, ხოლო თუ ეს თანხა სრულად არ არის შეტანილი, მაშინ კომანდიტი პასუხს აგებს როგორც კომპლემენტარი, შეზღუდვად მთელი ქონებით, ე.ი. რეგისტრაცია კომანდიტური პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობაა. კომანდიტად მიღება არ ათავისუფლებს პირს არსებული ვალების გადახდისაგან. პასუხისმგებლობის შეზღუდვა გამოიყენება მხოლოდ კომანდიტად მიღების შემდეგ წარმოშობილი კრედიტორების მიმართ.

კომანდიტის წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადავიდეს. ამისათვის საჭირო არ არის სხვა პარტნიორების თანხმობა, თუ ეს წესდებით არ არის გათვალისწინებული.

კომანდიტის წილის დათმობისათვის საჭიროა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელიც სანოტარო წესით უნდა დამონმდეს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საზოგადოებას, რომელიც კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, ხოლო მისი პარტნიორები პასუხს აგებენ საწესდებო კაპიტალში თავიანთი წილის ოდენობით, ეწოდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.

შპს სამენარმეო საქმიანობის შედარებით უფრო გაერცვლებული ფორმაა.

კანონში მოცემული განმარტების მიხედვით, შეიძლება გამოიყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემდეგი ნიშნები:

1. შპს არის პარტნიორების მიერ გარკვეული კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება. ამიტომ მისი არსებობა არ არის დამოკიდებული პარტნიორთა ნევრობაზე, პარტნიორის გასვლა არ იწვევს ამ საზოგადოების დაშლას. კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახით გამოსახული ქონება.

2. ამ საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე მისი პარტნიორებისათვის. საზოგადოება პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით, თუნდაც, მისი ვალები აღემატებოდეს ამ ქონებას. პარტნიორები კი პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალებზე. კრედიტორებთან ურთიერთობაში გამოდის არა პარტნიორი, არამედ საზოგადოება.

3. საზოგადოება შეიძლება დააარსოს როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირმა. საზოგადოების დამაარსებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოც. შპს შეიძლება დააარსოს ერთმა პირმაც, რომელიც შეიძლება იყოს ფიზიკური პირიც, იურიდიული პირიც და სახელმწიფოც.

შპს განსხვავდება არა მარტო სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებისაგან, რომლებიც სანესდებო კაპიტალის შესატანებით არ ფუძნდებიან, არამედ სააქციო საზოგადოებისაგანაც, რომელიც სანესდებო კაპიტალის საფუძველზე იქმნება, ისევე, როგორც შპს. ეს სხვაობა შემდეგში გამოიხატება:

ა) შპს უფრო მარტივია, ვიდრე სს. სააქციო საზოგადოების კაპიტალი გამოხატულია აქციებში – ფასიან ქაღალდებში. მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება არსებობს, პირველ რიგში, საფინანსო კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. ეს შპს-ს მიმართ არ ხორციელდება;

ბ) შპს-ს მინიმალური სანესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს. სააქციო საზოგადოებაში კი – 15 ათას ლარს;

გ) შპს მმართველობის ორგანოთა სისტემა უფრო მარტივია, ვიდრე სს-ში. სააქციო საზოგადოების სავალდებულო ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, შპს-ში კი ეს ორგანო ფაკულტატიურია, შეიძლება შეიქმნას და შეიძლება – არა;

დ) სს-ის საერთო კრების გადაწყვეტილებათა ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ კრებას ესწრებოდეს და მის ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი, შპს-ში კი ასეთი რამ საჭირო არ არის;

ე) შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები უფრო დისპოზიციურია და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებენ საზოგადოებას, ვიდრე სს-ის. ეს იმიტაცა განპირობებული, რომ სს გაცილებით უფრო რთული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, ვიდრე შპს. ამის გამო, ლიტერატურაში შპს-ს ხშირად მარტივ სააქციო საზოგადოებას ანუ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებას უწოდებენ;

ვ) სააქციო საზოგადოების კაპიტალი გამოხატულია აქციებში, რომლებიც სავაჭროდ გაიტანება ბირჟაზე, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ აქციების მფლობელები ხშირად იცვლებიან და ყოველი ახალი აქციონერის რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში აუცილებელი არ არის. შპს-ის წილის ყოველი გასხვისება კი უნდა დამონმდეს სანოტარო წესით და ყოველი ახალი პარტნიორის (წილის შემძენის) რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში სავალდებულოა<sup>1</sup>.

შპს კაპიტალური საზოგადოებაა, მისი შექმნის აუცილებელი წინაპირობაა სანესდებო კაპიტალის არსებობა. სანესდებო კაპიტალი არის საზოგადოების დაფუძნებისას მის წევრთა მიერ შეტანილი ქონება, რომლის მიზანია როგორც საზოგადოების საკუთარი შემოსავლების მიღება, ისე კრედიტორების მოთხოვნათა უზრუნველყოფა. საზოგადოების სანესდებო კაპიტალი და პარტნიორთა შესატანების ჯამი ერთმანეთს ემთხვევა ამ საზოგადოების დაფუძნებისას, მაგრამ

<sup>1</sup> იხ. დასახელებული კომენტარები, გვ. 242-245.



დაფუძნების შემდეგ ის იზრდება საზოგადოების ფუნქციონირების შედეგად და ამიტომ მეტი იქნება, ვიდრე ეს შესატანებია. კანონი, როგორც ითქვა, ადგენს სანესდებო კაპიტალის მინიმუმს – 2000 ლარს. რაც შეეხება მაქსიმალურ ზღვარს, კანონი ამას არ ადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი მაქსიმალური ოდენობა.

პარტნიორთა შესატანით განისაზღვრება მათი წილი საზოგადოების კაპიტალში. სხვადასხვა პარტნიორის შესატანი შეიძლება განსხვავებულად იყოს განსაზღვრული, მაგრამ სავალდებულოა, რომ თითოეულის შესატანი უნაშთოდ იყოფოდეს ათზე. პარტნიორის წილის ოდენობა ამ შესატანის ოდენობაზეა დამოკიდებული და გამოიხატება პროცენტებით.

მართალია, შპს-ში პარტნიორები არიან წილის მფლობელები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საზოგადოება საერთო წილობრივი საკუთრებაა. შპს არის დამოუკიდებელი ქონების მესაკუთრე, იურიდიული პირი და მასზე ვრცელდება სამენარმეო სამართლის ნორმები. ამიტომ არ შეიძლება ეს საზოგადოება განხილული იქნეს როგორც სანივთო სამართლით გათვალისწინებული საერთო საკუთრება.

შპს-ს პარტნიორს უფლება აქვს თავისი წილი გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადასცეს. წილის დათმობა უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

თუ პარტნიორმა სხვა წილიც შეიძინა, თითოეული წილი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს წილის გასხვისებისათვის საზოგადოების ნებართვის მიცემა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. საზოგადოების ნებართვა საჭიროა წილის ნაწილობრივი გასხვისებისთვისაც.

საერთოდ, შპს-ში წილად ითვლება პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს საზოგადოების

ნევრობიდან გამომდინარე. ამას თავისებური მსგავსება აქვს საერთო საკუთრებაში არსებულ წილთან, რამდენადაც ეს წილი განისაზღვრება შესატანის ოდენობით და გამოიხატება მყარ თანხაში, მაგრამ ის არ უნდა გავათანაბროთ საერთო საკუთრებასთან.

შპს-ში წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორის უფლებამოვალეობების მოცულობას (მოგების მიღების ოდენობა, ხმის უფლების მოცულობა, დამატებითი შესატანის ვალდებულება და ა.შ.).

შპს-ის დაფუძნებისას პარტნიორის წილის ღირებულება გამოიხატება ნომინალურ თანხაში. ეს არ არის ამ წილის რეალური ღირებულება. რეალური ღირებულება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები სხვადასხვა გარემოებების გამო.

წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის დაგირავება, მისი დატვირთვა უზუფრუქტით, გამოყენება ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად. ამ დროსაც იგივე წესები გამოიყენება, რაც გასხვისებისას.

კანონი კრძალავს საკუთარი წილების შექენას, ე. ი. საზოგადოებას არ შეუძლია შეიძინოს თავისი პარტნიორის კუთვნილი წილი. აკრძალვის შინაარსი ის არის, რომ საზოგადოება ამ წილის შექენით არ გახდეს თავისი თავის პარტნიორი.

კანონი ითვალისწინებს პარტნიორის უფლებას – სანესდებო კაპიტალის შეტანის გარდა შეიტანონ დამატებითი შესატანები. ეს დამატებითი შესატანები საზოგადოების კაპიტალის შევსების წყაროა.

შპს-ის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოების საქმიანობას შეეხება, თვით საზოგადოების ლიკვიდაციის ჩათვლით.

საზოგადოების პარტნიორთა მორიგი კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. გარდა ამისა, კანონი ადგენს რიგგარეშე კრების მოწვევის შესაძლებლობასაც.

შპს-ს წევრებს, რომელთაც საწესდებო კაპიტალის 5% მაინც ეკუთვნით, შეუძლიათ მოინვიონ საზოგადოების პარტნიორთა რიგგარეშე კრება. ამასთან, მათ უნდა მიუთითონ, თუ რა მიზნით ინვესტორებს კრებას, რა დღის წესრიგით და რა საფუძვლით. თუ მათ ამ მოთხოვნას არ გამოეხმაურებიან სხვა პარტნიორები ან დირექტორები, შეუძლიათ თვითონ მოინვიონ ეს კრება.

პარტნიორებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას, როგორც ინდივიდუალურად, ისე პარტნიორთა კრების მეშვეობით.

პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს წლიური შედეგების შესახებ.

პარტნიორთა რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება მინიჭებული აქვთ პარტნიორებს, როცა ისინი ამას საჭიროდ ჩათვლიან (5%-ის მფლობელებს), მაგრამ ასეთი კრების მოწვევის ვალდებულება დაკისრებული აქვთ დირექტორებს კანონით.

ასეთი ვალდებულება მათ ეკისრებათ, როცა:

1. ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;
2. საზოგადოების 5% კაპიტალის მფლობელი პარტნიორები მოითხოვენ კრების ჩატარებას;
3. წლიური ბალანსიდან ან წლის განმავლობაში შედგენილი ბალანსიდან ირკვევა, რომ საზოგადოებამ შეიძლება კაპიტალის ნახევარი დაკარგოს.

წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს რიგგარეშე კრების მოწვევის სხვა პირობაც.

პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორთა დასწრება. თუ ეს უმრავლესობა არ გამოცხადდა კრებაზე, კრება განმეორებით მოინვესტორთა იგივე დღის წესრიგით. განმეორებით კრებას კი შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, თუნდაც არ ესწრებოდეს ხმის უმრავლესობის მქონე პარტნიორები.

პარტნიორთა სურვილით, წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. ასეთი საბჭო უმთავრესად ისეთ შპს-ში იქმნება, რომელშიც ერთადერთ დამფუძნებლად ან წილის ძირითად მფლობელად სახელმწიფო გამოდის. ასეთი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა სააქციო საზოგადოებაში, შპს-ები კი უმთავრესად ამ საბჭოს გარეშე საქმიანობენ.

შპს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა დაკისრებული აქვთ დირექტორებს. საზოგადოების წესდებით დირექტორებს შეიძლება დაეკისროთ ზოგიერთი ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომელიც პარტნიორთა კრების კომპეტენციაში შედის. ასეთია, მაგალითად, პროკურის გაცემა ან გაუქმება, ფილიალის შექმნისა და ლიკვიდაციის უფლება.

**სააქციო საზოგადოება.** სამენარმეო საზოგადოებას, რომლის სანესდებო კაპიტალი დაყოფილია აქციებად, ეწოდება სააქციო საზოგადოება. სააქციო საზოგადოების სანესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს 15 ათას ლარს. სანესდებო კაპიტალის მითითებული მინიმუმი არ ვრცელდება საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციებზე. სს-ის ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის ერთი აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნული ვალუტით ან მისი მრავალჯერადი.

მენარმეთა კანონის შესაბამისად, საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით.

სააქციო საზოგადოება, ისევე, როგორც შპს, არის სანესდებო კაპიტალზე დაფუძნებული საწარმო. ამიტომ მისი არსებობა დამოკიდებული არ არის მის წევრთა შეცვლაზე. შეიძლება წევრები შეიცვალოს, მაგრამ ეს საზოგადოება არსებობას განაგრძობს, ვიდრე არ მოხდება მისი ლიკვიდაცია.

აქციონერებს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ საზოგადოების ვალებისათვის. კრედიტორების წინაშე მხოლოდ სს

აგებს პასუხს თავისი ქონებით. ეს ქონება კი არის მისი სანესდებო კაპიტალი, რომელიც დაყოფილია აქციებად.

აქცია არის ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოებაში.

სააქციო საზოგადოებები ფართოდაა გავრცელებული განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ეს საზოგადოებები მოქმედებენ, როგორც კერძო კაპიტალისტური, ისე სახელმწიფო-კაპიტალისტური სანარმოების სახით. როგორც წესი, ეს მსხვილი სამრეწველო და კომერციული საზოგადოებაა. ისინი ძალზე დიდ როლს ასრულებენ ყველა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ნომინალური სანესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულება, როგორც ზემოთ ითქვა, არ უნდა იყოს 15 ათას ლარზე ნაკლები.

ნომინალური ღირებულება ის ღირებულებაა, რომლის მიხედვითაც გაიცა აქცია და რეგისტრაციაში გატარდა საზოგადოების წიგნში. ამიტომ აქციის ნომინალური ღირებულება არ ემთხვევა ამ აქციის რეალურ ფასს. აქციას რეალური, საბაზრო ფასი შეიძლება მეტი ჰქონდეს, მაგრამ რა ფასშიც არის რეგისტრირებული საზოგადოების წიგნში, ის ფასი აქვს მისი მფლობელისთვისაც და ამ მფლობელის შემცველი პარტნიორისთვისაც.

თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება უნდა იყოს ერთი აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, ან ამ ერთის მრავალჯერადი. ამას მნიშვნელობა აქვს სს-ში ხმების გამოთვლისათვის, რომელიც აქციათა ნომინალური ღირებულების მიხედვით წარმოებს და რომ არ გართულდეს ამ ხმების გამოთვლა, უნაშთოდ განხორციელდეს, კანონით დადგენილია აქციათა ღირებულება ერთი ან ერთის მრავალჯერადი ოდენობით.

საზოგადოებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი წიგნი, რომელშიც მოხდება სანესდებო კაპიტალის, აქციების რეგისტრაცია, ასევე საზოგადოებისათვის აუცილებელი ყველა სხვა დოკუმენტის აღრიცხვა.

სს-ის წიგნი არ შეიძლება გაიგივდეს სამენარმეო რეესტრთან. საზოგადოების წიგნში აღინიშნება ყოველი აქციის გაცემის თარიღი, ნომინალური ღირებულება და სააქციო ბარათის ნომერი, როცა აქცია ბარათის ფორმით არის გაცემული. თუ აქცია გაცემულია არა სააქციო ბარათის ფორმით, არამედ სხვა ფორმით, ვთქვათ, სახელობით აქციებად, მაშინ საზოგადოების წიგნში ხდება აქციის რეგისტრაცია, რომელშიც აქციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად მითითებული იქნება აქციონერის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი.

აქცია განსხვავდება როგორც სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან, ისე სხვა სამენარმეო საზოგადოების წილებისაგან. აქციისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. აქცია გამოხატავს საზოგადოების სანესდებო კაპიტალის წილს, რომელიც გამოითვლება გაცემული აქციების საერთო რაოდენობის მიხედვით. აქციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნომინალური ღირებულება და ამ აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი უნდა შეადგენდეს სანესდებო კაპიტალის ოდენობას. ეს ჯამი არ შეიძლება იყოს სანესდებო კაპიტალის ოდენობაზე მეტი ან ნაკლები.

აქციის გაცემა ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში დაუშვებელია. რაც შეეხება აქციის გაცემას მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასში, კანონით დაიშვება, ოღონდ ქონების ის ნაწილი, რაც სანესდებო კაპიტალის ღირებულებაზე მეტი აღმოჩნდება, საზოგადოებას ჩაერიცხება სარეზერვო ფონდში.

2. აქცია ადასტურებს, რომ პირი სს-ის წევრია და მას აქვს აქციონერის უფლება-მოვალეობები. აქციონერი ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, ის მხოლოდ დივიდენდებს იღებს. სს-ის მართვაში მონაწილეობენ ის აქციონერები, რომელთაც ხმათა უმრავლესობა აქვთ. ყოველი აქციონერი დამოუკიდებელი წევრობის უფლებით სარგებლობს, ყველას აქვს ერთი ხმა, თუ გაცემული არ არის ე. წ. შეღავათიანი აქცია.

3. აქცია არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პირი სს-ის წევრია. აქციების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ბარათები. ბარათის ფორმით გაცემული აქცია შეიძლება გასხვისდეს სანოტარო დამონმების გარეშე. შეიძლება აქციები გაიცეს დროებითი მონმობების სახით.

4. აქცია არის საკუთრების ობიექტი, რომელიც დაცულია კონსტიტუციით<sup>1</sup>.

აქცია არსებობს ჩვეულებრივი და შეღავათიანი.

ჩვეულებრივი აქცია – ეს არის ფასიანი ქალაქი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს ხმის უფლებას და უზრუნველყოფს ამის შესაბამის მონანილეობას საზოგადოების მართვაში.

შეღავათიანი აქცია – არის აქცია ხმის უფლების გარეშე, რომლის მფლობელი, მართალია, არ მონანილეობს საზოგადოების მართვაში, მაგრამ უფლება აქვს მიიღოს ჩვეულებრივი აქციის მფლობელზე მეტი დივიდენდი და უფრო ადრე. დივიდენდების ოდენობა და გაცემის ვადა წესდებით უნდა განისაზღვროს.

ჩვეულებრივი აქცია შეიძლება გაიცეს როგორც სახელობით, ისე წარმომდგენის (სანარმდგენლო) სახით, ხოლო შეღავათიანი გაიცემა მხოლოდ წარმომდგენის აქციის სახით.

სანარმდგენლო აქციაზე არ აღინიშნება მისი მფლობელის ვინაობა. ამიტომ ის ყველა მფლობელს შეუძლია გამოიყენოს. სახელობით აქციებზე კი აღინიშნება მისი მფლობელის ვინაობა. მისი გასხვისების დროს სააქციო ბარათის მეორე მხარეს კეთდება წარწერა, თუ ვინ არის აქციის ახალი მფლობელი. ამ წარწერას ინდოსამენტი ეწოდება.

აქციების გასხვისებას სანოტარო წესით დამონმება არ ესაჭიროება, მაგრამ სახელობითი აქციის გასხვისებისათვის საჭიროა სს-ის თანხმობა. ასეთი თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს წესდებაში, სააქციო ბარათში ან საზოგადოების წიგნში რეგისტრაციის

<sup>1</sup> იხ. დასახელებული კომენტარები, გვ. 242-245.

დროს. ასეთ აქციებს ეწოდებათ ვინკულიარებული სახელობითი აქციები.

აქციების გასხვისების შედეგად ახალი პარტნიორის შესვლას საზოგადოებაში არ ესაჭიროება სასამართლოში რეგისტრაცია, რითაც ის განსხვავდება სხვა სამენარმეო საზოგადოებებში დადგენილი წესისაგან. სასამართლო წესით რეგისტრაცია მხოლოდ დამფუძნებელ პარტნიორებს ეხებათ. როცა სახელმწიფო სანარმოების პრივატიზაციის დროს სახელმწიფო არის დამფუძნებელი პარტნიორი, რომელსაც ადრე აქციათა 100% ეკუთვნოდა და ეს აქციები სხვა პირებს გადაეცემათ, ამ საზოგადოების ხელახალი რეგისტრაცია საჭიროა.

სააქციო საზოგადოებას, აქციების გარდა, შეუძლია გამოსცეს სხვა სახის ფასიანი ქაღალდებიც (ობლიგაციები).

აქციონერს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება, ამ კრების გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება). გარდა ამისა, აქციონერს აქვს ქონებრივი უფლებებიც (დივიდენდების მიღება). აქციონერს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს აქცია, გაასხვისოს იგი, რითაც იგი ავტომატურად წყვეტს კავშირს სს-თან.

აქციონერი ვალდებულია გადაიხადოს განსაზღვრული შესატანი აქციის მისაღებად. ყველაზე გავრცელებული სახეა ფულადი შესატანი, თუმცა წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს არაფულადი შესატანებიც. მაგალითად, სახელმწიფო სანარმოს სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნისას საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო დებს, ვთქვათ, ქარხანას, რომლის აქციათა 100%-ის მფლობელი სახელმწიფოა.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში მოიწვევა. სხვა შემთხვევებში შეიძლება მოწვეული იქნეს რიგგარეშე კრება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერის მოთხოვნით.



საერთო კრებას შეუძლია განიხილოს ისეთი საკითხები, რომელიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე თვით საზოგადოების ბედსაც (წესდების შეცვლა, საზოგადოების ლიკვიდაცია, ბირჟაზე აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება, სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა). ამასთან, კრებას არ შეუძლია გადაწყვიტოს ისეთი საკითხი, როგორცაა დირექტორების არჩევა, გარიგებების დადება.

კრებაზე საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ხმის უფლების მქონე კაპიტალის შესაბამისი აქციების მფლობელთა, ამ კრების დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

სააქციო საზოგადოების მართვის უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აირჩევა 3-დან 21-მდე წევრის შემდაგენლობით, იმ პირობით, რომ ეს წევრთა რიცხვი სამზე გაყოფადი იყოს. საბჭოს ორ მესამედს ირჩევს წევრთა კრება, ერთ მესამედს კი სს-ის მუშა-მოსამსახურეები. არჩევა ხდება 4 წლით.

საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. სამეთვალყურეო საბჭო სხდომებს ატარებს კვირაში ერთხელ.

საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს დირექტორი. დირექტორებს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო, ხმათა უბრალო უმრავლესობით. საბჭო ახორციელებს დირექტორთა საქმიანობის კონტროლს.

დირექტორებს ევალებათ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა. დირექტორების უფლებამოსილებას განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი შინაგანანესი. საზოგადოებას შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე დირექტორი. თუ სს-ს ჰყავს რამდენიმე დირექტორი და წესდებით არ არის განსაზღვრული საზოგადოების წარმომადგენლობის ფორმა, ყველა დირექტორი ერთობლივად დებს გარიგებებს, რომელსაც ხელს აწერს თითოეული მათგანი.

ვინაიდან სს, როგორც წესი, ფართო მასშტაბის საზოგადოებაა და მრავალ სფეროშია დაკავებული, უმეტესად მას ჰყავს რამდენიმე დირექტორი, რომელთა შორის ფუნქციები განაწილებულია და ისინი თავიანთ სფეროში უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად განახორციელონ საქმიანობა. ყველა შემთხვევაში თითოეული დირექტორი ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ გაუძღვეს საზოგადოებას და შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. მოვალეობის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაურონ მათ. თუ კრედიტორმა საზოგადოებისაგან ვერ მიიღო ანაზღაურება, შეუძლია უშუალოდ დირექტორისაგან მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.

სს-ს საკმაოდ ხშირად ათასობით აქციონერი ჰყავს. ამის გამო კანონი ადგენს ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების კაპიტალის სიმტკიცეს. კერძოდ, აქციონერის შეტანილი კაპიტალი არ შეიძლება უკან დაუბრუნდეს მას. ეს კაპიტალი მხოლოდ კრედიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ემსახურება. აქციონერებს ეძლევათ მხოლოდ დივიდენდები. მათ არ შეუძლიათ მიიღონ არც დაბანდებული ქონება და არც საზოგადოების მიერ წარმოებული პროდუქცია.

ამასთან, აქციონერს არც იმის გარანტია შეიძლება მიეცეს, რომ ის აუცილებლად მიიღებს დივიდენდს. დივიდენდი მას შეუძლია მიიღოს მხოლოდ მაშინ, თუ დარჩა გასანაწილებელი მოგება.

აქციონერს ასევე არ შეუძლია მიიღოს ხელფასი საზოგადოებისაგან, თუ ის დამატებით არ დაამყარებს მასთან შრომით ურთიერთობას, ე. ი. თუ აქციონერს ხელფასი ეძლევა საზოგადოებისაგან, ის უკვე დაქირავებული მოსამსახურეა და ორმაგ ურთიერთობაშია სს-სთან: ერთი, როგორც აქციონერი, მეორე, როგორც თანამშრომელი.

სს-ის საქმიანობის შემონმების (რევიზიის) მიზნით კანონი ითვალისწინებს ე. წ. აუდიტორის თანამდებობას, რომელსაც

სამეთვალყურეო საბჭოს წარდგენით, ყოველწლიურად ირჩევს საერთო კრება თავის მორიგ სხდომაზე. აუდიტორი ეკონომიურად და სამართლებრივად დამოუკიდებელი უნდა იყოს საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისა და აქციონერებისაგან, ე. ი. არ უნდა იყოს საზოგადოების თანამშრომელი ან აქციონერი. ამასთან, აუდიტორები (რევიზორები) ისევე აგებენ პასუხს საზოგადოების საქმიანობაზე, როგორც დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

სააქციო საზოგადოებას საკმაოდ ხშირ შემთხვევაში თავისი მიზნების განსახორციელებლად აღარაკმაყოფილებს ის კაპიტალი, რაც მას თავიდან ჰქონდა, რისთვისაც საჭიროა ხდება ამ კაპიტალის გაზრდა, ახალი კაპიტალის შექმნა. ამ კაპიტალის გაზრდა უმთავრესად ხდება ახალი აქციების გამოშვებით, რასაც აქციების ემისია ეწოდება.

გადანყვეტილებას სანესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ დამატებითი აქციების გამოშვების გზით იღებს აქციონერთა საერთო კრება. დამატებითი აქციების შესყიდვის უპირატესი უფლება მინიჭებული აქვთ მოქმედაქციონერებს.

გარდა ამისა, სს-ის სანესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს საკუთარი სახსრებიდან სარეზერვო ფონდების სანესდებო კაპიტალად გარდაქმნის გზით. ასევე შეიძლება გაიზარდოს სანესდებო კაპიტალი ე.წ. პირობითი კაპიტალის ფორმით, რაც ნიშნავს იმას, რომ კაპიტალის გაზრდა დაუკავშირდება რაიმე პირობის დადგომას. ასეთი პირობა ზუსტად უნდა აღინიშნოს საერთო კრების გადანყვეტილებაში, რომელიც ამის ნებართვას იძლევა (რა პირობა როდის უნდა დადგეს). პირობა შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც აქციების გამოშვებასთან, ისე სხვა ფასიანი ქაღალდების, ობლიგაციების გამოშვებასთან და სხვა.

კოოპერატივი. მენარმეთა კანონის თანახმად, კოოპერატივი ეწოდება საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია წევრთა შრომით საქმიანობაზე, ან შექმნილია მათი მეურნეობის განვითარებისა და

შემოსავლის გადიდების მიზნით, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

მაშასადამე, კოოპერატივი არის ისეთი სანარმო, რომლის ძირითადი მიზანია მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მართალია კოოპერატივს აქვს მოგების მიღების უფლება, მაგრამ ეს არ არის მისი ძირითადი მიზანი.

კანონი გამოყოფს ხუთი სახის სანარმოო კოოპერატივს:

1. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ნედლეულს მოიპოვებენ თავიანთი წევრებისათვის;

2. სასოფლო-სამეურნეო ან სარენაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები;

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და სანარმოო კოოპერატივები);

4. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები (სამომხმარებლო კოოპერატივები);

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნა-წარმოების და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები.

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და შეიძლება სხვა სახის კოოპერატივიც არსებობდეს, მთავარია მისი მიზანი იყოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გაუნეცს მომსახურებას.

კოოპერატივის წევრობა შეზღუდული არ არის, ნებისმიერი რაოდენობის წევრი შეიძლება იყოს მასში გაერთიანებული (ორი და მეტი წევრი).

კრედიტორების წინაშე კოოპერატივი პასუხს აგებს საკუთარი ქონებით, მისი წევრები ასეთი ვალდებულებისათვის პასუხს არ აგებენ.

კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. წევრობა დაკავშირებულია პაის შეტანასთან. პაი შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც კოოპერატივის დაფუძნებისას, ისე შემდგომში ახალი წევრების მიღებისას, როგორც ფულადი სახით, ისე სხვა ქონების სახითაც (შენობა-ნაგებობა, ინვენტარი და სხვა).

პაის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები, რაც აისახება წესდებაში. ამასთან, კანონი ადგენს, რომ პაის ღირებულება უნაშთოდ უნდა იყოფოდეს ორმოცდაათზე.

კოოპერატივის წევრობიდან გასვლა შეიძლება მოხდეს: პირადი განცხადების საფუძველზე, კოოპერატივიდან წევრის გარიცხვის გამო, კოოპერატივის მიერ საქმიანობის შეცვლასთან დაკავშირებით, ანდა ამ წევრის გარდაცვალების შედეგად. ყველა ცვლილება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში სამენარმეო რეესტრში.

კოოპერატივიდან გასულ წევრს ეძლევა ის წმინდა მოგება, რაც მას ეკუთვნის პირადი შრომითი წვლილის შესაბამისად, ხოლო თუ გამსვლელი იურიდიული პირია, მას ეძლევა ის მოგებაც, რაც მისი ფინანსური მონაწილეობით იქნა მიღებული. რაც შეეხება შეტანილი პაის დაბრუნებას, კანონით ასეთი რამ დადგენილი არ არის, თუმცა წესდებით ეს შეიძლება გათვალისწინებული იქნეს იმ პირობით, თუ გამსვლელ წევრს გადახდელი აქვს მთლიანი პაი და როცა კოოპერატივს აქვს საამისოდ სარეზერვო ფონდი.

კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა.

საერთო კრება კოოპერატივის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა. საერთო კრებაზე კოოპერატივის წევრები უშუალოდ მონაწილეობენ, თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა. საკითხები კრებაზე წყდება ხმის უმრავლესობით, თუ წესდებით არ არის დადგენილი სხვა წესი.

საერთო კრებას იწვევს გამგეობა, წესდებით ამის უფლებამოსილება სხვა პირსაც შეიძლება მიენიჭოს.

საერთო კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა იქნეს მოწვეული. ნევრთა ერთი მეთაუდის მოთხოვნით ან წესდებით გათვალისწინებული უფრო ნაკლები რაოდენობის ნევრთა მოთხოვნით, კრება დაუყოვნებლივ მოიწვევა, რისთვისაც საჭიროა ამ ნევრთა ხელმოწერილი განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს კრების მოწვევის კონკრეტული მიზანი.

საერთო კრებაზე გადანყვეტილებების მიღებისას დგება სათანადო ოქმი.

მხოლოდ კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციას შეადგენს წესდებაში ცვლილებების შეტანა, ვადიანი კოოპერატივებისათვის ვადის გაგრძელების საკითხის გადანყვეტა. ამ საკითხებზე მიღებული გადანყვეტილებები სანოტარო წესით უნდა დამონმდეს.

კოოპერატივში, სადაც ხუთასზე მეტი წევრია, საერთო კრების ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება, რომელიც საერთო კრების ფუნქციებს ასრულებს. წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს წარმომადგენელთა ასეთი კრების მოწვევა იმ კოოპერატივებში, რომლებშიც 200-ზე მეტი წევრია.

წარმომადგენლებად შეიძლება არჩეული იქნეს კოოპერატივის ნებისმიერი წევრი, ოღონდ ის არ შეიძლება იყოს გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. წარმომადგენელთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ შეიძლება იყოს.

კოოპერატივის თვითმმართველობის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც აირჩევს საერთო კრება 3-15 წევრის შემადგენლობით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი. სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს კოოპერატივის გამგეობის საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას განსაზღვრავს წესდება. კანონით სამეთვალყურეო საბჭოს ევალება საერთო კრების

მონევეა საჭიროების მიხედვით. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირზე გადაცემა რწმუნებულების ან სხვა საფუძველზე.

კოოპერატივის მართვას ძირითადად ახორციელებს გამგეობა. სამოქალაქო ურთიერთობებში კოოპერატივის სწორედ მისი გამგეობა წარმოადგენს. გამგეობა საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს კოოპერატივის საქმეებს, იგი ამ საქმიანობაში შეუზღუდავია. კერძოდ, საერთო კრებას უფლება არა აქვს მისცეს გამგეობას მითითებები მმართველობის კონკრეტულ საკითხებზე.

კოოპერატივის გამგეობა შედგება ორი ან მეტი დირექტორისაგან ანუ გამგეობის წევრისაგან. სავალდებულო არ არის, რომ დირექტორი კოოპერატივის წევრი იყოს.

დირექტორები აირჩევიან 4 წლის ვადით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მათი არჩევა ხდება საერთო ან წარმომადგენლობით კრებაზე. სამეთვალყურეო საბჭოს კი დირექტორების არჩევა არ შეუძლია, განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოებისაგან.

დირექტორების უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი კოოპერატივებში ისეთივეა, როგორც სხვა სამენარმეო საზოგადოებებში. კოოპერატივის წესდებით უნდა განისაზღვროს – დირექტორები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად გაუძღვებიან საქმეს.

ამასთან, დირექტორების უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს, კერძოდ არ შეიძლება დირექტორს აეკრძალოს ამა თუ იმ გარიგების დადება, თუ ამისათვის სხვა ორგანოს თანხმობა არ არის გათვალისწინებული, ასევე არ შეიძლება დირექტორებს შეეზღუდოთ კონტრპაგენტების არჩევის უფლებამოსილება.

როცა კოოპერატივის ჰყავს რამდენიმე დირექტორი, გარიგების დადებისათვის საკმარისია ერთ-ერთი დირექტორის ნების გამოვლენა, რომ გარიგება დადებულად ჩაითვალოს.

თუ კოოპერატივის წარმომადგენელმა დადო ისეთი გარიგება, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა და ეს კონტრაგენტმა იცოდა, აქაც მოქმედებს ის წესი, რომ საზოგადოებას შეუძლია 18 თვის განმავლობაში გამოაცხადოს ეს გარიგება ბათილად. ასეთივე წესი მოქმედებს, როცა კოოპერატივის წარმომადგენელი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებდნენ, რომ ზიანი მიეყენებინათ კოოპერატივისათვის.

მენარმეთა კანონით გათვალისწინებული იყო ე.წ. სახაზინო სანარმო, როგორც იურიდიული პირი, რომელსაც ქმნიდნენ სახელმწიფოს ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოები. 1999 წლის 19 თებერვალს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ეს სანარმო ამოღებული იქნა კოდექსიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ის კერძო სამართლის იურიდიულ პირად აღარ ითვლება.

იურიდიული პირის ფილიალები და წარმომადგენლობები. სანარმოს თავისი მიზნების განსახორციელებლად შეუძლია დააარსოს ფილიალი და წარმომადგენლობა. ფილიალი არის სანარმოს ტერიტორიულად გამოცალკევებული სტრუქტურული დანაყოფი, რომლის საშუალებითაც იგი აფართოებს თავისი საქმიანობის სფეროს. ასეთივე მიზნით იქმნება იურიდიული პირის წარმომადგენლობა, სხვადასხვა ბიურო თუ სხვა დანაყოფი. თითოეული მათგანი ახორციელებს სანარმოს, როგორც იურიდიული პირის ფუნქციებს, მაგრამ არა ამ სანარმოს ადგილსამყოფელზე, არამედ მისი ტერიტორიიდან განცალკევებულად. არც ფილიალი და არც წარმომადგენლობა არ არის იურიდიული პირი. ისინი მხოლოდ ამ იურიდიული პირის ქვედანაყოფები არიან.

ფილიალები და წარმომადგენლობები ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს. ისინი სამოქალაქო ბრუნვაში გამოდიან მათი შემქმნელი იურიდიული პირის სახელით, წარმოადგენენ ამ იურიდიულ პირთა ინტერესებს. ფილიალის საქმიანობის სფერო შედარებით უფრო ფართოა, ვიდრე წარმომადგენლობისა. ფილიალს შეუძლია შეასრულოს იურიდიული პირის ყველა ფუნქცია ადგილზე, წარმომადგენლობას კი



ყველა ფუნქციის შესრულება არ შეუძლია. მაგალითად: წარმომადგენელს უფლება აქვს დადოს ხელშეკრულება, კონტროლი გაუწიოს მის შესრულებას, გაუწიოს რეკლამა, მაგრამ არ შეუძლია შეასრულოს სანარმოო თუ სამეურნეო ფუნქცია. ასეთი ფუნქცია მინიჭებული აქვს მხოლოდ ფილიალს.

ფილიალი და წარმომადგენლობა შეიძლება ჰყავდეს არაკომერციულ ორგანიზაციებსაც, რომელთა ფუნქციებიც შესაბამისად არაკომერციული ხასიათის იქნება.

იმის გამო, რომ ფილიალი და წარმომადგენლობა არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მათი ხელმძღვანელები სამოქალაქო ბრუნვაში გამოდიან არა თავისი სახელით, არამედ მათი შემქმნელი იურიდიული პირის სახელით, სათანადო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

ამასთან, ფილიალი უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ, ორგანიზაციულად დამოუკიდებელ გაერთიანებას და არა საამქროს მსგავს დანაყოფს. ფილიალის ხელმძღვანელს უფლება აქვს საგარეო ურთიერთობებში დამოუკიდებლად წარმოადგინოს ფილიალი, როგორც თვით სანარმოს დირექტორმა, ჰქონდეს დამოუკიდებელი ანგარიშები ბანკში და ა.შ. მაგალითად, რომელიმე შპს-ს თუ სააქციო საზოგადოებას აქვს ქარხანა არა მარტო თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც, ეს ქარხნები ამ სანარმოს ფილიალებს წარმოადგენენ.

ფილიალი აუცილებლად განცალკევებული უნდა იყოს ტერიტორიულად იმ სანარმოსაგან, რომელმაც ის შექმნა. ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად სხვა ქალაქში მდებარეობდეს, შესაძლოა იმავე ქალაქში იყოს, მაგრამ სანარმოს ადგილ-სამყოფელისაგან ტერიტორიულად განცალკევებულად.

სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვაგვარად ქმნის ფილიალს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ფილიალის შექმნის შესახებ გადანყევტილებას იღებს პარტნიორთა კრება, სააქციო საზოგადოებაში კი ფილიალის შექმნა მხოლოდ სამეთვალყურეო

საბჭოს თანხმობით შეიძლება. სხვა საზოგადოებებში (სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტური, კოოპერატივი) ფილიალის დაარსების საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს წესდებით და ეს უფლება მიეცეს საზოგადოების ხელმძღვანელს ისე, რომ საჭირო არ იყოს საერთო კრების გადაწყვეტილება.

ფილიალის შექმნა რეგისტრირებული უნდა იქნეს სასამართლოში მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. სანარმო, რომელმაც შექმნა ფილიალი, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს იმ სასამართლოს, რომელმაც ეს სანარმო გაატარა რეგისტრაციაში. სასამართლოს წარედგინება განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება ფილიალის მისამართი. განცხადებას დაერთვის სანოტარო წესით დამონმებული წესდების ასლი, დირექტორების ხელმოწერები, გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და მისი ხელმოწერის ნიმუში, ასევე სანარმოს ადგილსამყოფელი. სასამართლო ამ მასალებს უგზავნის ფილიალის ადგილსამყოფელის სასამართლოს, სადაც ხდება ამ ფილიალის საბოლოო რეგისტრაცია.

რეგისტრაციას ექვემდებარება უცხოეთის სანარმოთა ფილიალებიც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ეწევიან საქმიანობას. ასეთი ფილიალის რეგისტრაციისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამონმებული შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. სანარმოს მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილება საქართველოში ფილიალის, თუ წარმომადგენლობის გახსნის შესახებ;
2. ამ ფილიალის საქმიანობის მოკლე აღწერა;
3. სანარმოს წესდების ასლი;
4. გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
5. უცხოეთის სანარმოს არსებობის დამადასტურებელი ცნობა.

კონცერნები და მეკავშირე საწარმოები. კონცერნი არის საწარმოთა კავშირის ისეთი ფორმა, რომლის დროს ერთი საწარმო ფლობს ნილთა განსაზღვრულ ნაწილს სხვა საწარმოში.

მენარმეთა კანონის თანახმად, კონცერნი არ ნიშნავს საწარმოს ყოველგვარ წილს სხვა საწარმოში. კონცერნი წარმოიშობა მაშინ, როცა ერთ საწარმოს მეორეში აქვს 25%-ზე მეტი წილი.

კონცერნი არ არის საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ის საწარმოთა ფაქტობრივი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ერთ საწარმოს გარკვეული წილი აქვს მეორეში. მაგალითად, რომელიმე სააქციო საზოგადოებამ თუ შპს-მ სხვა სააქციო საზოგადოების კუთვნილი აქციების ნაწილი შეიძინა, თუ ეს შეძენილი წილი 25%-ზე მეტია, მაშინ ამ ორ საზოგადოებას შორის ურთიერთობა იქნება კონცერნი.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით, სანამ სრულად არ ამოქმედებულა ახალი სამენარმეო და სამოქალაქო კანონმდებლობა, კონცერნის მნიშვნელობა სხვაგვარადაც იხმარება.

კონცერნი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გაერთიანებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა უწყებების ნაცვლად, ამ უწყებებში შემავალი საწარმოების გაერთიანების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ახალი მმართველობის ორგანო, რომელსაც კონცერნი ეწოდა. ზოგჯერ ეს გაერთიანება სახელმწიფო ორგანოს სახით არსებობს (მაგალითად, კონცერნი „საქავტოგზა“, „საქგაზი“). ყველა შემთხვევაში კონცერნი იურიდიულ პირად არ ითვლება.

კონცერნი ეს არის საწარმოთა ისეთი გაერთიანება, რომლის დროს იურიდიულად ეს საწარმოები დამოუკიდებელი იურიდიული პირები არიან, მაგრამ მათი ფაქტობრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ერთს წამყვანი ადგილი უჭირავს მეორის მიმართ, რამდენადაც ის ფლობს ამ უკანასკნელის წილის 25%-ზე მეტს.

სანარმოთა ურთიერკავშირის მრავალი ფორმა არსებობს. კანონი განასხვავებს ასეთი კავშირის სამ სახეს: 1. ხუთპროცენტციანი მონაწილეობა სხვა სანარმოში. 2. ორმოცდაათპროცენტციანი მონაწილეობა და 3. სამოცდათხუთმეტპროცენტციანი მონაწილეობა.

სანარმოს, რომელიც ფლობს სხვა სანარმოს წილთა უმრავლესობას, ეწოდება ძირითადი სანარმო, ხოლო იმ სანარმოს, რომლის წილთა უმრავლესობა სხვა სანარმოს ეკუთვნის, ეწოდება არაძირითადი სანარმო.

ხუთპროცენტციანი მონაწილეობის დროს, ის სანარმო, რომლის ხელში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სხვა სანარმოს წილის სულ ცოტა ხუთი პროცენტი, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე სანარმოს (არაძირითად სანარმოს). ასევე, როცა ძირითადი სანარმოს ხელში აღმოჩნდება სხვა სანარმოს წილთა უმრავლესობა, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ამ სხვა (არაძირითად) სანარმოს. ასეთივე ვალდებულება ეკისრება ძირითად სანარმოს, მაშინაც, როცა მისი წილი უკვე აღარ შეადგენს უმრავლესობას (შემცირდა გასხვისების ან დათმობის შედეგად). ასეთივე ვალდებულება აკისრია ძირითად სანარმოს მაშინაც, როცა მისი წილი არაძირითად სანარმოში ხუთ პროცენტზე ნაკლები ხდება.

ორმოცდაათპროცენტციანი მონაწილეობის დროს ძირითად სანარმოს, რომლის ხელშიც აღმოჩნდა სხვა სანარმოს სულ ცოტა 50%, ევალდება: ა) ანაზღაუროს არაძირითადი სანარმოს წლიური ზარალი; ბ) ანაზღაუროს არაძირითადი სანარმოს ის ქონებრივი დანაკლისები, რომლებიც წარმოიშვა ძირითადი სანარმოს გარიგებებით ან სხვა ღონისძიებებით, ასევე, გადაიხადოს შესაბამისი კომპენსაცია გარეშე პარტნიორებისათვის; გ) შეადგინოს საკონცერნო ბალანსი, რომელშიც შევა არაძირითადი სანარმოს წლიური ბალანსიც; დ) სანარმოთა კავშირის ასეთი ფორმა რეგისტრაციაში გაატაროს სამენარმო რეესტრში.

სამოცდათხუთმეტპროცენტციანი მონანილეობის დროს, ზემოთ დასახელებული ვალდებულებების გარდა, ძირითად სანარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა არაძირითადი სანარმოს ან მესამე პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც გამონვეულია სანარმოს მიერ დადებული გარიგებით ან სხვა ღონისძიებებით.

ასეთ კონცერნში, სანარმოსთან ერთად, პასუხს აგებენ სოლიდარულად სანარმოს ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ მათ არ დაურღვევიათ თავიანთი მოვალეობა.

კონცერნის შექმნის სხვადასხვა გზა არსებობს. ყველაზე გავრცელებული ფორმაა, როცა ერთი სანარმო ქმნის სხვა სანარმოს. აქ უკვე ძირითადი სანარმო ახალი სანარმოს ასპროცენტციანი მფლობელია. ასეთ შემთხვევაში, ძირითად სანარმოსა და ახლად შექმნილ სანარმოს შორის დამყარებული კავშირი უკვე კონცერნს წარმოადგენს. მაგალითად, სს ავტოქარხანამ შექმნა შპს საბურავების ქარხანა. მათ შორის არსებული ურთიერთობა – კონცერნია.

სანარმოს, რომელიც ქმნის ახალ სანარმოს, უწოდებენ „დედა საზოგადოებას“, ახლად შექმნილს კი „შვილობილ საზოგადოებას“ და „შვილიშვილ საზოგადოებას“. ყველა ეს საზოგადოება კონცერნის სანარმოებია.

კონცერნში შეიძლება შედიოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმოები. მაგალითად, სპს-ს შეუძლია დააფუძნოს შპს ანდა სს. აქ ყალიბდება კონცერნი, რომელშიც ის, ვინც აფუძნებს (სპს) იქნება „დედა საზოგადოება“, ხოლო რაც დაფუძნდა (შპს, სს) იქნება „შვილობილი საზოგადოება“.

კონცერნი შეიძლება შეიქმნას ხელშეკრულების საფუძველზე. სანარმოთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრება წილთა უმრავლესობა რომელიმე სანარმოში. ვთქვათ, ერთი რომელიმე საზოგადოების კუთვნილი წილის 30% შეისყიდა ერთმა საზოგადოებამ, ასევე მისი 30% წილი კიდევ სხვა რომელიმე

საზოგადოებამ. ორივე შემდგენ საზოგადოებას გამსხვილებელ საზოგადოებაში უკვე აქვთ 60% წილი, ე.ი. წილის უმრავლესობა. თუ ისინი ერთმანეთთან დადებენ ხელშეკრულებას და შექმნიან კონცერნს, ეს იქნება სახელშეკრულებო კონცერნი ანუ კონცერნი, რომელიც ორი ან მეტი საწარმოს ხელშეკრულების საფუძველზე სხვა საწარმოში ფლობს წილთა უმრავლესობას.

წილთა უმრავლესობასთან დაკავშირებულია არაერთი სამართლებრივი შედეგი. ამიტომ მის ზუსტ განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ჩვეულებრივ წილთა უმრავლესობა გულისხმობს, რომ ერთი საწარმო ფლობს მეორე საწარმოს ორმოცდაათ პროცენტზე მეტს, მაგრამ ასეთი არითმეტიკული მეტობა შეიძლება არ იყოს საკმარისი, რამდენადაც სააქციო საზოგადოებაში აქციები სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს – ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული. აქ უპირატესობა ეძლევა ხმის უფლების მქონე აქციებს, ვიდრე პრივილეგირებულს. მაგალითად, თუ საზოგადოებაში 50%-ს ეკუთვნის აქციათა საკონტროლო პაკეტი, ხოლო 50%-ს პრივილეგირებული აქციები ხმის უფლების გარეშე, წილთა უმრავლესობა ექნება იმას, ვისაც ხმის უფლების მქონე აქციები აქვს.

წილთა უმრავლესობის ფაქტის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო პირდაპირ წილობრივ მონაწილეობას, არამედ არაპირდაპირ წილობრივ მონაწილეობასაც. პირდაპირი მონაწილეობაა მაშინ, როცა ძირითად საწარმოს უშუალოდ აქვს წილი არაძირითად საწარმოში, არაპირდაპირი მონაწილეობის დროს კი სხვა რომელიმე წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობს. მაგალითად, სს ავტოქარხანამ შეიძინა სს ტრაქტორების ქარხნის აქციათა 20% უშუალოდ, ტრაქტორების ქარხნის 40% კი შეიძინა სს ავტოქარხნის შვილობილმა საწარმომ შპს საბურავების ქარხანამ. სს ავტოქარხანა არის სატრაქტორო ქარხნის წილის უმრავლესობის მფლობელი, რადგან 20%-ს პირდაპირ უშუალოდ ფლობს, ხოლო 40%-ს არაპირდაპირ – საბურავების ქარხნის მეშვეობით.

კანონი ითვალისწინებს კონცერნში შემავალი საწარმოების დამოუკიდებლობას. ხელშეკრულება, რომლითაც ერთი საწარმოს

ორგანიზაციები ემორჩილებიან სხვა საწარმოს ნებას, ბათილად ითვლება. ეს გულისხმობს, რომ ერთი საწარმოს ორგანოები არ ექვემდებარებოდნენ მეორე საწარმოს ორგანოს გადაწყვეტილებებს. ძირითად საწარმოს, თუნდაც 100% ეკუთვნოდეს წილი არაძირითად საწარმოში, მისი ორგანოს გადაწყვეტილებები ავტომატურად სავალდებულო არ არის არაძირითადი საწარმოსათვის. ძირითადი საწარმოს ნება უნდა გაფორმდეს არაძირითადი საწარმოს ორგანოების გადაწყვეტილების სახით.

## §7. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფო უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

მაშასადამე, სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის ისეთივე სუბიექტია, როგორც ჩვეულებრივი იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანოები კი არიან სახელმწიფოს წარმომადგენლები სამოქალაქო ურთიერთობებში. ამასთან, სახელმწიფო – სამოქალაქო სამართლის თავისებური სუბიექტია.

საკითხი სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსუბიექტობის შესახებ საკმაო ყურადღებას იქცევს მკვლევართა შორის.<sup>1</sup> აქ ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული საჯარო და კერძო სამართლის

<sup>1</sup> იხ. რ.ვ. შენგელია – Гражданская правосубъектность Советского государства в кредитных отношениях. თბილისი, 1984; Субъекты гражданского права, Под ред. С. Н. Братушь, М., 1984; Брагинский М.И. Участие советского государства в гражданских правоотношениях, М.1981. და სხვა.

ელემენტები. ამიტომ ვამბობთ, რომ სახელმწიფო სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტია.

სახელმწიფო ყოველთვის ერთიანი და განუყოფელია. ამიტომ ის ერთიანი და განუყოფელია როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტიც. ამასთან, სახელმწიფო არ შეიძლება აბსოლუტურად განუყოფლად წარმოვიდგინოთ, არც საჯარო და არც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. სახელმწიფო ერთიანი სუბიექტია, მაგრამ ის დაყოფილიც არის სხვადასხვა მუნიციპალურ გაერთიანებებად (მხარე, ქალაქი, რაიონი, დაბა, სოფელი).

სახელმწიფო, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლის სხვა სუბიექტები, მონაწილეობს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, ე.ი. მას აქვს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა, მაგრამ ის განსაკუთრებული სუბიექტია. ეს განსაკუთრებულობა იმით აიხსნება, რომ სახელმწიფო იმავდროულად არის საჯარო სამართლის მთავარი სუბიექტი, რომელიც აღჭურვილია ხელისუფლებით.

სახელმწიფო ახორციელებს ხელისუფლებას ყველა მისი განშტოებით. ხელისუფლების ფუნქცია სხვა სუბიექტებსაც აქვთ (მაგალითად, მშობელს თავისი შვილების, სამუშაოზე მიმღებს თავისი თანამშრომლის, გაერთიანებას თავისი წევრების მიმართ და სხვა), მაგრამ სახელმწიფოს, მათგან განსხვავებით, ახასიათებს ის, რომ ის ერთადერთია, სუვერენულია. სახელმწიფო გარკვეულ ტერიტორიაზე მბრძანებლობს ყველა სხვა დანაყოფზე, რაც მისი სუვერენიტეტის დამახასიათებელი ნიშანია.

სუვერენიტეტი ვლინდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობებში. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი, შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. სახელმწიფო იღებს კანონებს, რომლებსაც იყენებს ყველა სამოქალაქო სამართლის სუბიექტი;



2. სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს ადმინისტრაციული აქტი, რომელიც წარმოშობს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს სხვა მხარის ნების მიუხედავად;

3. სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით;

4. სახელმწიფო ინარჩუნებს თავის ხელისუფლებით ფუნქციას მაშინაც კი, როცა ის თანასწორ პირობებში მონაწილეობს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელმწიფო ამ განსაკუთრებული თავისებურებების გამო, სამოქალაქო ურთიერთობებში მაინც თანასწორუფლებიანობის პრინციპით მოქმედებს. ამაზე, როგორც ითქვა, სპეციალურად არის მითითებული კოდექსში. სახელმწიფო მხოლოდ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში ფუნქციონირებს როგორც საჯარო ხელისუფლების მატარებელი სუბიექტი.

რაც შეეხება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, აქ მას არ ახასიათებს სახელისუფლებო უფლებამოსილება. ამჯერად ის ემორჩილება სამოქალაქო სამართლის საერთო პრინციპს – თანასწორობას, ე.ი. სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის, უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ ურთიერთობებში მონაწილეობს ის – საჯაროში თუ კერძოში.

აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ერთგვარ ორგანიზაციას წარმოადგენს, რის გამოც კანონმდებელი მას საჯარო იურიდიულ პირად მიიჩნევს. სახელმწიფო არის სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სუბიექტი, მაგრამ ის მაინც ისეთივე წესით მონაწილეობს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც სხვა იურიდიული პირები. ამიტომ, მასზე როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტზე, ვრცელდება ის ნორმები, რაც საერთოდ სხვა იურიდიულ პირებზე.

სახელმწიფოს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა. სახელმწიფოს სამოქალაქო უფლებაუნარიანობა განსხვავებულია როგორც ფიზიკური პირის, ისე იურიდიულ პირთა უფლებაუნარიანობისაგან. ეს

უფლებათუნარიანობა ზოგჯერ უფრო ფართოა, ზოგჯერ კი ვიწრო, ვიდრე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებათუნარიანობა.

სახელმწიფო სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს არა თავისი კერძო ინტერესების, არამედ მისი საჯარო ხელისუფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით. სახელმწიფოს, რომელიც ღებულობს კანონებს, შეუძლია გააფართოოს თავისი უფლებამოსილება..

სახელმწიფოს უფლებათუნარიანობა გამომდინარეობს იმ საჯარო ხელისუფლების ფუნქციიდან, რასაც ის ახორციელებს ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამიტომ ეს უფლებათუნარიანობა მიზნობრივი ხასიათისაა. სახელმწიფომ არ შეიძლება ეს უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასევე არ შეუძლია გაინთავისუფლოს თავი პასუხისმგებლობისაგან მოქალაქეთა საწინააღმდეგოდ.

სახელმწიფოს ასევე არ შეუძლია თავისი მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები ანდა შეასრულოს მოვალეობები. სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთაგან ნაწილი იურიდიული პირია, ნაწილი კი არა. ამ ორგანოებს კი წარმოადგენენ განსაზღვრული თანამდებობის პირები, რომელთა შეგნება და ნება განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც სუბიექტის მოქმედებას.

სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში უშუალოდ. სახელმწიფო სამოქალაქო ბრუნვაში შეიძლება მონაწილეობდეს როგორც უშუალოდ, ისე სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო იურიდიული პირების მეშვეობით. სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში ხორციელდება არა სპეციალურად შექმნილი იურიდიული პირების, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საშუალებით. ეს ორგანოები სახელმწიფოს განსაკუთრებული წარმომადგენლები არიან. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ორგანო იმავდროულად იურიდიული პირიც იყოს. მთავარი აქ ის არის, რომ ეს ორგანო წარმოადგენს სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის სახელით მოქმედებს, რომელსაც სახელმწიფო აქტით

აქვს მინიჭებული გარკვეული სტატუსი და კომპეტენცია. ახალი სამოქალაქო კოდექსით სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ სამოქალაქო ურთიერთობებში, არ ითვლებიან იურიდიულ პირებად. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონქვემდებარე აქტები (უწყებათა დებულებები, წესდებები), რომელთა მიხედვით ეს უწყებები იურიდიულ პირებად ითვლებიან.

სახელმწიფოს სახელით სამოქალაქო ურთიერთობებში შეიძლება გამოვიდეს როგორც წარმომადგენლობითი, ისე აღმასრულებელი ორგანოები (პარლამენტი, პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და ა.შ.), ასევე შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური გარეთიანებების ორგანოები. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სპეციალური დავალებით სამოქალაქო ბრუნვაში შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფოს სახელით ნებისმიერი ორგანო, იურიდიული თუ ფიზიკური პირი.

სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში სპეციალურად შექმნილი იურიდიული პირების მეშვეობით. სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო ურთიერთობებში სპეციალურად შექმნილი იურიდიული პირების მეშვეობით სახეზე გვაქვს, როცა სახელმწიფო რჩება ამ იურიდიული პირისათვის გადაცემული ქონების მესაკუთრე და პასუხისმგებლობაც ორივე მხარეს ეკისრება, როგორც სახელმწიფოს, ისე იურიდიულ პირს. ამასთან, ეს იურიდიული პირები, მართალია, სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, მაგრამ შეუძლიათ თავისი სახელითაც დადონ გარიგებები. სხვანაირად ისინი არც იქნებოდნენ იურიდიული პირები. ცხადია, უფრო ხშირად სამოქალაქო ბრუნვაში სახელმწიფო მონაწილეობს თავისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ.

სახელმწიფოს მონაწილეობა საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში. სახელმწიფოს ხელისუფლება, მართალია, მის ტერიტორიაზე ვრცელდება, მაგრამ მისი სუვერენიტეტი ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც მოქმედებს. ამიტომ სახელმწიფოს ეს თვისება თავის გამოვლენას პოულობს მის ფარგლებს გარეთ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებებზეც.

როცა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფო მისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მონაწილეობს, ის მოქმედებს არა თავისი ხელისუფლების ფარგლებში, არამედ სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელების პირობებში. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ურთიერთობებში სახელმწიფოთა თანასწორობა თავისებურ წინააღმდეგობაშია სახელმწიფოს სუვერენიტეტთან თავის ტერიტორიაზე. ამიტომ აქ უკვე საჭიროა ამოქმედდეს სახელმწიფოს იმუნიტეტი, რაც გულისხმობს სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაგრძელებას მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. იმუნიტეტი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, რომელიც თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოქმედებს, მისი თანხმობის გარეშე არ გავრცელდეს მასზე სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

განასხვავებენ სახელმწიფოს იმუნიტეტის ორ სახეს:

1. იმუნიტეტი სარჩელის იძულებით უზრუნველყოფაზე და
2. იმუნიტეტი სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე. პირველი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ქონება მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებად (დაყადალება), ხოლო მეორე სახის იმუნიტეტი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიძლება იძულებით აღსრულდეს მასთან შეუთანხმებლად.

სახელმწიფოს, თავის მხრივ, შეუძლია უარი თქვას მის კუთვნილ ქონებაზე.

ფულადი ვალდებულებები სახელმწიფოს სახელით დაკისრებული აქვს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნულ ბანკს. სხვა

ვალდებულებებში, კერძოდ, მოძრავი და უძრავი ქონების გამოწარმოვით ურთიერთობებში, სახელმწიფოს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

ორგანოები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით გამოდიან საგარეო-საეაჭრო ურთიერთობებში, შეიძლება მოქმედებდნენ როგორც უშუალოდ, დამოუკიდებლად, ისე საელჩოების, საკონსულოების და საეაჭრო წარმომადგენლობების მეშვეობით. მათ უნდა ჰქონდეთ სპეციალური უფლებამოსილება იმოქმედონ იმ ორგანოს სახელით, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს. ამასთან, დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურებს უშუალოდ შეუძლიათ დადონ საზღვარგარეთ გარიგებები სახელმწიფოს სახელით (შენობის დაქირავება, უძრავი ქონების შეძენა და სხვა). ყველა შემთხვევაში საეაჭრო წარმომადგენლობების მეშვეობით სახელმწიფოს სახელით დადებული გარიგება ვალდებულებებს წარმოშობს ამ სახელმწიფოსთვის.

**სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე.** სახელმწიფო ითვლება იმ ქონების მესაკუთრედ, რომელიც მას ეკუთვნის, მაგრამ სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობისათვის თავისი ნება-სურვილის გამოსახატავად ის ქმნის სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს, რომელთაგან ნაწილი იურიდიული პირია, ნაწილი კი – არა, ე.ი. ამ ორგანოთაგან ზოგიერთი უშუალოდ სახელმწიფოს სახელით დებს გარიგებებს, ნაწილი კი თავისი სახელით, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ორგანოების მეშვეობით სახელმწიფო შეიძენს ქონებას და ახორციელებს ამ ქონებაზე საკუთრების უფლებას. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს ქონება მიმარებულია საზღვარსა და წინაშე თუ საბიუჯეტო დანებს უფლებზე.

სახელმწიფო ქონების მთავარი გამგებელი სახელმწიფო ორგანო არის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. გარდა ამისა, სახელმწიფო ქონება სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც აქვთ გადაცემული. თითოეული მათგანი სახელმწიფოს სახელით განაგებს

ამ ქონებას. როცა სახელმწიფოს სახელით უფლებამოსილი პირი დებს გარიგებას, აქ სახელმწიფო გამოდის ამ გარიგების მონაწილედ. სახელმწიფოს, როგორც შესაბამისი ქონების მესაკუთრის სახელით, დაიდება ნებისმიერი გარიგება, რომელიც ამ ქონების განკარგავსთან არის დაკავშირებული. ასეთია, მაგალითად, პრივატიზაციის ხელშეკრულებები, საბანკო სესხის გაცემის ხელშეკრულება და სხვა. სახელმწიფო აფინანსებს კაპიტალურ მშენებლობებს, აძლევს სესხს ნებისმიერი საკუთრების ფორმის იურიდიულ პირებს, აფინანსებს სხვადასხვა პროექტებს. სახელმწიფო უშვებს სხვადასხვა ფასიან ქალაქებს და ამით განკარგავს თავის საკუთრებას. სახელმწიფო იძლევა ფულადი საშუალებების შენახვის გარანტიას შემნახველ ბანკებში, მონაწილეობს საპატენტო-სამართლებრივ ურთიერთობებში და სხვა.

სახელმწიფო, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტი. იმის გამო, რომ სახელმწიფო სამოქალაქო სამარ-თლებრივ ურთიერთობებში თანასწორობის პრინციპით მოქმედებს, ყველა შემთხვევაში ის პასუხს აგებს ამ ურთიერთობის სხვა მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისათვის და, პირიქით, ეს მონაწილენიც, შესაბამისად, პასუხს აგებენ სახელმწიფო ინტერესების დარღვევისათვის. ამ საერთო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ერთგვარად განსხვავებულ ხასიათს ატარებს.

ეს თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ქონება უმეტესწილად მიმაგრებულია სახელმწიფო იურიდიულ პირებზე და არასახელშეკრულებლო ზიანის მიყენების დროს, უმთავრესად, სწორედ ისინი აგებენ პასუხს. ამიტომ, აქ არ შეიძლება ლაპარაკი უშუალოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კანონში. სახელმწიფო პასუხს აგებს, მაგალითად, ზიანისათვის, რაც მიყენებული იქნა მოკვლევის, წინასწარი

გამოძიებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა მოქმედების შედეგად, მიუხედავად მათი ბრალისა. ეს პასუხისმგებლობა დგება, როცა სახეზეა ზიანი უკანონო მსჯავრდების, უკანონოდ პასუხისგებაში მიცემის, უკანონოდ დაპატიმრების თუ აღკვეთის სხვა ზომის გამოყენების შედეგად.

სახელმწიფო პასუხს აგებს სახელმწიფო ორგანოების უკანონო მოქმედების შედეგად ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

აღნიშნულ შემთხვევებში მოთხოვნა, სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ, წარედგინება ფინანსთა სამინისტროს ან მის ადგილობრივ ორგანოებს.

თვითმმართველობები (მუნიციპალური გაერთიანებები), როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტები. სახელმწიფო თავისი ფუნქციების შესრულებას ვერ შეძლებს უშუალოდ მთელ თავის ტერიტორიაზე, ყველა სფეროში. ამიტომ მათ შესასრულებლად ის ქმნის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ (მუნიციპალურ) გაერთიანებებს, ტერიტორიულ დანაყოფებს, თვითმმართველობებს. სამოქალაქო ბრუნვაშიც სახელმწიფო უმეტესწილად გამოდის არა როგორც ერთიანი, განუყოფელი, მთლიანი ერთეული, არამედ როგორც სხვადასხვა გაერთიანებების, წარმონაქმნების, დანაყოფების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე გამოდიან სუბიექტებად და მინდობილი აქვთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

სახელმწიფოებრივი (მუნიციპალური) გაერთიანება არის სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სტატუსით მოქმედი სახელმწიფოებრივი დანაყოფი, რომელსაც შეუძლია თავისი მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები და გამოვიდეს სასამართლოში თავისი სახელით და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციით ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული სრულყოფილად ქვეყნის ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული მონყობა და, ცხადია, არც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებზეა გამახვილებული ყურადღება. ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით კი, საქართველოს სახელმწიფოსთან ერთად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ფუნქციები მინიჭებული აქვთ ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეს და მუნიციპალურ დანაყოფებს (ქალაქი, სოფელი, დაბა). ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტებად გამოდიან შემდეგი სახელმწიფოებრივი და მუნიციპალური გაერთიანებები: 1. საქართველოს სახელმწიფო, 2. ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, 3. მუნიციპალური გაერთიანებები (ქალაქი, სოფელი, დაბა).

ყველა ეს დანაყოფი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოდის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში.

ყველა სახელმწიფოებრივი (მუნიციპალური) დანაყოფი სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტია. ისინი პასუხს აგებენ თავიანთ ვალდებულებებზე მათ საკუთრებაში არსებული ქონებით, აგრეთვე იმ ქონებით, რომლებიც მიმაგრებული აქვთ იურიდიულ პირებს, ან შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრება. არცერთი ეს სუბიექტი პასუხს არ აგებს სხვა სუბიექტის ვალდებულებებისათვის, თუ მან არ მისცა მას ვალდებულებების შესრულების გარანტია. კანონით შეიძლება იყოს გათვალისწინებული რომელიმე სუბიექტის პასუხისმგებლობა სხვა სუბიექტის ვალდებულებებისათვის ასეთი გარანტიის არარსებობის შემთხვევაშიც.

სახელმწიფოებრივი გაერთიანებები უფლებამოსილი არიან თავიანთი მოქმედებით შეიძინონ და განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, გამოვიდნენ სასამართლოში მათი ხელისუფლების ორგანოები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რასაც განსაზღვრავს მათი სტატუსის დამდგენი აქტები.

სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებულ სუბიექტებს წარმოადგენენ მუნიციპალური გაერთიანებები. მუნიციპალური



გაერთიანებები თვითმმართველობის ორგანოებია და ისინი არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემაში, მაგრამ ახლოს დგანან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან. მუნიციპალური გაერთიანებების თვითმმართველობის ორგანოებიც უფლებამოსილი არიან თავისი მოქმედებით შეიძინონ და განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც დადგენილია მათი სტატუსის განმსაზღვრელი აქტებით. ასეთი ორგანოების სახით მუნიციპალურ გაერთიანებებში შეიძლება გამოვიდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, ისე ამ გაერთიანების არჩევითი ხელმძღვანელი თუ სხვა ორგანო.

სახელმწიფო დანესებულებები და სახელმწიფო ფონდები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფოს ფუნქციებს ასრულებენ. თუ ასეთი ორგანიზაცია და ფონდი შექმნილია სამოქალაქო კოდექსის ან მენარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე, ის არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო, როცა სპეციალური კანონით წესრიგდება მათი შექმნა, ისინი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან. კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ, მიღებულ იქნა 1999 წლის 28 მაისს. გარდა ამისა, ბევრი საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიქმნება და მოქმედებს სპეციალური კანონის შესაბამისად. ასეთი იურიდიული პირია, მაგალითად, ეროვნული ბანკი, რომელიც ფუნქციონირებს კანონით ეროვნული ბანკის შესახებ. ასეთ იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, სახელმწიფო დანესებულებები, რომლებიც სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტების საფუძველზე იქმნებიან. ასეთებია, სახელმწიფო ტელევიზია და რადიო, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო საავადმყოფოები, სახელმწიფო ბიბლიოთეკები, საბავშვო ბალები და სხვა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირია აგრეთვე სახელმწიფო ინტერესებისათვის შექმნილი ფონდი, რომელიც საგანმკარ-გულებლო წესით იქმნება ზემდგომი სახელმწიფო ორგანოს გადანყვეტილების საფუძველზე. ასეთია მაგალითად: საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდი, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო ფონდი, კულტურის ფონდი, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი და სხვა.

საჯარო მიზნებისათვის შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნებიან ზოგიერთი არასახელმწიფო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იქმნებიან არა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, არამედ სპეციალური კანონმდებლობით. ასეთებია სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და რელიგიური გაერთიანებები. საქართველოს კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ განსაზღვრავს ამ პარტიების შექმნის წესსა და სტატუსს. საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ითვლება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. მისი ასეთი სტატუსი აღიარებულია არა მარტო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, არამედ საქართველოს კონსტიტუციითაც, რომლის მე-9 მუხლის საფუძველზე გამოცხადებულია მისი განსაკუთრებული როლი და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა.

კანონი ამომწურავად არ ჩამოთვლის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, განსხვავებით კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან. ეს იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ყოველთვის შეუძლიათ რომელიმე ორგანოს მიანიჭონ იურიდიული პირის სტატუსი ან შექმნან სრულიად ახალი იურიდიული პირი.

# თავი VII

## სამოქალაქო სამართლის ობიექტები

§1. სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება და კლასიფიკაცია. §2. მატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი. §3. არამატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი.

### §1. სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება და კლასიფიკაცია

სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისათვის აუცილებელია არა მარტო სუბიექტების არსებობა, ვის შორისაც მყარდება ეს ურთიერთობა, არამედ სათანადო ობიექტიც, რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა.

ობიექტი, საერთოდ, ფილოსოფიური კატეგორიაა და გულისხმობს საგანს, რომელზედაც მიმართულია სუბიექტის მოქმედება. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაშიც ობიექტია ყველაფერი ის, რაზედაც მიმართულია ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების მოქმედება, საერთოდ რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა, რაზედაც ეს ურთიერთობა ახდენს ზემოქმედებას. ამასთან, ეს ურთიერთობა, სუბიექტის ზემოქმედება ობიექტზე, ყოველთვის არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება ადამიანებს შორის ამა თუ იმ სიკეთის გამო. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები ერთმანეთთან ამყარებენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას მათ მიერ არჩეული ობიექტის გამო, ე.ი. სამოქალაქო სამართლის ობიექტი არის ის, რისთვისაც მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა. ამ ურთიერთობის დამყარებისას, მისი მონაწილე სუბიექტები, გარკვეული, მათ მიერ არჩეული ობიექტის საშუალებით, იკმაყოფილებენ თავიანთ ამა თუ იმ მოთხოვნილებას. ამ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ამ ურთიერთობის

მონანილეთა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ობიექტი ანუ სამოქალაქო სამართლის ობიექტი.

სამართლებრივ ლიტერატურაში ზოგჯერ სამოქალაქო სამართლის ობიექტს მიაკუთვნებენ ადამიანთა ქცევასაც.<sup>1</sup> ზოგიერთი ავტორი განასხვავებს სამართლებრივი ურთიერთობის სამი სახის ობიექტს: 1. იურიდიულს, 2. ნებითსა და 3. მატერიალურს.<sup>2</sup>

სამართლის ობიექტების ასეთი კლასიფიკაცია შესაძლოა თავის დასაბუთებას პოვებდეს სამართლის სხვა დარგებში (მაგალითად, სისხლის სამართალში), მაგრამ სამოქალაქო სამართალში ობიექტი არის ის, რისთვისაც მყარდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა სუბიექტებს შორის. ასეთ ობიექტებად კანონმდებელი მიიჩნევს მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეს, რაც ადამიანთა რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

სამოქალაქო სამართლის ობიექტების კლასიფიკაცია ფიზიკური და იურიდიული პირები ურთიერთობის ამყარებენ მრავალი სახის ურთიერთობას. ყველა ამ ურთიერთობაში მათი ინტერესი სხვადასხვაა, შესაძლებელია ეს ურთიერთობა მყარდებოდეს რაიმე ქონების, რაიმე მატერიალური სიკეთის გამო, ანდა არამატერიალურ სიკეთესთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კერძო უფლებათა ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

ამრიგად, იმის შესაბამისად, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა ძირითადად ორ სახედ, ქონებრივ და არაქონებრივ

<sup>1</sup> О.С. Иоффе, Правоотношение по советскому гражданскому праву. Л. 1949, стр. 74-97 Я.М. Магазынер, Объект права. Очерки по гражданскому праву. Л. 1957, стр. 65-78

<sup>2</sup> О.С. Иоффе. Сов. гражд. право. М. 1967, стр. 215-221.

ურთიერთობებად იყოფა, ამ ურთიერთობების ობიექტიც ორი სახისაა: მატერიალური და არამატერიალური სიკეთე.

მატერიალური სიკეთეა ყველა ის საგანი და მოქმედება, რომელიც პირის რაიმე მატერიალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ხოლო არამატერიალური სიკეთეა სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ისეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რასაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნია.

მატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება ბუნების მიერ ბოძებული საგნები და ადამიანის ხელით შექმნილი ნივთები, რომლებიც აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საცხოვრებელი ბინით და ა.შ.

მატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება აგრეთვე სხვისი მოქმედების შედეგი და მომსახურება. როცა პირი სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე სამუშაოს ასრულებს, ამით ის ქმნის გარკვეულ მატერიალურ სიკეთეს (ვთქვათ ამზადებს, არემონტებს ავეჯს, უვლის ნარგავებს თუ ნათესებს და ზრდის მოსავალს და სხვა).

არამატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება შემოქმედებითი შრომის ნაყოფი (მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ნაწარმოებები, აღმოჩენა, გამოგონება და სხვა).

ზოგჯერ ურთიერთობის ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს პირის რაიმე მოთხოვნილებას, შესაძლებელია იყოს სიკეთე, რომელიც განუყოფელია მისი შემსრულებლის მოქმედებისაგან (მაგალითად, საკონცერტო-საშემსრულებლო მოქმედება), მომღერლის მოქმედება (თუ სიმღერა ჩანერილი არ არის) მხოლოდ მისი შესრულების დროს აკმაყოფილებს ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესებს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ურთიერთობის ობიექტი არის პირის მოქმედება და ეს მოქმედებაც გარკვეულ არამატერიალურ სიკეთესთან არის დაკავშირებული.

არამატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება ისეთი პირადი არაქონებრივი სიკეთე, რომელიც განუყოფელია პიროვნებისაგან. ასეთია პატივი და ღირსება.

ასევე არამატერიალურ სიკეთეს წარმოადგენს საოჯახო სფეროში არსებული მრავალი ურთიერთობის ობიექტი. ასეთია, მაგალითად, მეუღლეთა შორის ურთიერთობა, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა, ნათესავთა ურთიერთობა და სხვა. ამ ურთიერთობათა ობიექტი, ქონებრივი და საალიმენტო ურთიერთობების გამოკლებით, არამატერიალური სიკეთეა.

მატერიალური სიკეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული სახე არის ბუნებისა და ადამიანის ხელით შექმნილი ის საგნები, რომლებსაც რაიმე მატერიალური ღირებულება აქვთ და რომლებიც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. ასეთ საგნებს სამოქალაქო სამართალში ნივთებს უწოდებენ:

## **§2. მატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი**

**ქონების ცნება.** სამართლებრივ ლიტერატურაში ყველა სახის მატერიალურ სიკეთეს (ნივთებს, ფულს, ფასიან ქალაქებს) გამოხატავენ ერთი სახელწოდებით „ქონება“. ფაქტობრივად, ქონების ცნება უფრო ფართო მნიშვნელობისაა და გულისხმობს არა მარტო მატერიალურ ფასეულობებს, ნივთებს, საგნებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი იძლევა ქონების ცნების შემდეგ განმარტებას: „ქონება, ამ კოდექსის თანახმად, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლითაც სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნა შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“.

ქონების ყველაზე გავრცელებული სახე არის ნივთი. ცალკე აღებული ნივთი ან რაიმე ნივთების ერთობლიობა ყველაზე ხშირად გვევლინება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად. თითქმის ყველა სახის სამოქალაქო გარიგებაში ობიექტი სწორედ რაიმე ნივთია. ამიტომ ნივთებს, სანივთო ურთიერთობებს წამყვანი ადგილი უჭირავთ სამოქალაქო სამართალში.

ქონებაში იგულისხმება არა მარტო სახეზე არსებული ობიექტი (ნივთი, ფული, ფასიანი ქაღალდი), არამედ ქონებრივი უფლებებიც, რომელიც სხვა პირებს აკისრებს გარკვეულ ქონებრივ მოვალეობებს. მაგალითად, კრედიტორს უფლება აქვს გადახდევინება მიაქციოს მოვალის არა მარტო სახეზე მყოფ ქონებაზე, არამედ იმ ქონებაზეც, რაც სახეზე არ არის და რაც შემდგომში შეიძლება აღმოჩნდეს.

ქონება გულისხმობს როგორც მის აქტივს, ქონებრივ უფლებებს, ისე მის პასივს, ქონებრივ ვალდებულებებს.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ქონების იურიდიული გაგება არ ემთხვევა მის ეკონომიკურ ცნებას. ქონების იურიდიული გაგება ნიშნავს ქონებრივი, ე.ი. ფულადი ღირებულებით გამოხატული იმ ურთიერთობების ერთობლიობას, რომელშიც მისი მონაწილენი იმყოფებიან. ამ ურთიერთობებში ქონება, ნივთი, რომელიმე სუბიექტს ეკუთვნის საკუთრების თუ სანივთო უფლების საფუძველზე. გარდა ამისა, ქონებრივი ურთიერთობა შეიძლება გამოიხატებოდეს სხვა პირთა მიერ გარკვეული მოქმედების შესრულებით.

ამრიგად, სამოქალაქო სამართალში ქონება შეიძლება გაგებული იქნეს სამგვარი შინაარსით:

1. ქონება, როგორც ნივთი ან ნივთების ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის რომელიმე განსაზღვრულ პირს. ასეთი გაგებით წარმოგვიდგება ქონება სამოქალაქო გარიგებების უმრავლესობაში (ყიდვა-გაყიდვა, ქირავნობა, გირავნობა, სამისდღემო რჩენა, მინდობილობა, ანდერძი და სხვა).

2. ქონება როგორც რომელიმე პირის ქონებრივ უფლებათა ერთობლიობა.

3. ქონება როგორც რომელიმე პირის არა მარტო ქონებრივი უფლებების, არამედ ქონებრივი ვალდებულებების ერთობლიობა. მაგალითად, როცა რომელიმე იურიდიული პირი შეუერთდება სხვა იურიდიულ პირს, ამ უკანასკნელზე გადადის შეერთებული პირის ქონებრივი უფლებებიც და მოვალეობებიც.

ნივთების ცნება და კლასიფიკაცია. სამოქალაქო სამართლის ობიექტებს შორის ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანია ნივთები. ნივთი ფილოსოფიური გაგებით გულისხმობს ნებისმიერ საგანს, რასაც შევიგრძნობთ. ამ საგნებს ერთმანეთისაგან განვასხვავებთ თავიანთი თვისებებით, დამახასიათებელი ხარისხითა და ზომით.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სიტყვა „ნივთი“ სხვადასხვა გაგებით იხმარება. უფრო ხშირად ნივთში იგულისხმება უსულო საგანი. მაგალითად, არავინ იტყვის რომელიმე ცხოველზე (ცხენი, ძაღლი და ა.შ.), რომ ეს მისი ნივთია. არც ყველა უსულო საგანი იწოდება ნივთად პრაქტიკულ სიტყვათხმარებაში (მაგალითად, სახლი, რკინიგზა, გემი და ა.შ.).

სამართლებრივი გაგებით, ნივთის ცნება განსხვავდება მისი როგორც ფილოსოფიური, ისე პრაქტიკულ, ყოველდღიურ ხმარებაში დამკვიდრებული მნიშვნელობისაგან. სამართლებრივი გაგებით ნივთის ცნება უფრო ფართოა. სამოქალაქო სამართლის მიხედვით ნივთს მიეკუთვნება როგორც ყოველდღიური მოხმარების საგნები, ისე დიდი მოცულობის ობიექტები, სახლები და სასახლეები, სამრეწველო ობიექტები, აგრეთვე სულიერი არსებებიც (ცხოველები და ფრინველები).

სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნივთებს მიეკუთვნება ყველა მატერიალური საგანი, რომელიც ადამიანის ხელით და გონებით არის შექმნილი, ანდა ბუნების ნაბოძებია. მთავარი ნიშანი, რითაც საგანი შეიძლება ჩაითვალოს ნივთად, როგორც სამართლის ობიექტად, ის



არის, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას მისი სასარგებლო თვისებების გამოყენების შესაძლებლობის გამო. თუ საგანს სასარგებლო თვისება არ გააჩნია, ანდა ამ თვისების გამოყენება ადამიანს არ შეუძლია იმის გამო, რომ ამ საგანს ის ვერ დაეუფლება, ის სამართლის ობიექტად არ ჩაითვლება. მაგალითად, სათბობი (გაზი, ნავთობი), რომელიც მინის ნიაღშია, სამართლებრივად ნივთად არ შეიძლება ჩაითვალოს, სანამ ის მოპოვებული არ არის და ადამიანს არ შეუძლია მისი გამოყენება. ასევე საგნები, რომელთა სასარგებლო თვისებები ჯერ არ გამოვლენილა, ანდა ჯერ კიდევ ვერ დაუფლებიან ადამიანები (კოსმოსში, ნიაღში არსებული), არ წარმოადგენენ სამოქალაქო სამართლის ობიექტებს.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ნივთი არის ბუნების ან ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური სამყაროს ისეთი ფასეულობა, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას და რომლის გამოყენებაც მას შეუძლია.

როგორც ითქვა, ნივთებს ნამყვანი ადგილი უჭირავთ სამოქალაქო სამართლის ობიექტებს შორის. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები უმთავრესად სწორედ ნივთების გამო წარმოშობილი ურთიერთობებია. ამიტომ ნივთების კლასიფიკაციას, მათი სახეების განსაზღვრას, სხვადასხვა თვისებების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც, რადგან უამისოდ შეუძლებელია რომელიმე ქონების სამართლებრივი რეჟიმის გარკვევა, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების მოცულობისა და შინაარსის განსაზღვრა.

ცივილისტურ ლიტერატურაში მიღებულია ნივთების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. წარმოების საშუალებები და მოხმარების საგნები. ნივთების დაყოფას წარმოების საშუალებებად და მოხმარების საგნებად ტრადიციულად, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ განსაკუთრებით იყო ამაზე გამახვილებული ყურადღება საბჭოთა

წყობილების დროს, როცა წარმოების საშუალებები მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებაში შეიძლება იყოს, მოხმარების საგნები კი მოქალაქეთა საკუთრებაში. ამჟამად ასეთი დაპირისპირება აღარ არსებობს, რადგან წარმოების საშუალებებიც ისევე შეიძლება ჰქონდეს მოქალაქეს საკუთრებაში, როგორც მოხმარების საგნები.

წარმოების საშუალება, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, ეს ისეთი ნივთია, რომელიც მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს არა მარტო მოხმარებისათვის, არამედ წარმოებისათვის, როგორც ცხოვრების ერთ-ერთი წყარო, შემოსავლების მიღების, საკუთრების გაზრდის საშუალება (წარმოების ობიექტი, შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შემოსავლის მისაღებად გამოიყენება და სხვა). მოხმარების საგანი კი ისეთი ნივთია, რომელიც პირადი მოხმარებისათვის, რაიმე მოხმარებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენება (ტანსაცმელი, კვების პროდუქტი, ბინა, რომელშიც ცხოვრობს პირი, სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც პირადი საჭიროებისათვის იყენებს მესაკუთრე და სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების საშუალებები ისევე შეიძლება ეკუთვნოდეს პირს საკუთრებაში, როგორც მოხმარების საგნები და ერთი შეხედვით ნივთების ასეთ დაყოფას შესაძლოა ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, როგორც სოციალიზმის დროს ჰქონდა, მაგრამ მაინც საჭიროა ხაზი გაესვას მათ შორის სხვაობას, რამდენადაც ამას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ ნივთების სამართლებრივი რეჟიმი მაინც განსხვავებულია. წარმოების საშუალებების გამოყენება, მაგალითად, გარკვეულ მოვალეობებსაც უკავშირდება. კერძოდ, ავტომანქანის წარმოების საშუალებად გამოყენება საჭიროებს სათანადო ნებართვას (ლიცენზიას). გარდა ამისა, წარმოების საშუალებების მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს გარკვეული გადასახადი და ა.შ.

2. მოძრავი და უძრავი ნივთები. ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად დიდი ხნის ისტორია აქვს. ასეთ დაყოფას იცნობდა რომის სამართალიც. მას აღიარებს თანამედროვე სამართლის ყველა სისტემა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში არ იხმარებოდა ნივთების უძრავ და მოძრავ ნივთებად დაყოფა, რადგან ძირითადი უძრავი ქონება მიწა, წიაღი, წყლები და ტყეები სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტებად ითვლებოდა და ამოღებული იყო სამოქალაქო ბრუნვიდან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობანი) ითვლებოდა სამოქალაქო სამართლის ობიექტად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ მუხლში (148) მითითებულია, რომ ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი.

უძრავი ნივთი არის ისეთი ნივთი, რომელიც მუდმივად დგას ერთ ადგილზე, ხასიათდება ინდივიდუალური ნიშნით და, როგორც წესი, უცვლელია. თეორიულად უძრავი და მოძრავი ნივთები განსხვავდებიან იმ ნიშნით, შეიძლება თუ არა მათი გადაადგილება არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე.<sup>1</sup>

ამრიგად, უძრავი ნივთი არის ისეთი ქონება, რომელიც არ შეიძლება გადაადგილდეს არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე. ამის საპირისპიროდ, მოძრავი ნივთია ისეთი საგანი, რომლის გადაადგილება შეიძლება არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეული, მასზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობები და ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

როგორც ვხედავთ, უძრავ ნივთებს პირველ რიგში მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი. სამოქალაქო სამართლის ობიექტი სწორედ განსაზღვრული მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს და არა ზოგადად მიწა.

<sup>1</sup> Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права. М., 1895, стр. 96.

ეს მინის ნაკვეთი ც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტია და მისი სამართლებრივი რეჟიმიც განსხვავებულია. სახელდობრ, კანონი აწესებს მინის საკუთრების სპეციალურ რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

მინის ნაკვეთთან ერთად, უძრავ ნივთად ითვლება ამ ნაკვეთში არსებული ნიალისეული, მასზე მდგარი მცენარეები, შენობები და ნაგებობები, ე.ი. ტყე, რომელიც გარკვეულ მინის ნაკვეთზეა გაშენებული, ითვლება უძრავ ნივთად, რომელიც სამოქალაქო სამართლის ობიექტია. ამრიგად, ყველა უძრავი ნივთის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ის განუყრელად არის დაკავშირებული მინის ნაკვეთთან. მინის ნაკვეთის ღირებულება ც იმით განიზომება, თუ რა არის მოთავსებული ამ ნაკვეთზე (ნიალისეული, მცენარეები, შენობები).

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობით, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება აგრეთვე განცალკევებული წყლის ობიექტები და საჰაერო და საზღვაო ხომალდები, შიდა ნაოსნობის ხომალდები და კოსმოსური ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო რეგისტრაციას ექვემდებარებიან. საჰაერო, საზღვაო ხომალდების თუ კოსმოსური თანამგზავრების უძრავ ნივთებად ჩათვლა არ მიმჩნია. გამართლებულად, უბრალოდ ტერმინთან (უძრავი) იურიდიული შეუსაბამობის გამო, მაგრამ რაც შეეხება განცალკევებულ წყლის ობიექტს, ეს კი უნდა ჩაითვალოს უძრავ ნივთად და გაუგებარია, რატომ არ მიუთითა ამის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა.

რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობით დასაშვებია სხვა ქონება ც მიეკუთვნოს უძრავ ნივთებს, ე.ი. იგულისხმება, რომ უძრავ ნივთებად ქონების ჩათვლა ხდება არა ამ ნივთის ხასიათით, მისი თვისების მიხედვით, არამედ მისი მნიშვნელობის მიხედვითაც. ამ ნიშნით ნივთების უძრავ ქონებად ჩათვლა იურიდიულ უზუსტობად მიმჩნია.

უძრავი ქონების განსაკუთრებული სახეა სანარმო, როგორც ქონებრივი კომპლექსი, რომელიც გამოიყენება სამენარმეო

საკმიანობისათვის. ამ კომპლექსში შედის ყველა სახის ქონება: მიწის ნაკვეთი, შენობა, მონყობილობა, ინვენტარი, ნედლეული, მზა პროდუქცია, მოთხოვნის უფლება, ვალები და სხვა ქონებრივი უფლებები. ამ კომპლექსში შედის აგრეთვე სანარმოს არაქონებრივი უფლებები (საფირმო სახელწოდება, სასაქონლო ნიშანი და სხვა).

ყველა სხვა ნივთი, რომელიც უძრავად არ ითვლება და რომლის გადაადგილება შეიძლება მისი სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, მათ შორის ფული და ფასიანი ქაღალდები, ნარმოადგენენ მოძრავ ნივთებს.

უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების ნარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა დაკავშირებულია გარკვეულ თავისებურებასთან. კერძოდ, ასეთ ნივთებზე დადებული გარიგება უნდა გაფორმდეს სპეციალური წესით, უმთავრესად სანოტარო ფორმით და შემდგომ რეგისტრაციაში გატარდეს საჯარო რეესტრში.

რაც შეეხება მოძრავ ნივთებს, მათზე საკუთრებით უფლების შეცვლა არ საჭიროებს სპეციალურ რეგისტრაციას, თუ ამის შესახებ განსაკუთრებულად არ არის მითითებული კანონში.

**3. გვაროვნული და ინდივიდუალიზებული ნივთები.** ნივთების დაყოფას გვაროვნულ და ინდივიდუალიზებულ სახეებად აქვს პირობითი მნიშვნელობა, რადგან ნივთი, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი, თითქმის ყოველთვის ინდივიდუალიზებულია. „ნივთი“, როგორც ასეთი, აბსტრაქტული ცნებაა. ყველა ნივთი, მისი რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, ყოველთვის ინდივიდუალურია, მაგრამ პრაქტიკაში, ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების დროს ზოგჯერ აუცილებელი ხდება ხაზი გაესვას ნივთის ინდივიდუალურ განმსაზღვრელ ნიშანს. ამიტომ სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში განასხვავებენ ნივთებს, რომლებიც გვაროვნული ნიშნით არიან განსაზღვრული და ნივთებს, რომლებიც ინდივიდუალური ნიშნით განისაზღვრებიან. ასეთი დაყოფა დაკავშირებულია ნივთების არა მარტო ბუნებრივ თვისებებთან,

არამედ მათი ინდივიდუალიზაციის იმ საშუალებებთან, რომელსაც თვით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი აირჩევენ.

გვაროვნულ ნივთს მიეკუთვნება ისეთი ნივთი, რომელსაც ერთგვაროვანი, ზოგადი სახე აქვს და რომელიც ჯერ კიდევ არ არის ინდივიდუალურად განსაზღვრული. ასეთი ნივთია მაგალითად, ნავთობი, გაზი, პროდუქტი საერთოდ, სანამ მათი ინდივიდუალიზაცია არ მოხდება. მას შემდეგ, რაც ეს ნივთები გამოცალკევდება საერთო მასიდან, მოათავსებენ მას გარკვეულ ინდივიდუალურად განსაზღვრულ სათავსოში (ბალონში, კასრში, ქილაში და ა.შ.) და მომხმარებელს საშუალება ექნება შეარჩიოს ინდივიდუალურად გამოცალკევებული ეს ნივთი, მას უკვე აქვს არა გვაროვნული, არამედ ინდივიდუალიზებული ხასიათი.

ასევე შეიძლება ითქვას ინტელექტუალური შემოქმედების პროდუქტებზეც. მაგალითად, როცა ვლაპარაკობთ რომელიმე მხატვრის, მწერლის ან მეცნიერის ნაწარმოებებზე, შრომებზე საერთოდ, იგულისხმება, რომ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებზეა საუბარი, ხოლო, როცა ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ ნაწარმოებს ავიღებთ, ეს უკვე იქნება ინდივიდუალიზებული, ანუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი.

ნივთების ასეთ დაყოფას მრავალმხრივი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, როგორც წესი, იურიდიულად შეუცვლელია. ამიტომ, ასეთი ნივთის მოსპობა ვერ წარმოშობს მისი დაბრუნების ვალდებულებას. შესაძლებელია მხოლოდ მისი ღირებულებების ანაზღაურება. რაც შეეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთს, მისი მოსპობა ვალდებულებას აკისრებს პასუხისმგებელ პირს დააბრუნოს იგივე ზომისა და წონის სხვა გვაროვნული ნიშნის ნივთი.

გვაროვნული ნივთია, მაგალითად, საერთოდ ფული, მაგრამ ამ ფულის ცალკე აღებული რამდენიმე კუპიური უკვე ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია.

გვაროვნული ნივთი გვევლინება ისეთ სამოქალაქო გარიგებათა ობიექტად, როგორცაა სესხი, საბანკო მომსახურება და ზოგიერთი სხვა გარიგება. ინდივიდუალურად განსაზღვრული ობიექტი სახეზე გვაქვს ქირავნობის ხელშეკრულებაში. ქონება, იქნება ის ბინა, თუ სხვა ნივთი, შეიძლება გაქირავდეს მხოლოდ როგორც ინდივიდუალურად განსაზღვრული ობიექტი. ასევეა ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის ხელშეკრულებაში და სხვა.

გვაროვნულ და ინდივიდუალიზებულ ნივთებს შორის სხვაობა, როგორც ითქვა, პირობითი ხასიათისაა, რადგან მათ შორის ძალზე მცირე ზღვარია. გვაროვნული ნივთი თავისუფლად შეიძლება გადაიქცეს ინდივიდუალიზებულ ნივთად, როგორც კი მას ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი გამოაცალკეებს ნივთების საერთო მასიდან და, პირიქით, ინდივიდუალიზებული ნივთი შეიძლება გახდეს გვაროვნული ნიშნის ნივთი იგივე სუბიექტების სურვილით (მაგალითად, თუ ცალ-ცალკე ყუთებში მოთავსებული ინდივიდუალიზებული პროდუქტი ერთმანეთში შერევის შედეგად მოთავსდა სანცობში).

4. მთავარი და საკუთვნებელი ნივთები. მთავარი ნივთი ეწოდება ისეთ ნივთს, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ბრუნვაში სხვა ნივთების გარეშე. როცა ნივთს სხვა ნივთის გარეშე არ შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური მნიშვნელობა, ის ამ ნივთის შემადგენელი ნაწილია. კანონმდებელი განმარტავს, თუ რომელი ნივთი ჩაითვლება საკუთვნებელ ნივთად.

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც თუმცა არაა მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებისათვის, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

საკუთვნებელ ნივთად ითვლება აგრეთვე მიწასთან დაკავშირებული ისეთი ნივთიც, რომლის მიწიდან მოცილება შეიძლება მისი სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე.

აღნიშნული განმარტების თანახმად, საკუთვნებელი ნივთი არ შეიძლება იყოს უძრავი ქონება. ასევე არ შეიძლება იყოს ის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი.

იმისათვის, რომ ნივთი საკუთვნებლად ჩაითვალოს, საჭიროა ის განკუთვნილი იყოს მთავარი ნივთის სამსახურისათვის, აკავშირებდეს მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულება და სივრცობრივი დამოკიდებულება.

შესაძლებელია საკუთვნებელ ნივთს დამოუკიდებელი დანიშნულებაც მიენიჭოს, მაგრამ თუ ის მთავარი ნივთის სამსახურისათვის არის განკუთვნილი, საკუთვნებელ ნივთად ითვლება. მაგალითად, საცხოვრებელი სახლის კარი არის ამ სახლის – როგორც მთავარი ნივთის საკუთვნებელი ნივთი, ანდა მუსიკალური ინსტრუმენტის ფუტლიარი, მარნის რომელიმე დახმარე ნივთი და ა.შ.

ნივთების დაყოფას მთავარ და საკუთვნებელ ნივთებად აქვს გარკვეული იურიდიული მნიშვნელობა, რამდენადაც, როგორც წესი, საკუთვნებელი ნივთი სამოქალაქო გარიგებების დროს მიეკუთვნება მთავარ ნივთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვისას ამ მანქანის საკუთვნებელი ნივთები (ინსტრუმენტები, ამწე, სათადარიგო საბურავი) გადადის მყიდველის საკუთრებაში, თუ გარიგებით სხვა პირობა არ იყო დადებული.

საკუთვნებელი ნივთისაგან უნდა განვასხვავოთ ნივთის შემადგენელი ნაწილი. კანონმდებელი გამოყოფს ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომლის გამოცალკევება შეუძლებელია ნივთის ან ამ ნაწილის გაუნადგურებლად ანდა მათი დანიშნულების მოუსპობლად. ნივთის ასეთი არსებითი შემადგენელი ნაწილი ცალკე



უფლების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობები, ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მიწასთან დაკავშირებულია მყარად და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რომელიც შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებითაც.

5. ბრუნვიდან ამოღებული და საბრუნავი ნივთები. ნივთები, როგორც ნესი, სამოქალაქო სამართლის ობიექტებს წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც თავისუფლად შეიძლება მათი გასხვისება, ერთი მესაკუთრის ხელიდან მეორეში გადასვლა სხვადასხვა გარიგებების საშუალებით. მაგრამ არის ზოგიერთი ნივთი, რომელიც საერთოდ ამოღებულია ბრუნვიდან ანდა გარკვეულად შეზღუდულია მისი ბრუნვაში მოქცევა.

იმისდამიხედვით, თუ რამდენად არის ნივთი დაშვებული სამოქალაქო ბრუნვაში, განასხვავებენ სამი სახის ნივთებს:

- ა) ბრუნვიდან ამოღებული ნივთები,
- ბ) ბრუნვაში შეზღუდული ნივთები და
- გ) ბრუნვაში თავისუფლად დაშვებული ნივთები.

ბრუნვიდან ამოღებულად ითვლება ისეთი ნივთი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უშიშროებისათვის, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის და სხვა. ასეთი ნივთები ან საერთოდ არის ამოღებული ბრუნვიდან, ანდა შეზღუდულია მათი ბრუნვაში მოქცევა. გარდა ამისა, ნივთი შეიძლება ამოღებული იყოს ბრუნვიდან მისი ბუნებრივი თვისებების ანდა რელიგიური დანიშნულების გამო.

საერთოდ ადამიანთა გარშემო არსებული სამყარო უშრეტი წყაროა, უზარმაზარი მარაგია სხვადასხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მრავალნაირი ნივთის შესაქმნელად,

რომელთაც, მათი მოხმარებითი ღირებულების გამო, ობიექტის როლი აქვთ მინიჭებული სამოქალაქო ბრუნვაში, მაგრამ ნაწილი, მათ შორის ბუნებრივი, სახელმწიფოებრივი დანიშნულების თუ რელიგიური მიზეზით არ შეიძლება იყოს სამოქალაქო ეარიგებათა ობიექტი.

ბუნებრივი მიზეზით სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი არ შეიძლება იყოს, მაგალითად, ჰაერი, სინათლე, ზღვის წყლები, მდინარეები, დიდი ტბები.

სახელმწიფოებრივი დანიშნულების მიზეზით სამოქალაქო ბრუნვაში არ დაიშვება ისეთი ნივთები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოსათვის და ისინი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში შეიძლება იყვნენ მოქცეული. ასეთია სახაზინო ქონება, სახელმწიფო მიწები, ტყეები, ცხოველთა სამყარო, ციხეები, ხომალდები, სამხედრო დანიშნულების ობიექტები, მუზეუმები, ეროვნული ბიბლიოთეკები, გზები, სახელმწიფო თეატრები და სახელმწიფო საკუთრების სხვა ობიექტები.

რელიგიური მიზეზით სამოქალაქო ბრუნვაში არ შეიძლება იყოს საეკლესიო ქონების დიდი ნაწილი, სასაფლაოები მთლიანად აღებული და ზოგიერთი სხვა ობიექტი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს ჩვენ ვეხებით, როგორც ზოგადად ნივთს, ნივთის ერთ-ერთ სახეს, მაგრამ აქვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ნივთი არ არის სამოქალაქო სამართლის ობიექტი, რადგან ის კერძო მიმოქცევაში არ დაიშვება.

ბრუნვაში შეზღუდულია ისეთი ნივთები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ზოგიერთი მათგანი (საბადო, მინერალური წყლის მოპოვება) სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი გადაცემა ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის შეიძლება მხოლოდ სარგებლობაში და მფლობელობაში. ბევრი ნივთის საკუთრებაში გადაცემაც შეიძლება, მაგრამ სპეციალური ნებართვის საფუძველზე (მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი, ზოგიერთი ისტორიული თუ კულტურული ძეგლი და სხვა).

ნივთების უმრავლესობა დაშვებულია სამოქალაქო ბრუნვაში ისე, რომ არავითარი შეზღუდვა მათზე არ არსებობს. ესენია თავისუფალ მიმოქცევაში არსებული საგნები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა არ მოითხოვს ვინმეს ნებართვას და არც არავის აქვს უფლება შეზღუდოს რომელიმე იურიდიული თუ ფიზიკური პირი დადოს გარიგება ამ ნივთებზე.

**6. გაყოფადი და განუყოფადი ნივთები.** ნივთი შეიძლება იყოს როგორც გაყოფადი, ისე განუყოფადი. გაყოფადია ნივთი, რომელიც სხვადასხვა ნაწილად გაყოფის შედეგად არ კარგავს თავის პირვანდელ სამეურნეო თუ სხვა დანიშნულებას. ასეთია, მაგალითად, სანავი, საკვები პროდუქტი, სამშენებლო მასალა და სხვა. ეს ნივთები ისე შეიძლება დანაწილდეს, რომ არ დაიკარგება მათი პირვანდელი დანიშნულება.

განუყოფადია ის ნივთი, რომელიც ნაწილებად დაყოფის დროს მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას, თუმცა ცალცალკე ნაწილებმა შეიძლება შეინარჩუნონ გარკვეული ღირებულება. ასეთია, მაგალითად, ავტომანქანა, ავეჯი, სხვადასხვა ინსტრუმენტი, შენობა-ნაგებობა და სხვა. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ გარიგების მონაწილენი შეიძლება შეთანხმდნენ ამ ნივთის ნაწილებად გასხვისებაზე, მაგრამ ამით არ იცვლება თვით ნივთის ხასიათი, ის მაინც განუყოფადი საგანია.

ნივთების ასეთ დაყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა ისინი საერთო საკუთრებაში აღმოჩნდებიან და საჭირო ხდება მათი გაყოფა. როცა ნივთის გაყოფა შეუძლებელია, საერთო საკუთრების მონაწილეებს შეიძლება მიეცეთ მხოლოდ ამ ნივთის ღირებულების ნაწილი კომპენსაციის სახით.

**7. მოხმარებითი და არამოხმარებითი ნივთები.** ნივთი შეიძლება იყო მოხმარებითი ანდა არამოხმარებითი ხასიათის. არსებითად ყველა ნივთი (მათ შორის უძრავიც) მოხმარებითია, რადგან მას გარკვეული მიზნით მოიხმარენ, მაგრამ სამართლებრივ ლიტერატურაში მათ შორის

გამოყოფენ ისეთ ნივთებს, რომელთა მოხმარებით იკარგება ამ ნივთების სახე, მათი ღირებულება და ისეთებს, რომელთა ხმარება არ იწვევს მათი დანიშნულების შეცვლას, მათი სახის დაკარგვას, თუმცა შეიძლება მათი მოხმარებით გარკვეულად შემცირდეს მათი ღირებულება (ამორტიზაცია).

მოხმარებითია ნივთი, რომელიც მისი გამოყენების პროცესში კარგავს თავის მოხმარებით დანიშნულებას მთლიანად ან ნაწილობრივ, ანდა გარდაიქმნება სხვა სახის ნივთად. ასეთია, მაგალითად, კვების პროდუქტი, რომელიც მოხმარების შედეგად კარგავს თავის დანიშნულებას, ანდა საშენი მასალა, რომელიც მოხმარების შედეგად გადაიქცევა სხვა ნივთად.

არამოხმარებითია ნივთი, რომელიც გამოყენების პროცესში არ კარგავს თავის სახეს, დანიშნულებას, თუმცა განიცდის ამორტიზაციას. ასეთია მაგალითად, სატრანსპორტო საშუალება, საცხოვრებელი ბინა და სხვა. არამოხმარებითი ხასიათისაა თითქმის ყველა უძრავი ქონება.

ნივთების ასეთი დაყოფის იურიდიული მნიშვნელობა ის არის, რომ სხვადასხვა სახის გარიგების ობიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ნივთი. მაგალითად, მოხმარებითი ნივთი არ შეიძლება იყოს ქირავნობის ობიექტი, ის შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის ან სესხის ხელშეკრულების საგანი. ქირავნობის ანდა ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის ობიექტი კი შეიძლება იყოს მხოლოდ არამოხმარებითი ნივთი.

**8. შეცვლადი და შეუსცვლადი ნივთები.** ნივთი შეიძლება იყოს შეცვლადი და შეუსცვლადი. შეუსცვლადი არის ნივთი, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალური ნიშნებით და განსხვავდება სხვა ერთგვაროვანი ნივთების მასისაგან. მაგალითად, შეუსცვლადია რომელიმე კონკრეტული დასახელების ხომალდი, რომელიც გამორჩეულია სხვა მრავალი ხომალდისაგან (მაგალითად, გემი „ნოდარ დუმბაძე“). ასევე შეუსცვლადია უძრავი ნივთები (რომელიმე მიწის ნაკვეთი, ნაგებობა და სხვა). შეცვლადი კი არის ისეთი ნივთი, რომელიც

ხასიათდება მხოლოდ საერთო ნიშნებით, ინდივიდუალური ნიშნების გარეშე. ასეთია, მაგალითად, ფული, ზოგადად ცხოველები, პროდუქტები და სხვა.

ნივთების ასეთ დაყოფასაც გარკვეული იურიდიული მნიშვნელობა აქვს. სხვადასხვა გარიგების ობიექტი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ნივთი. მოხმარებითი ხასიათის ნივთი ყოველთვის შეცვლადია, მაგრამ ყველა შეცვლადი ნივთი არ შეიძლება იყოს მოხმარებითი ხასიათის. მაგალითად, მუშა პირუტყვი, ინსტრუმენტი შეცვლადი ხასიათისაა, მაგრამ ისინი არ არიან მოხმარებითი ნივთები.

**9. ფუჭებადი და არაფუჭებადი ნივთები.** ნივთი შეიძლება იყოს ფუჭებადი და არაფუჭებადი. ფუჭებადია ნივთი, რომელსაც აქვს სწრაფი და იოლი ნახდენის მიდრეკილება. ასეთია, მაგალითად კვების პროდუქტების დიდი ნაწილი. არაფუჭებადია ისეთი ნივთები, რომელსაც არ ახასიათებს სწრაფად და იოლად ნახდენის მიდრეკილება ანდა საერთოდ არ კარგავს თვისებებსა და ღირებულებას დროის მიუხედავად. ასეთია, მაგალითად, ძვირფასი ქვები, ლითონის ნაწარმი და სხვა მკვრივი საგნები.

**10. სულიერი და უსულო ნივთები.** ნივთი შეიძლება იყოს როგორც სულიერი არსება, ისე უსულო საგნები. სულიერ ნივთს წარმოადგენს ისეთი არსება, რომელსაც აქვს სიცოცხლის უნარი. ასეთია ყველა ცოცხალი არსება, გარდა მცენარეებისა და ადამიანისა (როგორც ცნობილია, მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონაც ნივთად ითვლებოდა და ის სამოქალაქო გარიგებათა საგანი იყო). ასეთ ნივთებს მიეკუთვნება ფაუნის ყველა წარმომადგენელი (პირუტყვი, ფრინველი, ცოცხალი თევზი და ა.შ.). უსულო საგანია ბუნებაში მზამზარეულად მოცემული ყველა არაცოცხალი საგანი და ადამიანის ხელით შექმნილი სხვადასხვა ნივთი. მცენარეებიც უსულო საგნებად ითვლებიან, თუმცა მათ სიცოცხლის უნარი აქვთ.

**11. ნაყოფი, პროდუქცია და შემოსავალი.** ზოგიერთი ნივთის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ მისი გამოყენების დროს

მიიღება ახალი ნივთი. ასეთი ახალი ნივთი შეიძლება იყოს ნაყოფი, პროდუქცია ანდა შემოსავალი.

ნაყოფად იწოდება როგორც სულიერი (ცხოველების), ისე არასულიერი ნივთების (მცენარეების) ორგანული განვითარების პროდუქტი. ასეთია ცხოველთა და ფრინველთა გამრავლებით მიღებული მოზარდი, კურკოვან და სხვა მცენარეთა გამრავლებით მიღებული ნერგები. ნაყოფისაგან უნდა განვასხვავოთ პროდუქცია. პროდუქცია არის ნივთის სანარმოო დანიშნულებით გამოყენების შედეგად მიღებული ახალი ნივთი. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ამ ახალ ნივთს მზა პროდუქტის სახე ექნება, ნახევარფაბრიკატის თუ შემდგომში გადასამუშავებლად გათვალისწინებული მასალის ფორმა.

შემოსავალი კი არის ნივთის მოხმარებით მიღებული ახალი ნივთი, რომელიც გამოხატულია ფულის თუ სხვა მისაღებლის სახით. შემოსავალია, მაგალითად, ქონების გაქირავებით მიღებული თანხა ან სხვა ქონება, შემნახველ ბანკში მიღებული პროცენტები და ა.შ. ზოგჯერ ტერმინი „შემოსავალი“ ფართო გაგებით იხმარება და მოიცავს ნივთის მოხმარებით მიღებულ ნატურალურ მასალებსაც – ნაყოფსაც.

სამოქალაქო კოდექსი ნივთის მოხმარებით მიღებულ ყველა შემოსავალს ერთი ტერმინით – ნაყოფით გამოხატავს. სახელდობრ, კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნივთის ნაყოფი არის ის შემოსავალი, ნამატი და უპირატესობა, რასაც ეს ნივთი იძლევა, ე.ი. აქ თავმოყრილია ნივთის ექსპლოატაციით მიღებული როგორც ბუნებრივი გამრავლების შედეგად შექმნილი ნაყოფი, ნამატი, ისე წარმოებული პროდუქცია და სხვა შემოსავალი.

იმავე მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს უფლების ნაყოფსაც. სახელდობრ, უფლების ნაყოფი არის ის შემოსავალი ანდა უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად.

ნივთის ან უფლების ნაყოფია აგრეთვე ის შემოსავალი და უპირატესობა, რომელთა მიღებასაც ეს ნივთი ან უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით.

კანონი განსაზღვრავს, რომ ნივთზე უფლებამოსილ პირს შეუძლია ამ უფლებამოსილების ვადასა და ფარგლებში მოითხოვოს ნივთის ნაყოფის მიღებაც. ამასთან, თუ პირი მოვალეა უკან დააბრუნოს ნაყოფი, მას შეუძლია მოითხოვოს ნაყოფის მიღებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება, თუკი ეს ხარჯები სწორი სამეურნეო საქმიანობის შედეგია და არ აღემატება ნაყოფის ღირებულებას.

**ფული და ფასიანი ქაღალდები.** ნივთების განსაკუთრებულ სახესხვაობას მიეკუთვნება ფული და ფასიანი ქაღალდები.

ფულის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ ის არის საყოველთაო ექვივალენტი, მისი გაცვლა შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა ობიექტზე, რომელიც სასყიდლიან ხასიათს ატარებს. ფულით შეიძლება განაღდებული იქნეს ყველა ქონებრივი ვალდებულება, თუ კანონით არ არის ის აკრძალული ან კრედიტორი არ არის ამის წინააღმდეგი.

ფული თავისი ბუნებით, როგორც ზემოთაც ითქვა, არის გვაროვნული ნივთი, მაგრამ შეიძლება ის ინდივიდუალიზებულ ნივთადაც იქცეს, თუ მოხდება მისი კუპიურის ცალკე გამოყოფა და ინდივიდუალური სახის მიცემა. ამასთან, ფული არის მოძრავი, საბრუნავი, გაყოფადი, არამოხმარებითი, შეცვლადი, არაფუჭებადი და უსულო ნივთი.

საქართველოს ოფიციალური ფულადი ერთეულია ლარი, რომელიც შედგება 100 თეთრისაგან. ლარი არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სავალდებულო ეროვნული ვალუტა, რომელიც გამოდის 1, 2, 5, 10, 20, 50, 100 და 500-ლარიანი ქაღალდის კუპიურების სახით, ხოლო თეთრი გამოდის 1, 2, 5, 10, 20, 50-იანი ლითონის მონეტების სახით.

ფული სამოქალაქო ბრუნვის ყველაზე გავრცელებული ობიექტია, რომელიც თითქმის ყველა გარიგებაში აუცილებელი ექვივალენტის სახით წარმოგვიდგება.

ფულთან ერთად სამოქალაქო ბრუნვაში აქტიურად მონაწილეობს ბევრი სხვა ფულადი დოკუმენტი, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ფასიან ქაღალდებს.

ფასიანი ქალაქი არის დადგენილი ფორმისა და სავალდებულო რეკვიზიტების დაცვით შედგენილი ფულადი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონებრივ უფლებას და რომლის განხორციელება თუ სხვისთვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ მისი წარდგენით, ე.ი. ეს დოკუმენტი ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას გარკვეულ მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეზე (ფულზე, ნივთზე, მესამე პირთა მოქმედებაზე, სხვა ფასიან ქალაქზე). ამასთან, ამ უფლების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ამ ფასიანი ქალაქის წარდგენით.

ფასიანი ქალაქი შედგენილი უნდა იყოს სპეციალური ფორმის დაცვით, სავალდებულო რეკვიზიტების ჩვენებით. როგორც წესი, იგი ივსება წერილობით, სპეციალურ ბლანკზე, რომელიც დაცული უნდა იყოს გაყალბების საშიშროებისაგან.

ცალკეული კონკრეტული ფასიანი ქალაქისათვის დადგენილია განსხვავებული რეკვიზიტების მითითება. რომელიმე რეკვიზიტის გამოტოვება ან მისი შეუსაბამობა დადგენილ ფორმასთან, გამოიწვევს ამ ფასიანი ქალაქის გაბათილებას.

ფასიანი ქალაქი უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რის უფლება აქვს მის მფლობელს (ფულის მიღება, დივიდენდის მიღება და ა.შ.).

ფასიანი ქალაქის თავისებურება ისაა, რომ შეიძლება მისი სხვისთვის გადაცემა. გადაცემის ფორმა და წესი სხვადასხვა სახის ფასიანი ქალაქისათვის სხვადასხვაა.

ფასიანი ქალაქისათვის დამახასიათებელია ე.წ. საჯარო უტყუარობა. ყველა რეკვიზიტით და დადგენილი წესით შევსებული ფასიანი ქალაქი არ შეიძლება სადაო გახადოს მოვალემ იმ მოტივით, რომ ის უსაფუძვლოა ანდა ბათილია. დავა შეიძლება მხოლოდ ფორმალური მოტივით, ვთქვათ, მისი აღსასრულებლად წარდგენის ვადის გასვლის ანდა მისი გაყალბების გამო. ფასიანი ქალაქის მფლობელს, თუ ის აღმოაჩენს ამ ქალაქის სიყალბეს, უფლება აქვს მოსთხოვოს მის მიმცემს ვალდებულების რეალურად შესრულება და მიყენებული ზარალის ანაზღაურება.



ფასიანი ქალაქის თავისებურებაა ისიც, რომ სამოქალაქო უფლება, რასაც ეს ქალაქი ითვალისწინებს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მისი ნარდგენით. მისი დაკარგვა, როგორც წესი, იწვევს მასში მოცემული უფლების განუხორციელებლობას. პირს, ვინც ეს ქალაქი დაკარგა, შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს მისი აღდგენა, დაკარგულის ბათილად ცნობა და ახლის მიცემა.

განასხვავებენ სამი სახის ფასიან ქალაქს: 1. საწარმდგენლოს, 2. სახელობითს ან პირადსა და 3. საორდეროს.

**საწარმდგენლოა** ფასიანი ქალაქი, რომელშიც მითითებული არ არის კონკრეტულად, თუ ვის ეკუთვნის ეს ქალაქი. ამ ქალაქით შეუძლია ისარგებლოს ყველას, ვინც მას წარადგენს. ასეთი ფასიანი ქალაქია ობლიგაცია, შემნახველი ბანკის წიგნაკი წარმომდგენზე, ვაუჩერი და სხვა.

**სახელობითი (პირადი) ფასიანი ქალაქია** ისეთი ქალაქი, რომელიც კონკრეტული პირის სახელზეა გაცემული და მხოლოდ ამ პირს შეუძლია გამოიყენოს იგი. ასეთი ფასიანი ქალაქის სხვა პირისათვის გადაცემა შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესის დაცვით. სახელობით ფასიან ქალაქებს მიეკუთვნება ჩეკი, აქცია, შემნახველი ბანკის სახელობითი წიგნაკები და სხვა.

**საორდერო** ფასიანი ქალაქი კონკრეტულ პირზე გაიცემა, მაგრამ ამით სარგებლობა შეუძლია არა მარტო იმ პირს, ვის სახელზეც არის ის გაფორმებული, არამედ მისი გამცემის განკარგულებით (ორდერით, ბრძანებით) სხვა უფლებამოსილ პირსაც. უფლებამოსილების ასეთი გადაცემა შეიძლება ფასიან ქალაქზე სპეციალური წარწერითაც გაფორმდეს. ასეთ წარწერას ინდოსამენტი ეწოდება. ეს წარწერა (ინდოსამენტი) შეიძლება იყოს ორი სახის: **საორდერო**, რომელშიც მითითებულია თუ ვისი ბრძანებით ან ვის გადაეცემა ეს უფლებამოსილება და **საბლანკო**, რომელშიც მითითებული არ არის, თუ ვინ უნდა შეასრულოს ის. პირს, ვინც წარწერას აკეთებს ფასიან ქალაქზე, ეწოდება ინდოსანტი.

პირს, ვინც უშვებს ფასიან ქალაქებს მიმოქცევაში, ეწოდება ემიტენტი. იმის მიხედვით, თუ ვინ უშვებს ფასიან ქალაქებს, ე.ი. ვინ არის ემიტენტი, არსებობს სახელმწიფო ფასიანი ქალაქები და კერძო ფასიანი ქალაქები.

ფასიანი ქალაქი, იმის მიხედვით თუ რა შინაარსისაა იგი, ე.ი. რა უფლებებია მასში გათვალისწინებული, არსებობს სამი სახის: 1. ფულადი, 2. სასაქონლო და 3. ისეთი ქალაქი, რომლის მფლობელს მინიჭებული აქვს სააქციონერო საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება.

ფულადია ისეთი ფასიანი ქალაქი, რომელიც მის მფლობელს უფლებას ანიჭებს მიიღოს გარკვეული ფულადი თანხა. ასეთია, მაგალითად, ჩეკი, ვექსილი, სადეპოზიტო და შემნახველი სერთიფიკატები და სხვა.

სასაქონლო ფასიან ქალაქს მიეკუთვნება ისეთი დოკუმენტი, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე საქონლის მიღების ანდა მომსახურების უფლებას. ასეთია, მაგალითად, მიზნობრივი სასაქონლო ობლიგაციები, ლატარია, რომელმაც მოიგო გარკვეული ნივთი და სხვა.

სააქციო ფასიანი ქალაქი ისეთი დოკუმენტია, ისეთი ხმის უფლების მქონე აქციაა, რომელსაც უშვებს სააქციო საზოგადოება და რომელიც უფლებას ანიჭებს მის მფლობელს მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში.

მოკლედ დავახასიათებთ ფასიანი ქალაქის ძირითად სახეებს.

**ობლიგაციები.** ობლიგაცია არის ფასიანი ქალაქი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას მიიღოს ობლიგაციის გამომშვები პირისაგან განსაზღვრულ დროში მისი ნომინალური ან სხვა ქონებრივი ღირებულება. ობლიგაციის გამომშვები შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირი.

ობლიგაცია არის თავისებური სესხის ურთიერთობა მის გამომშვებსა და მფლობელს შორის. ამ შემთხვევაში მფლობელი არის კრედიტორი, გამომშვები კი მოვალე ანუ ემიტენტი. ობლიგაციის

გამოშვების მიზანია ბიუჯეტის დეფიციტის შევსება, ინფლაციის შეჩერება ანდა დამატებითი სახსრების მოზიდვა კომერციული საქმიანობის გასაფართოებლად.

ობლიგაცია არის სანარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, მაგრამ გამოწვევის სახით შეიძლება იყოს სახელობითიც. ის შეიძლება გამოშვებული იქნეს გირაოს უზრუნველსაყოფად ან უამისოდ, თავისუფალი მიმოქცევისათვის ან გარკვეული შეზღუდვებით, ჩვეულებრივი ან კონვერტირებადი (განსაზღვრული პირობითაქციებზე გასაცვლელი).

თამასუქი. თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს უფლებას ანიჭებს უპირობოდ მიიღოს მისი გამცემი პირისაგან ანდა მასში მითითებული პირისაგან ამ თამასუქით დათქმულ დროში განსაზღვრული ფულადი თანხა.

თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი და რთული ანუ გადაცემითი. მარტივია თამასუქი, როცა მასში სახელობით არის მითითებული თუ ვინ გასცა თამასუქი და ვინ უნდა მიიღოს ფულადი თანხა, ე.ი. აქ გადამხდელი არის ის, ვინც გასცა თამასუქი, ხოლო მიმღები (კრედიტორი) ის, ვის სახელზეც გაიცა თამასუქი.

გადაცემითი თამასუქი არის საორდერო ფასიანი ქაღალდი, რომლის მფლობელს ყოველთვის შეუძლია თამასუქით გათვალისწინებული მისი უფლებები გადასცეს სხვა პირს სათანადო ნარნერით (ინდოსამენტით). პირი, ვინც ასეთი ნარნერით გადასცა უფლება სხვა პირს, პასუხისმგებელია თამასუქით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის, თუ ამ ნარნერაში პირდაპირ არ არის მითითებული სხვა პირობა.

თამასუქი არის გადახდის და დაკრედიტების მოხერხებული ფორმა, რომლის ფართოდ გამოყენება დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის.

ჩეკი. ჩეკი არის სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიცავს მისი გამცემის განკარგულებას ბანკის მიმართ გასცეს ჩეკში

მითითებული თანხა ყოველგვარი პირობის გარეშე ამ ჩეკში დასახელებულ პირზე.

ჩეკთან დაკავშირებულ ურთიერთობაში, როგორც ვხედავთ, მონაწილეობს სამი პირი: მისი გამცემი, ვისაც აქვს მისი გამცემის უფლება; მიმღები, ვის სახელზეც არის გამცემული ჩეკი და გამნაღდებელი, ვინც უნდა გასცეს ჩეკში მითითებული ფული.

იმისათვის, რომ ჩეკი გასცეს, მის გამცემს უნდა ჰქონდეს ანგარიში ჩეკის გამნაღდებელ ბანკში თუ სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და მათ შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება, რომ ჩეკი განაღდებული იქნება. ამ შეთანხმების თანახმად და მის შესასრულებლად ბანკი ჩეკის გამცემს აძლევს სპეციალურ საჩეკო ნიგნაკს, რომელიც გარკვეული რაოდენობის ჩეკის გამცემისთვისაა გათვალისწინებული.

ჩეკი არის სასწრაფოდ გამოსაყენებელი ფასიანი ქალაქი, მისი გამოყენება შეიძლება გამონერიდან 10 დღის განმავლობაში.

**სადეპოზიტო და შემნახველი სერთიფიკატები.** სადეპოზიტო და შემნახველი სერთიფიკატები წარმოადგენენ ბანკის წერილობით მონაწილას ფულადი თანხების მიღებაზე, რომელიც უფლებას აძლევს შემტანს მიიღოს ეს თანხა ამ ბანკის ნებისმიერ დაწესებულებაში სერთიფიკატით გათვალისწინებული პირობებით (ვადა, რაოდენობა, პროცენტი).

როგორც სადეპოზიტო, ისე შემნახველი სერთიფიკატი შეიძლება იყოს სახელობითი და საწარმდგენლოც, ვადიანიც და მოთხოვნისთანავე გასანაღდებელიც.

**ბანკის შემნახველი ნიგნაკი წარმომდგენზე.** ბანკის შემნახველი ნიგნაკი არის ფასიანი ქალაქი, რომელიც ადასტურებს ამ ბანკში გარკვეული თანხის შეტანას და იძლევა უფლებას მისმა მფლობელმა ეს თანხა მიიღოს გათვალისწინებული პირობით (პროცენტით).

ასეთი ნიგნაკის გადაცემა თავისუფლად შეიძლება სხვა პირისათვის, რომელიც შეუზღუდავად მიიღებს შეტანილ თანხას. მისი დაკარგვის შემთხვევაში, მფლობელს შეუძლია მოითხოვოს

სასამართლო წესით (უდაო წარმოების წესით) და კარგულის ბათილად ცნობა და ახლის გაცემა.

**კონოსამენტი.** კონოსამენტი არის დოკუმენტი, რომელიც იძლევა უფლებას საქონლის განკარგვაზე. მის მფლობელს შეუძლია ჩააბაროს და მიიღოს ტვირთი გადასაზიდად. კონოსამენტი უმთავრესად გამოიყენება საზღვაო გადაზიდვაში. მისი საშუალებით იდება გადაზიდვის ხელშეკრულებები.

კონოსამენტი შეიძლება იყოს სახელობითი, საორდერო და სანარმდგენლო.

**აქცია.** აქცია არის ფასიანი ქალაქი, რომელიც უფლებას აძლევს მის მფლობელს (აქციონერს) მიიღოს მოგების წილი სააქციო საზოგადოებიდან დივიდენდის სახით, მონაწილეობდეს საზოგადოების მართვაში და საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებიდანაც მიიღოს თავისი კუთვნილი წილი.

აქციების გამოშვების უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას. აქცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: სახელობითი და სანარმდგენლო. უმთავრესად პრაქტიკაში გამოიყენება სახელობითი აქციები. აქცია არის ხოლმე ბრუნვაში თავისუფლად გაშვებულიც და შეზღუდულიც. შეზღუდული აქციები სახეზე გვაქვს დახურულ სააქციო საზოგადოებებში. საზოგადოების დამფუძნებელ დოკუმენტში დასაშვებია აღინიშნოს, რომ აქციის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური ან მხოლოდ იურიდიული პირი.

აქცია შეიძლება იყოს მარტივი ანუ ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. პრივილეგირებული აქციის მფლობელს მინიჭებული აქვს გარანტია მიიღოს ფიქსირებული დივიდენდი და ეძლევა უპირატესობა ჩვეულებრივ აქციონერთან შედარებით მიიღოს ქონების წილი საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში. პრივილეგირებული აქციის მფლობელს, როგორც წესი, არ გააჩნია ხმის უფლება, ე.ი. არ მონაწილეობს საზოგადოების მართვაში, თუ ეს სპეციალურად არ არის გათვალისწინებული წესდებით.

სააქციო საზოგადოებას, აქციასთან ერთად, შეუძლია გამოსცეს აქციის სერთიფიკატი ანდა დროებითი მონემბა, რომელიც სახელობითი ფასიანი ქაღალდია და ადასტურებს, რომ მისი მფლობელი ამ საზოგადოების აქციათა განსაზღვრული რაოდენობის მესაკუთრეა.

**საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდები.** საპრივატიზაციო ფასიანი ქაღალდი სახელმწიფოს მიერ გაცემული მიზნობრივი დანიშნულების დოკუმენტია, რომელიც გამოიყენება საპრივატიზაციო ობიექტების შეძენის გადახდის საშუალებად.

ასეთი საპრივატიზაციო ქაღალდია ვაუჩერი ანუ საპრივატიზაციო ჩეკი, რომელიც გაიცა საქართველოს ყველა მოქალაქეზე. ეს არის სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომლის ყიდვა-გაყიდვა თავისუფლად, შეუზღუდავად შეიძლებოდა:

**მოქმედების შედეგი.** სამოქალაქო სამართლის ობიექტია მოქმედების შედეგი. მოქმედების შედეგი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სიკეთე. მატერიალური სიკეთეა ისეთი მოქმედების შედეგი, რომელსაც გარკვეული მატერიალური სარგებლობა მოაქვს პირისათვის. მაგალითად, ნარდი მუშაობის ხელშეკრულებაში მოქმედების შედეგი გარკვეული მატერიალური სიკეთე, რაიმე ნივთის ან ღირებულების შექმნაა. არამატერიალური სიკეთეა ისეთი მოქმედების შედეგი, რომელიც ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ხოლო მუშაობის შედეგი, რომელიც ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მატერიალური სიკეთეა. მატერიალური სიკეთეა ისეთი მოქმედების შედეგი, როცა იქმნება ახალი ნივთი, ან უმჯობესდება არსებული ნივთი, ანდა თუ მატერიალურ სარგებელს მიიღებს პირი ამ მოქმედების შედეგად (მაგალითად, ზოგავს ან ამატებს ქონებას და ა.შ.).

მომსახურებაც გარკვეული მოქმედების შედეგია. ეს შედეგი შეიძლება ატარებდეს ნივთობრივ (მატერიალურ) ან არამატერიალურ ხასიათს. ზოგიერთი სახის მომსახურება შეიძლება იყოს ანაზღაურებადი, მაგრამ შინაარსით არამატერიალური (მაგალითად,

საადვოკატო მომსახურება, ან თუ პედაგოგი რომელიმე დისციპლინაში ამეცადინებს მოსწავლეს და სხვ.).

### §3. არამატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი

შემოქმედებითი შრომის პროდუქტი. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს არა მარტო მატერიალური სიკეთე, არამედ არამატერიალური სიკეთეც. არამატერიალური სიკეთიდან სამოქალაქო ურთიერთობებში ყველაზე ხშირად გამოდის შემოქმედებითი შრომის პროდუქტი. ასეთი შრომის პროდუქტი მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს. მისი შინაგანი თავისებურებებისა და სამართლებრივი სირთულეების გათვალისწინებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ზოგადი ნორმების გარდა IV წიგნს უთმობს ინტელექტუალურ საკუთრებას, რომლის ძალითაც აქცენტი სპეციალური კანონების მოქმედებაზეა გადატანილი. ინტელექტუალური საკუთრება ობიექტების სიმრავლით ხასიათდება, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავი ვერასოდეს ვერ გახდება.<sup>1</sup> სადღეისოდ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სამართალს (ლიტერატურული, მხატვრული და მეცნიერული ნაშრომი, შესრულება, რადიო-ტელეგადაცემა, აუდიოვიზუალური ნაწარმოები და სხვ.). ისეთი ობიექტები, როგორიცაა სასელექციო მიღწევა — მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, საწარმოო-ჭომერციული საიდუმლოება (ნოუ-ჰაუ), ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგია, დომენი და ა. შ. ქმნიან ინტელექტუალური საკუთრების ცალკე

<sup>1</sup> ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ჩამონათვალს შეიცავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის (Convention Establishing the World Intellectual Property Organization) მე-2 (VIII) მუხლი.

განშტოებას. ამასთან, ზოგიერთი მათგანი შეიძლება მიეკუთვნოს ერთდროულად საავტორო და სამრეწველო საკუთრების სამართალს. მაგალითად, კომპიუტერული პროგრამა, სამრეწველო ნიმუში და სხვ.<sup>1</sup>

შემოქმედებითი შრომის ნაყოფი არამატერიალური სიკეთეა. ნაწარმოები, იქნება ის მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა სახისა, არის იდეების, აზრების, ცნებების და შემოქმედებითი შრომის სხვა შედეგების ორიგინალური გამოსატყულება, რომელთა კვლავნარმოება შესაძლებელია; გამოგონება და სასარგებლო მოდელი ახალი სამრეწველო წესით გამოყენებადი ტექნიკური იდეებია, ხოლო სამრეწველო ნიმუში ნაწარმის ახალი მხატვრულ-კონსტრუქციული გარეგნული სახეა. თითოეული მათგანი სამოქალაქო სამართლის ობიექტი ხდება მაშინ, როცა რაიმე ობიექტურ ფორმას შეიძენს, რაც აღიქმება სხვა პირთა მიერ. მაგალითად, მხატვრული ნაწარმოები დაფიქსირებული უნდა იქნეს ხელნაწერის სახით მაინც, გამოგონება, სასარგებლო მოდელი, მეცნიერული აღმოჩენა ან სასელექციო მიღწევა უნდა აღინეროს სიტყვიერად, გამოისახოს ნახაზით, სქემით, მოდელით და ა.შ., ხოლო სამრეწველო ნიმუში და სასაქონლო ნიშანი უნდა იქნეს წარმოდგენილი კონკრეტული გამოსახულებით.

ასეთი ობიექტები, როგორც შემოქმედებითი შრომის ნაყოფი, არამატერიალური სიკეთეა და ყველა უფლება მათზე (ქონებრივი თუ პირადი არაქონებრივი) ეკუთვნის მხოლოდ მის შემქმნელს, შემოქმედს და მისი თანხმობის გარეშე არავის არ შეუძლია გამოიყენოს ის კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (ქონებრივი უფლება). ნიგნი, რომელიც გამოქვეყნდა ან ნივთი, რომელშიც მატერიალიზდა გამოგონება, შეიძლება გაიყიდოს, გასაჩუქრდეს და ამით ის ვინმეს საკუთრება გახდეს, მაგრამ ავტორობის უფლება მხოლოდ შემოქმედს ეკუთვნის (პირადი არაქონებრივი უფლება). სწორედ ეს უფლებებია არამატერიალური სიკეთე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2000, გვ. 19-24.

<sup>2</sup> იხ. დ. ძამუკაშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 299-301.



**ინფორმაცია.** ინტელექტუალური შრომის თავისებური პროდუქტია ინფორმაცია, რასაც უკანასკნელ ხანს სამოქალაქო სამართლის ობიექტად მიიჩნევენ.<sup>1</sup> თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის არ შეიძლება გავაიგივოთ ინტელექტუალური მოღვაწეობის სხვა შედეგებთან (მეცნიერული, მხატვრული ნაწარმოები და ა. შ.). ინფორმაცია შეიძლება გამოსახული იქნეს მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, კომერციული თუ სხვა ცოდნის სხვადასხვა სახით.

ინფორმაციამ თანამედროვე პირობებში მიიღო სასაქონლო ხასიათი და გამოიყენება სახელშეკრულებო ურთოერთობებში როგორც ამ ურთიერთობის ობიექტი. ინფორმაცია მოიცავს ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შექნილი ცოდნის, მონაცემების შეკრებას, მოპოვებას, დაცვას, გადამუშავებას, გავრცელებას და გამოყენებას.

ინფორმაციას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს. პირველყოვლისა, იგი არის არა მოხმარებითი სიკეთე, რომელიც განიცდის მხოლოდ მორალურ და არა ფიზიკურ მოძველებას. ინფორმაციის გამოყენება შეუძლია ყველას თუ ის იმავდროულად არ არის ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტი ანდა არ შეიცავს სამსახურებრივ თუ კომერციულ საიდუმლოებას.

**სახელი, პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია.** არამატერიალური სიკეთეა ისეთი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც უკავშირდება სახელს, პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას.<sup>2</sup> ეს უფლებები ეკუთვნის როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.

---

<sup>1</sup> იხილეთ, Гражданское право, под ред. Ю. К. Толстого и А. П. Сергеева, Часть 1, Санкт-Петербург, 1996. стр. 190-191, აგრეთვე მ. ცაცანაშვილი, ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი, 1999.

<sup>2</sup> სამრეწველო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით საქმიან რეპუტაციას სპეციალური ტერმინით „გუდვილით“ იცნობენ. უფლებები, რომლებსაც წარმოშობს იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ რიგ შემთხვევაში იკრძალება გამოგონების ან სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების სხვა პირთათვის გადაცემა გუდვილის გადაცემის გარეშე.

**სახელი** პირის ინდივიდუალიზაციის საშუალებაა. არცერთი სუბიექტი არ შეიძლება არსებობდეს სახელის გარეშე. სამოქალაქო კანონი იცავს როგორც ფიზიკური პირის სახელს (სახელი და გვარი), ისე იურიდიული პირის სახელწოდებას. ამდენად, სახელი სამოქალაქო ურთიერთობის ობიექტია, რომელსაც მატერიალური ხასიათი არ გააჩნია.

**პატივი** არის პირის მორალური და საქმიანი თვისებების შეფასება საზოგადოების მიერ, ღირსება კი ამ თვისებების თვითშეფასება, ე.ი. პირის მიერ თავისი თვისებებისა და მდგომარეობის გაცნობიერება. პატივი და ღირსება დაცულია კანონმდებლობით და ამდენად სამოქალაქო სამართლის ობიექტებად ითვლებიან.

**საქმიანი რეპუტაცია** არის პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რასაც საფუძვლად უდევს ამ პირის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

**სხვა არამატერიალური სიკეთე.** სამოქალაქო სამართლის ობიექტებს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი არამატერიალური სიკეთე, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება, დაქორწინების უფლება და სხვა არამატერიალური სიკეთე.

**პირადი ცხოვრების საიდუმლოება** მოიცავს პირის როგორც პირად, ისე საოჯახო საიდუმლოებას. ამასთან, აქ მნიშვნელობა არა აქვს, პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ცნობები რეალურ სინამდვილეს შეესაბამება თუ არა. მთავარია, რომ პირს არ სურს მისი გახმაურება. თუ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ პიროვნების მიმართ ვრცელდება არასწორი, სინამდვილის შეუსაბამო ცნობები, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევად ითვლება იმ ცნობების გახმაურებაც, რომელიც სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ რომლის გახმაურება პირს არ სურდა.

სამოქალაქო კოდექსი ცალკე პირად არაქონებრივ უფლებად გამოყოფს პირის გამოსახულების ხელშეუხებლობას (ფოტოსურათი, ვიდეოფილმი, კინოფილმი და ა.შ.). კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლება პირის გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოქვეყნება დაკავშირებულია საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან ან, როცა ეს გადალება მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა როცა ამ პირმა საზღაური მიიღო პოზირებისათვის.

# თავი VIII

## გარიგება, რომორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ძირითადი საფუძველი

§1. გარიგების ცნება და სახეები: §2. გარიგების ელემენტები.  
§3. ბათილი გარიგებები. §4. გარიგების ბათილობის წესი  
და შედეგები.

### §1. გარიგების ცნება და სახეები

გარიგების ცნება. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია გარიგება. იურიდიულ ფაქტებზე და მის სხვა სახეებზე (ხდომილებანი, ადმინისტრაციული აქტები), როგორც სამოქალაქო სამართლის წარმოშობის საფუძველზე, ზემოთ გვექონდა საუბარი. გარიგება კი, როგორც სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველი, სპეციალურ და ამომწურავ განხილვას მოითხოვს.

პირველ რიგში გავარკვიოთ რა არის გარიგება, მისი ცნება. გარიგება სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია. უნდა ითქვას, რომ კოდექსი სიტყვა „გარიგებას“ შედარებით ვიწრო მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე იგი ისტორიულ წყაროებში და თვით ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში მოიაზრება. ადრე ეს ტერმინი გამოიყენებოდა როგორც კერძო, ისე საჯარო სამართალში და მასში იგულისხმებოდა არა მარტო კერძო პირთა შორის სხვადასხვა ხელშეკრულების დადება, არამედ რაიმე ზოგადი წესის დადგენა, რაიმეს განსაზღვრა, დანესება. შემდგომ წლებში „გარიგება“ თანდათან იცვლის შინაარსს და უმთავრესად კერძო სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს. გარიგება ადამიანთა შორის ურთიერთობაში კერძო ავტონომიის განხორციელების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მაინც რა

არის გარიგება? სამოქალაქო სამართლის თითქმის ყველა წყარო, სასწავლო ლიტერატურა თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობა გარიგებას განმარტავს როგორც მოქმედებას, რომელიც იწვევს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა გარიგების ცნების განსხვავებული განმარტება შემოგვთავაზა. კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად „გარიგება არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“. როგორც ვხედავთ, ძველ განმარტებაში სიტყვა „მოქმედება“ შეცვლილია „ნების გამოვლენით“. უნდა ითქვას, რომ ამით დაზუსტდა გარიგების ცნების შინაარსი. ფაქტობრივადაც გარიგება ყოველთვის არ გულისხმობს პირის მოქმედებას. „მოქმედება“ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ნიშნავს იმას, რომ პირი რაღაცას აკეთებს, გარკვეულ კონკრეტულ მოქმედებას ასრულებს. გარიგების დადების დროს კი ასეთი მოქმედება შეიძლება არც შესრულდეს. მაგალითად, როცა პირმა ხელისმონერა არ იცის და ის გარიგებას დებს სხვა პირთან, მის ნაცვლად ხელისმონერას აკეთებს გარეშე პირი (კოდექსის 70-ე მუხლი). აქ გარიგების დადებისათვის საჭიროა მისი მონაწილის ნების გამოვლენა და არა რაიმე კონკრეტული მოქმედება. კონკრეტულ მოქმედებას ასრულებს გარიგების მონაწილის ნებით გარეშე პირი. ამიტომ ამ მონაწილის მხრივ გამოხატულია ნების გამოვლენა და არა მოქმედება. ასევე ითქმის, როცა გარიგების დადებისთვის საკმარისია მეორე მხარის თანხმობა. თანხმობის მიცემა შეიძლება არ იყოს და კავშირებული რაიმე კონკრეტულ მოქმედებასთან. ამიტომ, სწორად მოიქცა ქართველი კანონმდებელი, როცა ასეთი სიზუსტე შეიტანა გარიგების ცნებაში.

მართალია, ცივილისტურ ლიტერატურაში ნების გამოვლენას მოქმედებას უწოდებენ, მაგრამ ცნების განმარტებისას, მისი სიზუსტის დაცვაა საჭირო.

გარიგების ცნების მიხედვით შეიძლება გამოიყოს მისთვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები:

1. გარიგება ყოველთვის არის ხეობითი აქტი, ადამიანის ნების გამოვლენა;

2. გარიგება ყოველთვის სპეციალურად არის მიმართული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ;

3. გარიგება მართლზომიერი ქმედებაა.

გარიგება პირველყოვლისა ნებითი აქტია, რომელიც გულისხმობს ნებით განსაზღვრულ მოქმედებას ან უმოქმედობას: ამიტომ მას თან ახლავს გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტები. ამასთან, ის იურიდიული აქტიც არის, რომელიც გარკვეულ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს. აქედან გამომდინარე, გარიგებაზე გავლენას ახდენს არა ყველა ფსიქოლოგიური მომენტი, არამედ ისეთი, რომელიც არ გამოიციხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას.

იმისათვის, რომ გარიგება დაიდოს, საჭიროა პირის სურვილი. ეს სურვილი პირის შინაგანი ნებაა. შინაგანი ნების გარეშე გარიგება არ ჩაითვლება დადებულად. მაგალითად, მძარცველს დაზარალებული გადასცემს ნივთს, მაგრამ აქ მისი შინაგანი ნება არ არის, ამიტომაც ის არც გარიგებაა. მაგრამ მარტო შინაგანი სურვილი არ არის საკმარისი გარიგების დადებისათვის. საჭიროა ეს შინაგანი ნება მიყვანილი იქნას სხვა პირებამდე, ცნობილი გახდეს მათთვის. საშუალებას, რითაც შინაგანი ნება ეცნობება სხვა პირებს, ეწოდება ნების გამოვლენა.

ნების გამოვლენა გარიგებებში სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. ამ საშუალებებს ლიტერატურაში სამ სახედ ყოფენ:

1. პირდაპირი ანუ ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც გამოიხატება უშუალო ზეპირი ან წერილობითი ფორმით მისი შინაარსის გადაცემაში (მაგალითად, ნების გამოხატვა ნივთის ყიდვა-გაყიდვაზე, სურვილის გამოთქმა ბინის გაცვლაზე, ზარალის ანაზღაურებაზე და ა.შ.).

2. არაპირდაპირი ანუ კონკლიუდენტური ნების გამოვლენა, როცა შინაგანი ნება ვლინდება არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ ირიბად, სხვა ისეთი მოქმედებით, რომელიც უეჭველად ადასტურებს პირის სურვილს გარიგების დადებაზე. მაგალითად, მალაზიაში დახლზე

საქონლის დალაგება ფასების წარწერით მეტყველებს, რომ გამოთქმულია შინაგანი ნება ამ საქონლის გაყიდვის შესახებ;

**3. შინაგანი ნების გამოხატვა ღუმილით.** ღუმილი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნების გამოვლენად, როცა ის პირდაპირ არის მითითებული კანონში, ანდა მხარეთა შეთანხმებით. კანონით ან კანონქვემდებარე აქტით შეიძლება დადგენილი იქნეს გარკვეული დრო, რომლის განმავლობაშიც თუ პირი არ გამოთქვამს საინალმდეგო მოსაზრებას, გარიგება ჩაითვლება დადებულიად. ასეთი შეთანხება მხარეებსაც შეუძლიათ დადონ.

გარიგების დადებისათვის საჭიროა შინაგანი ნებისა და მისი გამოვლენის ერთიანობა. ეს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების სხვადასხვა მხარეა თავისი მოქმედებისადმი. ისინი ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდნენ, წინალმდეგ შემთხვევაში გარიგება სადაო გახდება. მაგალითად, თუ პირის შინაგანი ნება ერთი მიზნისკენ არის მიმართული, მისი გამოვლენა კი გამოხატავს სხვა მოქმედების ჩადენის სურვილს, გარიგება სადაო შეიძლება გახდეს მის მონანილეთა შორის ანდა საერთოდ არ დაიდოს.

გარიგებას, მისი მონანილის შინაგანი ნებისა და ამ ნების გამოვლენის გარდა, ახასიათებს ფსიქიკური დამოკიდებულების კიდევ ერთი ელემენტი – მოტივი. ცნობილია, რომ ყველა ნებელობითი აქტი დაკავშირებულია რაიმე მოტივთან. ამასთან ყველა მოტივს არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა, ე.ი. ყველა მოტივი არ არის მოქცეული გარიგებაში. ჩვეულებრივ, როცა პირი გარიგებას დებს, ამ გარიგების იურიდიული ძალისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობს ის. შესაძლოა პირმა სახლი გააქირაოს იმ მოტივით, რომ მიღებული ფულით წავიდეს საზღვარგარეთ, მაგრამ ველარ წავიდეს, ანდა პირმა გაყიდა რაიმე ნივთი გაჭირვების გამო, რის შემდეგ შემკვიდრეობის მიღებით თუ სხვა გზით ქონებრივი მდგომარეობა გაიუმჯობესა. ამას არავითარნი მნიშვნელობა არა აქვს ქირავნობის თუ ყიდვა-გაყიდვის გარიგების იურიდიული შედეგისათვის. მაგრამ არის ზოგიერთი მოტივი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს გარიგების

იურიდიული ძალის მინიჭებისათვის. ასეთი მოტივია **ძალადობა, ცდომილება და მოტყუება.**

**ძალადობა** ფსიქიკური ზემოქმედების ანუ მუქარის შედეგად ნების გამოხატვის იძულებას გულისხმობს. მუქარა უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, მნიშვნელოვანი და რეალური.

**ცდომილება** ანუ შეცდომა გარიგების დადებაში გულისხმობს არასწორ წარმოდგენას გარიგების საგანზე, მხარის შეცდომაში შეყვანას. შეცდომა ორგვარია: იურიდიული და ფაქტიური. იურიდიული ცდომილება ეხება კანონთა ცოდნას. კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს მოქმედების შედეგისაგან საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში. უფრო მნიშვნელოვანია ფაქტობრივი შეცდომა. ამ მოტივით დადებული გარიგება, თუ ამ შეცდომას არსებითი ხასიათი აქვს, გავლენას ახდენს გარიგების იურიდიულ ძალაზე.

**შეცდომა** შეიძლება დაშვებული იქნეს გარიგების სუბიექტში ან ობიექტში.

**მოტყუება** არის გარიგების ერთი მონაწილის მიერ წინასწარ გამიზნული ყალბი ცნობების მიცემით ანდა ფაქტიური სინამდვილის მიმართ შეგნებული დუმილით მეორე მონაწილის ნების დაყოლიება გარიგების დადებაზე.

**გარიგების სახეები.** გარიგებათა კლასიფიკაცია ცალკეულ სახეებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. საფუძველი გარიგების სახეებად დაყოფისათვის შეიძლება იყოს მის მონაწილეთა რაოდენობა, რეგულირების სფერო, იურიდიული ძალამოსილება, უფლება-მოვალეობათა წარმოშობის მომენტი, მისი სასყიდლიანობა, იურიდიული მნიშვნელობა და სხვა.

გარიგების მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით თუ რამდენი პირის ნების გამოვლინება არის საჭირო გარიგების დადებისათვის, არსებობს **ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი** გარიგება.

**ცალმხრივი** არის გარიგება, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი პირი ანუ რომლის დასადავებად საჭიროა მხოლოდ ერთი მხარის



ნების გამოვლენა. ასეთია, მაგალითად, ანდერძის გაცემა, კონკურსის გამოცხადება, მინდობილობის გაცემა. მართალია, ამ მოქმედებების განხორციელება საბოლოოდ მოითხოვს სხვა პირების მონაწილეობასაც ურთიერთობებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ცალმხრივი არ არის. იმისათვის, რომ იურიდიული ძალის მქონე გარიგება ჩაითვალოს სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა წარმოშობის საფუძვლად, საკმარისია ცალმხრივი ნების გამოვლენა, ერთი პირის მოქმედება. ანდერძი იურიდიული ძალის მქონეა მისი გაფორმებისთანავე, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა მემკვიდრე ანდერძით გათვალისწინებულ ქონებას.

ცალმხრივ გარიგებაში სამოქალაქო უფლებები წარმოიშობა როგორც იმ პირის მიმართ, რომელმაც დადო ეს გარიგება, ასევე მესამე პირების მიმართ, ვის სასარგებლოდაც დაიდო ეს გარიგება. რაც შეეხება სამოქალაქო ვალდებულებებს, ცალმხრივ გარიგებაში ეს შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ იმ პირის მიმართ, ვინც დადო ეს გარიგება. სხვა პირების მიმართ ვალდებულება მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როცა ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში, ანდა ამის თანახმა არიან ეს პირები.

გარიგებას, რომლის დადებისთვისაც საჭიროა ორი პირის ნების გამოვლენა, ე.ი. რომელშიც მონაწილეობს ორი პირი, ეწოდება ორმხრივი გარიგება.

მრავალმხრივ გარიგებებს მიეკუთვნებიან გარიგებები, რომელშიც მონაწილეობს სამი და მეტი პირი, ე.ი. რომლის დადებისათვის საჭიროა სამი და მეტი პირის ნების გამოვლენა.

ორმხრივ გარიგებებს მიეკუთვნება სამოქალაქო ხელშეკრულებათა უმრავლესობა. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება იყოს მრავალმხრივიც. მრავალმხრივია, მაგალითად, ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომელშიც სამი ან მეტი პირი მონაწილეობს. მრავალმხრივ ხელშეკრულებად არ ჩაითვლება ხელშეკრულება ორ მხარეს შორის, რომელშიც თითოეულ მხარეზე ორი ან მეტი პირი მონაწილეობს. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვაში რამდენიმე

მყიდველი ან რამდენიმე გამყიდველია. ვთქვათ, ხუთი თანამესაკუთრე ყიდის სახლს. აქ სახეზე გვაქვს ორმხრივი ხელშეკრულება. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში ყველა მათგანს დამოუკიდებელი უფლება-მოვალეობები აქვს, ხოლო ყიდვა-გაყიდვაში ერთ მხარეს მონაწილე რამდენიმე პირს ერთიანი უფლება-მოვალეობა აქვს.

გარიგებათა უმეტესობა ხელშეკრულებების სახით იდება, ე.ი. ორმხრივი ან მრავალმხრივია. ცალმხრივი გარიგებების მოქმედება სამოქალაქო სფეროში შედარებით შეზღუდულია. პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ისეთი ცალმხრივი გარიგება, როგორცაა ანდერძი და კონკურსის გამოცხადება. ზოგჯერ ის დამხმარე ხასიათს ატარებს ორმხრივ (მრავალმხრივ) გარიგებებში (მინდობილობის მიცემა ხელშეკრულების დასადებად).

გარიგებები თავიანთი საგნის, სფეროს მიხედვით კლასიფიცირდებიან: სანივთო (ქონებრივი), ვალდებულებითი, საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობებში დადებული გარიგებები. როგორც ვხედავთ, ასეთი დაყოფა სამოქალაქო კოდექსის სისტემას შეესაბამება და წარმოშობენ, ნყვეტენ და ცვლიან სამართლებრივ ურთიერთობებს ამ სფეროებში. ასეთი დაყოფა, შეიძლება ითქვას, პირობითი ხასიათისაა, რადგან ერთიდაიგივე გარიგება ხშირად ატარებს როგორც სანივთო, ისე ვალდებულებით ხასიათს, ზოგჯერ საოჯახო, საავტორო და მემკვიდრეობის სფეროსაც ეხება. მაგალითად, ნივთის გადაცემა არის სანივთო და ვალდებულებითი გარიგებაც. ასევე ითქმის გარიგების სხვა სახეებზე, რომელიც შეიცავს საავტორო, საოჯახო და სამემკვიდრეო გარიგების ნიშნებსაც.

იურიდიული ძალმოსილების მიმართულების გათვალისწინებით, გარიგება შეიძლება იყოს: მავალდებულებელი, განკარგვითი და შეიძენითი.

მავალდებულებელია გარიგება, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ასეთი მოქმედებისაგან. ასეთი: ხელშეკრულებათა უმეტესობა, თუმცა

გამორიცხული არ არის მავალდებულებელი ხასიათის იყოს ცალმხრივი გარიგებაც (მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირება).

**განკარგვითია გარიგება**, რომლის მიზანია არსებული უფლების შეცვლა, მისი სხვისთვის გადაცემა, რაიმე უფლებით დატვირთვა ან გაუქმება.<sup>1</sup>

**შეძენითია გარიგება**, რომლის მეშვეობით ხდება უფლების შეძენა. ასეთი გარიგება შეიძლება იყოს როგორც მავალდებულებელი, ისე განკარგვითი, როგორც ცალმხრივი (ანდერძი), ისე მრავალმხრივი (ნასყიდობა და სხვა).

**გარიგება თავისი ექვივალენტური ხასიათით შეიძლება იყოს სასყიდლიანი და უსასყიდლო.**

**სასყიდლიანია გარიგება**, რომელშიც მხარეები ღებულობენ გარკვეულ საფასურს ანდა სხვა შესაგებელს ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის. გარიგებათა უმრავლესობა სასყიდლიანია. მხოლოდ ზოგიერთი გარიგება, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება იყოს უსასყიდლო.

**უსასყიდლოა გარიგება**, რომლის მიხედვით გარიგების მონაწილე არ იღებს რაიმე გასამრჯელოს გარიგებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის. უსასყიდლოა ანდერძი, ჩუქების ხელშეკრულება, უპროცენტო სესხი, ქონების უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება და სხვა.

**ზოგიერთი გარიგება**, თავისი იურიდიული ბუნების გამო, შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო, ზოგიერთი კი ან მხოლოდ სასყიდლიანი (ყიდვა-გაყიდვა), ან მხოლოდ უსასყიდლო (ჩუქება). არის გარიგება, რომლის სასყიდლიანობა დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე. მაგალითად, მიზარების ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანიც და უსასყიდლოც. ეს მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

<sup>1</sup> იხ. ლ. ჭანტურია, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 323.

უსასყიდლო გარიგებები უმთავრესად მოქალაქეთა შორის იდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც ორგანიზაციებს შორისაც საკმაოდ გვხვდება, უმთავრესად კი ხდება მოქალაქეთა მიერ ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოსათვის გარკვეული ქონების ჩუქება.

თავისი საფუძვლის იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით გარიგება შეიძლება იყოს აბსტრაქტული და კაუზალური (ლათინური სიტყვიდან – causa, მიზეზი, საფუძველი).

აბსტრაქტულია გარიგება, რომლის ნამდვილობისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს მის საფუძველს, ხოლო კაუზალურია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის მნიშვნელობა ენიჭება მის საფუძველს, მიზეზს.

საერთო წესის მიხედვით, გარიგებას თავისი საფუძველი უნდა ჰქონდეს, უამისოდ გარიგება ბათილია. გარიგებათა უმრავლესობა სწორედ მისი საფუძვლით ითვლება ნამდვილ გარიგებად, ე.ი. ისინი კაუზალური გარიგებებია. ამავე დროს არის საერთო წესიდან გამონაკლისი, როცა გარიგების საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს. ამ შემთხვევაში ის მაინც ნამდვილი გარიგებაა. ეს გამონაკლისი გათვალისწინებულია სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების შესაბამისად. ასეთი გარიგება აბსტრაქტული ხასიათისაა და ეს პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კანონში. აბსტრაქტული ხასიათისაა, მაგალითად, გარიგება, რომელიც გაფორმებულია თამასუქით. თამასუქისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, საფუძვლიანად არის ის გაცემული თუ არა. იგი არის უპირობო მოთხოვნის დოკუმენტი, რომლის განაღდება აუცილებელია იმ პირის მიერ, ვისაც წარუდგენენ მას და მნიშვნელობა არა აქვს იმას, საფუძვლიანია თუ არა ამ თამასუქის გამცემის ის მოთხოვნა, რაც მან გადასცა თამასუქის მიმღებს.

უფლება-მოვალეობათა წარმოშობის მომენტის გათვალისწინებით გარიგება შეიძლება იყოს რეალური და კონსესუალური.

რეალური (ლათინური სიტყვიდან *res* – ნივთი) არის ისეთი გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია არა მარტო შეთანხმება, არამედ ნივთის გადაცემაც. მაგალითად, სესხის ხელშეკრულება ნივთის გადაცემას გულისხმობს მისი შეთანხმებისთანავე, ასევეა მიზარების ხელშეკრულებაც. ეს ხელშეკრულებები რეალურია. რეალურია აგრეთვე ჩუქება, როცა იმავე მომენტში ხდება ნივთის გადაცემა, მაგრამ თუ ჩუქების ხელშეკრულების საგანია ბინა, შესაძლებელია ის რეალურიც არ იყოს, რადგან მას ყოველთვის არ ახლავს ბინის გადაცემა ჩუქების მომენტში.

კონსესუალური (ლათინური სიტყვიდან *consensus* – შეთანხმება) გარიგება ეწოდება ისეთ გარიგებას, რომელიც დადებულია ითვლება მხარეთა შეთანხმების შემდეგ ისე, რომ სავალდებულო არ არის ნივთის გადაცემა შეთანხმების მომენტში. ასეთია, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. მართალია, ყიდვა-გაყიდვის დროსაც შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნივთი დაუყოვნებლივ გადაეცეს მყიდველს, მაგრამ ამით არ იცვლება გარიგების იურიდიული ბუნება, ის მაინც კონსესუალური გარიგებაა, რადგან მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა არა ნივთის რეალურად გადაცემის, არამედ მხარეთა შეთანხმების შემდეგ. კონსესუალურია ისეთი ცალმხრივი გარიგებები, როგორიცაა ანდერძი, კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ მათ რაიმე შეთანხმება არ ესაჭიროებათ, საკმარისია ანდერძის გამცემის ან კონკურსის გამომცხადებლის სურვილი და გარიგება დადებულია ითვლება.

გარიგება შეიძლება იყოს ვადიანი და უვადო. ვადიანია გარიგება, რომელშიც მითითებულია მისი ძალაში შესვლის ან შეწყვეტის დრო ანდა ორივე ერთად. უვადოა გარიგება, რომელშიც მითითებული არ არის არც მისი ძალაში შესვლის მომენტი და არც მისი შეწყვეტის დრო.

ვადას, რომლითაც მხარეებმა განსაზღვრეს გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის მომენტი, ეწოდება გადადებითი ვადა.

ვადას, რომელიც მხარეთა შეთანხმებით ითვალისწინებს გარიგებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მხოლოდ შეწყვეტას, ეწოდება გაუქმებითი ვადა.

ასეთ ვადიან გარიგებაში უფლება-მოვალეობები გარიგების დადების მომენტიდან წარმოიშობა, მაგრამ მითითებულია დრო, როცა უნდა შეწყდეს ეს უფლება-მოვალეობები. შესაძლებელია გარიგებაში მითითებული იყოს როგორც გადადებითი, ისე გაუქმებითი ვადა. ვთქვათ, ქონების იჯარით გადაცემის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდა იანვრის თვეში, მითითებულია, რომ ქონების გადაცემა მოხდება მაისის თვეში და გაგრძელდება ორი წლის მანძილზე. აქ გარიგების დადების წლის პირველი მაისი არის გადადებითი ვადა, ხოლო მომდევნო ორი წლის შემდგომი პირველი მაისი გაუქმებითი ვადა.

განასხვავებენ აგრეთვე ჩვეულებრივ და პირობით გარიგებებს.

ჩვეულებრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, როგორც წესი, წარმოიშობა ან მისი დადების მომენტიდან, ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რაც უკვე გარიგებითაა ცნობილი.

პირობითია გარიგება, რომლით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ან შეწყვეტა დაკავშირებულია რაიმე უცნობი მოვლენის დადგომასა ან არდადგომასთან მომავალში.

გარიგებათა უმრავლესობა — ჩვეულებრივი გარიგებებია, თუმცა პრაქტიკაში პირობითი გარიგებებიც საკმაოდ გვხვდება.

პირობითი გარიგების საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი იურიდიული ფაქტი, რომლის დადგომაზე ან არდადგომაზე დამოკიდებულია გარიგების მონაწილეთა შეთანხმებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების წარმოშობა და შეწყვეტა.

პირობითი გარიგება საკმაოდ ხშირად გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამიტომ კანონმდებელმა მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ახალ სამოქალაქო კოდექსში სპეციალური თავი აქვს დათმობილი პირობით გარიგებებს. კოდექსის 90-ე მუხლის მიხედვით პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი

დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება ამ მოვლენის დადგომამდე ანდა გარიგება წყდება მისი დადგომისთანავე.

მაშასადამე, პირობა უნდა იყოს სამომავლო და ჯერ კიდევ უცნობი. უკვე არსებული და ცნობილი მოვლენა არ შეიძლება იყოს ასეთი გარიგების პირობა.

გარიგების პირობა არ შეიძლება იყოს აგრეთვე მოვლენა, რომელიც ენიინალმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება.

გარიგების პირობა შეიძლება იყოს დამოკიდებული მხარეთა ნებაზე. ასეთი პირობის დადგომა ან არდადგომა დამოკიდებულია გარიგების მონაწილეებზე.

გარიგება შეიძლება დაიდოს პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება, ანდა იმ პირობით, რომ ეს მოვლენა არ დადგება. პირველს ეწოდება პოზიტიური პირობა, მეორეს კი ნეგატიური პირობა.

გარიგების პირობა, რომელიც უნდა დადგეს (პოზიტიური პირობა), შეიძლება განსაზღვრული იყოს რაიმე ვადით ანდა ვადის განუსაზღვრელად იქნეს გათვალისწინებული. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს მოვლენა არ დადგა, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება.

თუ გარიგების პირობის შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ეს პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ თუ ამკარა ხდება, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია და გარიგება ამ პირობის დადგომითაა დადებული, გარიგების პირობა შეიძლება მიჩნეული იქნეს ძალადაკარგულად.

თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ განსაზღვრულ ვადაში არ დადგება რაიმე მოვლენა (ნეგატიური პირობა) და ეს ვადა გავიდა ისე, რომ მოვლენა არ დადგა, პირობა ითვლება შესრულებულად. პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდეა ამკარა, რომ მოვლენა არ დადგება.

თუ გარიგებაში, რომელიც დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება, არ არის განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც არ უნდა დადგეს ეს მოვლენა, პირობა შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.

კანონი დაუშვებლად თვის პირობის დადგომაზე ზემოქმედებას. პირს, რომელმაც გარიგება დადო გარკვეული პირობით, ამ პირობის დადგომამდე არ შეუძლია შეასრულოს ისეთი მოქმედება, რაც ხელს შეუშლის მისი ვალდებულების შესრულებას. თუ პირობა დგება განსაზღვრულ დროს და პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ამგვარი მოქმედებით მიყენებული ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 95-ე მუხლი).

პირობითი გარიგება, ისევე როგორც ვადიანი გარიგება, შეიძლება დაიდოს გადადების პირობით და გაუქმების პირობით.

გარიგება ჩაითვლება გადადების პირობით დადებულად, როცა ამ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია პირობაზე, რომელიც უცნობია და მომავალში უნდა წარმოიშვას, ანდა რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ ჯერ კიდევ უცნობია მხარეთათვის. ასეთ პირობას სუსპენსიურ პირობას უწოდებენ.

გარიგება გაუქმების პირობით დადებულია, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას. პირობით გარიგებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას. ასეთ პირობას რეზოლუტიური პირობა ეწოდება.

თუ მხარემ, რომლისთვისაც პირობა ხელსაყრელი არ არის და გარიგების პირობის დადგომა დააბრკოლა არაკეთილსინდისიერად, პირობა ჩაითვლება დამდგარად. თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააჩქარა მხარემ, რომლისთვისაც



ხელსაყრელია ეს პირობა, ასეთ შემთხვევაში პირობა არ ჩაითვლება დამდგარად.

შინაარსის მიხედვით გარიგების პირობა შეიძლება იყოს კაზუალური და პოტესტატური.<sup>1</sup> კაზუალურია პირობა, როცა მისი არსებობა დამოკიდებულია შემთხვევით მოვლენაზე, ვთქვათ, ზიანის დადგომაზე ანდა რაიმე მოქმედებაზე, ვთქვათ, მესამე პირისაგან თანხმობის მიღებაზე. პოტესტატურია პირობის დადგომა, თუკი იგი გამოიხატება ერთ-ერთი მხარის მოქმედებაში.

გარიგების პირობისაგან უნდა განვასხვაოთ მისი წინაპირობა. წინაპირობა არის გარიგების მონაწილე მხარეთა ნება-სურვილზე დამოკიდებული გარემოება, რომელიც იმთავითვე არის ცნობილი მათთვის და რომლის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება, ხოლო პირობითი გარიგების დროს პირობა არის სამომავლო და ობიექტურად უცნობი მოვლენა. მაგალითად, თუ ბინის ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდებიან, რომ ბინა ავეჯით იყოს განყოფილი, ეს „ავეჯით განყოფა“ არის გარიგების წინაპირობა. როცა ბინის ქირავნობის ხელშეკრულება იდება იმ პირობით, თუ გამქირავებელი საზღვარგარეთ წაევა, ეს უკვე პირობითი გარიგებაა, რადგან პირობა – „საზღვარგარეთ წასვლა“ ჯერ კიდევ ობიექტურად არ არის გადანყვეტილი. ამასთან ეს არის გადადების პირობით დადებული გარიგება, ხოლო როცა ბინის ქირავნობის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირობა, რომ შეილის დაქორწინების შემთხვევაში ეს ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, ეს უკვე არის გაუქმების პირობით დადებული გარიგება.

განასხვავებენ ე.წ. ფიდუციალურ გარიგებას, რომელიც დამყარებულია მხარეთა ურთიერთნდობაზე (ლათინური სიტყვა fiducia – ნიშნავს ნდობას). ასეთია, მაგალითად, მიზარება, კომისია. ამ გარიგებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ნდობას აქვს არსებითი მნიშვნელობა, თორემ ზოგადად ნდობა თითქმის ყველა გარიგებისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, როცა პირი

<sup>1</sup> იხილეთ ლ. ჭანტურია, დასახელებული შრომა, გვ. 404.

ყიდულობს რაიმე ნივთს, ის გარკვეულ ნდობას უცხადებს გამყიდველს, თუმცა შეიძლება არც იცნობდეს მას, მაგრამ როცა მიზარების ხელშეკრულებაში ნივთს აბარებენ შემნახველს, აქ უკვე ნდობას არსებითი ხასიათი აქვს, რადგან უნდა იცნობდე შემნახველს, რომ სრული ნდობა გამოუცხადო მას.

გარიგების სირითადი სახეები, რასაც კანონმდებლობა ხაზს უსვამს და რასაც, რატომღაც ცივილისტურ ლიტერატურაში არ მოიხსენიებენ, როცა გარიგების სახეებზე ლაპარაკობენ, ეს არის ნამდვილი და ბათილი გარიგებები.

ნამდვილია გარიგება, რომელიც შედგენილია კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაცვით და რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს. ბათილია გარიგება, რომელსაც რაიმე ნაკლის გამო არ გააჩნია იურიდიული ძალა დადების მომენტიდან და ამიტომ არ უნდა აღსრულდეს. გარიგებათა დიდი უმრავლესობა კანონის მოთხოვნათა დაცვით იდება და ამიტომ ისინი ნამდვილ გარიგებებს წარმოადგენენ. ამასთან, საკმაოდ ხშირად გარიგების დადებას თან ახლავს სხვადასხვა ნაკლი, რაც იწვევს მის ბათილობას. ამიტომ კანონმდებელი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას გარიგების ბათილობაზე და მის შედეგებზე.

ბათილი გარიგებებიც ორი სახისაა: ერთს, რომლის ბათილობა დავას არ იწვევს, ეწოდება არარა ბათილი გარიგება, ხოლო მეორეს, რომლის ბათილად ცნობა დამოკიდებულია გარკვეულ პირობებზე, ეწოდება საცილო ბათილი გარიგება.

თუ როდის არის გარიგება ნამდვილი და როდის ბათილი, რა იწვევს გარიგების ბათილობას, რა სახის ბათილი გარიგებები არსებობს და რა შედეგი მოჰყვება გარიგების ბათილობას, ამის შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ.

## §2. გარიგების ელემენტები

**ზოგადი დებულებები.** იმისათვის, რომ ვიცოდეთ თუ რა პირობებია საჭირო გარიგების ნამდვილობისათვის, უნდა ვიცოდეთ რა ელემენტებისაგან შედგება გარიგება, რა სტრუქტურა აქვს მას, როგორია მისი ფორმა, ვინ არიან მისი სუბიექტები, როგორ ვლინდება მხარეთა ნება მასში და რა შინაარსს უნდა შეიცავდეს იგი.

გარიგება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის ძირითადი საფუძველი, შედგება ოთხი მთავარი ელემენტისაგან.

1. სუბიექტები ანუ გარიგებაში მონაწილე პირები;
2. სუბიექტური მხარე ანუ გარიგების მონაწილეთა ნება და ნების გამოვლენა. მესამე პირთა თანხმობა;
3. გარიგების ფორმა;
4. გარიგების შინაარსი.

იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს, საჭიროა ყველა ამ ელემენტის არსებობა სრულყოფილი ფორმით. ერთ-ერთის არარსებობა ან თუნდაც ნაკლი რომელიმე ელემენტში, იწვევს გარიგების ბათილობას.

**გარიგების სუბიექტები.** გარიგების სუბიექტი შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი, რომელსაც აქვს ქმედუნარიანობა.

ქმედუნარიანობა არის გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობა. როგორც ზემოთ ითქვა, ქმედუნარიანობა ფიზიკურ პირს სრული მოცულობით წარმოეშობა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ე.ი. 18 წლიდან.

კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანმა დადოს გარიგება მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. თუ არასრულწლოვანმა დადო ორმხრივი გარიგება (ხელშეკრულება) ისე, რომ არ არსებობს ამგვარი თანხმობა, ამ გარიგების ნამდვილობა

დამოკიდებულია იმაზე, მოიწონებს თუ არა მისი წარმომადგენელი ამ გარიგებას შემდგომში.

წარმომადგენლის მოწონება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გარიგების დადების შემდეგ, მეორე მხარის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნის წაყენებამდე არასრულწლოვანისათვის წარმომადგენლის მიერ მიცემული ნებართვა ან უარი ასეთ ნებართვაზე ბათილად ითვლება. ნებართვა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში. თუ წარმომადგენელმა ამ ვადაში ნებართვა არ გასცა, ითვლება, რომ მხარეს უარი ეთქვა გარიგების დადებულად ცნობაზე.

თუ არასრულწლოვანი გარიგების დადების შემდეგ გახდება სრულწლოვანი, თვითონ გადაწყვეტს საკითხს ნამდვილად ჩაითვალოს თუ არა მისი ნების გამოვლენა გარიგების დადებისას.

გარიგების მეორე მხარეს ხელშეკრულების მოწონებამდე უფლება აქვს თვითონ თქვას უარი ამ ხელშეკრულებაზე.

თუ მეორე მხარემ იცოდა, რომ პირი, ვისთანაც გარიგება დადო, არასრულწლოვანი იყო, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული ჰქონდა თანხმობა. ასეთ შემთხვევაშიც კი, როცა მეორე მხარემ იცოდა, რომ არ არსებობდა წარმომადგენლის თანხმობა, მას არ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

კანონი ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის დაუთანხმებლად არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების ნამდვილად ცნობას, როცა ის განკარგავს იმ საშუალებებს, რომელიც მას გადასცა კანონიერმა წარმომადგენელმა ან მისი თანხმობით მესამე პირმა ამ მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვისათვის. ამას, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, არასრულწლოვნის ემანსიპაცია ეწოდება.

არასრულწლოვანი, რომელმაც 16 წლის ასაკს მიაღწია, თუ მას კანონიერმა წარმომადგენელმა მიანიჭა სანარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის ან შრომით ურთიერთობებში დამოუკიდებლად გამოსვლის

უფლება, მაშინ ის ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში ითვლება შეუზღუდავი ქმედუნარიანობის მქონე პირად. ეს ნესი გამოიყენება როგორც სანარმოს დაფუძნებისას, ისე მისი ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების შემთხვევაშიც.

სანარმოს გაძლოლის ნებართვას კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს აძლევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არასრულწლოვანს ესაჭიროება ცალმხრივი გარიგებების დადების დროსაც. სამოქალაქო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ასეთი გარიგება ბათილია მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარის თქმა მეორე მხარეს არ შეუძლია, თუკი ის ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შესახებ.

წარმომადგენლის ნებართვა ესაჭიროება იმ პირის მიერ გარიგების დადებასაც, რომელსაც ქმედუნარიანობა ჩამოერთვა ან შეეზღუდა. როცა გარიგება დაიდო მანამდე, სანამ ქმედუნარიანობის შეზღუდვა მოხდებოდა, ამ გარიგების დადებულად ცნობასაც შემდგომში ესაჭიროება წარმომადგენლის ნებართვა, თუ დადგინდება, რომ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, ამკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც (58-ე მუხლი).

ნება და ნების გამოვლენა გარიგებაში. გარიგების ნამდვილობის მნიშვნელოვანი პირობა მის მონაწილეთა ნება და ამ ნების გამოვლენაა. ყველა გარიგება არის ნებითი აქტი და მისთვის დამახასიათებელია ყველა ის ნიშანი, რაც ასეთ აქტს ახასიათებს: მოტივი, მიზანი და ა.შ., მაგრამ ყველა ამ ნიშანს არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა გარიგების

დადების დროს. მაგალითად, პირი, რომელიც გარიგებას დებს, შეიძლება მოქმედებდეს სხვადასხვა მიზნით, რომელთაგან იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ მიზანს, რომელიც უბრალოდ მის საფუძველს ემსახურება. სხვა მიზანს მნიშვნელობა არა აქვს გარიგების ნამდვილობისათვის. ასევე არა აქვს მნიშვნელობა გარიგების ძალმოსილებისათვის მის მოტივს. მაგალითად, თუ პირმა ქუთაისიდან თბილისში ბინა გადაცვალა იმ მოტივით, რომ სამუშაოდ თბილისში გადმოსულიყო და შემდგომში ვერ გადმოვიდა სხვადასხვა მიზეზის გამო, ამას მნიშვნელობა არა აქვს ამ გაცვლის ნამდვილობისათვის. ასეთი მოტივი გარიგების იურიდიულ ბედზე გავლენას მოახდენს, თუ ეს პირდაპირ იყო გათვალისწინებული გარიგების პირობით (მაგალითად, თუ გაცვლის დროს პირობა იქნებოდა, რომ გაცვლა არ შედგებოდა თუ პირი სამუშაოდ ვერ გადმოვიდოდა თბილისში).

გარიგების მონაწილის შინაგანი ნება და ნების გამოვლენა ისეთი დამახასიათებელი ნიშანია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ გარიგების ნამდვილობისათვის.

ნება არის პირის სურვილი დადოს გარიგება. ეს ვლინდება სხვადასხვა მოტივით. ამის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ, როცა გარიგების ცნებაზე იყო საუბარი.

გარიგების ნამდვილობისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოიხატა პირის ნება. აუცილებელი პირობა არის ის, რომ სახეზე არ იყოს რაიმე ისეთი ფაქტორი, რომელიც მცდარ წარმოდგენას შეუქმნის პირს გარიგების თუ მისი ცალკეული ელემენტის არსზე (ცდომილება, მოტყუება) ანდა რომელიც შექმნის მოჩვენებითობას ნების გამოვლენაზე, მაშინ როცა ფაქტობრივად არ არის ეს ნება (მუქარა, ძალადობა). ნების გამოვლენა სწორად უნდა გამოხატავდეს პირის შინაგან ნებას და ასევე, მხარეები სწორად უნდა იქნენ ინფორმირებული ამ ნების შესახებ.

როცა ვამბობთ, რომ ნების გამოვლენა ისეთი ქმედობა ან უმოქმედობაა, რომელიც ამ პირის ნებითაა განსაზღვრული, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ეს აქტი ადამიანის

ცნობიერებისაგან უნდა გაკომდინარეობდეს. ნების მხოლოდ გარეგნული გამოხატვა არ ნარწოშობს შედეგს. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ეს მოქმედება (უმოქმედობა) გარკვეულ სამართლებრივ შედეგს ნარწოშობს. ამასთან ერთად, ეს ნებითი აქტი სამართლებრივად ვარგისი, ნამდვილი უნდა იყოს.

კანონი განსაზღვრავს რა შემთხვევაში ჩაითვლება ნების გამოვლენა სამართლებრივად ვარგისად, ნამდვილად და როდის არანამდვილად ანუ ბათილად.

ნების გამოვლენის დეფექტებზე ნანილობრივ ითქვა ზემოთ, უფრო ვრცლად კი ქვემოთ ვისაუბრებთ, როცა ბათილ გარიგებებს შევეხებით.

კანონმდებელი სპეციალურად ეხება ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობას და ნების გამოვლენის განმარტებას, როცა ეს გამოვლენა ძნელად გასარკვევი ან არაერთაზროვანია.

სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას, ნამდვილია მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა იგი ამ მეორე მხარეს მიუვა. ეს ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.

ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება არ მოახდინოს გავლენა იმ პირის გარდაცვალებამ, რომელმაც დადო გარიგება ან მის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვამ, თუკი ეს მოვლენები დადგა ნების გამოვლენის შემდეგ.

კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად ნების გამოვლენის განმარტებისას, ნება უნდა დადგინდეს არა მისი გამოთქმის მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი აზრიდან, არამედ მისი გონივრული განსჯის შედეგად.

**თანხმობა გარიგებაში.** გარიგების ნამდვილობისათვის ზოგჯერ საკმარისი არ არის მის მონაწილეთა ნების გამოვლენა. არის გარიგება, რომელიც მოითხოვს მესამე პირების თანხმობას. თანხმობა გარიგების დადებაზე, ისევე როგორც უარი, შეიძლება გამოითქვას გარიგების

როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

თუ გარიგების დადებისათვის აუცილებელი იყო მესამე პირის თანხმობა და ასეთი თანხმობით დაიდო ეს გარიგება, მაგრამ მხარემ არ წარადგინა ამის დამადასტურებელი საბუთი და მეორე მხარემ, რომლისკენაც მიმართული იყო გარიგება, დაუყოვნებლივ თქვა უარი გარიგებაზე, ასეთი გარიგება ბათილად ჩაითვალება. ასეთი უარი არ დაიშვება, თუ მეორე მხარე ინფორმირებული იყო მესამე პირის თანხმობაზე.

კოდექსი იცნობს თანხმობის ორ სახეს: წინასწარი თანხმობა ანუ ნებართვა და შემდგომი თანხმობა ანუ მოწონება.

წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გაუქმდეს გარიგების დადებამდე თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. გაუქმების შესახებ ორივე მხარეს უნდა ეცნობოს.

თუ მესამე პირმა თანხმობა (მოწონება) გამოთქვა გარიგების დადების შემდგომ, გარიგება დადებულად ითვლება მისი დადებიდან, თუ ამ გარიგებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ე.ი. შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქცევითი ძალა.

არაუფლებამოსილი პირის მიერ რაიმე საგნის განკარგვა ნამდვილად ჩაითვლება, თუ იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი ნებართვით ანდა ის ამ განკარგვას შემდეგ მოიწონებს.

**გარიგების ფორმა.** იმისათვის, რომ გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს, საკმარისი არ არის მისი შინაარსი ემთხვეოდეს მის მონაწილეთა ნამდვილ ნებას. აუცილებელია ეს ნება და შინაარსი გამოხატული იყოს გარკვეული, კანონით გათვალისწინებული ფორმით. კანონი ადგენს თუ როგორ მივიდეს გარიგების მონაწილეთამდე მათი ნამდვილი ნება ანუ როგორი ფორმით გამოიხატოს ეს ნება-სურვილი. გარიგების ფორმა ანუ მხარეთა ნება-სურვილის გამოხატვის კანონით დადგენილი წესის დაცვა გარიგების ნამდვილობის აუცილებელი პირობაა.



გარიგება შეიძლება იყოს დადებული ზეპირი და წერილობითი ფორმით. წერილობითი ფორმა შეიძლება იყოს მარტივი და სანოტარო.

ზეპირი ფორმით შეიძლება დაიდოს ნებისმიერი გარიგება, თუ კანონი არ ადგენს ამ გარიგების წერილობით ფორმას, ანდა ისეთი გარიგება, რომლის შესრულება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, თუ ეს გარიგება სანოტარო წესით გაფორმებას არ ითვალისწინებს.

თუ კანონი არ ადგენს რა ფორმით უნდა დაიდოს გარიგება, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ეს ფორმა.

მარტივი წერილობითი ფორმის გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეების ხელისმონერა. ხელისმონერის აღდგენა, განმეორება და მექანიკური საშუალებებით აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, სახელდობრ, ისეთ ფასიან ქალაქებზე ხელისმონერის დროს, რომელთა გამოშვებაც ხდება დიდი რაოდენობით.

გარიგების სანოტარო ფორმა მარტივი წერილობითი ფორმისაგან იმით განსხვავდება, რომ გარდა მხარეთა ხელისმონერისა, საჭიროა მის დადებაში ნოტარიუსის, მოსამართლის ან კანონით გათვალისწინებული სხვა პირის მონაწილეობა.

იმ პირს, ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას ნერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელისმონერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მონერა დამონებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა პირმა ვერ შეძლო გარიგებაზე პირადად ხელის მონერა.

თუ გარიგების დადებისას შედგენილი იქნა ერთიდაიგივე შინაარსის შემცველი რამდენიმე აქტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ აქტის ეგ ზემპლიარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.

იურიდიულ პირთა შორის დადებული ყველა გარიგება, ასევე მათი გარიგება ფიზიკურ პირებთან, უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. გამონაკლისია ზოგიერთი გარიგება, რომელიც ზეპირი ფორმითაც

დაიდება (მაგალითად, საქონლის ყიდვა მალაზიაში). მალაზიაში საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული საჩეკო სისტემა, არ წარმოადგენს წერილობით გარიგებას. ჩეკი მხოლოდ ინფორმაციას გვაძლევს გარიგების თანხაზე, მასში არაა მითითებული მხარეთა ვინაობა, მათი ხელმოწერა. ჩეკით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ გარიგება მოხდა, მაგრამ ის არაა ამ გარიგების ფორმა. გარიგება მაინც ზეპირი ფორმით იდება.

მარტივი წერილობითი ფორმით იდება გარიგებათა უმრავლესობა. სანოტარო წესით დამონმებას მოითხოვს მხოლოდ კანონში პირდაპირ მითითებული გარიგებები, თუმცა მხარეებს შეუძლიათ სხვა გარიგებაც დაამონმონ სანოტარო წესით, რომელიც მარტივი წერილობითი ფორმითაც შეიძლებოდა დადებულყო. სანოტარო წესით დამონმება ნიშნავს არა მარტო ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე ხელისმოწერის დადასტურებას, არამედ მოსამართლის ან კანონით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის პირის მიერ გარიგების დამონმებასაც. ასეთ თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან სამკურნალო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გემის კაპიტანი, კონსული, სამხედრო ნაწილის უფროსები და ა.შ.

ზოგიერთი გარიგება მოითხოვს არა მარტო სანოტარო წესით დამონმებას, არამედ ამ გარიგების სახელმწიფოებრივ რეგისტრაციასაც. თუ კანონი გარიგების ასეთ რეგისტრაციას მოითხოვს, იგი მანამ არ ითვლება დადებულად, სანამ ასეთი რეგისტრაცია არ მოხდება. საჯარო რეესტრში რეგისტრაციას მოითხოვს გარიგებები მიწის ნაკვეთზე, უძრავ ქონებაზე და ზოგიერთ სხვა ნივთზე. ასე, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამონმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი

ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა, ბათილია“.

მაშასადამე, აქ აღნიშნულია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველობაზე. რაც შეეხება ზოგადად გარიგების ფორმის დაუცველობას, ამაზე კანონი მხოლოდ ირიბად ლაპარაკობს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლში ნათქვამია: „გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა“, ე.ი. თუ ეს ფორმა არაა დაცული, გარიგება ნამდვილი არ იქნება ანუ ბათილად ჩაითვლება.

ახალი კოდექსის ასეთი თავშეკავება პირდაპირი მითითებისაგან გარიგების გაბათილების შესახებ მიანიშნებს, რომ მხარეებს უფრო მეტი თავისუფლება აქვთ მინიჭებული გარიგების დადებისას. კოდექსის იგივე 68-ე მუხლი მიუთითებს, რომ გარიგების დადებისას, თუ კანონით დადგენილი არ არის რაიმე სპეციალური ფორმა, მხარეებს თვითონ შეუძლიათ განსაზღვრონ იგი.

სამოქალაქო კოდექსში ასევე არაფერია ნათქვამი ისეთ შემთხვევებზე, როცა გარიგება ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა და მეორე მხარე თავს იკავებს კანონით დადგენილი ფორმით გარიგების პირობის შესრულებისაგან. ეს გარემოება კოდექსის ხარვეზად მიმაჩნია, რამდენადაც პრაქტიკაში საკმაოდ გვხვდება მსგავსი შემთხვევები და ამ ურთიერთობებს მონესრიგება სჭირდებათ. ადრე მოქმედი კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ როცა გარიგება ერთმა მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ შეასრულა და მეორე მხარე თავს არიდებდა გარიგების შესრულებას, კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობა არ აბრკოლებდა ამ გარიგების ნამდვილობას. დაინტერესებული მხარის სარჩელით სასამართლოს შეეძლო ასეთი გარიგება დადებულად ჩაეთვალა და მეორე მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, გარიგებას იურიდიული შედეგები მოყვებოდა.

ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის ახალი სამოქალაქო კოდექსითაც (165-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები).

მსგავსი ნორმის გათვალისწინება, ჩვენი აზრით, საჭირო იყო ჩვენი ახალი სამოქალაქო კოდექსითაც, რადგან ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში არსებობს და მათი მონესრიგება აუცილებელი იქნება.

**გარიგების შინაარსი.** გარიგება არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად, თუ მისი შინაარსი არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილ წესებს. გარიგების შინაარსი მოიცავს იმ პირობების ერთობლიობას, რასაც იგი ითვალისწინებს. გარიგება უნდა მოიცავდეს ყველა ამ პირობას, სხვაგვარად გარიგება ნამდვილად არ ჩაითვლება.

გარიგების შინაარსი შეიძლება გამომდინარეობდეს კანონის დისპოზიციური მოთხოვნიდან ანდა შესაძლოა უშუალოდ არც იყოს კონკრეტულად გათვალისწინებული კანონით, მაგრამ ემყარებოდეს სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო სანყისებს, ზოგად ნორმებს, კანონმდებლის საერთო აზრს. გარიგება, რომელიც თავისი შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობის ზოგად სანყისებს, არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს.

გარიგების პირობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შესრულების ვადა. თუ გარიგება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, მაშინ ვადის განსაზღვრას მნიშვნელობა აღარ ენიჭება, მაგრამ გარიგებათა უმეტესობა გარკვეული ვადის დანესებას მოითხოვს. ვადა შეიძლება განისაზღვროს კალენდარული თარიღებით (დღეები, თვეები და ა.შ.) ანდა რაიმე მოვლენებთან დაკავშირებით (მაგალითად, ანდერძი თავისთავად არის დაკავშირებული გარდაცვალების მომენტთან).

სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.

### §3. ბათილი გარიგებები

გარიგების ბათილობის ცნება. გარიგების ბათილობა ნიშნავს კანონის ძალით იმ იურიდიული შედეგების არდადგომას, რასაც მხარეები ითვალისწინებდნენ გარიგების დადების დროს. მაგალითად, ბათილი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით მყიდველი ვერ გახდება მესაკუთრე და გამყიდველი ვერ მოსთხოვს მყიდველს საფასურის გადახდას.

გარიგების ბათილობა ნიშნავს, რომ გარიგება არ არსებულა. როგორც წესი, ბათილი გარიგება სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს მისი დადების მომენტიდანვე, ე.ი. ის ბათილად ითვლება თავიდანვე. ასეთია ყველა ბათილი გარიგება, რომელიც უცილოდ, უდაოდ ითვლება ბათილად (ე.წ. არარა გარიგება). რაც შეეხება საცილო ანუ სადაო გარიგებას, მათი უმრავლესობაც ბათილად უნდა ჩაითვალოს დადების მომენტიდან, ე.ი. სასამართლოს გადაწყვეტილებას გარიგების ბათილად ცნობის შესახებ ენიჭება უკუქცევითი ძალა და ასეთი გარიგება ბათილად ითვლება არა სასამართლოს მიერ მის ასეთად ცნობიდან, არამედ თავიდან, დადების მომენტიდან. ამასთან, ზოგიერთი საცილო გარიგება, თავისი ხასიათის მიხედვით, არ შეიძლება დადების მომენტიდან ჩაითვალოს ბათილად, ის მხოლოდ მისი ასეთად ცნობის შემდეგ შეიძლება მოკლებული იქნეს იურიდიულ ძალას, წარსულ პერიოდზე კი ბათილობა არ შეიძლება გავრცელდეს. ასეთია, მაგალითად, რაიმე მომსახურების შესახებ დადებული გარიგების გაბათილება. მომსახურება, სამოქალაქო სამართლის ისეთი ობიექტია, რომ მისი შებრუნება არ დაიშვება, ე.ი. ასეთი გარიგების ბათილად ცნობას არ შეიძლება უკუქცევითი ძალა მიენიჭოს და ის იურიდიულ ძალას მოკლებულად ჩაითვლება მხოლოდ მისი ბათილად ცნობის მომენტიდან.

გარიგება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი მთლიანად ან ნაწილობრივ. მთლიანი ბათილობის დროს გარიგება საერთოდ არ

ნარმოშობს იურიდიულ შედეგებს, ხოლო ნაწილობრივი ბათილობის დროს გარიგების ის ნაწილი, რომელიც არ გაბათილებულა, შეიძლება ინარჩუნებდეს იურიდიულ ძალას.

სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ნაწილის გაბათილება არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე, ე.ი. გარიგების ნაწილის ბათილობა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს გარიგების მთლიანად ბათილობას, თუ ეს ნაწილი გავლენას ახდენს მთლიანად გარიგების ნამდვილობაზე, როცა ამ ბათილი ნაწილის გარეშე საერთოდ არ დაიდებოდა გარიგება.

თუ გარიგების ის ნაწილი, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, ეხება ხელშეკრულების ზოგად პირობებს ანდა ამ ხელშეკრულების არაარსებით ნაწილად იქცა, ხელშეკრულება მთლიანობაში დარჩება ნამდვილად და ჩაითვლება დადებულად. მაგალითად, გარიგებაში, რომელიც არსებითად კანონიერია და ნამდვილად უნდა ჩაითვალოს, მხარეები შეთანხმდნენ დამატებით და დაანესეს ხანდაზმულობის განსხვავებული ვადები. სამოქალაქო კანონმდებლობით, ხანდაზმულობის ვადის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით არ დაიშვება. ამიტომ ამ ნაწილში გარიგება ბათილად ჩაითვლება, მაგრამ დანარჩენ ნაწილში გარიგება დადებულად, ე.ი. ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი.

**ბათილი გარიგების სახეები.** გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მისი შემადგენელი ელემენტების ნამდვილობაზე. ამიტომ ბათილი გარიგებები სახეებად დაიყოფა იმის მიხედვით, თუ ამ გარიგების რომელი ელემენტი იყო დეფექტური, რა ნაკლი აქვს ამ გარიგებას. შესაძლებელია ნაკლი გამოიხატებოდეს გარიგების სუბიექტის არასრულყოფილებაში, მის არაქმედუნარიანობაში, ანდა გარიგების სუბიექტურ მხარეში, ნების არასწორ გამოვლენაში, ანდა ამ ნების საერთოდ არარსებობაში. გარდა ამისა, გარიგების ნაკლი, რომელმაც შეიძლება მისი ბათილობა გამოიწვიოს, შეიძლება

გამოიხატებოდა მისი ფორმის დაუცველობაში, ანდა მისი შინაარსის არასრულყოფილებაში, გარიგების კანონით დადგენილი პირობების გაუთვალისწინებლობაში.

სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით ცივილისტურ ლიტერატურაში განასხვავებენ საერთოდ ბათილი გარიგების ორ სახეს: 1. არარა ანუ უცილოდ ბათილი გარიგება და 2. შესაცილებელი ანუ საცილო ბათილი გარიგება.

უცილოდ (არარა) ბათილია ისეთი გარიგება, რომელიც ყოველგვარი დავის გარეშე ითვლება იურიდიული ძალის არმქონედ თავიდანვე, ხოლო შესაცილებელი (საცილო) ბათილი გარიგებაა ისეთი გარიგება, რომელიც ბათილად შეიძლება ცნობილი იქნეს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როცა ბათილი გარიგების ამ ორი ძირითადი სახის აღმნიშვნელი ტერმინი ახლებურად გამოხატა (უცილოდ ბათილი და საცილო ბათილი გარიგება). ეს ტერმინები გაცილებით უკეთ გამოითქმება, ვიდრე ადრე დამკვიდრებული „არარა“ და „შესაცილებელი“ ბათილი გარიგებები. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ახალი ტერმინებიც არ შეესატყვისება ცნებათა ნამდვილ შინაარსს. მიმაჩნია, რომ შინაარსთან შესაბამისობისა და გამოთქმის გამარტივების მიზნითაც, უმჯობესი იქნება ვინმართ „უდავოდ ბათილი“ და „სადავო ბათილი“ გარიგებები. უცილოდ (უდავოდ) ბათილი გარიგება ისეთი ნაკლის მქონე გარიგებაა, რომ დავას არ იწვევს მისი არანამდვილობა, საცილო (სადავო) გარიგება კი მაშინ შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად, როცა ვინმე დაობს ამ გარიგების ნამდვილობაზე. ასეთ შინაარსს უფრო შეესატყვისება „უდავოდ“ ბათილი და „სადავო ბათილი“ გარიგება, ხოლო როცა ვამბობთ „უცილოდ“ ბათილს და „საცილო“ ბათილ გარიგებას, აქ სიტყვის ძირი „შეცილება“ უფრო სხვა შინაარსს გულისხმობს, თითქოსდა ვინმე ვიღაცას ეცილება რალაცაში. სინამდვილეში შეცილებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ კანონის მოთხოვნის დაცვასთან და თუ ეს მოთხოვნა არაა დაცული,

ასეთი გარიგება ან უდაოდ ითვლება ბათილად, ანდა სადაო ხდება მისი ნამდვილობა და მიმართავენ სასამართლოს ამ გარიგების ბათილად ცნობის შესახებ.

ბათილ გარიგებათა უმეტესობა უცილოდ (უდაოდ) ბათილად ითვლება ისე, რომ საჭირო არ არის ვინმეს მიერ ასეთი გარიგების ბათილობის მოთხოვნა, ხოლო საცილო (სადაო) გარიგებები, რომელიც დაინტერესებული პირის მოთხოვნით უნდა იქნეს ცნობილი ბათილად, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სამი სახისაა: 1. შეცდომით დადებული გარიგება, 2. მოტყუებით დადებული გარიგება და 3. იძულებით დადებული გარიგება.

**შეცდომით დადებული გარიგება.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუკი ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

**არსებით შეცდომად ითვლება:** 1. როცა პირს უნდოდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რაზედაც მან გამოთქვა თავისი თანხმობა; 2. როცა პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა; 3. როცა არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძველად.

შეცდომა შეიძლება დაშვებული იქნეს გარიგების მონაწილე პიროვნებაში – კონტრაქტენტში. კონტრაქტენტის პიროვნების მიმართ შეცდომა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებით შეცდომად, როცა გარიგების დადების მთავარი საფუძველია თვითონ ეს კონტრაქტენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება.

შეცდომა შეიძლება დაშვებული იქნეს აგრეთვე გარიგების უფლებაში, მოტივში, ნების გამოვლენაში. კანონი მიუთითებს, ყველა ასეთი შეცდომა როდის ჩაითვლება არსებით შეცდომად, ე.ი. გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად.

უფლებაში დაშვებული შეცდომა არსებითი მნიშვნელობის იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი იყო ერთადერთი და მთავარი საფუძველი გარიგების დადებისას.



გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს მოტივი შეთანხმების საგანი იყო. სხვა შემთხვევაში მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითი შეცდომა არ არის და ამდენად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი არ შეიძლება იყოს.

ამრიგად, შეცდომით დადებული გარიგება საცილოა ნების გამოვლენაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამო. ნების გამოვლენა შეცდომით არ შეიძლება საცილო გახდეს იმ შემთხვევაში, როცა მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის შესაბამისად, რომელიც საცილოდ ხდის ამ გარიგებას.

გარიგების დადების დროს შეიძლება დაშვებული იქნეს არაარსებითი, წერილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ანდა წერილობით განხორციელებული ნების გამოვლინებაში. ასეთი შეცდომები არ შეიძლება შეცილების, ანუ გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს, ისინი შეიძლება მხოლოდ შესწორდეს.

გარიგება შეიძლება საცილო გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი განხორციელდება ერთი თვის ვადაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან.

კანონი, როგორც ვხედავთ, ადგენს შეცდომით დადებული გარიგების შეცილების ერთთვიან ვადას და არაფერს ამბობს ამ ვადის შეჩერების შესახებ. ცხადია, რომ კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველები, რომლებიც ამ უფლებასთანაა დაკავშირებული, აქაც მოქმედებს და ერთთვიანი ვადა აითვლება ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლის გაუქმებიდან.

გარიგება თუ საცილო გახდა და დადგინდა, რომ შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ ან დაუდევრობის გამო არ იყო ეს მისთვის ცნობილი.

თუ გარიგების დადების დროს შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ შუამავლად გამოყენებულმა პირმა არასწორად შეატყობინა მეორე მხარეს ნების გამოვლენა, ასეთი გარიგება საცილო გახდება ისეთივე პირობით, როგორც ჩვეულებრივი საცილო გარიგების დროს, ე.ი. როცა სახეზე გვაქვს არსებითი შეცდომა.

**მოტყუება-სა დადებული გარიგება.** საცილო (სადაო) გარიგების ერთ-ერთი სახეობაა მოტყუებით დადებული გარიგება. მოტყუება არის პირის შეგნებული (განზრახი) მოქმედება, რომელიც მიმართულია გარიგებაში მეორე მხარის შეცდომაში შესაყვანად თავისი ინტერესების, ან იმ პირის ინტერესების სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გარიგება იდება. სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, „თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“. მაშასადამე, თუ მოტყუება ისეთ ხასიათს ატარებს, რომ გარიგება მის გარეშეც დაიდებოდა, მაშინ ასეთი მოტყუება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველი აღარაა.

გარიგების ბათილობა შეუძლია მოითხოვოს მოტყუებულმა მხარემ მაშინაც, როცა გარიგების დადებისას ერთი მხარე დუმდა იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამომჟღავნებისას მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას. ასეთ შემთხვევაში გამჟღავნების ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მხარე კეთილსინდისიერად ელოდებოდა ამას.

ამასთან, მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლობის მიღებას, თუ მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.

შესაძლებელია გარიგების მონაწილის მოტყუება მოხდეს მესამე პირის მხრიდან. ასეთი მოტყუება გარიგების ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როცა მოტყუების შესახებ იცოდა ან

უნდა სცოდნოდა იმ პირს, ვის სასარგებლოდაც არის გარიგება დადებული.

როგორც ვხედავთ, მესამე პირის მხრიდან მოტყუებით დადებულ გარიგებაში მთავარია, ვის სასარგებლოდ დაიდო ეს გარიგება და როგორ აღიქვამდა მხარე ამ მოტყუებას, კეთილსინდისიერი იყო ის თუ არა კეთილსინდისიერი. თუ მხარემ, ვის სასარგებლოდაც დაიდო გარიგება, არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მესამე პირი ტყუოდა, გარიგება არ გაბათილდება. იმ შემთხვევაში კი, როცა მან იცოდა ამ ტყუილის შესახებ ან უნდა სცოდნოდა, შეცილება მოხდება ამ მხარის მიმართ.

თუ გარიგება დადებულია მოტყუებით მესამე პირის მხრიდან მის სასარგებლოდ და ამ მოტყუების შესახებ გარიგების არცერთმა მხარემ არ იცოდა, პრეტენზია ამ მესამე პირს უნდა განუცხადონ და არა მხარეებს. კანონის აზრიდან გამომდინარე, ასეთი გარიგებაც შეიძლება საცილოდ გახდეს.

თუ მესამე პირის მხრიდან მოტყუების შესახებ იცოდა გარიგების მონაწილე ორივე მხარემ, მაშინ არცერთ მათგანს აღარ აქვს უფლება მოითხოვოს გარიგების ბათილობა (კოდექსის 83-ე მუხლის II ნაწილი).

მოტყუებით დადებული გარიგება საცილო შეიძლება გახდეს ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონე პირმა გაიგო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ. ამ შემთხვევაშიც ერთნაირი ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს კანონით გათვალისწინებული საფუძვლით და მისი ათვლა მოხდება ამ საფუძვლის გაუქმების შემდეგ.

**იძულებით დადებული გარიგება.** საცილო (სადაო) გარიგების ერთ-ერთი სახეა იძულებით დადებული გარიგება. იძულება გულისხმობს ძალადობას და ძალადობის მუქარას. ძალადობა და ძალადობის მუქარა გარიგების დადების დროს უფლებას აძლევს პირს მოითხოვოს ასეთი გარიგების ბათილობა. ასეთივე უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა იძულება თუ იძულების მუქარა მომდინარეობს მესამე პირისაგან.

გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და შთააგრონოს მას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას ემუქრება რეალური საფრთხე.

იმის შესაფასებლად რამდენად რეალურია საფრთხე, რაც იძულებულს ხდის პირს დადოს გარიგება, გათვალისწინებული უნდა იქნეს პირთა ასაკი, სქესი, მათი ცხოვრებისეული გარემოებანი.

იძულება შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო უშუალოდ გარიგების მონაწილე პირის მიმართ, არამედ მისი მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესაეების წინააღმდეგ. ასეთი იძულება ც გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია.

გარდა ამისა, იძულებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო მიზნით ან მართლსაწინააღმდეგო საშუალებებით. გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებია.

იძულებით დადებული გარიგება, ისევე როგორც მოტყუებით დადებული, შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

იმის მიხედვით, თუ რა ნაკლის გამო ხდება გარიგების ბათილობა, განასხვავებენ ბათილი გარიგების შემდეგ სახეებს: 1. გარიგებები, დადებული არასრულფასოვანი სუბიექტების მიერ; 2. გარიგებები, დადებული ნების გამოვლენის დარღვევით; 3. გარიგებები, დადებული კანონით დადგენილი ფორმის დარღვევით და 4. გარიგებები, დადებული არსებითი პირობების დარღვევით ანუ შინაარსის ნაკლით.

არასრულფასოვანი სუბიექტების მიერ დადებული გარიგებები. გარიგების ბათილობის საფუძველია მის მონაწილე სუბიექტთა არასრულფასოვნება. სუბიექტთა ნაკლის გამო ბათილი გარიგება შეიძლება იყოს ორი სახის: 1. გარიგება, რომელიც დადებულია

არაქმედუნარიანი პირის მიერ და 2. არაუფლებაუნარიანი იურიდიული პირის მიერ დადებული გარიგება.

არაქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება ბათილია ყველა შემთხვევაში. კიდევ მეტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად, ბათილია ისეთი პირის მიერ დადებული გარიგება, რომელიც თუმცა არ არის სასამართლოს მიერ ცნობილი არაქმედუნარიანად, მაგრამ სულით ავადმყოფია და მის მიერ ნების გამოვლენა არ შეესაბამება რეალური ვითარების სწორად აღქმას. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიური მოშლილობის დროს.

როგორც უკვე ითქვა, ბათილია არასრულწლოვნის მიერ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება, თუ ეს წარმომადგენელი შემდგომში არ მოინონებს ამ გარიგებას.

ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ბათილია. ასეთი გარიგება ბათილია მაშინაც, როცა სახეზეა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც მხარემ, რომლის კენაც მიმართული იყო გარიგება, დაუყოვნებლივ თქვა უარი მასზე. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის მიერ ამ თანხმობის შესახებ.

არაუფლებაუნარიანი იურიდიული პირის მიერ დადებული გარიგება, რომელიც ბათილად უნდა იქნეს ცნობლი, შეიძლება იყოს ორგვარი: ერთი, გარიგება, რომელიც დადო იურიდიულმა პირმა ისე, რომ გასცდა მისთვის მინიჭებულ სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს და მეორე, როცა გარიგებას დებს იურიდიული პირის ორგანო თავისი უფლებამოსილების გადამეტებით.

იურიდიული პირების საქმიანობის ზოგიერთი სახე, როგორც ცნობილია, მოითხოვს სპეციალურ ნებართვას – ლიცენზიის მიღებას. ასეთი ლიცენზიის მიღების გარეშე იურიდიული პირის ამგვარი საქმიანობა არ დაიშვება და, ცხადია, ასეთი გზით დადებული გარიგება ბათილად იქნება ცნობილი. მოთხოვნა ასეთი გარიგების ბათილად ცნობის შესახებ შეუძლია წააყენოს თვით იურიდიულმა პირმა ან სახელმწიფო ორგანომ, რომელიც ახორციელებს ამ პირთა საქმიანობის კონტროლსა და ზედამხედველობას.

**გარიგებები დადებული ნების გამოვლენის დარღვევით.** ნების გამოვლენის დარღვევით დადებული გარიგება ცორგვარია: 1. გარიგება, რომელიც დადებულია ისე, რომ საერთოდ არ იყო შინაგანი ნების გამოვლენა და 2. გარიგებები, რომელთა დადებისას შინაგანი ნება ფორმულირებული იყო არასწორად.

შინაგანი ნების გარეშე დადებული გარიგებაა ძალადობით, მუქარით, უფლების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგება.

უფლების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგების ბათილობაზე მითითებულია კოდექსის 55-ე მუხლში. ამ მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო იმის გამო, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდლობით (გულუბრყვილობით)“. ასეთი გარიგებაც, ისეთი ქმედებაა, რომელშიც ნების გამოვლენა მოხდა ისე, რომ შინაგანი ნება არ ყოფილა.

გარიგება, რომელშიც შინაგანი ნება არასწორად იყო ფორმულირებული, ისეთი გარიგებაა, რომელშიც ნების გამოვლენა მოხდა ისე, რომ შინაგანი ნება არასწორად იქნა გაცნობიერებული. ასეთია შეცდომით დადებული გარიგება, მოტყუებით დადებული გარიგებები, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი, როცა ვიხილავდით საცილო გარიგებებს. გარდა ამისა, გარიგებებს, რომელშიც შინაგანი ნება არასწორად იყო ფორმულირებული, მიეკუთვნება მოჩვენებითი, თვალთმაქცური და ე.წ. ხუმრობით დადებული გარიგებები.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. ამას ეწოდება ე.წ. თვალთმაქცური გარიგება.

იგივე კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით, ბათილია ნების ისეთი გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. მაგალითად, ერთი პირი მეორეს უდებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ისეთ ნივთზე, რომელიც მას არასდროს ჰქონდა იმ ვარაუდით, რომ მეორე პირი გამოიცნობდა ამ არასერიოზულობას. ასეთ შემთხვევაში ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა არასერიოზულობის შესახებ და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.

**გარიგების ბათილობა კანონით დადგენილი ფორმის დარღვევის გამო.** გარიგების ბათილობას იწვევს კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის

დაუცველობა. ცხადია, კანონი ლაპარაკობს მხოლოდ წერილობითი ფორმის დაუცველობაზე, ზეპირი გარიგების ფორმის დაუცველობა წარმოუდგენელია.

მარტივი წერილობითი ფორმით დადებული გარიგება, მაშინ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი, თუ ეს ფორმა აუცილებელია გარიგების დადებისას, ე.ი. სპეციალურად არის მითითებული კანონში ამის შესახებ.

რაც შეეხება სანოტარო ფორმის დაუცველობას, ის ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას, რადგან ასეთი ფორმის აუცილებლობა პირდაპირ არის მითითებული კანონში ამ გარიგებათა დადების დროს. ასევე ითქმის იმ გარიგებებზე, რომლებიც არა მარტო სანოტარო წესით გაფორმებას მოითხოვენ, არამედ სახელმწიფო რეგისტრაციასაც.

როცა გარიგების დადებისათვის საჭიროა რაიმე ნებართვის მიღება, ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგებაც ბათილია.

გარიგების ბათილობა მისი შინაარსის ნაკლის გამო. გარიგება ბათილად ჩაითვლება, თუ მისი შინაარსი არ პასუხობს კანონით თუ სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ პირობებს, ე.ი. მისი შინაარსი არის დეფექტური.

ასეთ გარიგებას მიეკუთვნება უპირველესად მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგება. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ასეთ გარიგებაში დარღვეულია მისი შინაარსი, კანონით გათვალისწინებული ძირითადი პირობა, რომ გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, ზნეობის ნორმებს და კანონით დადგენილ წესს.

როცა კოდექსი მიუთითებს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებზე, იგულისხმება, რომ ლაპარაკია საერთოდ სამართლით დადგენილი ნორმების, ყველა ნორმატიული აქტის საწინააღმდეგო გარიგებებზე. თუ გარიგების შინაარსი არ შეესაბამება სამართლის



რომელიმე დარგის (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის) ნორმას, ის ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ამორალური ანუ ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების ბათილობა ქართული სამოქალაქო კანონმდებლობის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. ეს ნორმა თავისებურად ბოჭავს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეებს, რომ თავი შეიკავონ ისეთი გარიგებების დადებისაგან, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს. მართალია, ძნელი გადასაწყვეტია იმის დადგენა, თუ რა ჩაითვლება ამორალურად, რადგან ზნეობრივი ნორმები, კანონის ნორმებისაგან განსხვავებით გამოხატული არ არის რაიმე ფორმით, მაგრამ მთავარია გაირკვეს მოცემულ საზოგადოებაში, ჩვენს პირობებში რა ზნეობრივი ნორმებია გაბატონებული და იმის შესაბამისად გადაწყდეს გარიგების ბათილად ცნობის საკითხი.

მართლწინააღმდეგობასთან და ამორალურობასთან ერთად, როგორც დასახელებული მუხლის შინაარსიდან ჩანს, გარიგების ბათილობას იწვევს, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

ჩვეულებრივ საჯარო წესრიგი ან კანონით დადგენილ წესს უნდა მიეკუთვნოს, ანდა მორალურ ნორმებს და თითქოს არც იყო აუცილებელი ამის შესახებ კოდექსში ცალკე მითითება, როგორც ეს გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაშია, მაგრამ, როგორც პროფ. ლ. ჭანტურია წერს, ეს მოდელი ფრანგული სამოქალაქო კოდექსიდან არის გადმოღებული, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს, ოჯახისა და ინდივიდის ძირეული ინტერესების განმსაზღვრელ ნორმებს და მათ საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებათა ბათილობა სათანადო ადგილს დაიჭერს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, დასახელებული შრომა, გვ. 364-365

ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით კანონსაწინააღმდეგო გარიგებისათვის, როცა ასეთი გარიგების დადება მხარეთა მიზანს შეადგენდა, დანესებული იყო მკაცრი სანქცია – გარიგებით მიღებული ჩაირიცხებოდა სახელმწიფო შემოსავალში, ე.ი. ხდებოდა მისი კონფისკაცია. ასეთი წესი შენარჩუნებულია რუსეთის ფედერაციის ამჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსითაც (მუხლი 169).

დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა მსგავსი ნორმა აღარ გაითვალისწინა და დაადგინა ასეთი გარიგების მხოლოდ ბათილობა.

#### **§4. გარიგების ბათილობის წესი და შედეგები**

**გარიგების ბათილობის წესი.** გარიგების ბათილობის წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ბათილ გარიგებასთან გვაქვს საქმე. საცილო (სადავო) გარიგებების ბათილობა აუცილებლად სასამართლომ უნდა მოახდინოს. დაინტერესებული პირი (კანონით ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი) მიმართავს სასამართლოს სარჩელით, რომ გარიგება ჩაითვალოს ბათილად სათანადო საფუძველით. როგორც წესი, საცილო გარიგება არის ყველა ის გარიგება, რომელსაც ნაკლი აქვს მის მონაწილეთა ნების გამოვლენაში. როგორც ზემოთ ითქვა, საცილო გარიგებებს მიეკუთვნება ყველა ის გარიგება, რომელიც დადებულია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით.

საცილო გარიგების თავისებურება ისაა, რომ იგი ინარჩუნებს ძალას მანამ, სანამ ის სადაოდ არ გაუხდიათ და სავალდებულოა მისი შესრულება, ვიდრე ბათილად არ ცნობს მას სასამართლო, თუმცა ასეთი გარიგებაც ბათილია მისი დადების მომენტიდან. ამ გარიგებისათვის

დამახასიათებელია ის, რომ მისი ნაკლი აშკარა კი არაა, არამედ საჭიროებს სასამართლო ნესით დადასტურებას.

რაც შეეხება უცილოდ (უდაოდ) ბათილ გარიგებებს, მათი ბათილობისათვის სავალდებულო არ არის სასამართლოს გადანყვეტილება. ეს ისეთი გარიგებაა, რომლის ნაკლი აშკარაა და იმთავითვე, დადების მომენტიდან ითვლება ბათილად ყოველგვარი დავის გარეშე. იგულისხმება, რომ ასეთი გარიგება უბრალოდ არ არსებობს. ამიტომ არაა საჭირო, რომ ის ბათილად სცნოს რომელიმე ორგანომ. რაკი გარიგება უცილოდ ბათილია, მხარეებს შეუძლიათ ის არ შეასრულონ, რადგან ითვლება, რომ ისინი არ შესულან ერთმანეთთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

უცილოდ ბათილ გარიგებებს მიეკუთვნება არაქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება, გარიგება, რომელიც უნდა გაბათილდეს მისი შინაარსის ნაკლის გამო, მოსაჩვენებლად დადებული გარიგება, კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

საცილო გარიგების გაბათილებისათვის დადგენილია ვადა (1წელი მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებისათვის, 1 თვე შეცდომით დადებული გარიგებისათვის), რომლის გასვლის შემდეგ გარიგება აღარ იქნება ცნობილი ბათილად, ხოლო უცილოდ ბათილი გარიგების გაუქმება საერთოდ არ არის საჭირო, საკმარისია გამოვლინდეს ნაკლი გარიგების რომელიმე ელემენტში, რომელიც ინვევს ამ გარიგების უცილოდ ბათილობას და ყველა ორგანოს, მოქალაქეს თუ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობის შედეგების გამოყენება.

ზოგჯერ ბათილობა ეხება არა მთლიანად გარიგებას, არამედ მის ნაწილს. ასეთ შემთხვევაში ბათილობა შეიძლება არ შეეხოს მთლიან გარიგებას, თუ არსებობს ვარაუდი, რომ გარიგება დადებულად ჩაითვლებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე, ე.ი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რას წარმოადგენს გარიგების ის ნაწილი, რომელიც ბათილად ჩაითვალა. თუ ეს ნაწილი გავლენას მოახდენს

რომელიც ბათილად ჩაითვალა. თუ ეს ნაწილი გავლენას მოახდენს მთლიანად გარიგებაზე, მაშინ ეს გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

კანონი ითვალისწინებს უცილოდ ბათილი გარიგების რეანიმაციის შესაძლებლობასაც, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთ გარიგებას შეიძლება მიენიჭოს კანონიერი, ნამდვილი გარიგების სახე. ეს ხდება, როცა სასამართლო უცილოდ ბათილ გარიგებას ანიჭებს ნამდვილი გარიგების ძალას, მაგალითად, გარიგება, რომლის დადებისათვის საჭიროა მესამე პირთა თანხმობა, შეიძლება დადებულად იქნეს ცნობილი მისი დადების მომენტიდან, თუ ის შემდგომ იქნა მოწონებული ამ პირის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლი). ასევე შეიძლება არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების შემდგომი მოწონება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ, როცა ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე დაიდო გარიგება.

სამოქალაქო კოდექსის 60-61-ე მუხლები ითვალისწინებენ გარიგების ბათილობის შეტყობის შემდეგ მხარეთა უფლებას განსაზღვრონ ამ გარიგების ბედი. თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი გარიგება, თუკი მხარეები გარიგების ბათილობის გაგებისას გამოთქვამენ ამის სურვილს. ამას გარიგების კონვერსია ეწოდება.

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. იმ შემთხვევაში, როცა უცილოდ ბათილი (არარა) გარიგების დამდები პირი ადასტურებს ამ გარიგებას, მისი მოქმედება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას. თუკი უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საექსპოზობისას ვალდებული არიან ერთიმეორეს გადასცენ ყველაფერი, რაც მათ შეხვდებოდათ, გარიგება რომ თავიდანვე ნამდვილი ყოფილიყო. დადასტურება მხოლოდ მაშინ

გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ენიშნააღმდეგება ზნეობის ნორმებსა და ნებსრიგის მოთხოვნებს.

გარიგების ბათილობის შედეგები. გარიგების ბათილობას ენიჭება დიდი იურიდიული მნიშვნელობა, რადგან მას გარკვეული შედეგები მოჰყვება. როცა გარიგება, რომელიც უნდა გაბათილდეს, სისრულეში არ არის მოყვანილი, საკითხი იოლად გადასაწყვეტია, რადგან ასეთ შემთხვევაში ბათილად გამოცხადდება ეს გარიგება და მას არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. უფრო რთული გადასაწყვეტია საკითხი, როცა გარიგება შეასრულა ორივე მხარემ ან ერთმა მხარემ მაინც. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, აღდგენილი უნდა იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა, თითოეულმა მხარემ უნდა დააბრუნოს ის, რაც მეორე მხარისაგან მიიღო. გარიგებით ძირითადად სრულდება ქონებრივი ვალდებულება, გადაეცემა ნივთი, შესრულდება სამუშაო, გადახდილი იქნება თანხა და ა.შ. ამიტომ, როცა საუბარია გარიგების ბათილობის შედეგებზე, იგულისხმება სწორედ ქონებრივი შედეგები.

გარიგების ბათილობის დროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას რესტიტუცია ეწოდება. რესტიტუცია შეიძლება იყოს ორმხრივი, როცა ორივე მხარე აბრუნებს იმას, რაც მიიღო და ცალმხრივი, როცა მხოლოდ ერთი მხარე, რომელმაც შეასრულა ვალდებულება, აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას, ე.ი. იღებს იმას, რაც მან გაიღო მეორე მხარის სასარგებლოდ.

ახალი სამოქალაქო კოდექსი, რატომღაც, არ გამოყოფს სპეციალურ მუხლს, რომელიც გარიგების ბათილობის შედეგებს გაითვალისწინებდა. ადრე მოქმედი კოდექსით ორი მუხლი ითვალისწინებდა გარიგების ბათილობის შედეგებს (48 და 49). ერთი ეხებოდა, ჩვეულებრივ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას გარიგების ბათილობის შემდეგ, ხოლო მეორე (49-ე) ითვალისწინებდა გარკვეულ სანქციებს კანონსაწინააღმდეგო განზრახვი გარიგების დადებისათვის. როგორც ზემოთ ითქვა, რუსეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსში ამჟამადაც არის ანალოგიური მუხლები.

გარიგების ბათილობის დროს სანქციების გამოყენება, რესტიტუციის დაუშვებლობა, ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვა, სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ და ის სწორად იქნა ამოღებული სამოქალაქო კოდექსიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, მას მეორე მუხლიც მიაყოლეს, რომელიც საერთოდ რესტიტუციას ითვალისწინებდა. ჩემი აზრით, საჭირო იყო კოდექსს ცალკე მუხლით ეთქვა, თუ რა ქონებრივი შედეგები მოჰყვება გარიგების ბათილობას.

მიუხედავად ამისა, კანონის საერთო აზრიდან გამომდინარე, სადავო არ არის, რომ გარიგების ბათილობის დროს, როცა გარიგება შესრულებულია, უნდა მოხდეს რესტიტუცია, ორივე მხარის მიერ გარიგების შესრულებისას ორმხრივი რესტიტუცია და ერთი მხარის მიერ შესრულებისას ცალმხრივი რესტიტუცია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კოდექსის ზოგიერთი მუხლი პირდაპირ მიუთითებს, თუ რა შედეგი მოჰყვება გარიგების ბათილობას ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ნების არასერიოზულობის გამო ბათილად ცნობილი გარიგებისას, ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ეს ნება არასერიოზული იყო.

იგივე კოდექსის 79-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, თუ საცილო გახდა გარიგება და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ ან დაუდევრობის გამო ეს უცნობი იყო მისთვის.

სამწუხაროდ, კოდექსი არაფერს ამბობს მოტყუებით და იძულებით დადებული გარიგების ბათილობისას ზიანის ანაზღაურებაზე.

მითითებულია მხოლოდ ის, რომ, თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არცერთ მათგანს არ შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება (83-ე მუხლის მეორე ნაწილი). რა დააშავა იმ პირმა, რომელიც მოატყუეს და აიძულეს, რომ გარიგება დაედო? ვფიქრობთ, ეს ხარვეზი კოდექსში უნდა შეივსოს. მანამ, სანამ ეს ხარვეზი არ შეივსება, უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო წესები ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ და უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ.

პრაქტიკულად საინტერესოა საკითხის გადაწყვეტა, როცა ბათილი გარიგება საფუძვლად დაედო სხვა იურიდიულად სწორ გარიგებას. რა ბედი უნდა ენიოს ამ შემთხვევაში ამ სწორ გარიგებას? სამართლიან და ლოგიკურად გამართლებულ მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ლ. ჭანტურია: „თუ ვინმე მოტყუებით ჩემგან იაფად იყიდის ჩემს ქონებას და შემდეგ ეს მყიდველი თავის მხრივ მიჰყიდის კეთილსინდისიერ მესამე პირს – ახალ მყიდველს, პირველი გარიგების ნამდვილობაზე იქნება დამოკიდებული მეორის ბედი. მოტყუების ნიადაგზე პირველის ბათილობა მეორის ბათილობასაც გამოიწვევს და კეთილსინდისიერი მყიდველი ვალდებული იქნება ქონება დაუბრუნოს მოტყუებულ მხარეს“.<sup>1</sup>

მართალია აქ ლაპარაკია მხოლოდ მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობაზე, მაგრამ, ვფიქრობ, ეს წესი უნდა გავრცელდეს სხვა ბათილ გარიგებებზეც და სასურველი იქნება, თუ ეს კანონშიც აისახება.

---

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997. გვ. 246.

# თავი IX

## წარმომადგენლობა და მინდობილობა

§1. წარმომადგენლობის ცნება და სახეები. §2. წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები. წარმომადგენლის უფლებამოსილება. §3. მინდობილობა. §4. წარმომადგენლობის შეწყვეტა. §5 წარმომადგენლობა უფლებამოსილების გარეშე.

### §1. წარმომადგენლობის ცნება და სახეები

წარმომადგენლობის ცნება და მნიშვნელობა. გარიგების დადება თუ სხვა მართლზომიერი მოქმედების შესრულება პირს შეუძლია როგორც უშუალოდ, პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ცხადია, უმჯობესია, პირმა პირადად შეასრულოს ყველა მართლზომიერი მოქმედება, მაგრამ საკმაოდ ხშირად მას ამის საშუალება არ გააჩნია (არაქმედუნარიანია, ავადაა, ადგილზე არ იმყოფება, არ გააჩნია საკმაო ცოდნა და გამოცდილება და ა.შ.). ამიტომ კანონმდებელმა დაანესა წარმომადგენლობის ინსტიტუტი.

წარმომადგენლობა არის სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის თანახმადაც გარიგება თუ სხვა მართლზომიერი იურიდიული მოქმედება, რომელსაც ასრულებს ერთი პირი (წარმომადგენელი) მეორე პირის (წარმოდგენილის) სახელით, უშუალოდ წარმოშობს, ცვლის ან სპობს სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს ამ მეორე პირის (წარმოდგენილის) მიმართ.

წარმომადგენლობაში მონაწილეობს ორი პირი: წარმომადგენელი და წარმოდგენილი. პირი, რომელიც მოქმედებს სხვისი სახელით, იწოდება წარმომადგენლად, ხოლო მეორე პირი, ვისი სახელითაც მოქმედებენ — წარმოდგენილად. პირველს უფლება აქვს იმოქმედოს მეორის სახელით, ხოლო მეორე — წარმოდგენილი მოვალეა მიიღოს თავის თავზე ყველა



ის უფლება და მოვალეობა, რაც გამომდინარეობს ნარმომადგენლის მოქმედებიდან, მის მიერ დადებული გარიგებიდან.

ნარმომადგენელი მოქმედებს თავისი ნებით და არა ნარმოდგენილი პირის სურვილით.

ნარმომადგენლობაში ნარმომადგენელთან და ნარმოდგენილ პირთან ერთად მონაწილეობს მესამე სუბიექტიც. ეს არის მესამე პირი, რომელთანაც ნარმომადგენლობის მეშვეობით მყარდება სამართლებრივი ურთიერთობა.

ნარმოდგენილი პირი შეიძლება იყოს ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მიუხედავად ქმედუნარიანობისა. რაც შეეხება ნარმომადგენელს, ამ როლში ყველა არ შეიძლება გამოვიდეს. როგორც წესი, ნარმომადგენელი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ წესიდან აწესებს გამონაკლისს და მიუთითებს, რომ ნარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა ნარმომადგენელი შეზღუდული ქმედუნარიანი იყო. ეს წესი გამოიყენება უმთავრესად მაშინ, როცა იურიდიული პირის ნარმომადგენელი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში სრულწლოვნებას მიღწეული არ არის, მაგრამ შრომით ურთიერთობაში მონაწილეობს.

გარდა ამისა, კანონით ზოგიერთ პირს შეიძლება პირდაპირ ჰქონდეს აკრძალული ნარმომადგენლად გამოსვლა (მაგალითად, ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხული ადვოკატი, მთავარი ბუღალტრის მიერ მის სამუშაო ადგილზე ბანკიდან ფულის გამოტანის აკრძალვა და სხვა).

მესამე პირის სახით ნარმომადგენლობაში, რომელთანაც ნარმომადგენელი სდებს გარიგებას ნარმოდგენილის სახელით, შეიძლება გამოდიოდეს სამოქალაქო სამართლის ნებისმიერი სუბიექტი. ერთადერთი გამონაკლისია დაშვებული კანონით, როცა ნარმომადგენელს არ შეუძლია დადოს გარიგება თავის თავთან. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, ნარმომადგენელს არ შეუძლია, თუკი თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან

როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა დადოს გარიგებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

**წარმომადგენლობის გამიჯვნა სხვა მსგავსი ურთიერთობებისაგან.** წარმომადგენლობა გარეგნულად მსგავსია ისეთი საწართლებრივი ურთიერთობებისა, როგორიცაა კომისიონერი, შუამავლობა (ბროკერობა), წარგზავნილობა. მიუხედავად მსგავსებისა, მათი იურიდიული ბუნება იმდენად განსხვავებულია, რომ არ შეიძლება რომელიმე მათგანის გაიგივება წარმომადგენლობასთან.

განსაკუთრებით ახლოს დგას წარმომადგენელთან კომისიონერი. კომისიონერი არა მარტო ტექნიკურად ეხმარება თავის კლიენტებს, არამედ გარიგებებსაც დებს მათი ინტერესების ფარგლებში, მათ ანგარიშზე. განსხვავება ისაა, რომ კომისიონერი მესამე პირებთან გარიგებებს დებს თავისი სახელით, თვითონ მოიპოვებს უფლებებსა და მოვალეობებს და მხოლოდ შემდეგ ასწორებს ანგარიშს თავის კლიენტებთან. წარმომადგენელი კი მესამე პირებთან გარიგებებს დებს წარმოდგენილი პირის სახელით, ამ უკანასკნელის მიმართ წარმოიშობა უფლებები და მოვალეობები. ანალოგიური განსხვავება არის წარმომადგენლობასა და სხვა მსგავს ურთიერთობებს შორის, როცა მესამე პირების ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ, მაგრამ თავისი სახელით.

**ბროკერი (შუამავალი),** ისევე როგორც წარმომადგენელი, აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო ურთიერთობებში, დახმარებას უწევს მხარეებს გარიგებათა დადებაში, მაგრამ ეს დახმარება მხოლოდ ტექნიკურ ხასიათს ატარებს, მას იურიდიულად რაიმე კავშირი არა აქვს მხარეთა შორის გარიგების დადებასთან, მხარეები თვითონ გამოთქვამენ ნებას დადონ თუ არა გარიგება, თანხმდებიან ფასზე და გარიგების სხვა პირობებზე. შუამავალი მათ ეხმარება პარტნიორების პოვნაში, პირობების გაცნობაში, მაგრამ თავისი სახელით არავითარ მოქმედებას არ ასრულებს. გარიგება იდება თვით მხარეთა მიერ,

მათივე სახელით და უფლება-მოვალეობებიც მათ წარმოეშობათ გარიგების შედეგად. წარმომადგენელი კი წარმოდგენილის სახელით, მაგრამ თვითონ დებს გარიგებას, თვითონ გამოხატავს ნებას ამ გარიგების დასადებად, განსაზღვრავს გარიგების ფორმასა და პირობებს.

**წარგზავნილი პირი** გარკვეულ როლს ასრულებს გარიგების დადებაში, ის გადასცემს ერთი მხარის დანაბარებს მეორე მხარეს, მის სურვილს, ნებას, მაგრამ სრულად არ გამოხატავს თავის ნებას (მას შეუძლია მხოლოდ უბრალოდ გამოთქვას თავისი აზრი დამბარებლის სურვილზე). ამიტომ წარგზავნილი პირი შეიძლება იყოს არაქმედუნარიანიც, რამდენადაც ის, რაც მას დააბარეს, სავალდებულო არ არის მეორე მხარისათვის. წარმომადგენელი კი ყოველთვის მოქმედებს თავისი ნებით, რის გამოც ის აუცილებლად ქმედუნარიანი უნდა იყოს (შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მაინც).

**წარმომადგენლობის სახეები.** წარმომადგენლობა ძირითადად არსებობს ორი სახის: **სავალდებულო ანუ კანონიერი წარმომადგენლობა** და **ნებაყოფლობითი ანუ სახელშეკრულებო წარმომადგენლობა.**

**სავალდებულო (კანონიერი) წარმომადგენლობა** – არის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც ვინმეს სურვილზე კი არაა დამოკიდებული, არამედ თვით კანონითაა განსაზღვრული არა მარტო ის, თუ ვინ უნდა იყოს წარმომადგენელი, არამედ რა უფლებამოსილება აქვს ამ წარმომადგენელს.

**სავალდებულო (კანონიერი) წარმომადგენელი** ჰყავს სამოქალაქო ურთიერთობებში ყველა არაქმედუნარიან პირს, როგორც ჯანმრთელობის, ისე ასაკის გამო ასეთად ცნობილ პირებს. ასეთი წარმომადგენელია მშობელი არასრულწლოვანი შვილებისათვის, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი, რომელთა უფლებამოსილება კანონით განისაზღვრება.

ნებაყოფლობითი (სახელშეკრულებო) წარმომადგენლობა არის ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც წარმოიშობა წარმოდგენილი პირის სურვილით, რომელიც ირჩევს, თუ ვინ იქნება მისი წარმომადგენელი და რა უფლებამოსილება უნდა გადასცეს მას. ასეთ წარმომადგენელთან წარმოდგენილი პირი აფორმებს შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრება, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მან მესამე პირებთან ურთიერთობაში.

არსებობს აგრეთვე ე.წ. კომერციული წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ეს სახე განსხვავდება ჩვეულებრივი წარმომადგენლობისაგან. კომერციული წარმომადგენელი არის პირი, რომელიც მუდმივად და დამოუკიდებლად გამოდის მწარმეთა სახელით მათ მიერ ხელშეკრულებების დადების დროს სამწარმეო სფეროში. კომერციულ წარმომადგენლობას აქვს სპეციფიკური თავისებურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მას ერთდროულად შეუძლია იყოს გარიგებაში სხვადასხვა მხარის წარმომადგენელი. ეს დაიშვება მაშინ, როცა ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული კანონში ანდა მხარეები ამის თანახმა არიან.

კომერციული წარმომადგენლის უფლებამოსილება პირდაპირ უნდა აისახოს ხელშეკრულებაში, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, ანდა აღინიშნოს მისთვის მიცემულ მინდობილობაში.

## **§2. წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები. წარმომადგენლის უფლებამოსილება**

**წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები.** წარმომადგენლობის წარმოშობისათვის პირველ რიგში აუცილებელია წარმოდგენილი პირის ნება, მისი სურვილი გადასცეს თავისი უფლებამოსილება წარმომადგენელს. მაგრამ მარტო ეს არ არის

საკმარისი. საჭიროა კიდევ სხვა იურიდიული ფაქტი, რომელიც სპეციალურად არის მითითებული კანონში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლით წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა გარიგების ხასიათიდან გამომდინარე იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.

წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძველი ან კანონით არის გათვალისწინებული, ან ხელშეკრულებით განისაზღვრება, ანდა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული აქტი.

კანონისა და ხელშეკრულების გარდა, წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული აქტი. ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე წარმომადგენლობა წარმოიშობა მაშინ, როცა წარმომადგენელს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ევალება იმოქმედოს მისი სახელით. ასეთი შემთხვევები ხდება მაშინ, როცა იურიდიული პირის ორგანო გამოსცემს ბრძანებას, რომლის მიხედვითაც მუშაკი ინიშნება თანამდებობაზე, რომელსაც ევალება შეასრულოს წარმომადგენლის ფუნქციები (დადოს გარიგება, შეადგინოს იურიდიული აქტები, იყოს წარმომადგენელი სასამართლოში და ა.შ.). ასეთი წარმომადგენლის უფლებამოსილება განისაზღვრება ბრძანებით (ადმინისტრაციული აქტით), ან ინსტრუქციით ანდა თვით მუშაკის საქმიანობის ხასიათით (გამყიდველი, მოლარე და სხვა).

წარმომადგენლის უფლებამოსილება. წარმომადგენელი ყოველთვის მოქმედებს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მისი მოქმედებით წარმომადგენელი პირის მიმართ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ ამის უფლებამოსილება ჰქონდა მას მინიჭებული. თუ წარმომადგენელმა გადააჭარბა მინიჭებულ უფლებამოსილებას,

წარმოდგენილი პირი პასუხს არ აგებს იმ ვალდებულებებისათვის, რაც წარმოიშობა წარმომადგენლის მიერ მესამე პირებთან დადებული გარიგების შედეგად.

წარმომადგენლის უფლებამოსილება არის მისი შესაძლებელი ქცევის ზომა მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამიტომ წარმომადგენელს სწორედ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია დადოს გარიგება მესამე პირებთან ან შეასრულოს სხვა იურიდიული მოქმედება წარმოდგენილი პირის სახელითა და ინტერესების გათვალისწინებით.

სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა, ასეთი უფლებამოსილების არსებობა.

თუ წარმომადგენელი გარიგების დადებისას არ მიუთითებს მის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულერთია ვისთან დადებს გარიგებას.

სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილებაში ცვლილებები ან მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.

### §3. მინდობილობა

მინდობილობის ცნება. ნარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის ნარმოდგენილი პირის მიერ მიცემული განსაკუთრებული წერილობითი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც მინდობილობა ეწოდება, ე.ი. მინდობილობა არის წერილობითი უფლებამოსილება, რომელსაც ერთი პირი აძლევს მეორეს მესამე პირებთან ნარმომადგენლობისათვის.

მინდობილობა უმთავრესად გაიცემა სახელშეკრულებო (ნებაყოფლობითი) ნარმომადგენლობისათვის. მინდობილობის მიცემისა და მისთვის იურიდიული ძალის მინიჭებისათვის საჭირო არ არის ნარმომადგენლის თანხმობა. ეს იმით აიხსნება, რომ მინდობილობის მიცემით, მისთვის უფლებამოსილების მინიჭებით არ ილახება მისი საკუთარი სამოქალაქო უფლებები. ამით მას მხოლოდ უფლება ეძლევა იმოქმედოს ნარმოდგენილი პირის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა ხელშეკრულებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის გამოხატავს ნარმომადგენლობის გარეგან ეფექტს, მაშინ, როცა ხელშეკრულება არეგულირებს ნარმომადგენლის ან ნარმოდგენილის შინაგან ურთიერთობებს. მინდობილობა ამყარებს სამართლებრივ კავშირს ნარმოდგენილ პირსა და მესამე პირებს შორის ნარმომადგენლის მეშვეობით. მინდობილობის საშუალებით მესამე პირები გებულობენ, თუ რა უფლებამოსილება აქვს ნარმომადგენელს. ხელშეკრულება, რომელიც მინდობილობის საფუძველია არ ეხება მესამე პირებს. ყველა გარიგება თუ სხვა იურიდიული მოქმედება, რომელიც ნარმომადგენელმა შეასრულა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სავალდებულოა ნარმოდგენილი პირისათვის. თუ ნარმომადგენელსა და ნარმოდგენილს შორის დადებულ ხელშეკრულებასა და მის საფუძველზე გაცემულ მინდობილობას შორის ნარმოიშობა წინააღმდეგობა, იურიდიულ ძალას

ინარჩუნებს ის უფლებამოსილება, რომელიც დაფიქსირებული იყო მინდობილობაში და არა ხელშეკრულებაში.

მინდობილობა არის ცალმხრივი გარიგება, რომელიც დაიდება მისი გამცემის ნებით. მინდობილობა შეიძლება მიეცეს არა მარტო ფიზიკურ პირს, არამედ იურიდიულ პირსაც, როცა ეს იურიდიული პირი ფლობს არა ზოგად, არამედ სპეციალურ უფლებაუნარიანობას მისი მიზნების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში იურიდიული პირი მოქმედებს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ფიზიკური პირია.

**მინდობილობის სახეები.** მინდობილობა, თავისი ხასიათითა და მოცულობით შეიძლება იყოს ზოგადი ანუ გენერალური, სპეციალური და ერთჯერადი.

ზოგადი (გენერალური) არის მინდობილობა, რომელიც წარმომადგენელს ანიჭებს უფლებამოსილებას დადოს მრავალნაირი გარიგება ან შეასრულოს სხვა იურიდიული მოქმედება, რაც დაკავშირებულია წარმოდგენილი პირის მთელ საქმიანობასთან. ასეთია, მაგალითად, მინდობილობა, რომელიც უფლებას ანიჭებს პირს გაასხვისოს ქონება, გააქირაოს, ჩაუტაროს რემონტი და სხვა.

სპეციალურია მინდობილობა, რომელიც, მართალია, მრავალგვარი მოქმედების შესრულების უფლებამოსილებას ანიჭებს წარმომადგენელს, მაგრამ მასში ან შემოფარგლულია ის გარიგებები, რაც მას შეუძლია დადოს და ის მოქმედებები, რაც უნდა შეასრულოს, ანდა კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ეს გარიგებები და მოქმედებები. სპეციალური მინდობილობაა, მაგალითად, ადვოკატისათვის გაცემული ორდერი საქმის სასამართლოში სანარმოებლად.

ერთჯერადია მინდობილობა, რომელიც გაიცემა ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად ან კონკრეტული გარიგების დასადებად. ასეთია, მაგალითად, მინდობილობა საფოსტო გზავნილებათა მისაღებად, ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, აქტის შესადგენად და სხვა.



**მინდობილობის მოთხოვნები.** მინდობილობა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთა გარეშე მისი იურიდიული ძალმოსილება სადავო გახდება.

იმის გამო, რომ მინდობილობა გარიგებაა, ის უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გარიგებისთვისაა საჭირო, ე.ი. გარიგების ყველა ელემენტი (სუბიექტები, ნების გამოვლენა, ფორმა და შინაარსი) აუცილებელია მინდობილობისათვის.

მინდობილობის სუბიექტებია ნარმოდგენილი და ნარმომადგენელი, ე.ი. ვინც გასცა იგი და ვისაც მიეცა.

ნების გამოვლენა მინდობილობაში ცალმხრივია, მისი გამცემი ანუ ნარმოდგენილი პირი გამოხატავს ნებას, რომ გარკვეული უფლებამოსილება გადასცეს ნარმომადგენელს. მართალია, იმისათვის, რომ განხორციელდეს მინდობილობაში მითითებული უფლებამოსილება, საჭიროა ნარმომადგენლის გარკვეული მოქმედება, მაგრამ მინდობილობის, როგორც ცალმხრივი გარიგების ხასიათზე, ეს არ ახდენს გავლენას. მინდობილობა, როგორც გარიგება, დადებულია ითვლება მისი გამცემის (ნარმოდგენილის) ნების გამოვლენის შედეგად. ამიტომ იგი ცალმხრივი გარიგებაა.

მინდობილობის ფორმა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ის ყოველთვის ნერილობითი ფორმით უნდა გაიცეს. უამისოდ მინდობილობა არ არსებობს. ზეპირი ფორმით შეიძლება მოხდეს შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ნარმოიშობა ნარმომადგენლობა და შემდეგ გაიცემა მინდობილობა, რომელშიც ნერილობით დაფიქსირდება, თუ რა უფლებამოსილება ენიჭება ნარმომადგენელს.

მინდობილობა ჩვეულებრივ შეიძლება გაიცეს მარტივი ნერილობითი ფორმით ანდა რაიმე განსაკუთრებული დოკუმენტის სახით, რომელსაც მინდობილობის ხასიათი მიეცემა, მაგალითად, რაიმე ნერილის, ტელეგრამის ფორმით, ფაქსით, ხელშეკრულების ნაწილით, რომელშიც მითითებული იქნება მინიჭებული უფლებამოსილება და სხვა

რეკვიზიტები, რაც აუცილებელია მინდობილობისათვის. მინდობილობის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სხვა რომელიმე წერილობითმა დოკუმენტმაც, მაგალითად, ფილიალის დირექტორის სამსახურებრივი მონმობა, დაზღვევის აგენტის პირადობის მონმობა, მძღოლზე გაცემული საგზური და სხვა.

ზოგიერთ შემთხვევაში, მინდობილობა, რომელიც შედარებით მნიშვნელოვან უფლებამოსილებას ანიჭებს წარმომადგენელს, მოითხოვს განსაკუთრებულ ფორმას, სანოტარო წესით დამონმებას. ასეთია მინდობილობა, რომელიც ისეთი გარიგების დადების უფლებას ანიჭებს პირს, რომელიც მოითხოვს სანოტარო წესით დამონმებას. სანოტარო წესით დამონმებას მიეკუთვნება არა მარტო ნოტარიუსის მიერ მინდობილობის დამონმება, არამედ მოსამართლის თუ სხვა თანამდებობის პირების მიერ დამონმებაც, რომელთაც კანონით აქვთ მინიჭებული სანოტარო მოქმედების შესრულების უფლება.

მინდობილობა, რომელსაც გაცემს იურიდიული პირი, არ საჭიროებს სანოტარო წესით დამონმებას. ასეთი მინდობილობა უნდა დაამონმოს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ხელისმონერით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ნების გამოვლენას წარმომადგენლობაში არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დადგენილია ამისათვის სპეციალური ფორმა.

მინდობილობის შინაარსი უნდა მიუთითებდეს წარმოდგენილის და წარმომადგენლის ვინაობას, კონკრეტულად უნდა იყოს ნათქვამი, თუ ვინ უნდა შეასრულოს მოქმედება, ერთმა თუ რამდენიმე პირმა, ასევე ის უნდა შეიცავდეს იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, რასაც წარმომადგენელს ანიჭებს წარმოდგენილი, აგრეთვე ვადას, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ეს მინდობილობა.

## §4. წარმომადგენლობის შეწყვეტა

წარმომადგენლობის შეწყვეტის ცნება. წარმომადგენლობის შეწყვეტა ნიშნავს იმ უფლებამოსილების გაქარწყლებას, რომელიც წარმომადგენელს უფლებას აძლევდა ემოქმედა წარმოდგენილი პირის სახელით და რომლის შემდეგ ამ მოქმედებას აღარ მოჰყვება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

წარმომადგენლობა შეიძლება შეწყდეს მხარეთა ნებით ან მათი ნების გარეშე, შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში ან ამ ვადის გასვლამდე. ყველა შემთხვევაში, წარმომადგენლობის შეწყვეტას რომ სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს, მას რომ იურიდიული ძალა დაეკარგოს, საჭიროა სახეზე იყოს მისი გაუქმების კანონში მითითებული საფუძველი.

წარმომადგენლობის შეწყვეტის საფუძვლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რაც იწვევს წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაქარწყლებას. ეს საფუძვლები შემდეგია:

1. იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
2. უფლებამოსილი პირის უარი;
3. უფლებამოსილების გამცემის მიერ უფლებამოსილების გაუქმება;
4. უფლებამოსილების გამცემის სიკედილი ან მისი არაქმედუნარიანობის დადგომა, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
5. უფლებამოსილების შესრულება.

როგორც ვხედავთ, უფლებამოსილების გაქარწყლების ანუ წარმომადგენლობის გაუქმების პირველი საფუძველი არის მისი ვადის გასვლა; ვადაგასული უფლებამოსილება იურიდიულ შედეგს არ წარმოშობს. უფლებამოსილების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია წარმომადგენლის ნება, მის მიერ უფლებამოსილების შესრულებაზე

უარის თქმა. ასეთი უარის თქმა წარმომადგენელს ყოველთვის შეუძლია. ასეთივე უფლება აქვს მინიჭებული წარმოდგენილ პირს, ანუ უფლებამოსილების გამცემს. მას შეუძლია ნებისმიერ მომენტში გააუქმოს გაცემული უფლებამოსილება, ძალადაკარგულად გამოაცხადოს რწმუნებულისათვის მიცემული მინდობილობა.

წარმომადგენლობა შეწყდება აგრეთვე, თუ უფლებამოსილება, რაც მიცემული ჰქონდა წარმომადგენელს, უკვე შესრულდა. შესრულება გულისხმობს იმ კონკრეტული მოქმედების შესრულებას, რისთვისაც უფლებამოსილება იყო გაცემული.

განსხვავებული შედეგია გათვალისწინებული უფლებამოსილების შეწყვეტისათვის მისი გამცემის სიკვდილის თუ არაქმედუნარიანად ცნობის შემთხვევაში. კანონი პირდაპირ, ყველა შემთხვევაში არ მიიჩნევს ამ გარემოებებს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლად. კანონის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში უფლებამოსილება ნყდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კანონმდებელს მხედველობაში აქვს, როცა შეთანხმება უფლებამოსილების გადაცემის შესახებ ითვალისწინებს სხვა რაიმეს დასახელებული შედეგების დადგომისას (სიკვდილი და არაქმედუნარიანობა), ვთქვათ, როცა შეთანხმებით წარმომადგენლის სიკვდილის შემთხვევაში უფლებამოსილება უნდა გადავიდეს მის მემკვიდრეზე, ანდა არაქმედუნარიანობის დადგომისას მეურვეზე ან მზრუნველზე.

უფლებამოსილების გაქარწყლება თავისთავად ნიშნავს წარმომადგენლობის გაუქმებას. ამის შემდეგ წარმომადგენელს აღარა აქვს უფლება რაიმე მოქმედება შეასრულოს წარმოდგენილის სახელით და თუ შეასრულებს, მას იურიდიული შედეგი არ მოჰყვება. კანონი ავალდებულებს წარმომადგენელს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს მის გამცემ პირს მინდობილობა თუ სხვა საბუთი, რაც მას უფლებამოსილებას ანიჭებდა. სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს

უფლებამოსილების გამცემს. საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

ასეთი კატეგორიული მოთხოვნა კანონმდებელმა შემთხვევით არ დაადგინა. გაუქმებული და ვადაგასული მინდობილობით, თუ სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით არ უნდა შესრულდეს რაიმე მოქმედება, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული თვალსაზრისით. გაუქმებული და გაყალბებული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთებით ჩატარებული მოქმედებები დიდ ზიანს აყენებენ როგორც მოქალაქეებს, ისე იურიდიულ პირებს.

## **§5. წარმომადგენლობა უფლებამოსილების გარეშე**

უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობის ცნება. წარმომადგენლობისათვის ჩვეულებრივ აუცილებელია, რომ ერთმა პირმა – წარმოდგენილმა მეორეს – წარმომადგენელს გადასცეს გარკვეული უფლებამოსილება. ეს აუცილებელი პირობაა წარმომადგენლობისათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, საბაზრო ეკონომიკის სფეროს გაფართოების პირობებში, იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ერთი პირი მოქმედებს მეორის სახელით მისი ინტერესების დასაცავად ისე, რომ საერთოდ არ არსებობს მათ შორის რაიმე წინასწარი შეთანხმება ასეთი წარმომადგენლობის შესახებ, ანდა შეიძლება იყოს წინასწარი მოლაპარაკება, მაგრამ მინდობილობა არ იყოს გაფორმებული ან არასწორად იყოს გაფორმებული, შესაძლოა მინდობილობის ვადა იყოს გასული და მაინც იმოქმედოს წარმომადგენელმა წარმოდგენილი პირის სახელით. ასევე შეიძლება თვით წარმოდგენილმა პირმა, ე.ი. უფლებამოსილების გამცემმა გააუქმა ეს უფლებამოსილება და ასეთ პირობებში მოქმედებს წარმომადგენელი. შესაძლებელია შემთხვევა, როცა უფლებამოსილება აქვს პირს, მაგრამ ის სცილდება ამ უფლებამოსილების ფარგლებს და

ისე მოქმედებს, დებს გარიგებას სხვა პირის სახელით მისი ინტერესების დასაცავად. ეს ნიშნავს, რომ ის ყალბი, მოჩვენებითი უფლებამოსილებით მოქმედებს. ყველა ასეთი შემთხვევა უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობაა.

ამრიგად, წარმომადგენლობა უფლებამოსილების გარეშე არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ერთი მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით და ინტერესით ისე, რომ ან საერთოდ არა აქვს მიცემული უფლებამოსილება, ანდა ეს უფლებამოსილება გაქარწყლებული ან ყალბია.

უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობის სამართლებრივი შედეგები. როგორც წესი, უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება თუ სხვა იურიდიული მოქმედება სხვა პირის სახელითა და ინტერესის შესაბამისად, არ წარმოშობს რაიმე იურიდიულ შედეგებს, მაგრამ კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როცა ამას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული სამართლებრივი შედეგები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე“. ე.ი. თუ წარმოდგენილი პირი თანხმობას არ განაცხადებს, უფლებამოსილების გარეშე დადებული ყველა გარიგება იურიდიულ ძალას მოკლებულია.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ ამ თანხმობის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაცემული იქნეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში; თუ ამ ვადაში თანხმობა არ გაიცა, ითვლება, რომ მოთხოვნა უარყოფილია და, ცხადია, გარიგების დადებას თუ სხვა მოქმედების შესრულებას რაიმე იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.

წარმოდგენილი პირის მიერ გარიგების დადების შემდეგ მიცემული თანხმობა ამ გარიგების ნამდვილობის შესახებ

ცალმხრივი ნების გამოვლენა, ე.ი. ცალმხრივი გარიგებაა. ასეთი თანხმობა შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობითი ფორმით (წერილი, დეკლარაცია, ფაქსი და სხვა), ისე კონკლიუდენტური მოქმედებით, მაგალითად შესრულების მიღებით, ანგარიშსწორების მოხდენით და ა.შ. მთავარია, მან, წარმოდგენილმა რაიმე ფორმით გამოხატოს, რომ ინონებს გარიგებას, რომელიც მისი უფლებამოსილების გარეშე დაიდო მისი სახელით.

უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობას, ე.ი. წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებას გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოჰყვება არა მარტო წარმოდგენილი პირისათვის, არამედ მეორე მხარისათვის, ე.ი. იმ პირისათვის, ვისთანაც გარიგებას დებს წარმომადგენელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად „ხელშეკრულების დასადავად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც“, ე.ი. როცა ხელშეკრულება უკვე დაიდო უფლებამოსილების გარეშე ან ისეთი უფლებამოსილების საფუძველზე, რომელსაც გარკვეული ნაკლი აქვს და მისი ნამდვილობისათვის საჭიროა წარმოდგენილი პირის თანხმობა, ამ თანხმობის მიცემამდე იმ პირს, ვისთანაც წარმომადგენელმა ხელშეკრულება დადო, უფლება აქვს უარი თქვას ამ ხელშეკრულებაზე, თუ მან ამ ხელშეკრულების დადების დროს არ იცოდა, რომ ხელშეკრულება იდებოდა უფლებამოსილების გარეშე ან ეს უფლებამოსილება რაიმე ნაკლს შეიცავდა. ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა შეუძლია წარმოდგენილ პირსაც და მეორე მხარესაც თვით წარმომადგენლის მიმართაც.

წარმომადგენლის მოქმედება უფლებამოსილების გარეშე თუ ამ უფლებამოსილების გადამეტებით სერიოზულ იურიდიულ

შედეგებს წარმოშობს თვით წარმომადგენლისთვისაც. ასეთი წარმომადგენელი, როცა ვერ დაადასტურებს თავისი წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ხელშეკრულების დადების დროს და წარმოდგენილი პირი კი უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემაზე, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, ე.ი. ასეთ დროს წარმომადგენელს ეკისრება კონტრაგენტის წინაშე პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულების მიხედვით.

კანონმდებელი ანებსებს გარკვეულ შეღავათს წარმომადგენლის მიმართ, როცა მან არ იცოდა წარმომადგენლობის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ასეთ დროს წარმომადგენელი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმით, რომ იგი ენდობოდა წარმომადგენლობის უფლებამოსილებას, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობის უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა მას ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

უფლებამოსილების ფარგლების გადამეტებით ანდა საერთოდ ამ უფლებამოსილების გარეშე გარიგებებს უმეტესად დებენ იურიდიულ პირთა წარმომადგენლები. თუ იურიდიულმა პირმა ეს გარიგება შემდეგში არ მოიწონა, ის ძალას კარგავს, ხოლო თუ ამ გარიგებით გარიგების მეორე მხარეს ზიანი მიადგა, ეს უნდა აანაზღაუროს წარმომადგენელმა, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობის ნაკლის შესახებ.



# თავი X

## სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვა

§1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ცნება და საშუალებები. §2. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები. მართლზომიერება უფლებათა განხორციელებაში. §3. სამოქალაქო უფლებათა დაცვის ცნება და ფორმები. §4. სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებები. §5. არამატერიალური სიკეთის დაცვა.

### §1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ცნება და საშუალებები

სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ცნება. უფლების განხორციელებაში იგულისხმება იმ შესაძლებლობების რეალიზაცია, რაც მინიჭებული აქვს სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილ პირს კანონით თუ ხელშეკრულებით. სხვა სიტყვებით, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება ნიშნავს იმ მოქმედებათა შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია ამ უფლებათა შინაარსით. მაგალითად, ნივთზე საკუთრების უფლების განხორციელება ნიშნავს ამ ნივთის ფლობას, მის სარგებლობასა და განკარგვას, საავტორო უფლების განხორციელება ნიშნავს ავტორის უფლებას მოითხოვოს საავტორო ჰონორარი მის მიერ შექმნილი ნაწარმოებისათვის, ზიანის ანაზღაურების უფლება ნიშნავს პირის უფლებას, მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საცხოვრებელი ბინით სარგებლობის უფლების განხორციელება ნიშნავს იცხოვრო ამ ბინაში, ოჯახის შექმნის უფლების განხორციელება ნიშნავს დაქორწინდეს პირი მეორე სქესის პიროვნებაზე და იცხოვრონ ერთად და ა.შ.

ამასთან ერთად, უფლების განხორციელება არ ნიშნავს გარკვეული უფლებების უბრალოდ აღიარებას. უფლების განხორციელება, უპირველესად, არის იმ იურიდიულ თავისუფ-ლებათა რეალური გამოყენება, რომლის გარანტიასაც ქმნის სახელმწიფო ამ უფლების მატარებელი პირისათვის.

კანონი, მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი შეხედულებით განახორციელონ მინიჭებული სამოქალაქო უფლებები. ამასთან, ამ უფლებათა განხორციელება დამოკიდებული არ არის პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით თუ საჯარო სამართლის სხვა კანონებით. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სამოქალაქო უფლება შეიძლება განხორციელდეს პირის ნება-სურვილის შესაბამისად. ზოგიერთი სამოქალაქო უფლება იმავდროულად გულისხმობს გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებსაც. კანონი შეიცავს მითითებას ამა თუ იმ უფლებით აღჭურვილი პირის უფლების განხორციელებისათვის გარკვეული მოვალეობის შესრულების შესახებაც. მაგალითად, პირის უფლება უძრავი ქონების შეძენის შესახებ, გულისხმობს მის ვალდებულებას სანოტარო წესით დაამონმოს ამ ქონების შეძენის ხელშეკრულება და გაატაროს რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში.

სამოქალაქო უფლებათა განხორციელების საშუალებები. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების უფრო გავრცელებული საშუალებაა უფლებამოსილი პირის აქტიური მოქმედება. პირველ რიგში პირი თვითონ ირჩევს, პირადად წყვეტს რა საშუალებით განახორციელოს მინიჭებული უფლება. ნივთის მესაკუთრე თვითონ წყვეტს ისარგებლოს ამ ნივთით, გააქირაოს თუ გაყიდოს ის. ყველა შემთხვევაში ის თავისი აქტიური მოქმედებით განსაზღვრავს რა გზა, რა საშუალება აირჩიოს თავისი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მინიჭებული უფლების განხორციელებლად.

გარდა პირადი აქტიური მოქმედებისა, უფლება შეიძლება განხორციელდეს სხვა ვალდებულ პირთა გარკვეული მოქმედების შესრულების მოთხოვნით. აქ უფლება ხორციელდება არა უშუალოდ

პირის აქტიური მოქმედებით, არამედ სხვა პირთათვის მოთხოვნის ნაყენებით, რომ შეასრულონ ესა თუ ის დაკისრებული მოვალეობა.

ამდენად, უფლების განხორციელების საშუალების არჩევა ყოველთვის არ არის პირის ნება-სურვილზე დამოკიდებული, ის საკმაოდ ხშირად განისაზღვრება თვით ამ უფლების შინაარსით, იმით თუ რა უფლების განხორციელებაზეა საუბარი. მაგალითად, მემკვიდრეობის უფლების განხორციელება აქტიურ მოქმედებას მოითხოვს, სხვანაირად ეს უფლება ვერ განხორციელდება. ავტორობის უფლების განხორციელება მოითხოვს მთელი საზოგადოების მიერ იმ ფაქტის აღიარებას, რომ ამ კონკრეტული ნაწარმოების ავტორი ეს პირია და ყველა სხვა პირი ვალდებულია თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რაც საეჭვოს გახდის ამ ავტორობის უფლებას. უმრავლეს შემთხვევებში უფლების რეალიზაციისათვის საკმარისი არ არის სუბიექტის მხოლოდ აქტიური მოქმედება, საჭიროა ასეთ მოქმედებასთან ერთად სხვა პირთა მოქმედებაც. ასეთია, მაგალითად პირის დაქორწინების უფლება. ეს უფლება ვერ განხორციელდება მხოლოდ ერთი მხარის აქტივობით.

**მოვალეობათა შესრულება.** სამოქალაქო უფლებათა განხორციელება განცალკევებულად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, ის აუცილებლად არის დაკავშირებული მოვალეობის შესრულებასთან. სამოქალაქო უფლების განხორციელებაც თავისთავად გულისხმობს გარკვეული მოვალეობის შესრულებასაც, ან თვით უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ანდა სხვა პირთა მოვალეობის შესრულებასაც, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ მოქმედება უფლების მქონე პირთა სასარგებლოდ. სამოქალაქო მოვალეობათა შესრულება არის იმ მოქმედებათა შესრულება, რომელიც გათვალისწინებულია ამ მოვალეობის შინაარსით, ე.ი. სამოქალაქო მოვალეობის შესრულება ნიშნავს ვალდებული პირის მიერ გარკვეული მოქმედებების შესრულებას, რაც დაკავშირებულია უფლების მქონე პირის მიერ ამ უფლების განხორციელებასთან. მაგალითად, ნივთის მესაკუთრის უფლებას ისარგებლოს ამ ნივთით,

შეესატყვისება სხვა პირთა ვალდებულება, ხელი არ შეუშალონ მას ამ ნივთით სარგებლობაში, ავტორის უფლების განხორციელებას, მოითხოვოს საავტორო ჰონორარი, შეესატყვისება გამომცემლობის ვალდებულება გადაუხადოს მას ჰონორარი (თუ გამოცემა ავტორის ხარჯით არ ხდება), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დაკავშირებულია ზიანის მიმყენებლის მოვალეობასთან ანაზღაუროს ზიანი და ა.შ.

სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებს, როგორც უფლებებს, არა აქვთ ერთნაირი შინაარსი. მაგალითად, აბსოლუტურ სამართლებრივ ურთიერთობებში, ვთქვათ საკუთრების სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ვალდებულება აკისრიათ ყველა მესამე პირებს, მათი ეს ვალდებულება ატარებს პასიურ ხასიათს. ისინი ვალდებული არიან თავი შეიკავონ მოქმედებისაგან, რომელიც რაიმე ფორმით ხელს შეუშლის მესაკუთრეს თავისი უფლების აქტიურ განხორციელებაში. შეფარდებით, ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებულება ატარებს უფრო აქტიურ, დადებით ხასიათს, რამდენადაც მათ შესრულებაზეა დამოკიდებული მთლიანად უფლებამოსილი პირის ინტერესების დაკმაყოფილება.

## **§2. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები. მართლზომიერება უფლებათა განხორციელებაში**

**სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები.** სამოქალაქო უფლებების განხორციელება სხვადასხვა საზოგადოებრივ ნიშნობაში სხვადასხვაგვარად ხდება. ჯერ კიდევ რომის სამართალში თვლიდნენ, რომ ის ვინც სარგებლობს თავისი უფლებით, არ ხელყოფს არავის უფლებებს. ამ დროიდან მომდინარეობს ლათინური გამოთქმა *gui suo iyre utitur, neminem laedit* (ის ვინც სარგებლობს თავისი უფლებით, არავის უფლებებს არ არღვევს).

ასეთი პრინციპი მიანიშნებდა იმაზე, რომ სამოქალაქო უფლებების გამოყენება შეუზღუდველი ყოფილიყო. შემდგომში თანდათანობით დაიწყო ამ უფლებათა ფარგლების შეზღუდვა. ეს ეხებოდა როგორც საკუთრების უფლებას, ისე სხვა სამოქალაქო უფლებების განხორციელებას.

საბჭოთა პერიოდში, როცა საერთოდ შეზღუდული იყო სამოქალაქო უფლებები, განსაკუთრებით ვინრო იყო საკუთრების უფლების განხორციელების სფერო. შეზღუდული იყო საკუთრების უფლების როგორც ობიექტების წრე, ისე მათი გამოყენების სფეროც. მოქალაქეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ერთზე მეტი ბინა, თუ ეს ბინა სოფლად ან საკურორტო ადგილზე არ მდებარეობდა, არ შეეძლო თავისი ქონება შემოსავლის წყაროდ გამოეყენებინა და სხვა.

ახალმა სამოქალაქო კოდექსმა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები განსხვავებულად მოაწესრიგა. შესამჩნევად გაფართოვდა სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები, არავის არ უზღუდავენ საკუთრებაში არსებული ქონების ობიექტებს და არც მათი გამოყენების შესაძლებლობას.

როგორც ითქვა, კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.

სამოქალაქო ურთიერთობის მონანილევებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთიც, რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

ამრიგად, შესამჩნევად არის გაფართოებული სამოქალაქო უფლებათა განხორციელების სფერო.

მართლზომიერება უფლებათა განხორციელებაში. მიუხედავად ზემოთქმულისა, არ შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო უფლების განხორციელება აბსოლუტურად შეუზღუდავია, რაიმე ჩარჩოებში არ არის ის მოქცეული. კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო

უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მაშასადამე, არ შეიძლება სამოქალაქო უფლება გამოყენებული იქნეს არამართლზომიერად და მარტო იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

კეთილსინდისიერება, მართლზომიერება ყოველთვის უნდა იქნეს დაცული პირის მიერ უფლებათა განხორციელებისას. „კანონი მოითხოვს, რომ პირმა თავისი უფლებები ბოროტად არ გამოიყენოს. ეს მისი ზნეობრივი მოვალეობაცაა. უფლების ბოროტად გამოყენებას უთანაბრდება ის მდგომარეობა, როცა პირი უფლებას იყენებს მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. როცა მისი მოქმედება სხვისი გამწარების, გაღიზიანების მიზანს ისახავს და არა უფლების განხორციელებისათვის აუცილებლობით ნაკარნახევ ინტერესის დაცვას, ამ დროს ზიანი შეიძლება ქონებრივი ზიანის სახითაც დადგეს და მორალური ზიანის სახითაც“<sup>1</sup>.

არამართლზომიერი, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად არ ითვლება ისეთი მოქმედება, რომელიც განხორციელდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და, ბუნებრივია, ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანიც არ ანაზღაურდება ზიანის მიმყენებლის მიერ.

კანონი განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად სამოქალაქო უფლებების განხორციელების დროს. კოდექსის 116-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად“.

<sup>1</sup> ს. ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. ნიგნი პირველი (კარი მეექვსე), 1999, გვ. 301.

ამრიგად, იმისათვის, რომ პირის მოქმედება ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად და მან პასუხი არ აგოს მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო წესით, საჭიროა სახეზე იყოს სამი პირობა:

1. ეს მოქმედება უნდა ატარებდეს თავდაცვის ხასიათს როგორც მასზე, ისე სხვაზე თავდასხმის დროს;
2. ეს თავდასხმა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება;
3. ამ თავდასხმას უნდა ჰქონდეს რეალური ხასიათი, ამით რეალური ზიანის მიყენება უნდა იყოს მოსალოდნელი როგორც მომგერიებელი პირის, ისე სხვების მიმართ.

განსხვავებით აუცილებელი მოგერიებისაგან, კანონმდებელი არ ითვალისწინებს ზიანის მიმყენებლის გათავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან, ე.წ. უკიდურესი აუცილებლობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქმედება მართლზომიერად არის მიჩნეული.

სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. ე.ი. როგორც წესი, უკიდურესი აუცილებლობის დროს მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან თუ ლაპარაკია ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლებაზე, სწორედ მაშინ უნდა გათავისუფლდეს ზიანის მიმყენებელი ამ პასუხისმგებლობისაგან, როცა მის მიერ უკიდურესი აუცილებლობით მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, ხოლო თუ მან უფრო მეტი ზიანი მიაყენა ამ მოქმედებით, ვიდრე ააცდინა, მაშინ ასეთი ქმედება მართლზომიერად აღარ ჩაითვლება და უფრო მართებული იქნება თუ ის იმ მოცულობით აანაზღაურებს ზიანს, რომლითაც ის აღემატება აცდენილ ზიანს.

მართალია, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გათვალისწინებულია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებული მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც, მაგრამ ეს ვერ ამართლებს საკითხის იმ უსამართლო გადაწყვეტას, რაც ამ მუხლის პირველი ნაწილით არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმით იგულისხმება, რომ ზიანის მიმყენებელი თუ მესამე პირი, ვის სასარგებლოდაც ეს ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომელშიც მოხდა ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში მთავარი საყურადღებო გარემოება არის სწორედ ის, თუ რა ზიანი იქნა აცილებული თავიდან და რა ზიანი დადგა ფაქტობრივად. ამიტომ ამის შესაბამისად უნდა დაზუსტდეს კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ანდა ასევე თვითდახმარების მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს ანდა აღკვეთავს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლების განხორციელება ჩაიშლება ან არსებითად გართულდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 118-ე მუხლი). თვითდახმარება არის ერთადერთი აუცილებელი გზა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, როცა არ არის სხვა საშუალება დროულად მიიღოს პირმა დახმარება სახელმწიფო ორგანოებისაგან.



კანონი ადგენს გარკვეულ ფარგლებს თვითდახმარებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად. თვითდახმარება არ უნდა გასცდეს იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ნივთის ნართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ამ ნივთის დაყადალების შესახებ.

ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში, იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს. ასეთი შეპყრობა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა არის ეჭვი მისი გაქცევის შესახებ. ასეთი პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ ორგანო, რომელსაც წარედგინა იგი, უარს იტყვის მის დაპატიმრებაზე.

თუ პირი შეცდომით მოქმედებდა ვითომცდა თვითდახმარების მიზნით იმ მცდარი ვარაუდით, რომ ეს თითქოს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ის ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ამ დროს მიყენებული ზიანი. ასეთი ქმედება შეიძლება არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, შესაძლოა პირი გაუფრთხილებლად მოქმედებდა, მაგრამ მაინც ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

### **§3. სამოქალაქო უფლებათა დაცვის ცნება და ფორმები**

სამოქალაქო უფლებათა დაცვის ცნება. ნორმალურ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, ნორმალურ სამოქალაქო ცხოვრებაში მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმას, რომ ამ ურთიერთობის მონაწილეებს ჰქონდეთ გარკვეული სამოქალაქო უფლებები, არამედ იმასაც თუ როგორი პირობებია შექმნილი იმისათვის, რომ ეს უფლებები განხორციელდეს, დაცული იქნეს ყოველმხრივ. სამოქალაქო უფლებათა დაცვა ნიშნავს ყველა იმ ღონისძიების ერთობლიობას, რომელთა შედეგად შესაძლებელი ხდება ამ უფლებათა რეალიზაცია. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს არა მარტო სამართლებრივი, არამედ

ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული თუ სხვა ხასიათისა. მთავარია, რომ ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდეს სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. ასეთია სამოქალაქო უფლებათა დაცვა ფართო გაგებით.

სამართლებრივ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სამოქალაქო უფლებათა დაცვა განიხილება ვიწრო გაგებით. ამ გაგებით სამოქალაქო უფლებათა დაცვაში იგულისხმება კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებული ის ზომები, რომლებიც მიმართულია დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენისაკენ, მოსალოდნელი დარღვევის თავიდან აცილებისა და სადავო უფლების დაცვისაკენ. ყველა ეს ზომა გამოიხატება ერთიანი სამართლებრივი ტერმინით: სამოქალაქო უფლებათა დაცვა.

სამოქალაქო უფლებათა დაცვა სამოქალაქო სამართლის თეორიის მნიშვნელოვანი საკითხია. ამ საკითხის შესწავლა ხელს გვიწყობს სწორად გავერკვეთ სამოქალაქო სამართლებრივი სანქციების ხასიათსა და თავისებურებებში, მათი რეალიზაციის მექანიზმში და სხვა საკითხებში, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო უფლებათა დარღვევასა და აღდგენასთან, ასევე გავმიჯნოთ ეს ცნება ისეთი მსგავსი ცნებისაგან, როგორცაა უფლება დაცვაზე.

დაცვაზე უფლებას ცივილისტურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირად განმარტავენ. ზოგიერთი მას განმარტავს, როგორც პირის შესაძლებლობას გამოიყენოს სამართალდაცვითი ხასიათის ზომები თავისი დარღვეული, თუ სადაო უფლების აღდგენისათვის.<sup>1</sup> სხვები თვლიან, რომ უფლება დაცვაზე თვით სუბიექტური უფლების შემადგენელი, მისი განუყოფელი ნაწილია, უამისოდ მათ, ამ უფლებებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ.<sup>2</sup>

<sup>1</sup> იხ. Гражданское право (Под ред. А. П. Сергеева и Ю. К. Толстого), 1, Санкт-Петербург, 1996, стр. 240

<sup>2</sup> იხ. Братусь С. Н. Юрид. ответственность и законность, М. 1976, 73-74. Сов. гражд. право (Под ред. В. М. Маслова и А. А. Пушкина), Харьков, ч. 1, стр. 248

ავტორთა საკმაო ნაწილი მიიჩნევს, რომ უფლება დაცვაზე წარმოადგენს დამოუკიდებელ სუბიექტურ უფლებას, რომელიც წარმოეშობა პირს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მისი კუთვნილი სუბიექტური უფლება დარღვევის საფრთხეშია ან სადავო ხდება.

როგორც ყველა სხვა უფლება, უფლება დაცვაზე გულისხმობს, ერთი მხრივ, უფლებამოსილი პირის შესაძლებლობას თვითონ შეასრულოს გარკვეული მართლზომიერი მოქმედებები, მეორე მხრივ, მოითხოვს სხვა ვალდებულ პირთა განსაზღვრულ ქცევას. საკუთარ მართლზომიერ მოქმედებას მიეკუთვნება, მაგალითად, დამრღვევის მიმართ ისეთი მოქმედება, რომელიც აუცილებელ მოგერიებად ითვლება, გარკვეული ოპერატიული სანქციების გატარება და სხვა. სხვა პირთა მიმართ გარკვეული ქცევის მოთხოვნა გამოიხატება უფლების დარღვევის შემთხვევაში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისათვის მიმართვაში, რათა მიღებული იქნეს ზომები დარღვევის აღკვეთის მიზნით.

დაცვის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო სამოქალაქო უფლება, არამედ კანონით დაცული ინტერესი. ეს უფლება და ინტერესი ისე ახლოს მდგომი ცნებებია, რომ ბევრჯერ მათი გამიჯვნაც კი არ ხდება სამართლებრივ ლიტერატურაში. ცხადია, ყველა სამოქალაქო უფლებაში იგულისხმება რაიმე ინტერესი, რომლის დასაკმაყოფილებლაც მონოდებულია ეს უფლება. ამიტომ სამოქალაქო უფლების დაცვა იმავდროულად არის კანონით დაცული ინტერესის დაცვა.

ამასთან ერთად, სამოქალაქო სამართლის სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს ისეთი ინტერესიც, რომელიც განპირობებული არ არის მისი უფლებით, არსებობს დამოუკიდებლად კანონით დაცული ინტერესის სახით, და ამიტომ საჭიროებდეს დამოუკიდებელ დაცვას, მისი დარღვევის შემთხვევაში. ამიტომ ლაპარაკობს კანონმდებელი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე. ასეთი ინტერესია, მაგალითად, პატივისა და ღირსების დაცვა. ასეთ შემთხვევასთან

გვაქვს საქმე, როცა ნივთი მოისპობა და მასზე უფლების აღდგენა აღარ შეიძლება. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ კანონით დაცული ინტერესების აღდგენაზე, კერძოდ ზიანის ანაზღაურებაზე და სხვა.

**სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები.** სამოქალაქო უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების უზრუნველყოფა, მათი დაცვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული წესით, ე.ი. კანონით დადგენილი ფორმითა და საშუალებით. უფლების დაცვის ფორმა — ეს არის სამოქალაქო უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული ორგანიზაციულ ღონისძიებათა კომპლექსი.

განასხვავებენ უფლების დაცვის ორ ფორმას: **იურისდიქციულს** და **არაიურისდიქციულს**.

იურისდიქციული ფორმით სამოქალაქო უფლებათა დაცვა გულისხმობს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისათვის მიმართვის გზით დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვას. პირი, რომლის სამოქალაქო უფლება დაირღვა ან სადავო გახდა სხვა პირის არამართლზომიერი მოქმედებით, მიმართავს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს ამ უფლების დასაცავად.

იურისდიქციული ფორმით სამოქალაქო უფლებათა დაცვა ორგვარი წესით წარმოებს: ზოგადი და სპეციალური წესით.

**ზოგადი წესით** სამოქალაქო უფლების და კანონიერი ინტერესების დაცვას აწარმოებს სასამართლო. დაინტერესებული პირი, ვისი უფლებები და კანონიერი ინტერესებიც დაირღვა, მიმართავს სასამართლოს ამ უფლებების დასაცავად. სამოქალაქო უფლებათა დაცვა ძირითადად სწორედ სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება. ამ შემთხვევაში უფლების დაცვის საშუალება არის სარჩელი ანუ მოთხოვნა დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენის ან მისი დარღვევის აღკვეთის შესახებ.

**სპეციალური წესით** სამოქალაქო უფლებათა და კანონიერი ინტერესთა დაცვა ნიშნავს ამ უფლებათა დაცვას საერთო წესისაგან გამონაკლისის სახით, რაც სპეციალურად არის მითითებული

კანონში. ასეთია, მაგალითად, ადმინისტრაციული წესით უფლებათა და ინტერესთა დაცვა.

სპეციალურ ფორმას უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ზოგიერთი საავტორო უფლების დაცვა; რომელიც ხდება ჯერ ადმინისტრაციული წესით, ხოლო შემდეგ სასამართლო წესით.

არაიურიდიქციული ფორმით უფლებათა დაცვა ხდება არა რომელიმე კომპეტენტური ორგანოსათვის მიმართვის გზით, არამედ თვით ფიზიკური თუ იურიდიული პირების საკუთარი მოქმედებით, დამოუკიდებლად. ასეთი დამოუკიდებელი თვითდაცვა სახეზეა, მაგალითად, მაშინ, როცა პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებში და თვითდახმარების მიზნით, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი (კოდექსის 116-ე და 118-ე მუხლები).

#### §4. სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებები

სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებების ცნება. სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებებს მიეკუთვნება კანონით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის მატერიალურ-სამართლებრივი ზომები, რომელთა საშუალებით ხდება დარღვეული თუ სადავო უფლების აღდგენა ან ცნობა და შესაბამისი ზემოქმედება სამართალდამრღვევზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლების დაცვას ემსახურება სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით, აკრძალულია, თუკი ეს აქტები გამოყენებული არ

მაშასადამე, კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ემსახურება სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. ეს ნორმები შეიძლება ითვალისწინებდნენ სადავო სამოქალაქო უფლებათა ცნობას, დარღვეული უფლების აღდგენას, გარკვეული მოქმედების აღკვეთას, საცილო გარიგების თუ სხვა აქტის ბათილობას სათანადო შედეგის დადგომით, ზარალის ანაზღაურებას თუ სხვა სახის კომპენსაციას, რაიმე ურთიერთობის შეწყვეტას ან შეცვლას, თვითდაცვას და სხვა.

პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, თვითონ შეუძლია აირჩიოს დაცვის საშუალება.

უფლებათა დაცვის საშუალებები თავისი იურიდიული ბუნებით ზოგადად შეიძლება იყოს ორგვარი: დაცვის ზომები და პასუხისმგებლობის ზომები. მათ შორის განსხვავებაა როგორც გამოყენების საფუძველში, ისე სოციალურ დანიშნულებასა და შესრულების ფუნქციებში, რეალიზაციის პრინციპებში. მთავარი პრაქტიკული განსხვავება დაცვის ზომებსა და პასუხისმგებლობის ზომებს შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ ისეთი დამრღვევის მიმართ, რომელსაც ბრალი მიუძღვის ამ დარღვევაში და რომელსაც ეკისრება დამატებითი ვალდებულებები. კანონით გათვალისწინებული ზომების უმეტესობა დაცვითი ხასიათისაა. პასუხისმგებლობის ზომებს მიეკუთვნება ზიანის ანაზღაურება და სხვადასხვაგვარი კომპენსაციები.

უფლებათა დაცვის საშუალებების სახეები. საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი სპეციალური მუხლით არ ჩამოთვლის უფლებათა დაცვის კონკრეტულ საშუალებებს, როგორც ესაა რფ სამოქალაქო კოდექსში (მუხლი 12). ჩვენი კოდექსის მე-10 მუხლი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ მიუთითებს, რომ უფლებათა დაცვას ემსახურება სამოქალაქო კანონთა იმპერატიული ნორმები. ამ კანონების საერთო ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებების კონკრეტული სახეები. ასეთი საშუალებებია:

1. უფლების ცნობა. უფლების ცნობის საჭიროება წარმოიშობა მაშინ, როცა ეს უფლება სადავო ან საექვო ხდება, ვინმე უარყოფს მას, ანდა არის რეალური საფრთხე, რომ ის უარყოფილი ან სადავო გახდება ასეთი უფლების ცნობა ხდება სასამართლოსათვის მიმართვით რომელიმე იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ. მაგალითად, პირი, რომელიც ცხოვრობს სახლში რაიმე საბუთის გარეშე, მიმართავს სასამართლოს ამ სახლზე მემკვიდრედ ცნობის ანდა მესაკუთრედ ცნობის შესახებ. ასეთი ცნობა მას ესაჭიროება იმისათვის, რომ განახორციელოს უფლება ამ სახლზე (გაასხვისოს, გააქიროს და ა.შ.).

უფლების ცნობას სასამართლო განიხილავს არა სასარჩელო წარმოების წესით (მოპასუხეს არ წარედგინება სარჩელი), არამედ უდავო წარმოების წესით, იურიდიული ფაქტის დადგენის გზით.

უფლების ცნობას შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი ხასიათი, ანდა დაკავშირებული იყოს სხვა უფლების დაცვასთან. მაგალითად, როცა სახლს, რომლის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია მის ფაქტობრივ მფლობელს, ვინმე დაუუფლება და საჭირო ხდება მის მიერ უფლების დარღვევის აღკვეთა, მფლობელმა ჯერ უნდა მიაღწიოს თავისი უფლების ცნობას ამ სახლზე და შემდეგ მოითხოვოს მისი უფლების დარღვევის აღკვეთა.

2. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. უფლების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა იმ მდგომარეობის აღდგენა, რაც ამ უფლების დარღვევამდე იყო. ასეთი დაცვის შემთხვევები საკმაოდ ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. პირვანდელი მდგომარეობა აღდგება მოტყუებით ან სხვა ნაკლით დადებული ყიდვა-გაყიოვის ხელშეკრულების ბათილობისას, სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, ბინის თუ სხვა სადგომის თვითნებური დაკავების დროს გამოსახლებისას და სხვა მრავალ შემთხვევაში.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეიძლება მოხდეს როგორც იურისდიქციული ფორმით სასამართლოსათვის მიმართვით, ისე არაიურისდიქციული გზით, უშუალოდ მხარეთა მიერ ნებაყოფლობით

(ვთქვით, გამყიდველმა მოატყუა მყიდველი და მისცა უხარისხო ნივთი. დაბრუნება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოხდება ნებაყოფლობით) ანდა იძულებით (ვთქვით, პირმა დაიბრუნა ძალით ნივთი, რომელიც გასტაცეს ხელიდან).

**3. უფლების დარღვევის აღკვეთა.** საკმაოდ ხშირად არის საჭირო პრაქტიკაში უფლების დაცვის ისეთი საშუალების გამოყენება, როგორცაა დარღვევის აღკვეთა, როცა ამ უფლებას არღვევენ ანდა რეალური საფრთხე ემუქრება, რომ დაირღვევას შემდგომში. ვთქვით, ერთი მეზობელი არქიტექტურული წესების დარღვევით აშენებს ავტოსადგომს, რომლითაც ილაზხება მეორე მეზობლის ინტერესები. პირს, რომლის უფლებას დარღვევის საფრთხე ემუქრება, შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი უფლების დაცვა – არ დაუშვას, აღკვეთოს ამ უფლების დარღვევა.

ზოგჯერ დარღვევა შეიძლება ისეთი ხასიათის იყოს, რომ პირდაპირ არ ხელყოფდეს სხვის სამოქალაქო უფლებას, მაგრამ ხელს უშლიდეს პირს თავისი უფლების განხორციელებაში. ასეთი შემთხვევა სახეზეა მაშინ, როცა სამართალდარღვევას განგრძობადი ხასიათი აქვს და პირს არ ეძლევა საშუალება ნორმალურად ისარგებლოს თავისი უფლებით. მაგალითად, პირი თავის ნაკვეთში გამავალ სარწყავ წყალს უცვლის მიმართულებას და არ უშვებს მეორე პირის ნაკვეთზე, რითაც ეს უკანასკნელი ნორმალურად ვერ იყენებს თავის ნაკვეთს.

უფლების დარღვევის აღკვეთაც შეიძლება განხორციელდეს როგორც იურისდიქციული გზით, ე.ი. სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენით, ისე არაიურისდიქციული წესით, მხარეთა შეთანხმებით ანდა პირადი იძულებით.

**4. უფლების დაცვა ნატურით დაკისრებით.** საკმაოდ ხშირად დარღვეული სამოქალაქო უფლების დაცვა ხორციელდება იმით, რომ იმ პირს, რომელმაც დაარღვია მეორე პირის უფლებები, დაეკისრება ნატურით აუნაზღაუროს ამ უკანასკნელს მისი მოქმედებით დაზიანებული ქონება ან რეალურად შეასრულოს რაიმე ნაკისრი



ვალდებულება. ამიტომ დაცვის ამ საშუალებას, ლიტერატურაში რეალურ შესრულებასაც უნოდებენ. აქ უფლების დაცვა ხდება რეალურად იმ სახით, რაც იკისრა ვალდებულმა პირმა. ამ საშუალების მიზანია გაითვალისწინოს უფლების მქონე პირის ინტერესები, რომელსაც შეუძლია სწორედ იმ სახით მოითხოვოს უფლების აღდგენა, რაც გათვალისწინებული იყო ვალდებულებით ანდა დაიბრუნოს ის ნივთი ნატურით და პირვანდელი სახით, რაც დაუზიანეს. ვალდებულების ნატურით შესრულების ნაცვლად, ზიანის ანაზღაურების დაკისრება შეიძლება მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით, ანდა მაშინ, როცა ფაქტობრივად შეუძლებელია მისი ნატურით შესრულება.

5. ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია. უფლების დარღვევით შესაძლებელია პირს მიადგეს რაიმე მატერიალური ზარალი. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ამ ზარალის ანაზღაურება. ასეთი შემთხვევები შეიძლება მოხდეს ნივთის დაზიანების თუ განადგურების შედეგად, ფიზიკური პირის ჯანმრთელობის თუ სიცოცხლის ხელყოფით. ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ამ გზით დაცული იქნეს პირის სამოქალაქო უფლება.

ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით ან იძულებით, სასამართლოს მიერ დაკისრებით.

კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც მიყენებული ობიექტური ზიანის ანაზღაურება, ისე კომპენსაცია მორალური ზიანისათვის. პირის უფლების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს მის მიმართ არა მარტო ფიზიკური ვნების მიყენებით, არამედ მორალური ზიანის მიყენებითაც. ასეთ შემთხვევაში უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს ამ ვნების კომპენსაცია.

6. უფლების დაცვა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით ან შეცვლით. უფლების დაცვამ შეიძლება მოითხოვოს სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა. მაგალითად, უხარისხო ნივთის შემსყიდველს გარკვეული პირობით შეუძლია ყიდვა-გაყიდვის შეწყვეტა,

ან მისი შეცვლა, უხარისხო ნივთის სხვა ნივთით შეცვლით, ანდა ფასის შემცირებით. სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.

სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით თუ შეცვლით სამოქალაქო უფლებათა დაცვა შეიძლება მოეთხოვროს როგორც ბრალეული მოქმედების ჩამდენ პირს, ისე არაბრალეულ პირსაც. გადამწყვეტი აქ არის ის, ირლვევა თუ არა ამ ურთიერთობით პირის უფლება. მაგალითად, პირმა, რომელმაც გაყიდა ან გააქირავა საცხოვრებელი ბინა, არ იცოდა, რომ ამ ბინას არსებითი ნაკლი ჰქონდა. თუ ეს ნაკლი ისეთია, რომ მან უნდა გამოიწვიოს გარიგების შეწყვეტა ან შეცვლა, აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბრალი მიუძღვის თუ არა მესაკუთრეს ნაკლის არსებობაში.

სამოქალაქო უფლებათა დაცვას სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით მიეკუთვნება აგრეთვე გარიგების ბათილობის გზით თუ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით ამ უფლებათა დაცვა, რამდენადაც ასეთ შემთხვევებშიც სახეზე გვაქვს იმ ურთიერთობათა შეწყვეტა, რომელთა არსებობა არღვევდა პირის სამოქალაქო უფლებებს. ამიტომ არასწორად მიმაჩნია უფლების დაცვის ამ საშუალების ცალკე სახედ გამოყოფა, რასაც ზოგჯერ ვხვდებით ლიტერატურაში.<sup>1</sup>

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ უფლებათა დაცვის დასახელებული საშუალებები არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავად. სამოქალაქო კანონმდებლობის დისპოზიციური ნორმებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა საშუალებაც, რომელიც მიმართული იქნება სამოქალაქო უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისაკენ.

---

<sup>1</sup> Гражданское право, I, под ред. Ю. К. Толстого и А.П. Сергеева, Санкт-Петербург, 1996, стр. 247-248

## §5. არამატერიალური სიკეთის დაცვა

**ზოგადი დებულებები.** არამატერიალურ სიკეთეზე, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტზე, ზემოთ გვექონდა საუბარი. ისევე როგორც ყველა სხვა სამოქალაქო უფლება, არამატერიალური სიკეთეც დაცულია კანონმდებლობით.

არამატერიალური სიკეთე შეიძლება დაზარდებინანვე ჰქონდეს პირს და შეიძლება კანონით მიენიჭოს მას დაზარდების შემდეგ. პირადი უფლება შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც კავშირშია ქონებრივ ურთიერთობასთან (ინტელექტუალური შრომის ნაყოფი) და ისეთიც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ქონებასთან ანუ მატერიალურ სიკეთესთან. მიუხედავად ამისა, ისინი არამატერიალურ სიკეთედ ითვლებიან.

არამატერიალური სიკეთე, რომელსაც კავშირი არა აქვს ქონებასთან, შეიძლება იყოს სამი სახის:

1. პირადი არაქონებრივი უფლება, რომელიც მიმართულია პირის ინდივიდუალური ზაცისაკენ (სახელის, პატივის, ღირსების უფლება, საქმიანი რეპუტაცია და სხვა);
2. პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც მიმართულია პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობისაკენ (სიცოცხლე, თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის არჩევა და სხვა);
3. პირადი არაქონებრივი უფლებები, რომელთა მიზანია პიროვნების შინაგანი სამყაროსა და მისი ინტერესების ხელშეუხებლობა (პირადი საიდუმლოება, ოჯახური საიდუმლოება, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა და სხვა).

პირადი არაქონებრივი უფლებები, არამატერიალური სიკეთე დაცულია არა მარტო სამოქალაქო სამართლით, არამედ სამართლის მთელი სისტემით, პირველ რიგში კი სისხლის სამართლით, რასაც, ცხადია, ჩვენ არ შევხებით. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ არამატერიალური სიკეთის სამოქალაქო-სამართლებრივ დაცვას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს იცავს ინტელექტუალური

სამართლის ნორმები. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლი ეხება პირადი არაქონებრივი უფლებების ღაცვას, ხოლო მე-19-ე მუხლი კი ანესრიგებს საერთოდ პირადი უფლებების დაცვას პირის გარდაცვალების შემდეგ.

სამოქალაქო უფლებათა დაცვის ის საშუალებები, რაც ზემოთ იყო განხილული, ცხადია, ეხება არამატერიალურ სიკეთესაც, მაგრამ ეს დაცვა გარკვეული სპეციფიკურობითაც ხასიათდება. პირველ ყოვლისა, ამ დაცვის თავისებურება ის არის, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს უფლების დამრღვევის ბრალეულობას. დარღვეული უფლება ყველა შემთხვევაში უნდა აღდგეს და დაცული იქნეს. გარდა ამისა, ამ სიკეთის დაცვას აქვს პრევენციული ხასიათი, იგი არის ერთგვარი გაფრთხილება სხვა პირთათვის, რომ თავი შეიკავონ არამატერიალური სიკეთის ხელყოფისაგან.

სახელის უფლების დაცვა. პიროვნების ინდივიდუალიზაცია პირველყოვლისა მისი სახელით ხდება. კანონმდებლობა პიროვნების სახელს მიაკუთვნებს მის სახელსა და გვარს. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელის უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე“.

იმავე მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პირს უფლება აქვს მოსთხოვოს მისი უფლების ხელმყოფს მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) მისი თანხმობის გარეშე იქნება გამოქვეყნებული. პირის თანხმობა არაა საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნასთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან ან ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

პატივის, ღირსების, პირადი საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის და საქმიანი რეპუტაციის დაცვა. სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს პირის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას და საქმიან რეპუტაციას.

ფიზიკური თუ იურიდიული პირის პატივი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში. როგორც ზემოთ ითქვა, პატივი არის საზოგადოების მიერ პიროვნების შეფასება, მაგრამ არა ყოველნაირი შეფასება, არამედ ობიექტური შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პიროვნებასთან, მის სოციალურ შეფასებას მორალური თუ სხვაგვარი თვისებების გათვალისწინებით. პატივისაგან განსხვავებით, ღირსება წარმოგვიდგენს პიროვნებას თვითშეფასების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცნობს იგი თავის პიროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს, მსოფლმხედველობას, საზოგადოებრივი ვალის შესრულებას. ღირსებაც პიროვნების მორალურ თუ სხვა თვისებებს, მათ სოციალურ შეფასებას ემყარება, მაგრამ ის განისაზღვრება პიროვნების სუბიექტური შეფასებით. თუ ადამიანი სწორად აფასებს თავის მორალურ თუ სხვა თვისებებს, შესაძლებლობებს, ის საზოგადოებაში ღირსეულ პიროვნებად არის წარმოდგენილი, მაგრამ თუ პირი გადაჭარბებით აფასებს თავის თვისებებს, შესაძლებლობებს, ასეთ კაცზე იტყვიან ღირსებადაკარგულიაო, ე.ი. თავისი თავის გადაჭარბებული შეფასება ნიშნავს, რომ ამ კაცს საერთოდ არ გააჩნია ღირსება.

საქმიანი რეპუტაცია ნიშნავს ფიზიკური თუ იურიდიული პირის შეფასებას საზოგადოების მიერ მისი საქმიანი თვისებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო კანონმდებლობა იცავს როგორც პატივსა და ღირსებას, ისე პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას და საქმიან რეპუტაციასაც. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავენ მის პატივს,

ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუკი ამ ცნობების გამაგრებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფა უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ასეთ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

ამასთან, იგივე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებით.

იმისათვის, რომ დადგეს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სასამართლო წესით დაცვის საკითხი, სახეზე უნდა იყოს პირველყოვლისა ამ უფლებების შელახვა, შემდეგ ამ უფლებების შემლახველი ცნობები უნდა იყოს გავრცელებული და ბოლოს ეს ცნობები სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. უფლების შემლახველია ისეთი ცნობა, რომელიც არასწორად უთითებს ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ თითქოსდა კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას ან სხვა შეუფერებელი საქციელის ჩადენას. თუ ასეთი ცნობები გამოქვეყნდება პრესით, ტელევიზიით, რადიოთი თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, იგულისხმება, რომ ეს ცნობები გავრცელებულია და პირს უფლება ეძლევა სასამართლოს წესით მოითხოვოს ამ ცნობების უარყოფა.

არამატერიალური სიკეთის დაცვა ხორციელდება შემდეგ საშუალებებით: 1) ამ უფლებათა აღიარებით, 2) ხელმოყოფ მოქმედების შეწყვეტით, 3) გავრცელებული ცნობების უარყოფით.

სახელის უფლების, პატივისა და ღირსების, ასევე საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, ბრალი მიუძღვის თუ არა ხელმყოფს. ამასთან, როცა ხელყოფა ბრალეული მოქმედების შედეგია, პირს, ვისი უფლებებიც შეილახა, შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურების სახით შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ის მოგება, რომელიც წარმოეშვა ხელმყოფს. გარდა ამისა, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

დასახელებული უფლებების გამოყენება შეუძლია არა მარტო თვით იმ პირს, ვისი უფლებებიც დაირღვა, არამედ იმასაც, ვინც თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საოჯახო-ნათესაური თუ სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე, აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის, სიკვდილის შემდეგ აღარ დაიშვება.

**სიცოცხლე და თავისუფლება.** სიცოცხლის ხელყოფა ძირითადად სისხლის სამართლის წესით ისჯება. სამოქალაქო სამართლებრივი წესით სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის დაწესებულია მატერიალური პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით. ეს ინსტიტუტი სპეციალურად არის განხილული სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში და ამდენად, ამაზე ყურადღების ვერცლად გამახვილება საჭიროდ არ მიგვაჩნია.

სამოქალაქო კანონი იცავს პიროვნების თავისუფლებასაც მომსახურებაში, ქონების გადაადგილებაში და საქონელბრუნვაში. სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, „სამოქალაქო

კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს“. მაშასადამე, თავისუფლება აბსოლუტური გაგებით არ არის დაცული. ამ თავისუფლებით არ უნდა შეიღახოს მესამე პირთა ინტერესები და არ შეიზღუდოს საბაზრო ეკონომიკის თავისუფლება.

**საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.** სამოქალაქო კანონი უზრუნველყოფს ფიზიკურ პირთათვის საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას. კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, როგორც უკვე ითქვა, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ეს სერიოზული მონაპოვარია პირადი ცხოვრების თავისუფლებაში, რამდენადაც წლების მანძილზე საბჭოთა მოქალაქეები მოკლებული იყვნენ ერთზე მეტი საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება თუ მას იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად უწევს ამ ადგილის დატოვება განსაზღვრული ვადით.

სამოქალაქო კანონმდებლობა უზრუნველყოფს სხვა არამატერიალური სიკეთის დაცვასაც (პირადი და ოჯახური საიდუმლოება, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა და პიროვნების შინაგანი სამყაროს სხვა ხელშეუხებლობა).

**მორალური ზიანის კომპენსაცია.** როგორც ზემოთ ითქვა, სახელის, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, კანონმდებელი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას. ეს სრულიად ახალი ცნებაა ჩვენს



სამოქალაქო კანონმდებლობაში. სოციალიზმის პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე, რამდენადაც შეუძლებლად ითვლებოდა ადამიანური ღირსების რაიმე თანხით შეფასება. ასეთი მიდგომა, ცხადია, არასწორი იყო, რადგან ერთგვარ თავისუფლებას ქმნიდა ადამიანის ღირსების ხელყოფისათვის.

ახალი სამოქალაქო კოდექსი, მართალია სპეციალურად არ გამოყოფს ამ საკითხს, როგორც ეს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსშია (მუხლი 151), მაგრამ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი მაინც ამახვილებს ყურადღებას ამაზე. აღნიშნული ნორმა ადგენს არამატერიალური სიკეთის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში როგორც მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ისე მორალურ კომპენსაციასაც.

მორალური ზიანის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების სახელის, პატივის, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის, ღირსების ხელმყოფი მოქმედება, რამაც გამოიწვია ამ პირის ზნეობრივი თუ ფიზიკური ტანჯვა. ასეთი მოქმედება შეიძლება იყოს სახელის გამტეხი, არასწორი ცნობების გახმაურება, ისეთ პირობებში ჩაყენება, რომელიც პირის მორალურ ტანჯვა-წამებას იწვევს. ამრიგად, მორალური ზიანი ისეთი არაქონებრივი ინტერესის ხელყოფაა, რომელიც სამართლებრივად და დაცული და რომელსაც ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება არაქონებრივი ზიანისთვისაც, მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ზუსტადაა განსაზღვრული კანონით და ხორციელდება გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურების გონივრულობა და სამართლიანობა უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულების ეს სახე. ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად მიუთითებს თ. ნინიძე: „მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის

მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი – სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.<sup>1</sup>

მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია, რომ ზიანის მიმყენებელი მოქმედებდეს ბრალეულად. არაბრალეული მოქმედება მორალურ კომპენსაციას არ იწვევს.

თუ როგორ უნდა მოხდეს მორალური კომპენსაცია, ამაზე კანონი არაფერს ამბობს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს საკითხი უნდა გადწყვიტოს სასამართლომ, რომელიც განსაზღვრავს როგორც ქმედების ბრალეულობის ხარისხს, ისე კომპენსაციის სახესაც. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ფსიქიკური ზიანი, სულიერი ტკივილი, რაც პირს მიაყენეს, ისე ზიანის მიმყენებლის მიერ მიღებული მოგება და მისი ბრალის ხარისხი, აგრეთვე მისი ქონებრივი მდგომარეობაც. ყოველ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობა იმდენი უნდა იყოს, რომ საპასუხო ტკივილი მიაყენოს ზიანის მიმყენებელს, რითაც თავისებურ „შეებას“ იგრძნობს დაზარალებული.

როგორც ითქვა, მორალური ზიანის ანაზღაურებას კანონი ითვალისწინებს მხოლოდ სახელის, პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფისათვის, რაც შეეხება სხვა არამატერიალური სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში მორალურ პასუხისმგებლობას, ამაზე კოდექსში არაფერია ნათქვამი. მიმაჩნია, რომ უმჯობესი იყო კანონში ყოფილიყო ნათქვამი საერთოდ არამატერიალური სიკეთის ხელყოფისათვის მორალურ პასუხისმგებლობაზე.

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირელი, 1999, გვ. 74

# თავი XI

## ვადები და ხანდაზმულობა

### სამოქალაქო სამართალში

- §1. ვადების ცნება და სახეები. ვადების გამოთვლა.
- §2. ხანდაზმულობის ცნება და მნიშვნელობა.
- §3. ხანდაზმულობის ვადის სახეები. მოთხოვნები, რომლებზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა.
- §4. ხანდაზმულობის ვადის დანყება, შეჩერება და შეწყვეტა.
- §5. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგი. შექმნილი ხანდაზმულობა.

#### §1. ვადების ცნება და სახეები. ვადების გამოთვლა

ვადების ცნება და მნიშვნელობა. სამოქალაქო უფლებების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. დრო, განსაზღვრული პერიოდის გასვლა გადამწყვეტ გავლენას ახდენს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობაზე, შეცვლასა და შეწყვეტაზე. ყველა სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და მოქმედებს განსაზღვრულ დროში. სამოქალაქო სამართალში ვადა ეწოდება დროის მონაკვეთს, რომლის დადგომას თუ გასვლას მოჰყვება გარკვეული სამართლებრივი შედეგები.

ვადის დადგომა თუ გასვლა დამოკიდებული არ არის სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების ნებაზე, ის ობიექტურ ხასიათს ატარებს და ამის გამო მას როგორც იურიდიულ ფაქტს, ხდომილებას მიაკუთვნებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით, ვადა ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელიც არც მოქმედებებს მიეკუთვნება და არც ხდომილებებს, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იურიდიულ ფაქტებში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ. В.П. Грибанов. Сроки в гражданском праве, М., 1967, 7-10

ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო უფლებები, ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული კანონში, ბევრჯერ კი სამოქალაქო უფლების მოქმედების დრო ნინასნარ არ არის მოცემული კანონში (მაგალითად, საკუთრების უფლება). ზოგჯერ ვადა ზღუდავს უფლების განხორციელებას, კანონი ადგენს პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგ უფლება აღარ განხორციელდება (მემკვიდრეობის მიღების ვადა).

გარდა ამისა, ვადა შეიძლება გათვალისწინებული იყოს არა მარტო უფლების განხორციელების ნორმალური პირობებისათვის, არამედ ამ უფლების დარღვევის აღკვეთისათვის, მისი დაცვის განხორციელებისათვის.

ვადებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო უფლებების განხორციელებაში. ვადის გასვლას მრავალნაირი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ერთ შემთხვევაში ვადის გასვლა იწვევს სუბიექტური სამოქალაქო უფლების შეწყვეტას, მეორე შემთხვევაში ამას მოჰყვება მხოლოდ ამ უფლების დაცვის შესაძლებლობის დაკარგვა, რაც ზოგჯერ დაბრკოლებას უქმნის უფლებამოსილ პირს მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. ყველა შემთხვევაში, ვადების გასვლასთან დაკავშირებულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების რეალური განხორციელება.

**ვადების სახეები.** ვადების კლასიფიკაცია სხვადასხვა საფუძვლით ხდება. იმის მიხედვით, თუ ვის მიერ არის განსაზღვრული სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის ვადა, განასხვავებენ კანონიერ, სახელშეკრულებო და სასამართლო ვადებს. **კანონიერია** ვადა, რომელიც განსაზღვრულია კანონით თუ სხვა ნორმატიული აქტით. მაგალითად, კანონითაა დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა, სასამართლოსათვის მიმართვის ვადა და სხვა. **სახელშეკრულებო** არის ვადა, რომელიც დანესებულია მხარეთა შეთანხმებით, ხოლო **სასამართლო ვადა** არის ის ვადა, რომელსაც სასამართლო ადგენს.

იმის მიხედვით, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ვადის დადგომას თუ გასვლას, განასხვავებენ უფლების წარმოშობა, უფლების შემცვლელ და უფლების შემწყვეტ ვადას.

თავისი დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ: 1) სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადას, 2) სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადას, 3) ვალდებულების შესრულების ვადას და 4) უფლების დაცვის ვადას ანუ ხანდაზმულობის ვადას.

უფლების წარმოშობის ვადა — ეს არის დრო, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს სამოქალაქო უფლების წარმოშობას.

უფლების დაცვის ვადა ანუ ხანდაზმულობის ვადა ქვემოთ ცალკე პარაგრაფებში იქნება განხილული. აქ კი განვიხილავთ უფლების განხორციელებისა და სამოქალაქო ვალდებულებათა შესრულების ვადებს.

სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ვადები. უფლებათა განხორციელების ვადა არის პერიოდი, რომლის განმავლობაში პირს, რომელსაც აქვს სამოქალაქო უფლებები, შეუძლია გამოიყენოს ამ უფლებებით გათვალისწინებული შესაძლებლობები. ეს ვადები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს როგორც კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით, ისე მხარეთა შეთანხმებით. ასეთი ვადები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

სამოქალაქო უფლებათა მოქმედების ვადა ანუ ის დრო, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ეს სამოქალაქო უფლებები. სამოქალაქო უფლება ზოგჯერ ისეთი ხასიათისაა, რომ მას ვადა არ გააჩნია, უვადოა (საკუთრების უფლება, ავტორობის უფლება და სხვა) ანდა მისი მოქმედების დრო განუსაზღვრელია (ხელშეკრულება დადებული განუსაზღვრელი ვადით. მაგალითად, ბინის ქირავნობის ხელშეკრულება), მაგრამ ბევრი სამოქალაქო უფლება ისეთი ხასიათისაა, რომ მისი მოქმედების ვადა, მისი არსებობის დრო განსაზღვრულია, შეზღუდულია გარკვეული პერიოდით (მაგალითად რწმუნებულება, მინდობილობა).

ალკვეთითი ვადა ანუ ისეთი ვადა, რომელიც არა მარტო მკაცრად განსაზღვრავს უფლების მოქმედების დროს, არამედ ითვალისწინებს ამ ვადის შეწყვეტას მის გასვლამდე, თუ ეს უფლება არ ხორციელდება ან არაჯეროვნად ხორციელდება. ერთი შეხედვით, ალკვეთითი ვადა თითქოს არ განსხვავდება უფლების მოქმედების ვადისაგან (ზოგიერთი ავტორი ასეც მიიჩნევს),<sup>1</sup> მაგრამ ფაქტობრივად ასე არ არის. უფლების მოქმედების ვადაში იგულისხმება ამ უფლების ნორმალური მიმდინარეობა, ალკვეთითი ვადა კი გვაფრთხილებს, რომ თუ ნორმალურად არ გამოვიყენებთ სამოქალაქო უფლებას, ის შეიძლება შეწყდეს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლის შესაბამისად გამჭირავებელს ქირავნობის ხელშეკრულება შეუძლია მოშალოს ვადაზე ადრე, თუ დამჭირავებელი სამი თვის მანძილზე არ იხდის ქირას.

სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, შეცდომით დადებული გარიგება საცილო შეიძლება გახდეს ერთ თვეში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან. ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ შეცილების უფლება აღარ არსებობს. ზოგჯერ უფლების რეალიზაცია არ დაიშვება დადგენილი ვადის გასვლამდე. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 277-ე მუხლის შესაბამისად, მოგირავნეს არ შეუძლია გაყიდოს დაგირავებული ქონება მესაკუთრის გაფრთხილებიდან ორი კვირის გასვლამდე. ეს ორი კვირა არის ალკვეთითი ვადა.

**საპრეტენზიო ვადა** ანუ დრო, რომლის განმავლობაში უფლებამოსილ პირს შეუძლია, ვიდრე სასამართლოს მიმართავდეს, უშუალოდ ვალდებულ პირს მიმართოს წარმოშობილი უთანხმოების მოსაგვარებლად. ასეთი ვადის მიზანია უფრო დროულად და მარტივად მოგვარდეს ნებაყოფლობის საწყისზე მხარეებს შორის

<sup>1</sup> იხ. О.А. Красавчиков, Сов. го, право, 1985, т.1, стр. 274. იხ. აგრეთვე, ზ. ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, კარი მეოთხე, 1999, გვ. 307

მოსალოდნელი დავა დარღვეული უფლების დასაცავად. საპრეტენზიო ვადების დაწესება ხშირად გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის გარიგებებში და მომსახურების სფეროში. ეს ვადა, ჩვეულებრივ, ერთ წლამდე პერიოდით განისაზღვრება, თუმცა შეიძლება მეტი დროც იქნეს დადგენილი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. პირი, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს პრეტენზია, ვალდებულია წერილობით უპასუხოს უფლებამოსილ პირს, რომ უარს ეუბნება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია პირს სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

იმ პროდუქციისათვის, რომელიც შედარებით ხანგრძლივი ხმარებისთვისაა გათვალისწინებული (საქონელი, შესრულებული სამუშაო, მომსახურება), ჩვეულებრივ წესდება უფრო ხანგრძლივი საპრეტენზიო ვადები, რომელთაც საგარანტიო ვადებს უწოდებენ.

საგარანტიო ვადა არის კანონით თუ ხელშეკრულებით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც მოვალეს ეკისრება თავისი ხარჯით გაასწოროს გამოვლენილი ნაკლი ან შეცვალოს ნაკლიანი საქონელი უნაკლოთი.

საგარანტიო ვადის მიმდინარეობის დაწყება დამოკიდებულია გარიგების ხასიათზე, მის სპეციფიკაზე, ზოგჯერ ის საქონლის შესყიდვიდან იწყება, ზოგჯერ საქონლის მიღების მომენტიდან, ზოგჯერ კი საექსპლუატაციოდ გადაცემიდან. ზოგჯერ საგარანტიო ვალდებულება განისაზღვრება არა კალენდარული დროით, არამედ სხვა გარემოებით (მაგალითად, მსუბუქი ავტომანქანით კილომეტრების გავლით და სხვა)

საგარანტიო ვადებში განასხვავებენ ვარგისიანობის და ტრანსპორტაბელურობის ვადებს. ვარგისიანობის ვადები წესდება კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ და სხვა ნაწარმზე. ეს ვადა მოიცავს დროს, რომლის

განმავლობაშიც შეიძლება ამ პროდუქციის შენახვა, რეალიზაცია, მისი გამოყენება.

**ტრანსპორტაბელურობის** ვადა არის ის დრო, რომლის განმავლობაში გარანტირებულია პროდუქციის თვისებების შენარჩუნება მისი დადგენილი წესით ტრანსპორტირების დროს.

**ვალდებულებათა შესრულების ვადები.** სამოქალაქო უფლებების განხორციელების ვადები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო ვალდებულებათა შესრულების ვადებთან. იმის გამო, რომ ერთი პირის უფლება დაკავშირებულია სხვა პირთა გარკვეულ ვალდებულებებთან, ამ პირის უფლებათა განხორციელების ვადაც შესაბამისად არის დაკავშირებული სხვა პირთა ვალდებულებების შესრულების ვადებთან. ვალდებულების შესრულების ვადა არის ის პერიოდი, რომლის განმავლობაში მოვალე ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები, ანდა თავი შეიკავოს ამ მოქმედებათა შესრულებისაგან. ასეთი ვადა შეიძლება დადგენილი იყოს კანონით, ადმინისტრაციული აქტით, ანდა მხარეთა შეთანხმებით.

ვალდებულებათა შესრულების ვადებში განასხვავებენ ორ სახეს: ზოგადი და კონკრეტული ვადები. ზოგადი ვადა მოიცავს ვალდებულების შესრულების მთელ პერიოდს. მაგალითად, დამქირავებელმა ვალდებულია იკისრა ბინა გაათავისუფლოს ერთი თვის განმავლობაში. ეს ერთი თვე არის ზოგადი ვადა, რადგან კონკრეტულად არ არის აქ მითითებული თუ რომელ რიცხვში უნდა შეასრულოს ვალდებულება. ამასთან ერთად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ვალდებულების შესრულების კონკრეტულ ვადაზე. მაგალითად, ყიდვა-გაყიდვაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი საფასურს გადაიხდის ნაწილ-ნაწილ ორ თვეში, ნახევარს ერთ რომელიმე კონკრეტულ რიცხვში და ნახევარს კიდევ ორ მომდევნო თვის კონკრეტულ რიცხვში.

ვადის განსაზღვრის ხასიათის მიხედვით არსებობს ზოგადი და სპეციალური ვადები; იმპერატიული და დისპოზიციური ვადები;



აბსოლუტურად განსაზღვრული, შეფარდებითად განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადები.

**ზოგადი** არის ვადა, რომელიც ეხება ყველა პირს, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სუბიექტს და ყველა ურთიერთობას. სპეციალური ვადა არის ვადა, რომელიც დადგენილია გამონაკლისის სახით, საერთო წესისაგან განსხვავებით კანონში სპეციალურად მითითებული შემთხვევებისათვის. ზოგადი ვადა არის, მაგალითად, ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი, ხოლო სპეციალური ვადა არის მემკვიდრეობის მიღებისათვის დადგენილი ვადა – 6 თვე და ბევრი სხვა ვადა, რომელიც სპეციალურად არის დადგენილი რომელიმე ურთიერთობისათვის.

**იმპერატიულია** ვადა, რომელიც ზუსტად არის დადგენილი კანონით და არ შეიძლება მისი შეცვლა მხარეთა შეთანხმებით. ასეთია, მაგალითად, იგივე ხანდაზმულობის ვადები, საპრეტენზიო ვადები და სხვა. სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ასეთი შეთანხმება კიდევ რომ იყოს, მაინც გამოიყენება კანონით დადგენილი ვადები.

**დისპოზიციური** არის ვადა, რომელიც, მართალია, გათვალისწინებულია კანონით, მაგრამ ის შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მაგალითად, კანონით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ვალდებულების შესრულების გარკვეული ვადა, მაგრამ მხარეებსაც შეეძლოთ მისი შეცვლა, კერძოდ, უფლება ჰქონდეთ ვალდებულება შეასრულონ დაუყოვნებლივ.

**აბსოლუტურად განსაზღვრული** ვადა არის ისეთი ვადა, რომელიც ზუსტად არის განსაზღვრული და რომელსაც პირდაპირ უკავშირდება გარკვეული სამართლებრივი შედეგები. ასეთია, მაგალითად, მხარეთა მიერ დათქმული ზუსტი კალენდარული დრო, ან კონკრეტული პერიოდი, რომელსაც უკავშირდება რაიმე სამართლებრივი შედეგების დადგომა. შეფარდებითად განსაზღვრული ვადა არის დრო,

რომელიც, მართალია, განსაზღვრულია რაიმე კალენდარული პერიოდით, მაგრამ ნაკლები სიზუსტით (ვთქვათ, კვარტალით, თვით და ა.შ.). განუსაზღვრელი ვადა სახეზეა მაშინ, როცა არც კანონით და არც ხელშეკრულებით საერთოდ არ არის რაიმე დრო მითითებული, რომელთანაც დაკავშირებული იქნება სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა თუ შეწყვეტა. მაგალითად, ბინის თუ სხვა ქონების დაქირავება შეიძლება არ ითვალისწინებდეს რაიმე ვადას.

**ვადების გამოთვლა.** ვადების გამოთვლა შეიძლება მოხდეს რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით, დღეების, კვირეების, თვეების, კვარტლების და წლების მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის მეოთხე კარის პირველი თავი დათმობილი აქვს ვადების გამოთვლას.

კოდექსის 122-ე მუხლის შესაბამისად, როცა ვადის დასაწყისად აღებულია რომელიმე მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლის დროს არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის მითითებული დრო, ე.ი. ამ შემთხვევაში ვადა დაიწყება ამ მოვლენის თუ დღის მომდევნო დღიდან.

თუ ვადა განისაზღვრება დღეების მიხედვით, მაშინ ეს ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

ვადა, რომელიც განისაზღვრება კვირეების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით (კვარტალი, ნახევარი წელი, წელი) მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის მითითებულ დროს.

თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას. მაშასადამე, კანონი ადგენს, რომ, თუ მოქმედების შესრულება უნდა დამთავრდეს გარკვეული დღეების გასვლის შემდეგ, ეს ვადა მთავრდება ბოლო დღის 24 საათზე. თუ ეს მოქმედება უნდა შესრულდეს რომელიმე ორგანიზაციაში, მაშინ ბოლო

დღის გასვლად ჩაითვლება არა 24 საათი, არამედ ის დრო, როცა ეს ორგანიზაცია ამთავრებს მუშაობას.

კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად, ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე ნიშნავს თხუთმეტდღიან ვადას.

თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება ვადის გაგრძელება, ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან. ასეთი ვადის გაგრძელება შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით.

სამოქალაქო კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებულია შემთხვევა, როცა ვადა განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ საჭირო არაა ამ ვადების ერთობლივად გასვლა. ასეთ შემთხვევებში თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთი დღით. ამასთან თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე. ესაა შემთხვევა, როცა ვადა თანმიმდევარი თვეებით თუ წლებით კი არაა განსაზღვრული, არამედ ზოგადად, ვთქვათ, 4 თვით, ორი წლით. ეს ოთხი თვე შეიძლება თანმიყოლებით არ იყოს, ვთქვათ, იანვარი, მარტი, ივლისი, სექტემბერი.

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო ან სადღესასწაულო თუ სხვა გამოსასვლელ დღეებს. ასეთ შემთხვევებში ასეთი დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

## §2. ხანდაზმულობის ცნება და მნიშვნელობა

ხანდაზმულობის ცნება. ხანდაზმულობა არის დრო, პერიოდი, რომლის განმავლობაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. იმის გამო, რომ სამოქალაქო უფლების დაცვის ძირითადი საშუალება არის სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა და დარღვეული უფლების აღდგენა ხდება იძულებითი წესით, ხანდაზმულობა მატერიალურ-სამართლებრივი გაგებით მჭიდროდ არის დაკავშირებული სარჩელზე უფლების პროცესუალურ გაგებასთან. უფლება სარჩელზე ეს არის კანონით უზრუნველყოფილი დაინტერესებული პირის უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მატერიალურ-სამართლებრივი დავის განხილვა და გადაწყვეტა დარღვეული თუ სადაო უფლების ან კანონით დაცული ინტერესის დაცვის მიზნით. სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა — ეს არის პროცესუალური მოქმედება, რამდენადაც სასამართლო ვალდებულია განიხილოს და გადაწყვიტოს სადავო საკითხი პროცესუალურად დადგენილი წესით. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა, პირს ყოველთვის აქვს უფლება პროცესუალურად მიმართოს სასამართლოს სარჩელით და მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა.

სხვა საკითხია ამ სარჩელის დაკმაყოფილება. აქ უკვე საქმე გვაქვს სარჩელზე უფლების მატერიალურ გაგებასთან, რაც გულისხმობს შესაძლებლობას იძულებით განხორციელდეს ეს უფლება სასამართლოს მეშვეობით. ხანდაზმულობის გასვლა კონკრეტულ შემთხვევებში საფუძველია იმისათვის, რომ უარი ეთქვას სარჩელის მოთხოვნას.

ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც კანონითაა დადგენილი, იმპერატიულ ხასიათს ატარებენ. მხარეებს უფლება არა აქვთ თავიანთი შეხედულებით შეამცირონ ან გაზარდონ კანონით

დადგენილი ხანდაზმულობის ვადები ან შეცვალონ მათი გამოთვლის წესი. სამოქალაქო კოდექსის 146-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ასეთი შეთანხმება მხარეებს შორის ჩაითვლება ბათილად, რამდენადაც ეს იქნება კანონსაინააღმდეგო შეთანხმება.

ხანდაზმულობის ვადები არ შეიძლება გავაიგივოთ სხვა სახის სამოქალაქო ვადებთან. სახელდობრ, ხანდაზმულობის ვადა თავისი ბუნებით ახლოს დგას საერთოდ უფლების არსებობის ვადასთან, აღმკვეთ ვადასთან, რამდენადაც ყველა შემთხვევაში ვადის გასვლასთან დაკავშირებულია სუბიექტური უფლების განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ მათ შორის მაინც არის სხვაობა. უფლების არსებობის ვადა, ისევე როგორც აღმკვეთი თუ საპრეტენზიო ვადა არის პერიოდი, რომელიც პირს ანიჭებს სუბიექტურ უფლებას ჩვეულებრივ მდგომარეობაში, მაშინაც, როცა ეს უფლება დარღვეული არ არის. ხანდაზმულობის ვადა კი არის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირს უფლება აქვს იძულებითი წესით მოითხოვოს მისი დარღვეული ინტერესის აღდგენა ან ასეთი დარღვევის აღკვეთა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, როგორც ითქვა, იმპერატიული ხასიათისაა, არ შეიცვლება მხარეთა შეთანხმებით. სხვა სამოქალაქო ვადები კი პრაქტიკულად შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით შეიცვალოს. ჩვეულებრივ სამოქალაქო ვადებზე არ ვრცელდება ის წესები, რაც დადგენილია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დანყების, შეჩერების თუ შეწყვეტისათვის.

როგორც სასარჩელო ხანდაზმულობა, ისე საპრეტენზიო ვადა დაკავშირებულია უფლების დარღვევასთან, მაგრამ საპრეტენზიო ვადა დადგენილია იმისათვის, რომ მხარეებმა ურთიერთშორის ნამოჭრილი პრეტენზიები თვითონ მოაგვარონ უშუალოდ, სხვის ჩაურევლად, ხანდაზმულობის ვადა კი ადგენს დროს, რომლის

ფარგლებშიც შესაძლებელია უფლების იძულებითი განხორციელება სასამართლოს მეშვეობით.

**ხანდაზმულობის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში.** ხანდაზმულობის ვადის დადგენას, იმ პერიოდის განსაზღვრას, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლება დაირღვა, შეუძლია იძულებითი წესით მოითხოვოს თავისი უფლების განხორციელება და დაცვა, ენიჭება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ხანდაზმულობის ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს სასამართლოს დავების სწორად გადანყვეტაში, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში. თუ კანონით არ იქნებოდა განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაში მხარეს შეუძლია იძულებითი წესით მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა, ამით უაღრესად გართულდებოდა სასამართლოში საქმეთა გადანყვეტა, გაიზრდებოდა სავარაუდო მტკიცებულებათა რიცხვი და მეტი პირობები შეიქმნებოდა საქმის ფაქტიური გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ამასთან, ხანდაზმულობის ვადების დადგენა ხელს უწყობს სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის დამყარებას, სამოქალაქო ბრუნვაში სტაბილიზაციის დამკვიდრებას. ეს ვადები თავისებურად უწყობს ხელს კერძო პირებს უფრო გაბედულად და თავისუფლად იმოქმედონ სამოქალაქო ურთიერთობებში. თავისუფალი და მყარი სამოქალაქო ბრუნვა მოითხოვს წინასწარ იყოს რეგლამენტირებული მის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, რათა შესაძლებელი გახდეს მათ შორის წარმოშობილი დავების ოპერატიული გადანყვეტა. ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა თავისუფლად ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მხარეთა შორის ურთიერთობაში არ დაირღვეს სამართალიანობის პრინციპიც. სამოქალაქო უფლებათა იძულებითი დაცვის შეზღუდვა გონივრულად განსაზღვრული ვადით, თავიდან გვაცილებს მოპასუხეთა და მესამე პირთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევას. როცა პირი დიდი ხნის მანძილზე უყურადღებოდ ტოვებს თავისი უფლების დარღვევას, არ მოითხოვს

მის იძულებით დაცვას, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული თავისი უფლების განხორციელებით ან ნაკლებად არის დარწმუნებული თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხანდაზმულობის ვადებს სახელშეკრულებო ურთიერთობაში. იგი ხელს უწყობს სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას, მასტიმულირებელ როლს ასრულებს მხარეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელებასა და მოვალეობათა შესრულებაში, აძლიერებს მხარეთა ურთიერთკონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაში.

### **§3. ხანდაზმულობის ვადის სახეები. მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები**

**ხანდაზმულობის ვადის სახეები.** ჩვეულებრივ, სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ ხანდაზმულობის ვადის ორ სახეს: საერთოსა და სპეციალურს. ხანდაზმულობის საერთო ვადა ეს არის ის დრო, რომელიც დადგენილია ზოგადად ყველა კერძო სამართლებრივი ურთიერთობისათვის გარდა იმ ურთიერთობებისა, რომელთა მიმართ კანონით გათვალისწინებულია ხანდაზმულობის სპეციალური ვადები. ხანდაზმულობის საერთო ვადად ახალი სამოქალაქო კოდექსით დადგენილია 10 წელი (მუხლი 128, ნაწ. 3). ადრე მოქმედი კანონმდებლობით ასეთ ვადად დანესებული იყო 3 წელი.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადა არის ისეთი ვადა, რომელიც კანონის მიხედვით გარკვეული, კონკრეტული ურთიერთობებისათვისაა დანესებული. ასეთ ვადებს ზოგჯერ ხანდაზმულობის შემცირებულ ვადებსაც უწოდებენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სახელწოდება არაზუსტია, რამდენადაც სპეციალური ვადა შეიძლება საერთო ვადაზე მეტიც კი იყოს (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის

920-ე მუხლი, რაზედაც ქვემოთ იქნება ნათქვამი). კანონმდებელმა ასეთი სპეციალური განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები გაითვალისწინა სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის ექვს წელს. იმ მოთხოვნებზე, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, დადგენილია სამწლიანი ხანდაზმულობა.

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლი ადგენს გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობას. ამ ნორმით გამოსყიდვის ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელს და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. კოდექსის 529-ე მუხლი ადგენს ერთწლიან ვადას ჩუქების გაუქმებისათვის, როცა კანონი ამ ჩუქების გაუქმების საფუძველს იძლევა (საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი ძველისაგან განსხვავებით დასაშვებად მიიჩნევს ჩუქების გაუქმებას თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ). კოდექსის 561-ე მუხლით დადგენილია სამთვიანი ვადა ქირავნობის ხელშეკრულების მოშლისათვის, 573-ე მუხლით დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ექვსთვიანი ხანდაზმულობა გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო. იგივე სამთვიანი ვადა გამოიყენება ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის, ხოლო როცა იჯარის ხელშეკრულება უვადოდ არის დადებული, მისი მოშლა შეიძლება საიჯარო წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში (მუხლი 589). იჯარის ხელშეკრულების მოშლისათვის მოიჯარის გარდაცვალების გამო, მემკვიდრეებს შეუძლიათ საიჯარო ურთიერთობა მოშალონ



კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში (მუხლი 590, პ. 1). კოდექსის 655-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადას ნარდობის ხელშეკრულებაში შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნისათვის. სახელდობრ, ასეთი მოთხოვნა შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო თუ მოთხოვნა ნაგებობას შეეხება, ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. კოდექსის 699-ე მუხლით განსაზღვრულია გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა. საერთო წესის მიხედვით, ეს ვადა შეადგენს ერთ წელს, მაგრამ როცა სახეზეა განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, ეს ვადა გაზრდილია სამ წლამდე.

დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი). სამწლიანი ხანდაზმულობა არის დანესებული აგრეთვე უხარისხო პროდუქტით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. კოდექსის 1015-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების უფლების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. იგივე მუხლის მეორე პუნქტი ადგენს მოთხოვნის გაქარწყლების 10 წლიან ვადას იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა.

სამი წელი არის დადგენილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის დაბრუნების მოთხოვნისათვის (160-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი ადგენს 10 წლიან ხანდაზმულობის ვადას სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნისათვის მაშინაც კი,

როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. თუ სასამართლოს დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ გამოიყენება ამ სახის სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის დანესებული ვადა – სამი წელი.

კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით შესაძენ პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი ნინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონით დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადა შეიძლება გაცილებით მეტი იყოს, ვიდრე საერთო ვადა. ასე, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლის თანახმად, ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადად დადგენილია ოცდაათი წელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომიდან.

**მოთხოვნები, რომლებზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობა.** ზოგიერთი სახის მოთხოვნაზე საერთოდ არ ვრცელდება ხანდაზმულობა. ასეთ მოთხოვნაზე პირს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა ან დარღვევის აღკვეთა, მიუხედავად იმისა, თუ რა დროა გასული ამ დარღვევიდან. ასეთი მოთხოვნები პირდაპირ არის მითითებული კანონში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობა არ ვრცელდება:

ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) შეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დანესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მხოლოდ ორი სახის მოთხოვნას მიიჩნევს ისეთად, რომელზეც არ შეიძლება გავრცელდეს ხანდაზმულობის ვადა. უნდა აღინიშნოს, რომ ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი ამ კატეგორიის მოთხოვნები, სახელდობრ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 87-ე მუხლით პირადი არაქონებრივი უფლებებიდან გამომდინარე და მენაბრეთა მოთხოვნებთან ერთად, ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა სახელმწიფო ორგანიზაციების მოთხოვნებზე სახელმწიფო ქონების დაბრუნების შესახებ სხვა პირთა უკანონო მფლობელობიდან, ასევე კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში სხვა მოთხოვნებზეც. ახალი სამოქალაქო კოდექსით, როგორც ითქვა, ასეთი მოთხოვნების სფერო შეზღუდულია და მხოლოდ დასახელებულ ორ მოთხოვნაზე ვრცელდება, ე.ი. თითქოს კანონი ამომწურავად ჩამოთვლის ისეთ მოთხოვნებს, რომლებზედაც ხანდაზმულობა არ ვრცელდება, მაგრამ ფაქტობრივად ეს ასე არ არის. კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა უფლებებიც, რომელთა დარღვევის აღკვეთის მოთხოვნაზე არ გავრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსის 1095-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საავტორო უფლებების ისეთი მომიჯნავე უფლება, როგორცაა შემსრულებლის სახელის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება, დაცულია უვადოდ, ე.ი. შემსრულებლის სახელისა და რეპუტაციის უფლების დაცვაზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება.

## §4. ხანდაზმულობის ვადის დაწყება, შეჩერება და შეწყვეტა

ხანდაზმულობის ვადის დაწყება. კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგებისათვის, ხანდაზმულობის ვადების ნორმალური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხანდაზმულობის ვადის დასაწყისის სწორად განსაზღვრას. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიც განსაზღვრულია ამავე მუხლით, რომლის თანახმად, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება (მუხლი 131). აღნიშნული წესებიდან გამონაკლისი შეიძლება დადგენილი იქნეს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით ან სხვა კანონით. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან ჩანს, რომ ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაკავშირებულია როგორც ობიექტურ მომენტთან, ე.ი. სუბიექტური უფლების დარღვევის ფაქტთან, ისე სუბიექტურ მომენტთან, ე.ი. მომენტთან, როცა უფლებამოსილმა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ცხადია, ეს ორი მომენტი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, შესაძლებელია პირმა თავისი უფლების დარღვევის შესახებ გაიგოს უფრო გვიან, ვიდრე ამ დარღვევას ჰქონდა ადგილი. ამიტომ სამართლიანია კანონის მოთხოვნა, რომ ხანდაზმულობა დაიწყოს პირის მიერ მისი უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან. თუ პირმა არ იცის, რომ მისი უფლება დარღვეულია და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ამის შესახებ, ცხადია, ის ვერ დაიცავს თავის უფლებას ამ დარღვევისაგან. საკითხის გადაწყვეტის დროს მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ

შეუტყვია და არც შეეძლო შეეტყო მისი უფლების დარღვევა, ხოლო მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ მოსარჩელეს შეეძლო შეეტყო ამ დარღვევის შესახებ.

ზოგიერთი სამოქალაქო უფლების დაცვისათვის ხანდაზმულობის დანყების მომენტის განსაზღვრა გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. როგორც ზემოთ ითქვა, სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებაში, როცა მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო ნაგებობას ეხება, ხანდაზმულობის ვადა იწყება შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. 920-ე მუხლის თანახმად, ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე, მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა იწყება დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის დადგომიდან, კოდექსის 1015-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, უხარისხო პროდუქტებით გამონეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გაქარწყლების ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გამოიტანა.

**ხანდაზმულობის ვადის შეჩერება.** ხანდაზმულობის ვადა ძირითადად უწყვეტად მიმდინარეობს, მაგრამ რეალურად არის და კანონით გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, რომლებიც აბრკოლებენ ანდა ართულებენ დადგენილ ვადაში წარადგინოს პირმა სარჩელი თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად თუ დარღვევის აღსაკვეთად. ასეთი გარემოებების არსებობის დროს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა ითვლება შეჩერებულად. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების არსი ის არის, რომ დრო, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს ის გარემოებები, რომლებიც იწვევენ ხანდაზმულობის შეჩერებას და რომლებიც აბრკოლებენ დარღვეული უფლების დაცვას, არ ჩაითვლება კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევს შემდეგი გარემოებები:

1. ვალდებულების შესრულების გადავადება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, ანუ ე.წ. მორატორიუმი;
2. განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც აბრკოლებს სარჩელის წარდგენას;
3. კრედიტორის ან მოვალის ყოფნა შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მოქმედებაზე;
4. კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მორატორიუმი არის ხანდაზმულობის დენის შეჩერების იურიდიული და არა ფაქტობრივი საფუძველი. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო (მთავრობა) იღებს გადაწყვეტილებას განსაზღვრული ვადით ვალდებულების შესრულების გადადების შესახებ, რითაც ამავე ვადით აჩერებს მოთხოვნას დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ. ამით, ცხადია, ჩერდება ხანდაზმულობის ვადის დენაც. მორატორიუმი შეიძლება იყოს ზოგადი და კერძო. ზოგადი მორატორიუმის დროს შესრულების გადავადება ეხება ყველა ვალდებულებას, ხოლო კერძო მორატორიუმის დროს მხოლოდ ვალდებულების ცალკეულ სახეებს.

მორატორიუმი, როგორც წესი, გამოიყენება იშვიათად და ისიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რაიმე განსაკუთრებულ გარემოებასთან (საომარი მოქმედება, რაიმე რეფორმის გატარება და სხვა).

ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას იწვევს ე.წ. დაუძლეველი ძალა, ანუ როგორც მას უწოდებენ ფორს-მაჟორული გარემოება.

მორატორიუმისაგან განსხვავებით დაუძლეველი ძალა არის არა იურიდიული, არამედ ფაქტობრივი დამაბრკოლებელი გარემოება დარღვეული უფლების აღსადგენად. დაუძლეველი ძალა, რომელიც აბრკოლებს დარღვეული უფლების აღდგენას და იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ბუნებრივ მოვლენაში (მიწისძვრა, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ.), ისე საზოგადოებრივ სიტუაციაში (სამოქალაქო

ომი, მასობრივი უნესრიგობა, გაფიცვები და სხვა). განმსაზღვრელი არის ის, რომ ამ მოვლენამ ხელი უნდა შეუშალოს პირს სარჩელის წარდგენაში. კანონმდებელი ორ ძირითად ნიშანს გამოყოფს, რომ დაუძლეველი ძალა ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველად. პირველი არის ის, რომ ამ მოვლენას განსაკუთრებული ხასიათი უნდა ჰქონდეს, ყველანაირი დაუძლეველი ძალა (მაგალითად, მცირე მნიშვნელობის ნყალდიდობა ან ხანმოკლე დიდთოვლობა) არ შეიძლება საფუძველად დაედოს ხანდაზმულობის შეჩერებას. ასევე საჭიროა, რომ ეს დაუძლეველი ძალა მოცემულ პირობებში აუცილებელ ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში არსებული დიდთოვლობა ვერ შეაფერხებს ქ. თბილისში ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას, თუ უფლების დამრღვევსაც და მისი აღკვეთის მომთხოვნსაც დასავლეთ საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამიტომ იმის შეფასება, ჩაითვლება თუ არა ესა თუ ის მოვლენა ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებად, უნდა მოხდეს კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით.

ასევე ითქმის კრედიტორის ან მოვალის შეიარაღებული ძალების რიგებში ყოფნის შესახებაც. არმიის რიგებში ყოველგვარი განწვევა არ აჩერებს ხანდაზმულობას. აუცილებელია, რომ კრედიტორი ან მოვალე იმყოფებოდნენ იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მოქმედებაზე.

გარდა ამისა, როგორც ითქვა, ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის მე-700 მუხლის შესაბამისად, გადაზიდვებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე მანამ, სანამ მათ შორის ქორწინება არსებობს. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.

თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არა ჰყავს, ანდა ეს მოთხოვნა მიმართულია ასეთი პირის მიმართ, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება მანამ, ვიდრე პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი (სამოქალაქო კოდექსის 134-ე მუხლი).

ის დრო, რომლის განმავლობაშიც შეჩერებული იყო ხანდაზმულობის ვადის დენა, არ ჩაითვლება ხანდაზმულობის ვადაში, ე.ი. ის უნდა გამოაკლდეს მოცემული ურთიერთობისათვის დადგენილ ხანდაზმულობის ვადას.

კანონმდებელი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტსაც. კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ დასახელებული გარემოებები (მორატორიუმი, დაუძლეველი ძალა, არმიის რიგებში ყოფნა) წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში, ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. ამ მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ხანდაზმულობის გაგრძელებას მას შემდეგ, რაც შეწყდება ხანდაზმულობის დენის შემაჩერებელი გარემოება. იქ ნათქვამია: იმ გარემოების შეწყვეტის დღიდან, რომელიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას,



ხანდაზმულობა გრძელდება ექვს თვემდე, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.

მაშასადამე, კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლები (მორატორიუმი, დაუძლეველი ძალა, არმიის რიგებში ყოფნა) ყოველთვის კი არ იწვევს ამ ვადის შეჩერებას, არამედ მაშინ, თუ ისინი წარმოიშენენ ან განაგრძობენ არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში. მაგალითად, თუ ხანდაზმულობის ვადა რომელიმე უფლების დაცვისათვის არის ხუთი წელი, მაშინ დასახელებული გარემოებები ამ ხანდაზმულობის დენას შეაჩერებენ მაშინ, თუ ისინი წარმოიშობიან ან განაგრძობენ არსებობას 4 წლისა და ექვსი თვის შემდეგ. ამასთან, თუ ეს გარემოება შეწყდა 4 წლისა და 10 თვის გასვლის შემდეგ, ხანდაზმულობა გაგრძელდება აქედან თვე ანუ 5 წლისა და სამი თვის გასვლამდე. მაგრამ თუ ხანდაზმულობის ვადა 6 თვეზე ნაკლებია და ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება შეწყდება ამ ვადაში, ხანდაზმულობა გაგრძელდება ამ ვადის გასვლამდე.

**ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა.** სამოქალაქო ურთიერთობათა სწორი რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ როდის შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანხამად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად. 138-ე მუხლი კი ადგენს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით

მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

აღნიშნული ნორმით სერიოზული სიახლეა შეტანილი ადრე მოქმედ წესში. ძველი სამოქალაქო კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა მხოლოდ სასამართლოში სარჩელის შეტანით, რაც ხშირად იწვევდა მოქალაქეთა უფლებების დარღვევას, ვინაიდან მათი სხვა ორგანოებისადმი მიმართვა არ წყვეტდა ხანდაზმულობის ვადის დენას. ამჟამად კი, არა მარტო სარჩელის აღძვრა, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოებისადმი განცხადებით მიმართვაც იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. გარდა ამისა, ხანდაზმულობა წყდება აღმასრულებელი მოქმედების განხორციელებით (მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება).

კანონი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობასაც. კოდექსის 139-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის შეტანის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ რომელიმე მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით სარჩელი დატოვებული იქნება განუხილველად.

ასეთ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი ახალ სარჩელს შეიტანს ექვსი თვის ვადაში, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან, ხოლო თუ ახალი სარჩელის შეტანა მოხდება ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ჩაითვლება ამ ახალი სარჩელის შეტანიდან.

თუ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა თავიდან დაიწყება (მუხლი 141).

## **წ5. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგი. შექენითი ხანდაზმულობა**

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები. ხანდაზმულობის ვადის გასვლა, როგორც წესი, იწვევს დარღვეული უფლების აღდგენაზე უარის თქმას. კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე, ე.ი. თუ ხანდაზმულობის ვადა პირს აძლევს უფლებას სხვა პირისაგან მოითხოვოს ამ ვადაში რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, ხანდაზმულობის ვადის გასვლა ამ სხვა პირს აძლევს უფლებას აღარ შეასრულოს ეს მოქმედება ან თავი არ შეიკავოს ამ მოქმედებისაგან. ამრიგად, ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მატერიალური გაგებით, ნიშნავს სარჩელზე უარის თქმას. თუ საქმის განხილვის დროს გამოვლინდება, რომ მოსარჩელემ გაუშვა ხანდაზმულობის ვადა, სასამართლომ მას უარი უნდა უთხრას, თუნდაც დარწმუნდეს უფლების დარღვევის რეალობაში. სამართლებრივ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, იწვევს თუ არა ხანდაზმულობის ვადის გასვლა სამოქალაქო უფლების

გაქარწყლებას. ზოგიერთი ავტორის აზრით, ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა პირის სუბიექტური უფლება მოითხოვოს იძულებითი წესით ამ უფლების აღდგენა.<sup>1</sup> სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ უფლებამოსილი პირის სუბიექტური უფლება ისპობა მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის გასვლის მოტივით.<sup>2</sup> ავტორთა უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის გასვლით არ ისპობა უფლებამოსილი პირის სუბიექტური უფლება, ის აგრძელებს არსებობას, მაგრამ არ შეიძლება მისი იძულებითი განხორციელება.<sup>3</sup> უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს მეორე შეხედულება, რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის გასვლა თავისთავად კი არ იწვევს სუბიექტური უფლების გაქარწყლებას, არამედ ეს უფლება მხოლოდ მაშინ ისპობა, როცა სასამართლო უარს ეტყვის პირს მის დაცვაზე და ეს გადანყვეტილება შევა კანონიერ ძალაში. გარდა ამისა, ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენადაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ე.წ. შეძენითი ხანდაზმულობა, ე.ი. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ნივთის მფლობელის საკუთრებაში გადასვლა, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ხანდაზმულობის გასვლის შემდეგაც გრძელდება პირის სუბიექტური უფლებები. ამ უფლებების გაქარწყლების საკითხი ყველა შემთხვევაში სასამართლომ უნდა გადანყვიტოს. თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად, მესამე მოსაზრების ავტორები მიუთითებენ კანონით აღიარებულ დებულებას, რომ

<sup>1</sup> Иоффе О.С. Советское гр. право, М: 1967, стр. 352-354.

<sup>2</sup> იბ. Грибанов В.П. Пределы осуществления и защиты гражд. права, М. 1972, с. 252-253, Корнеев С.М. Право гос. собственности, М. 1964, стр. 75)

<sup>3</sup> იბ. Новицкий И.Б. Сделки — исковая давность. М. 1954, стр. 223, 231; Кирилова М.Я. Исковая давность, М, 1966. 24-26, Сов. гр. право (პასუხისმგებელი რედაქტორები ო. ს. იოფე, ი. კ. ტოლსტოი, ბ.ბ. ჩერეპახინი), 1971, ტ.1, გვ. 221-222; Гражданское право (რედაქტ. ი.კ. ტოლსტოი და ა.პ. სერგეევი) Санкт-Петербург, 1996, გვ. 268)

ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შესრულებული ვალდებულების უკან დაბრუნება არ დაიშვება. მართლაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის (რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 206 მუხლი) თანახმად, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. ამავ ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, იგივე წესი გამოიყენება ვალდებულებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

კანონის ასეთი მითითება, ცხადია, გვეუბნება, რომ ხანდაზმულობის გასვლა ყოველთვის არ იწვევს უფლების გაქარწყლებას, მაგრამ ამით იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ეს უფლება საერთოდ არ გაქარწყლდება ვადის გასვლის შემდეგ. ვიდრე სასამართლოს არ გადაუწყვეტია საკითხი უარი ეთქვას თუ არა პირს დარღვეული უფლების აღდგენაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, მანამდე არ შეიძლება ვთქვათ, რომ პირის უფლება გაქარწყლებულია. სასამართლოს უნდა შეეძლოს იმსჯელოს ხანდაზმულობის ვადის გასვლა საპატიო არის თუ არა და ისე გადაწყვიტოს საკითხი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს, როცა ახალი სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის აღდგენას (აღრინდელ კოდექსში 84-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ასეთი აღდგენა). ეს მით უფრო გაუგებარია, როცა კანონით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მთელი რიგი გარემოებები. როცა ეს შეჩერების საფუძველი სადავო გახდება, სწორედ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ჩაითვლება თუ არა ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად, ე.ი. ამ ვადის გასვლა საპატიო იქნება თუ არა.

ერთგვარ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომ ეს საკითხი სპეციალურად იქნა მოწესრიგებული პროცესულურად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა 65-ე მუხლით გაითვალისწინა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადის აღდგენა, თუ საამისოდ საპატიო მიზეზი არსებობს.

ამრიგად, საერთო წესის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგად უფლებამოსილ პირს ეკარგება უფლება იძულებითი წესით მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა, მაგრამ როცა ხანდაზმულობის დენა შეჩერებული იყო კანონით დადგენილი საფუძვლით, ეს დრო ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება და თუ ეს სადავო გახდება, საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც, მიუხედავად იმისა, გასულია თუ არა ამ დამატებითი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლებით).

**შეძენითი ხანდაზმულობა.** ახალმა სამოქალაქო კოდექსმა შემოიღო ე.წ. შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტი, რაც ადრე მოქმედი კანონმდებლობით არ იყო დაშვებული. კოდექსის 165-ე მუხლის შესაბამისად, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით). ასეთი შეძენა არ დაიშვება, თუ შემძენი ნივთს ფლობდა არაკეთილსინდისიერად ან თუ მან მოგვიანებით შეიტყო, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა. მაშასადამე, მოძრავ ნივთზე ხანდაზმულობით საკუთრების შეძენისათვის საკმარისია ეს ნივთი ხუთი წლის მანძილზე იმყოფებოდეს პირის მფლობელობაში და მან უნდა იცოდეს, რომ ეს ნივთი მისი საკუთრებაა. თუ მან იცოდა ან შემდეგ შეიტყო, რომ ნივთი მისი საკუთრება არ იყო,

ამ ნივთზე საკუთრებას ვერ მოიპოვებს მიუხედავად იმისა, რამდენ ხანსაც არ უნდა ფლობდეს ის მას.

ერთგვარი თავისებურება არის გათვალისწინებული უძრავი ნივთების მიმართ. კოდექსის 167-ე მუხლის შესაბამისად, პირი მინის ნაკვეთზე ან სხვა უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობით საკუთრების უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საჯარო რეესტრში შეტანილია ამ ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება ამ ქონებაზე, მაგრამ რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მას, როგორც საკუთარს. მაშასადამე, ხანდაზმულობით შეიძლება საკუთრების შექმნა მინის ნაკვეთზე და სხვა უძრავ ქონებაზეც მიუხედავად იმისა, ეს ქონება შექმნილი ჰქონდა თუ არა მას კანონით დადგენილი საფუძვლით, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ეს ქონება ამ პირის სახელზე იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, როგორც მისი საკუთარი, თხუთმეტი წლის მანძილზე.

პრაქტიკაში რთულად გადასაწყვეტი გახდება საკითხი თუ რა პერიოდიდან გავრცელდება შექმნითი ხანდაზმულობა, გამოიყენება თუ არა ეს ნორმები ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე დაწყებულ ურთიერთობებზე. კოდექსმა ამ კითხვასაც გასცა პასუხი. კერძოდ, კოდექსის 1507-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ამავე კოდექსის 165-168-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობით საკუთრების შექმნის ვადა აითვლება 1993 წლის 23 ივლისიდან, ე.ი. იმ პერიოდიდან, როცა ძალაში შევიდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საკუთრების უფლების შესახებ“. მანამდე გასული ნივთის ფლობის პერიოდი, რა დროსაც არ უნდა შეიცავდეს ის, საკუთრების შექმნის საფუძვლად არ ჩაითვლება.

# შინაარსი

თავი I. სამოქალაქო სამართლის ცნება, საბანი და პრინციპები	3
§1. სამოქალაქო სამართალი და მისი მნიშვნელობა	3
§2. სამოქალაქო სამართალი როგორც სამართლის დარგი, მისი რეგულირების საგანი, სფერო და მეთოდი	9
§3. სამოქალაქო სამართალი როგორც იურიდიული მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა	21
§4. სამოქალაქო სამართლის განმარტება და მისი გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისაგან	25
§5. სამოქალაქო სამართლის მიზანი და მისი ძირითადი პრინციპები	29
თავი II. სამოქალაქო სამართლის სისტემა	35
§1. სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის დარგის სისტემა	35
§2. სამოქალაქო სამართლის სასწავლო კურსის სისტემა	39
თავი III. სამოქალაქო სამართლის წყაროები	42
§1. სამოქალაქო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა	42
§2. სამოქალაქო სამართლის წყაროთა სახეები	49
§3. სამოქალაქო სამართლის ნორმათა გამოყენება და	



განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია	66
§4. სამოქალაქო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ	78

#### თავი IV. სამოქალაქო სამართლებრივი

ურთიერთობა	85
§ 1. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი	85
§ 2. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები	90
§ 3. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა კლასიფიკაცია	98
§ 4. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა ნარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა	103

#### თავი V. ფიზიკური პირები როგორც სამოქალაქო

სამართლის სუბიექტები	110
§ 1. სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება	110
§ 2. ფიზიკურ პირთა უფლებუნარიანობა და ქმედუნარიანობა	116
§ 3. ფიზიკურ პირთა სახელი და საცხოვრებელი ადგილი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია.	127
§ 4. ფიზიკურ პირთა უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება	135

თავი VI. იურიდიული პირები როგორც	
სამოქალაქო სამართლის სუბიექტები	143
§1. იურიდიული პირის ცნება და ნიშნები	143
§2. იურიდიული პირი როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი	150
§3. იურიდიული პირის შექმნა და გაუქმება	157
§4. იურიდიულ პირთა კლასიფიკაცია	165
§5. არასამენარმეო იურიდიული პირები	168
§6. სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირები	180
§7. საჯარო სამართლის იურიდიული პირები	219
თავი VII. სამოქალაქო სამართლის ობიექტები	231
§1. სამოქალაქო სამართლის ობიექტის ცნება და კლასიფიკაცია	231
§2. მატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი	234
§3. არამატერიალური სიკეთე როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი	259
თავი VIII. გარიგება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ძირითადი საფუძველი	264
§1. გარიგების ცნება და სახეები	264
§2. გარიგების ელემენტები	279
§3. ბათილი გარიგებები	289
§4. გარიგების ბათილობის წესი და შედეგები	302

თავი IX. წარმომადგენლობა და მინდობილობა	308
§1. წარმომადგენლობის ცნება და სახეები	308
§2. წარმომადგენლობის წარმოშობის საფუძვლები. წარმომადგენლის უფლებამოსილება	312
§3. მინდობილობა	315
§4. წარმომადგენლობის შეწყვეტა	319
§5. წარმომადგენლობა უფლებამოსილების გარეშე	321
თავი X. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვა	325
§1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ცნება და საშუალებები	325
§2. სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ფარგლები. მართლზომიერება უფლებათა განხორციელებაში	328
§3. სამოქალაქო უფლებათა დაცვის ცნება და ფორმები	333
§4. სამოქალაქო უფლებათა დაცვის საშუალებები	337
§5. არამატერიალური სიკეთის დაცვა	343
თავი XI. ვადები და ხანდაზმულობა	
სამოქალაქო სამართალში	351
§1. ვადების ცნება და სახეები. ვადების გამოთვლა	351
§2. ხანდაზმულობის ცნება და მნიშვნელობა	360
§3. ხანდაზმულობის ვადის სახეები. მოთხოვნები, რომლებზედაც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადები	363
§4. ხანდაზმულობის ვადის დაწყება, შეჩერება და შეწყვეტა	368
§5. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგი.	
შექვნითი ხანდაზმულობა	375
	383

**ავთანდილ კობახიძე** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, 1969 წლიდან ლექციებს კითხულობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წლების მანძილზე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ამჟამად მუშაობს თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლედ, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული იურისტის ნოდება.

შპს გაზეთ „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა  
გრ. რობაქიძის 7